

გურამ რამიშვილი

ენათა უინაარსობრივი სხვაობა

ენათმეცნიერებისა და

კულტურის თეორიის თვალსაზრისით

თბილისი

1995

81.2
800
h 214

წიგნში განხილულია ენის რაობისა და ფუნქციების საკითხები ენათა შინაარსობრივი განსხვავების ფონზე. ნაჩვენებია ენობრივისა და საგნობრივის საზღვრები, ენათა სემანტიკური შედარების სხვადასხვა ასპექტი.

წიგნი განკუთვნილია ზოგადი ენათმეცნიერების შემსწავლელი სტუდენტებისა და ასპირანტებისათვის, ენისა და კულტურის ფილოსოფიით დაინტერესებული მკითხველისათვის.

© თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1995

1 403 000 000
608(06)-95
ISBN 5-511-00636-X

ს ა რ ჩ ე ვ ი

შესავალი	9
ენის შინაარსობრივი შხაუ და „შედარებითი ენათმეცნიერება“	15
შინაარსობრივი შედარების თეორიული საფუძველი: ერი „უმალ- ლუსი გაგებით“ და საკაცობრიო ამოცანა („კანტიანური ელემენტის“ შესახებ)	17
ენის, როგორც გონითი ფენომენის, არსებობის ეროვნული ფორმა	21
ენობრივი ცნობიერება	26
ენობრივი ცნობიერება არ არის გზა რელატივიზმისაკენ	28
ადამიანთა ერთობა — აგებული ენით	29
ენის ენერგეისტული თეორიის ამოსავალი ცნებები	30
ენა და „ადამიანის ფაქტორი“ (ენის შინაფორმა და „განწყობის ფსიქოლოგია“)	39
ენის შინაფორმა ლოგისტიკურად ორიენტირებულ ფორმალურ ლინგვისტიკაში (ენათმეცნიერების დეანთროპოლოგიზაცია)	45
ენობრივი სინთეზის ცნება	50
შინაარსობრივი დანაწევრების იდეა	52
ენის ტელეონომიური ორიენტაცია	56
ენა როგორც საგანთცოდნის სოციალური ფორმა	62
„ენობრივი მსოფლხედვა“	65
„შესაძლებელია თუ არა სემანტიკური უნივერსალები „ენობრივი მსოფლხედვის“ ცნებიდან ამოსვლით?	68
• შინაარსის დადგენის გარეენობრივი ფაქტორების კრიტიკა	71
• არსებობს თუ არა ენაში „სემანტიკური წესები“?	90

სემანტიკური წონასწორობის პრინციპი	95
სემანტიკა როგორც ენობრივი შინაარსის დადგენის საზომი — ონო- მასიოლოგიის საპირისპიროდ	100
ენიკურად შემოუზღუდავი ლექსიკის სემანტიკური ანალოზი	104
ენობრივი შინაარსი და „საგანთა კონსტრუირება“	112
კვლავ „ენობრივი ალღოს“ შესახებ	114
როგორ დავადგინოთ ენობრივი შინაარსები?	119
ენობრივი შინაარსის საფუძველი: ტრადიცია და ისტორიული განზო- მილება	120
ენაში დანაწევრება არ არის დამოკიდებული გარეენობრივ ფაქტო- რებზე	122
ენის შინაარსების კვლევა გზაა „ენობრივი ველის“ შემოსატანად (ემპირიული ორიენტაცია)	128
ენათშედარების შესახებ შინაარსეული თვალსაზრისით	155
ფორმალური ლინგვისტიკიდან შინაარსეული ძიებისაკენ	158
ა) ენის დამანაწევრებელი ფუნქცია გრამატიკაში (გ. ახვლედიანი)	158
ბ) უცხოენობრივი ფაქტორების კრიტიკა ქართულ გრამატიკაში (ა.ჩი- ქობავა)	160
გ) გზა შინაარსეული გრამატიკისაკენ (ლ. ვაისგერბერი)	161
ენათა ნაირგვარობის სამომავლო გამართლება	172
Zum Schluß	177
ლიტერატურის სია	190
სახელთა საძიებელი	191

INHALTSVERZEICHNIS

Einleitung	9
Sprachinhalte und "Vergleichendes Sprachstudium"	15
Die theoretische Grundlage des Inhaltsvergleichs: Nation "im höheren Sinne" und Humanitätsideal (Über das "Kant'sche Element")	17
Die nationale Form der Sprache als geistiges Phänomen	21
Das Sprachbewusstsein	26
Das Sprachbewusstsein führt nicht zu Relativismus	28
Gemeinschaft der Menschen auf Grundlage der Sprache	29
Grundbegriffe der energetischen Sprachtheorie	30
Sprache und "menschlicher Faktor" (Innere Sprachform und "Einstellungspsychologie")	39
Die innere Sprachform in der logistisch orientierten formalen Linguistik (Deanthropologisierung der Sprachwissenschaft)	45
Der Begriff der Sprachsynthese	50
Das Prinzip der inhaltlichen Gliederung	52
Die teleonomische Orientierung der Sprache	56
Die Sprache als soziale Form der Gegenstandserkenntnis	62
"Sprachliche Weltansicht"	65
Sind semantische Universalien ausgehend vom Begriff der "sprachlichen Weltansicht" möglich?	68
Kritik aussersprachlicher Faktoren bei der Betrachtung des Sprachinhalts	71
Gibt es Semantische Gesetze in der Sprache?	90
Balance in der Semantik	95

Semantik contra Onomasiologie	100
Semantische Analyse der nicht ethnisch begrenzten Lexik	104
Sprachinhalt und "Konstruieren des Gegenstandes"	112
Nochmals über das "Sprachgefühl"	114
Wie soll man Sprachinhalte bestimmen?	119
Grundlagen des "Sprachinhalts": Tradition und historische Dimension	120
Die Gliederung der Sprachinhalte ist nicht von aussersprachlichen Faktoren abhängig	122
Sprachinhalte führen zum "Sprachfeld"	128
Sprachvergleichung hinsichtlich des Inhalts	155
Von der formalen Linguistik zur Inhaltsforschung	158
a) Die inhaltsgliedernde Funktion in der Grammatik (G. Achwlediani)	158
b) Kritik fremdsprachlicher Kategorien in der georgischen Grammatik (A. Tschikobawa)	160
c) Der Weg zur inhaltsbezogenen Grammatik (L. Weisgerber)	161
Sprachmannigfaltigkeit in der Zukunft	172
Zum Schluß	177
Literaturverzeichnis	190
Namenverzeichnis	196

შესავალი

ამ მიმართულებას, რასაც ჩვენ „ლინგვისტურ ჰუმანიზმს“ ვარქმევთ, სათავე გოტფრიდ ჰერდერისა და ვილჰელმ ფონ ჰუმბოლდტის მოძღვრებაში აქვს. არ არსებობს ადამიანი ენის უნარის გარეშე, მეორეს მხრივ კი ენის ფაქტს არ წარმოადგენს რაიმე გარეადამიანური არსებობის ფორმა.

სასიგნალო კომუნიკაცია ცხოველთა სამყაროში მთლიანად ბიოლოგიურად არის დეტერმინირებული, დამოკიდებულია გარეგან სტიმულებზე და სივრცისა და დროის იმ შემოზღუდულ არეებში გამოიყენება, რაზედაც ერთხელ და სამუდამოდ გენეტურად არის მიჯაჭვული ცხოველი; ადამიანის ენის „ქმედება“ კი, როგორც სახეობა ინტელექტუალური აქტივობისა (რომელიც მხოლოდ არსებობის ვიწრო პრაქტიკული ამოცანებით განპირობებულ გარეგნულ სტიმულებზე არ არის დამოკიდებული), თეორიულად მთელს უსაზღვრო სინამდვილეზეა განფენილი (როგორც სივრცეში, ისე დროში).

ენა ადამიანის ფიზიკური სტრუქტურის შემავსებელი კი არ არის მხოლოდ, ანდა მისი ბიოლოგიური „ნაკლის“ („უკმარობის“, „ნაკლოვანების“) კომპენსაცია (ჰერდერი [57], გელენი [45]), იგი აგრეთვე იმ გონითი ბუნების ფაქტორთა რიგშია, რაც ადამიანის „თეორიული ჰორიზონტის“ გაფართოებას უწყობს ხელს. შინაარსეულ-ენერგეისტული მიმართულება თანამედროვე ენათმეცნიერებაში, ამოდის რა ადამიანის ენობრივი და ინტელექტუალური უნარების თავდაპირველი ერთიანობის პოსტულატიდან, გულისხმობს ენის თანამონაწილეობას შემეცნების პროცესში – გარდაქმნას სინამდვილის ფაქტი ცნობიერების ობიექტად.

თანაც, იგი მონაწილეობს როგორც ერთ-ერთი პრიმარული ფაქტორი.

ადამიანის, როგორც აქტიური და შემეცნებელი სუბიექტის, ფილოსოფიური განხილვის ყველაზე ადეკვატური ლინგვისტური მიდგომა, როგორც ჩანს, სწორედ ასეთია. ამიტომ იგი უნდა გაეიგოთ, როგორც თავისებური ლინგვისტური შესავალი ზოგად თეორიაში ადამიანის შესახებ, რომელმაც პასუხი უნდა გასცეს არა მარტო კითხვას – „რა არის ენა“, არამედ კითხვასაც – „რას აღწევს ადამიანი ენის მეშვეობით?“.

მაშასადამე, თუ შემეცნების თეორია ვარაუდობს აქტიური და შემოქმედი სუბიექტის მიერ სამყაროს გრძნობად-ინტელექტუალურ შემეცნებას, ეს არ უნდა წარმოვიდგინოთ კონკრეტული ენის მონაწილეობის გარეშე, რამდენადაც პირველსავე თვალსაჩინო პრინციპებს საგნების, მოვლენების და მათი პირველი მიმართებების დაყოფა – განაწილებისა (ფორმის, ფერის, სიდიდის მიხედვით...), აგრეთვე, მათს გარკვეულ კლასებად გაერთიანებას სწორედ ენაში, უფრო სწორად, ენებში, ვხვდებით.

ეს მიმართებები სხვადასხვა ენაში სხვადასხვანაირად გადატყდება, თითოეული ენისათვის დამახასიათებელი შინაარსობრივი დაყოფა-გაერთიანების მიხედვით, რომლის საფუძველზე და რომლის მეშვეობით ხდება სამეტყველო პროგრამის რეალიზაცია მოცემულ ენაზე. შესაბამისად, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ჩვენს გამონათქვამებში საგნებისა და მოვლენების შესახებ გარკვეული ოდენობით მივყევით იმ ორიენტირებსაც, რომლებიც ბუნებრივი ენის მიერ არის წინასწარ მონიშნული. ამდენად, ბ გ ე რ ა დ ო ბ ა უ კ ა ე შ ი რ დ ე ბ ა ს ა გ ა ნ ს ა რ ა უ შ უ ა ლ ო დ , ა რ ა მ ე დ შ ი ნ ა ა რ ს ო ბ რ ი ვ ა დ გ ა დ ა მ უ - შ ა ვ ე ბ უ ლ ი „ ე რ თ ე უ ლ ე ბ ი თ “ , რომლებიც, უკვე სემანტიზებული ობიექტების სახით, შეიძლება იქცნენ თვით აღნიშვნის აქტისა და მეტყველებითი კომუნიკაციის საფუძველად.

„სემანტიზაცია“ ეს არის კატეგორიზაციის დონე, ადამიანური ფაქტორის „ქმედების“ სფერო, რაც სხვადასხვა ენობრივ სოციუმში სხვადასხვანაირად მიმდინარეობს. არც ერთ ენაში არ არის მოცემული საგანი მთელი თავისი სისრულითა და მრავალწახნაგოვნებით; მხოლოდ ენათა ნაირგვარობის ფაქტის გააზრებით არის შესაძლებელი საგნის განსხვავებულ ასპექტებთან მიახლოება, რის გამოც იზრდება ენათა შინაარსობრივი შედარების არა მარტო ლინგვისტური, არამედ კულტურულ-ანთროპოლოგიური მნიშვნელობაც. რატომ არ ლამობს კაცობრიობა – სვამს

ლეო ვაისგერბერი კითხვას – ერთიანი ენის შექმნას, არამედ, პირუკუ, მეტყველებს ორი ათასამდე განსხვავებულ ენაზე [89:163]? ენათა მრავლიანობა ენათა შემთხვევითი თავმოყრა როდია, არამედ გზებია, რომლებიც სხვადასხვა მეთოდით პასუხობენ იმ ამოცანას, რასაც კაცობრიობა დაუსვამს თითოეულ ენას ჭეშმარიტების მიღწევის მიზნით.

ენათა სიმრავლე დედამიწაზე კაცობრიობის არაპრაქტიკული და, მით უფრო, საზიანო დაყოფა-დანაწევრება როდია, არამედ ადამიანური გონის ნაირგვარი გამოვლინებაა. იგი ადამიანთა სულის დამაქუცმაცებელ სილატაკეს კი არ მოასწავებს, არამედ აზრსავსე მრავალფეროვნებას. კაცობრიობის სულიერი ერთიანობის პოსტულატი სწორედ ამ ფაქტს ემყარება; ყოველი ენა ამ ერთიანობის განუმეორებელი გზაა, რაც უპირატესად ენათა შინაარსეულ აგებულებაში ჩანს. ამდენად, ენათა შინაარსობრივი აგებულების გამოკვლევას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს.

ენათმეცნიერების ის მიმართულება, რომელიც უპირატესობას ენის შინაარსობრივი მხარის ძიებას ანიჭებს და რასაც ჩვენ ამ ნაშრომში მივეყვებით, ცდილობს კვლავაც განამტკიცოს ახალი მიდგომა ზოგადენობრივი ამოცანის მიმართ. ნაწევროვანი მთელის იდეა, რომელიც გულისხმობს, პირველყოვლისა, მნიშვნელობითს ერთეულებად შინაარსის ნაკადის დანაწევრებას, ბევრითი ფორმისა და შინაარსების სინთეზური მთლიანობის დაშვებით აღის ე.წ. „ენობრივი კელის“ თეორიამდე, რომლის შექმნაც გერმანისტ იოსტ ტრირისა და თეორეტიკოს ლეო ვაისგერბერის სახელებთან არის დაკავშირებული. ი. ტრირის კონკრეტული გამოკვლევების შესახებ ბევრი დაწერილა, ხოლო მიუხედავად ლ. ვაისგერბერის ნაღვაწის დიდი მნიშვნელობისა და პოპულარობისა, გამოკვლევები მის შესახებ ერთობ მწირია და შეფასება არაიშვიათად ცალმხრივი (განსაკუთრებით ეს ითქმის ამერიკიდან ევროპაში შემოდღეული ფორმალურ-უნივერსალისტური ლინგვისტიკის გერმანელ წარმომადგენლებზე). ამის შესახებ საგანგებოდ გვექნება საუბარი ლ. ვაისგერბერის „გერმანული ენის შინაარსეული გრამატიკის“ შედარებით უფრო ვრცელ მიმოხილვაში. სიმნელეს ობიექტური საფუძველიც აქვს: ლ. ვაისგერბერს ენა განხილული აქვს ადამიანის სულიერ-გონითი მოღვაწეობის ფართო კონტექსტში, ხოლო ენათმეცნიერებას იგი მიიჩნევს ფუძემდებლად კულტურის სხვა მეცნიერებათა შორის.

ორიოდე სიტყვით „ენობრივი შუაფენის“ შესახებ: ვ. ჰუმბოლდტს აქვს ასეთი გამოთქმა: „ენა არის ისეთი ნამდვილი რეალობა, რომელიც საგნებსა და ადამიანს შორის არის ჩასმული“ [59. VII. 176]. სწორედ ამ რეალობით ხდება „სამყაროს აზრებად გარდაქმნა“, რის გამოც ენა არის არა უბრალო გამტარი, არზი, მესაბესიერციით რეალობა („იგი არ არის ეკვივალენტი საგნისა, არამედ თვალსაზრისი მის შესახებ“ [59. IV. 28]), არამედ უფრო ფილტრი, სელექციის უნარის მქონე მნიშვნელობათა ისეთი სისტემა, რომელიც ყოველ სუბიექტს „წინ დაუხვედბა“, რასაც იგი არაცნობიერად და თანდათანობით ეუფლება. დედაენის შესწავლასთან ერთად ბავშვი ითვისებს საგნის მოპოვების წესსაც. ენის შესწავლით ეუფლება ადამიანი სამყაროსთან მისადგომ პოზიციებს. ცხოვრების ცალკეული უბნები უკვე არა მხოლოდ სახელდებულია, არამედ გაენოვნებულიც, ენობრივად სტრუქტურირებულიც. ესაა ენობრივი სოციუმების ათასწლობითი მუშაობის შედეგი და სამყაროსთან შეხვედრის ურიცხვ აქტებში შემუშავებული ენობრივი საშუალებები, რომლის დაუფლებაც ინდივიდს მოუპოვებს ერთგვარ, უკვე მზა პოზიციას სამყაროს ასათვისებლად; ეს პოზიცია მას თავიდან ააცილებს სამყაროს ათვისების გრანდიოზული ამოცანის ხელახალ დაწყებას, ჩატარებასა და მხოლოდ თავისი ძალებით გადაწყვეტას. შეუძლებელი იქნებოდა საგნებთან ინდივიდის ურიცხვი ინდივიდუალური შეხვედრები ერთ მთლიანობად შეკრულიყო და ენობრივი ერთობის წევრები მეტყველების პროცესში ერთნაირი ძალით ჩართულიყვნენ, მათ რომ ბგერითის გვერდით არ მოვლინებოდა ის შინაარსობრივი პრინციპი, რომელიც უმთავრესია და ზეგადამწვდომი მთელ ენობრივ სივრცეზე, და რითაც ენა ინდივიდთა შემთხვევით კრებულს ერთ ორგანულ მთლიანობად კრავს.

ე.ი. მეტყველი სუბიექტის ენობრივი ძალის სიღრმე იმ შემთხვევაში გახდება შინაარსეული ენათმეცნიერებისათვის გასაგები ფაქტი, თუ ეს ინდივიდი, მოაზრებული ენობრივი სოციუმის წევრად, ჩართულია იმ დიდი ამოცანის განხორციელებაში, რასაც საგანთა ენობრივ-შინაარსობრივი საშუალებებით მოტანის ამოცანა გულისხმობს. ეს არ არის ენის პასიური გამოყენება, ან მისი აბგერება და ამეტყველება მხოლოდ ურთიერთობის დამყარების, მხოლოდ კომუნიკაციის მიზნით, რადგან ამ შემთხვევაში ჩვენ საქმე გვაქვს არა მეტყველ ინდივიდთა უბრალო საკრებულოსთან, არამედ – ადამიანთა ისეთ ისტორიულ ერთობასთან, რომე-

ლიც ათეულ თუ ასეულ საუკუნეთა მანძილზე ჩართულია სასიცოცხლო გარემოს ენობრივი დაუფლების მრავალნაირ პროცესში.

ამ ვიეებრთელა სამუშაოს ასრულებს არსებითად გონითი ერთეულე-ბი, მნიშვნელობები ანუ ენობრივი შინაარსები, რომლებიც ენობრივი სოციუმის წევრებს ეძლევა მემკვიდრ ობით, მაგრამ არა პასიურად, ვთქვათ, ქონების, კაპიტალის სახით, არამედ როგორც „ცოდნა“, ძალა, შესაძლებლობები, როგორც საგანთხედვის წესი. ეს არის, პირველყო-ლისა, ლ. ვაისგერბერისებურად რომ ვთქვათ:

1. ლექსიკა, სიტყვანი, სადაც ათიათასობით მოქმედ ერთეულს – სიტყვას – გადაჰყავს სინამდვილის მოვლენები ენობრივში, რათა გადა-ქციოს ისინი ცნობიერების ობიექტად.

2. სიტყვათწარმოების სისტემა, სადაც ფუძე-სიტყვებში სამყაროს უკვე განხორციელებულ გასიტყვებას მიეყვაროთ ახალი მნიშვნელობები-საკენ, რომელთა მიმართულებაც ნაჩვენებია გამოცდილების თავდაპირ-ველი ლინგვისტური ორგანიზაციით. ისინი მიგვითითებენ ახალ სფერო-ებზე და სისტემატურად აფართოებენ შესაძლებელ ახალ მნიშვნელობათა წრეს.

3. ეს არის წინადადებათა აგების წესები, რომლებშიაც გარკვეული აზრითი სიტუაციები ენობრივი სოციუმის წევრს ეძლევა უკვე მზა სახით. მაგრამ ისინი უნდა გაეიგოთ არა ყალიბებად, რაშიაც აზრი ჩამოისხმება, არამედ, უფრო, საყრდენებად, რომლებიც შესაძლებელს ხდიან აზრის გარკვეული მიმართულებით გაშლას.

ეს არის „ცოდნის“ ის ფორმა, რომელიც შუამავალია მეტყველ სუბი-ექტსა და საგნობრივ ვითარებას შორის.

ენობრივი შინაარსი ენითს შუაფენაშია მოთავსებული, რაც სიტყვა-თველის შემოტანის აუცილებელი წინაპირობაა; ამასვე შეუწყო ხელი ტრადიციულ ლექსიკოგრაფიულ სიმნელეთა დაძლევის ამოცანამ. ჩვენი ყურადღება კარგა ხანია მიიპყრო ამ თვალსაზრისით სულხან-საბა ორ-ბელიანის ქართული ენის პირველმა განმარტებითმა ლექსიკონმა – „სიტყვის კონამ“ (მე-17 საუკუნე). ამ ლექსიკონიდან გზადაგზა ვიმოწ-მებთ იმ სიტყვათა დეფინიციებს, საიდანაც ჩანს, რომ ეს არის, პირველ-ყოვლისა, სწორედ დედაენის ლექსიკონი და არა უბრალო თავმოყრა

საგანთა სახელწოდებებისა – გაწყობილი ანბანური წესით. ს. ორბელიანი დედაენის შიდააზრის მაძიებელია და, ამდენად, მაშენებელი ქართული ენის მსოფლხედვისა; იგი დიდად უაჩლოვდება სიტყვათველის თანამედროვე გაგებას. სწორედ საბაზე ითქმის ჰუმბოლდტის სიტყვები: „ადამიანი უმთავრესად ისე ცხოვრობს საგნებთან, ის კი არა და, მხოლოდ ისე, როგორადაც ისინი ენას მოაქვს მასთან“ (59.VII. 60).

ველი საზოგადოდ ენის დიდ სფეროებს მოიცავს. ენით შეკრული საზოგადოება, რომელსაც „სურს“ ცხოვრების ვრცელი და უმთავრესი სექტორები ენობრივად გაითავისოს, ამ ამოცანისათვის, როგორც ჩანს, ფართო მასშტაბებს მიმართავს და მეტ სიმძლავრეებს აამოქმედებს, ვიდრე ცალკეული საგნის ბგერითად აღბეჭდვაა .

1. ენათმეცნიერებაში უკვე კარგა ხანია დამკვიდრდა ტერმინი „შინაარსი“ (გამოხატულება და შინაარსი), „შინაარსის პლანი“ (ლუი იელმსლევის ტერმინოლოგია). ეს ტერმინი უფრო ზუსტად აღნიშნავს ენის არაბგერითს მხარეს, ვიდრე ტრადიციული ტერმინი „მნიშვნელობა“, რომელიც ისტორიული სემასიოლოგიის პრობლემებს არის მისადაგებული (იგი არსებითად ისტორიის ამოცნობის მიზანს ისახავს და ნაკლებად – ენათა შედარებას, მით უფრო, ენის შინაარსეული აგებულებისა).

2. „ენობრივი შინაარსი“ იმიტომ დაეარქვით, რომ შინაარსის პრობლემა დგას მთელი ენის მიმართ. სიტყვის სტრუქტურა უფრო ნათლად წარმოაჩენს აღნიშნულ პრინციპს, სინტაქსში კი შინაარსის ფენა ძნელად ამოსაცნობია.

3. ენათა სხვაობის გააზრება კულტურის თეორიის მიხედვით ანთროპოლოგიურ განხილვასაც ნიშნავს – „ადამიანის ფაქტორის“ მიკვლევას ენობრივი ერთეულის შინაარსობრივად განხილვისას.

* ამ ნაშრომში ვემყარებით და ვაგრძელებთ ჩვენს ადრინდელ გამოკვლევებს: „ენის ენერგეტული თეორიის საკითხები“, თბილისი, 1978 და *Einheit in der Vielfalt*, Bonn, 1988/1989.

ენის შინაარსობრივი მხარე და
შეღარაბითი ენათმეცნიერება

აზრით პროცესებში ენის „ჩართვის“ გამოკვლევა (რისი შედეგების შემოწმებაც აზროვნების თეორიისათვის სცილდება მხოლოდ ენათმეცნიერის შესაძლებლობებს და, ტრადიციის მიხედვით, კომპეტენცია-საც), თვითონ ენის ცნებას ავსებს ახალი შინაარსით და ენის შესახებ მეცნიერების პერსპექტივას აფართოებს.

თეზისი აზრით პროცესებში ენის ენერგეისტული რლის შესახებ უფრო დამახასიათებელია XX საუკუნის დასავლური ფილოსოფიისათვის (ე. კასირერი); მეტიც: მისდამი ინტერესი გაძლიერდა განსაკუთრებით მის შემდეგ (აპელი, ჰაინტელი, როთაკერი, ლიბრუქსი, ბორშე...). ოღონდ ყველა ეს ცდა საკუთრივ ფილოსოფიური რესურსებით მისი დასაბუთებისა — ჯერ-ჯერობით ვერ იძლევა ეფექტურ შედეგს, რადგან ისევ არ არის სათანადოდ გააზრებული ენათა შინაარსობრივი ნაირგვარობის ის პოსტულატი, რომელიც კვლევის სრულიად ახალ პერსპექტივას შლის, გადააქვს რა „ენისა და აზროვნების“ პრობლემა ემპირიულ სიბრტყეზე — „ენებისა და აზროვნების“ — პრობლემის სიბრტყეზე, რითაც ზღვარი ივლება კლასიკური ფილოსოფიიდან მომდინარე ტრადიციასა და ამ ახალ გაგებაზე დაფუძნებულ ენის ფილოსოფიას შორის (თუმცა ეს ნაკლებად ითქმის ე. კასირერსა [37] და თ. ბორშეზე [33]).)

ენათა შინაარსობრივი ნაირგვარობის გამომკვლევ მიეცნიერება,

რასაც თავის დროზე ჰუმბოლდტმა „შედარებითი ენათმცოდნეობა“ უწოდა, გვესახება ისეთ დისციპლინად, რომელსაც ერთადერთს ლინგვისტურ თეორიებს შორის ძალუმს გასცეს კონკრეტული პასუხები იმ კითხვებს, რასაც ენასთან დაკავშირებით აზროვნების პრობლემა აჩენს.

ეს მეცნიერება ჰუმბოლდტს არ აუგია, მაგრამ მისი თეორიულ-ფილოსოფიური მონახაზი მოცემულია ნაშრომში: „შედარებითი ენათმცოდნეობა ენის განვითარების სხვადასხვა ეპოქებთან მიმართებაში“, რომელიც 1820 წ. მოხსენდა ბერლინის მეცნიერებათა აკადემიას. „კვლევა-ძიების საბოლოო პუნქტად“ მიჩნეულია „ენათა მიმართების გარკვევა იდეებთან, როგორც ენათა საერთო შინაარსთან“, რადგან „აქეთენ იხრება“, მისივე შედარებით, „ყველა ენა, მსგავსად კრებადი სხივებისა“ [59, IV. 19].

მისი ინტერესის საგანია გაარკვიოს, ეს საერთო შინაარსი ენისაგან დამოუკიდებელია (ე.ი. ამა თუ იმ ენით გამოხატვა მისთვის სულერთია), თუ არ არის მისგან დამოუკიდებელი. პირველ შემთხვევაში „ენათა სხვაობის ჩამოყალიბებასა და შესწავლას ექნებოდა მხოლოდ მეორეული და დაქვემდებარებული მნიშვნელობა, საპირისპირო შემთხვევაში კი — გარდუვალი და გადამწყვეტი მნიშვნელობა“ [59. IV. 20].

ჰუმბოლდტი საანალიზოდ იღებს „მარტივ სიტყვას“ და „მარტივ ცნებასთან“ შედარების საფუძველზე მიდის იმ დასკვნამდე, რომ „გონების აქტს“, რომელიც ცნების ერთიანობას წარმოქმნის, გრძნობადი ნიშნის სახით შეესაბამება „სიტყვის ერთიანობა“; ოღონდ ეს არ არის უბრალო შესაბამისობა: „სიტყვა, რომელიც ცნებას აზრითი სამყაროს ინდივიდად აქცევს, უმატებს მნიშვნელოვანწილად თავისას და როცა იღეა ამ გზით გარკვეულობას შეიძენს, იმავდროულად მას გარკვეული საზღვრებიც დაედება“ (ამიტომ „არ არის მთლად სულერთი, როცა ერთი ენა აღწერას მიმართავს, ხოლო მეორე ერთი სიტყვით გამოხატავს“ [59. IV. 20—21]).

ამ ბოლო ფრაზიდან ასეთი დასკვნა შეიძლება გამოვიტანოთ: თუ „საშუალებაოა“ ეს სხვაობა მარტო ტექნიკური პრობლემა არ არის და ამდენად სხვადასხვა საშუალება აზრის სფეროშიაც სხვადასხვა-

გვარ კორელატს იძლევა, მაშინ ენათა ამ მხრივ სხვაობას „გადაამწყვეტი მნიშვნელობა“ უნდა მიენიჭოს.

აღრე რეფლექსიის თვით „პირველივე აქტი“ ზოგადად ენის მონაწილეობის გარეშე არ მოიაზრებოდა; ოცი წლის შემდეგ, ენათა ნაირგვარობის ღრმა გამოკვლევით, ჰუმბოლდტი უკვე ფიქრობს, რომ „აზროვნება დამოკიდებულია არა მხოლოდ ზოგადად ენაზე, არამედ გარკვეული ზომით რომელიმე ცალკეულ ენაზედაც“ [59. IV. 22], და, აი, აქ წამოაყენა მან ცნობილი თეზისი: „ენათა სხვაობა არის არა სხვაობა ბგერადობისა და ნიშნებისა, არამედ მსოფლხედვისა“, და იქვე დაურთო, რომ ეს უნდა იყოს „საფუძველი და საბოლოო მიზანი ენის ყოველნაირი გამოკვლევისა“ [59. IV. 28].

სხვაგან აღნიშნულია, რომ „ჭეშმარიტი მნიშვნელობა“ ასეთი კვლევისა „უნდა გაიზომოს ენის მონაწილეობით წარმოდგენათა შექმნაში“, თანაც, „მონაწილეობა არა მხოლოდ მეტაფიზიკურად, როგორც ცნების არსებობის შემაპირობებელი“. ენა ზემოქმედებას ახდენს აგრეთვე „მის (ცნების) გეშტალტიზაციაზე და მას თავის ნაჭდევს დაამჩნევს“ [59, III: 154].

**შინაარსობრივი შედარების თეორიული საფუძველი:
არი „უმაღლესი გაგებით“ და საკაცობრიო ამოცანა
(„კანტიანური ელემენტის“ შესახებ)**

ვ. ფონ ჰუმბოლდტს კანტის მიმდევრად თვლიან, თუმცა ენისა და აზროვნების ურთიერთობა ჰუმბოლდტთან თანდათანობით იქცა ენებისა და აზროვნების ურთიერთობად*. ეს იყო მისი დიდი თავისებურება აზროვნების თეორიაში. აქვე იბმება ის უხილავი ძაფი, რამაც ენის კოგნიტური ფუნქცია ენათა ნაირგვარობის ფაქტორან უნდა დააკავშიროს ერთიანი თეორიის ფარგლებში. ენათსხვაობის მნიშვნე-

* უფრო ვრცლად ამ საკითხის შესახებ იხ. [58 108].

ლობა შემეცნების ფუნდამენტური პრობლემისათვის — ასე გვესახება ჩვენ ამ მიმართულებით კვლევის გზა. ამ გარემოების გათვალისწინებით, სრულიად ახლებური ინტერპრეტაცია შეიძლება მიეცეს ჰუმბოლდტის მიერ მოწოდებული შემეცნებითი პროცესის იმ კონკრეტულ მოდელს, რაშიაც ყველაზე მეტად ცდილობენ ხოლმე კანტის გნოსეოლოგიის გაგენა დანახონ, რაც ჩვენ ადრე ლინგვისტის თვალთი განვიხილეთ [5. 28-34] და ახლა ისევ სრულად მოვიტანთ: „სუბიექტური აქტივობა ქმნის აზროვნებაში ობიექტს. წარმოდგენის (აღქმის) არცერთი სახეობა არ შეიძლება ჩაითვალოს უკვე წინასწარ მოცემული საგნის მარტივ რეცეპტულ ჭვრეტად. შეგრძნებათა მოქმედება სინთეზურად უკავშირდება გონის შინაგან მოქმედებას და ამ კავშირიდან აღმოცენებული წარმოდგენა, რომელიც სუბიექტური ძალის საპირისპიროდ უკვე ობიექტურია, ასე ახლებურად აღქმული, კვლავ სუბიექტურად გადაიქცევა. მაგრამ ამისათვის ა უ ც ი ლ ე ბ ე - ლ ი ა ე ნ ა . გონითი სწრაფვა სწორედ ენაში, იკაფავს რა გზას ბაგეების გზით, უბრუნებს თავის წარმონაქმნს (სიტყვას — გ.რ.) თავისსავე ყურს. წარმოდგენა ნამდვილ ობიექტურობას იძენს, არ კარგავს რა ამავე დროს თავის სუბიექტურობასაც. ეს შეესაძლებლებლია მხოლოდ ენის მეშვეობით: ამ სუბიექტთან დაბრუნებული ობიექტურის მუდმივი გარდაქცევის გარეშე, რომელიც ენის თანამონაწილეობით ხორციელდება, თუნდაც იგი უხმოდ მიმდინარეობდეს, შეუძლებელია ცნების ჩამოყალიბება და ამდენად ყოველგვარი ნამდვილი აზროვნება. ამიტომ, კიდევაც რომ არ შევეხოთ ადამიანთა შორის გაგებინების საკითხს, შეგვიძლია ვამტკიცოთ, რომ ენა აუცილებელი პირობაა ინდივიდის აზროვნებისათვის განმარტობულ მდგომარეობაშიც“. (საზი ჩვენია — გ.რ.) [59. VII. 66-67]. თუ კანტიანურ ორიენტაციაზე რამდენადმე მიგვანიშნებს გამოთქმა, რომ „წარმოდგენის არცერთი სახეობა არ შეიძლება ჩაითვალოს უკვე წინასწარმოცემული საგნის რეცეპტულ ჭვრეტად“, უფრო კი ის ადგილი, სადაც მითითებულია შეგრძნებათა კავშირზე გონის სპონტანურ აქტივობასთან, სამაგიეროდ, ჰუმბოლდტის სრულიად ორიგინალური და უწყმედებელი თეზისი — ენის აუცილებელი

მონაწილეობის შესახებ სუბიექტურის ობიექტურად გარდაქმნასა და ცნების აგების პროცესში — აღარ მოასწავებს კანტიანურ ორიენტაციას და ამ ფონზე თვით ზემომოყვანილი გამონათქვამებიც, სადაც შეიძლება კანტის გავლენა დაგვეჩვენა, მსოფლიოდ ახლებურ შინაარსსა და გააზრებას იძენს — სრულიად განსხვავებულს „წმინდა გონების კრიტიკაში“ მათი მნიშვნელობებისაგან.

განსაკუთრებული სიფრთხილე გვმართებს, როდესაც „კანტიანურ ელემენტს“ ვეძიებთ ჰუმბოლდტის ენის თეორიაში და, მისა უფრო, როცა ამის მიხედვით დასკვნები გამოგვაქვს.

როგორც კანტმა გაუწია წინააღმდეგობა შემეცნების თეორიაში „გულუბრყვილო რეალიზმის“ მოდელს, ასევე ცდილობდა ჰუმბოლდტი შეეზღუდა ენობრივი ნატურალიზმის ის თვალსაზრისი, რომელიც არ არჩევს ენობრივისა და საგნობრივის საზღვრებს (ემყარება რა ამავე დროს აღქმისა თუ აზრის უწინარესობის მარტივ ინტროსპექციულ ფაქტს). გარეგნულად ეს აქცია ძალიან წააგავს კანტისეულ ე.წ. „კოპერნიკულ მოტრიალებას“, მაგრამ სწორედ ეს გარეგნული ანალოგია შეიცავს უზარმაზარ განსხვავებას, რასაც ჩვეულებრივ ვერ ამჩნევენ ხოლმე და რაც თვით ზემომოყვანილი ციტატის ანალიზიდანაც ჩანს; ენა თვითონ არის ინტელექტუალური აქტივობის მქონე („ენერგია“), ჩართული ცნების აგების გენეზისურ პროცესში, სინამდვილის ფაქტის ცნობიერების ფაქტად გარდამქმნელი (Umschaffen der Welt in das Eigentum des Geistes).

მარტო ეს უკვე თავისთავად ისეთი მნიშვნელობის აღმოჩენა იყო, რომ მისი შედეგები შესაძლებელია თვით „წმინდა გონების კრიტიკის“ საფუძვლებსაც შეხებოდა. ნეოკანტიანელი ერნსტ კასირერი ამას უთუოდ გრძნობს და ცდილობს თანხმობაში მოიყვანოს ეს ორი ღიდა რეფორმა — განხორციელებული გონის ფორმათა სამყაროში; ოღონდ ჰუმბოლდტის ენის თეორია ისევ იმდენად არის მისთვის მნიშვნელოვანი, რამდენადაც იგი კრიტიცისტული ფილოსოფიის ეფექტური დასრულებაა [36].

ამასთან დაკავშირებით გვინდა შევნიშნოთ: კრიტიცისტული აზროვნების მეთოდი შესაძლებელია ზოგად იმპულსად მარაღაც გამომდგარიყო კანტის ფილოსოფიას ღრმად ნაზიარები ჰუმბოლდტი-

სათვის, მაგრამ მისი ლინგვისტური თეორიის უპირველესი პოსტულატები, სახელდობრ ის, რომ სიტყვა არ არის საგნის უშუალო ანაბეჭდი, მას ასევე თავისუფლად შეეძლო გამოეყვანა ენათმეცნიერების მის მიერვე შემუშავებული ასეთი პროგრამიდან: 1) სხვადასხვა ენის სიტყვებს შორის „არ არის სინონიმია“ და 2) ენათა განსხვავება დასაბუთებული არა მხოლოდ ბგერადობასა და გარეგან ფორმაში, არამედ, უფრო ღრმად, — საგანთხედვის წესშიც.

ენათა შინაარსობრივი ნაირგვარობის ფაქტის ასეთნაირ გააზრებას ენის თეორიაშივე შეეძლო ნატურალისტური პრინციპების (რის მიხედვითაც ენა რეალობის მარტივი ასახვაა ან ნომენკლატურა) შერყევა; მით უფრო, თუ ეს აქცია შემაგრებული იყო კრიტიციკული პოზიციით შემეცნების ზოგად თეორიაში, საიდანაც კანტის ზეგავლენა არ არის, რა თქმა უნდა, მთლად გამოსარიცხი. შთაბეჭდილება ისეთია, თითქოს ჰუმბოლდტმა ხელახლა გაიზარა ის ამოცანა, რომლის წინაშეც დადგა კანტი. ეს არის სინთეზის პრობლემა. ჰუმბოლდტის მიმართ ეს ორნაირად უნდა გავიგოთ: 1) ენაროგორც შემეცნების პროცესში ჩართული (როგორც ეს ზემომოყვანილ ციტატშია ნაჩვენები) და 2) სინთეზი (არა კანტის გაგებით) საკუთრივ ენის ორგანიზაციაში, რომელიც უფრო რელატიურია, მაგრამ უნივერსალურ ასპექტსაც შეიცავს.

თუ ბირველ ნაწილში ჰუმბოლდტი შემეცნების პრობლემის კონსტრუქციულ იდეას გვაწვდის და ენის ჩართვით, ალბათ, კანტის სინძელეთა დაძლევას ცდილობს, მეორე ნაწილში, რაც საკუთრივ ენათა ორგანიზაციას შეეხება, თითქოს იგი იმავე პროცედურული დილემის წინაშე დგება, რის წინაშეც თვითონ კანტი აღმოჩნდა — შემეცნების ორი ფესვის იმთავითვე გათიშულად დაშვების გამო. აზროვნების დიდი სექტორები ენით არის დატერმინირებული („ენა აზრის შემქმნელი ორგანოა“), მაგრამ ამის გვერდით ჰუმბოლდტი თითქოს უშვებს „წმინდა განსჯიდან“ მომდინარე ცნებათა შესაძლებლობასაც.

ენის როგორც გონითი ფენოენის
არსებობის ეროვნული ფორმა

ენათა სხვაობის დანახვა ენის არამატერიალურ ნაწილშიც — ეს იყო იმდროინდელი ახლადფეხადგმული ლინგვისტიკის ფონზე გაბედული, მაგრამ ძნელად მისაღები თვალსაზრისი. შეიძლებოდა ასეთი თვალსაზრისისათვის, გარკვეული კორექტივით, მენტალისტური გვეწოდებინა.*

ენის ფენომენში მატერიალურის გვერდით არამატერიალური ასპექტის გამოყოფა შესაბამისად ცვლის ენისა და აზროვნების ურთიერთმიმართების ტრადიციულ სქემას, იმ სქემას, რომლის მიხედვითაც ენა გაგებულა, როგორც ოდენ მატერიალურ საშუალებათა ერთობლიობა, ხოლო აზროვნება, როგორც იდეალური არსი, რომელიც თავისთავად არსებობს.

ენაც, გონით ფენომენტა რიგში მოქცეული, „იდეალური არსებობის მქონეა“ („ენას იდეალური არსებობა აქვს ადამიანთა თავებსა და სულში და არავითარი, თვით ქვასა და ლითონში მოქცეული ენაც კი არ ჩაითვლება მატერიალური არსებობის მქონედ“ [59. VII. 196]). მაგრამ გამოსარკვევი სწორედ ის არის, თუ რა ბუნებისაა ეს „იდეალური“. ამ საკითხში გარკვეულობა უნდა იქნეს შეტანილი, სხვაგვარად, ტავტოლოგიას ვერ ავცდებით — ენისა და აზროვნების მიმართება, იდეალურის იდეალურთან მიმართება გამოგვივა. ეს ერთგვარად მართლაც ასეა, მაგრამ, ამავე დროს, არც არის ასე. აქ არის სწორედ მთავარი სიძნელე.

გამოსავალს მაინც ვხედავთ და ამან უნდა მოგვცეს სწორი მიმართულება შემდგომი მსჯელობისათვის. რაკი ენათა სხვაობა ენის გონით ნაწილსაც შეეხება, ამით „გონის“ (Geist) ისეთი გაგებაც იჩენს თავს, რამაც იმ მოსალოდნელი უნივერსალისტური ინტერპრეტაციებისაგან უნდა გაგვათავისუფლოს, რაც იმდროინდელი აბსტრა-

* „გარკვეული კორექტივით“, რადგან ჩვენ აქ მას რელატიურ ასპექტსაც ვუმატებთ და ვასხვავებთ ნ. ხომსკის მენტალიზმისაგან.

ქსუდი იდეალიზმისათვის იყო დამახასიათებელი (თუნდაც „ახსო-
ლუქური გონი“ ჰეგელისა და სხვ.). ჰუმბოლდტი ენას არ მიიჩნევდა
აბსტრაქტულ სადიდედ, იგი მისთვის კონკრეტული რეალობაა („როცა
საეროდ ენის შესახებ მსჯელობენ, ასეთ დროს იგი გონების
აბსტრაქციაა; ნამდვილად კი ენა გვევლინება მუდამ როგორც
კონკრეტული“ [59. VII. 240]), მაგრამ „კონკრეტული“ არ ნიშნავს
მასთან უთუოდ „ინდივიდისმიერს“: „ენათა არსებობა მოწმობს, რომ
მათი აღმოცენება ხდება ყველა ინდივიდის ერთობლივი აქტივობის
შედეგად და არა ისე, თითქოს ერთი ინდივიდიდან დანარჩენზე
გადადიოდეს“ [59. VII. 47].

ენის მოცემულობის ბუნებრივ ფორმათა შორის ყველაზე უფრო
სტაბილურ ფორმად მას, როგორც ვნახეთ, ენათა „ეროვნული ფორმით“
მოცემულობა ესახება („ენები, რამდენადაც მათ ყოველთვის ეროვნ-
ული ფორმა აქვთ...“) და ჩვენც საორიენტაციოდ ეს ემპირიული
პოსტულატი უნდა მოვიშველიოთ.

მაგრამ ენის გონი, თუნდაც ეთნიკურ საზღვრებში მოქცეული,
შესაძლებელია მაინც უნივერსალური გონის ერთ-ერთ მარტივ
მოდულად იქნეს გაგებული (და ამდენად ისევ უნივერსალურის
ნაწილად). ანდა „ხალხთა ფსიქოლოგიის“ ობიექტად.

ეურნალ „ხალხთა ფსიქოლოგიის“ დამაარსებლებმა, ლაცარუსმა
და შტაინრალმა, რაკი ამ დარგის აგებისათვის მოინდომეს ჰუმბოლ-
დტის ავტორიტეტის გამოყენება, ამავე თვალსაზრისით წარმოადგინეს
მისი შეხედულებების ინტერპრეტაციაც [78].

მაგრამ „ხალხთა ფსიქოლოგია“, როგორც ცნობილია, მკაფიოდ
ვერ გაიმიჯნა თავისი ობიექტი ინდივიდუალისტური ფსიქოლოგიისაგან
და ამიტომ მათი „ენის გონი“ მეტყველი ინდივიდის ფსიქიკა უფრო
იყო, ვინემ ხალხის გონთან დაკავშირებული სოციალური სიდიდე.

თუ გავიხსენებთ იმ გარემოებას, რომ 1820 წ. ჰუმბოლდტმა თავის
ცნობილ მოხსენებაში არა ზოგადად ენის, არამედ სწორედ „ეროვნული
ფორმით“ მოცემული ენების აზრით პროცესებში მონაწილეობის
თეზისი წამოაყენა, რითაც სრულიად ახალ პრინციპებზე მოიწადინა
შედარებითი ენათმცოდნეობის თეორიული დაფუძნება, ცხადი გახდება
ის მნიშვნელობა, რაც ენის სოციოლოგიური სტატუსის დადგენას

ენიჭება არა მხოლოდ ენათა არსებობის ემპირიული პირობების გამოსარკვევად, არამედ ისეთი შედარებითი ენათმცოდნეობის ასაგებად, რომელსაც სათანადო წვლილის შექანა შეუძლია ადამიანისა და საგანთა სამყაროს შემეცნებითი ურთიერთობის პროცესების გარკვევაში.

ერთი გარემოებაც არის გასათვალისწინებელი:

ლ. ვაისგერბერმა მიუთითა [92] შესაძლებელ კავშირზე ენის შესახებ ჰუმბოლდტის რეფლექსიასა და „ერის“ იმ განახლებულ ცნებას შორის, რომელიც წინა საუკუნის რეაასიან წლებში გერმანული აზროვნების ცენტრში მოექცა.* ამით ავტორს სურდა ეჩვენებინა, თუ იმთავითვე რამდენად იყო ჩართული ჰუმბოლდტი, სწორედ როგორც ენათმეცნიერი, თავისი დროის პრობლემატიკაში. საკმარისად ცნობილია, ერთი მხრივ, ჰუმბოლდტის კავშირი აზროვნების უმთავრეს მიმართულებებსა და პრობლემებთან, რომლებიც მისი დროის ფილოსოფიაში წინა პლანზე იყო წამოწეული და რამაც ზოგი მკვლევარი (ჰაიმი, შტრაიტბერგი, კასირერი) იქამდის მიიყვანა, რომ იგი კანტის იდეების ბრწყინვალე განმახორციელებლად ჩათვალეს ისეთ სფეროშიც კი (ენის სფეროში), რასაც თვითონ კანტი არც შეხებია; მასში ხედავენ აგრეთვე „იგივეობის ფილოსოფიისა“ და იდეათა შესახებ მოძღვრების სრულიად თვითმყოფად წარმომადგენელს. მეორე მხრივ, ჰუმბოლდტი, თავის ლინგვისტურ გამოკვლევებში, სოციოლოგიური ხასიათის იმ დიდ პრობლემებსაც ეხებოდა, რაც დაკავშირებულია ხალხისა და ერის ცნებათა გარკვევასთან. ენის ფენომენის კვლევის აუცილებლობა მით უფრო მნიშვნელოვანი ხდებოდა მისთვის, რაც უფრო მეტად რწმუნდებოდა იგი, რომ პიროვნული არსებობის ფორმირება მიმდინარეობს არა ინდივიდი-კაცობრიობის პოლარობით, არამედ სამწვეროვანი ურთიერთობით: ინდივიდი-ერი-კაცობრიობა.

ჰუმბოლდტმა „ერი“ ანუ, რაც მისთვის არსებითად იგივეა,

* აქვე გვინდა შევნიშნოთ, რომ ჰუმბოლდტს აინტერესებს ერი უმაღლესი გაგებით (eine Nation im höheren Sinne [59. VI. 125]) და მისი შრომებო გამსჭვალულია ამ იდეით.

„ხალხი“ მისინა კაცობრიობის გონითი „ინდივიდუალის“ ხაცის ფორმად“. მაგრამ, ამავე დროს, იქვე აღნიშნა, რომ იგი ენობრივი გარკვეულობის მქონეა.

„ერის (ხალხის)“ ცნების ასეთი განსაზღვრა ძნელია ვიპოვოთ გერმანული სპეკულატიური ფილოსოფიის სხვა წარმომადგენლებთან; კაცობრიობის „ინდივიდუალის“ ხორციელება ენობრივად, უფრო ზუსტად, ენობრივ-გონითად. ენას ჰუმბოლდტი არ ათავსებს ერის შემაპირებელ ფისიკურ ფაქტორთა რიგში.

კაცობრიობის დაყოფა „ხალხებად და ტომებად“ ჰუმბოლდტმა დააკავშირა „ენებად და დიალექტებად“ დაყოფასთან. ეს ემპირიული კანონი იმდენად უგამონაკლისია, რომ კაცობრიობის დაყოფა ერებად მან მიიჩნია მის დაყოფად „ოდენ ენებად“. აქედან ერის ზემომოყვანული განსაზღვრაც: „ერი ამ გაგებით არის ამა თუ იმ ენით აღბეჭდილი გონითი ფორმა კაცობრიობისა — ინდივიდუალიზებული იდეალურ მთლიანობასთან მიმართებაში“ [59. VI. 125]. მაშასადამე: ჰუმბოლდტისათვის ერი, პირველ ყოვლისა, „გონითი ფორმაა“, ადამიანთა ინტელექტუალური გაერთიანებაა. რაკი რომელიმე ენით არის ადამიანებში შეპირობებული „საკუთრივ ადამიანისმიერი ბუნების განვითარება“, ამიტომ „თვითონ ენიდან უნდა იქნეს მიღებული ცნება ერისა“, როგორც, გარკვეული აზრით, „ენის შემქმნელ ადამიანთა ჯგუფისა“. აქ ნათლად ჩანს ორი რამ: 1) „გონითი“ მატერიალურის საპირისპიროა, მაგრამ „ენობრივი გარკვეულობის მქონეა“ და 2) „ერი“ დახასიათებულია — უკვე სხვა მხრიდან — როგორც „ენის შემქმნელ ადამიანთა ჯგუფი.“ ენას ჰუმბოლდტი ადამიანთა ინტელექტუალური განვითარების საფუძვლად თვლის და ამიტომ, როცა ერს კაცობრიობის „გონით ფორმად“ მიიჩნევს, ამ გონითი ფორმის სპეციფიკას ენაში ხედავს (ენით აქვს მას, ალბათ, ეს სპეციფიკა ფორმისა), თორემ ერის ჩამოყალიბებაში რომ მხოლოდ ენა არ არის საკმარისი და მასში სხვა ფაქტორებიც მონაწილეობენ — ამაზე იგი სრულიად გარკვევით მიუთითებს: „თუ ზემოთ ერებს კაცობრიობის გონითი ფორმა ვუწოდეთ, ამით როდი უგულვებლევავით მათი რეალურობა და მათი მიწიერება; ასეთი გამოთქმა მხოლოდ იმიტომ

„შეკარჩიეთ, რომ აქ საკითხი ეხებოდა მათი (ერების) ინტელექტუალური ასპექტით განხილვას“ [59. VI. 126] (ხაზი ჩყენია — გ.რ.).

თუკი ენებად და ხალხებად დაყოფა კაცობრიობისა თითქმის უნაშოოდ ემოხვევა ერთმანეთს (ავტორისთვის, როგორც ჩანს, ტომი ისეთივე ქვეკლასია ერისა, როგორც დიალექტი ენისა), მაშინ მათ შორის კორელაცია ყოფილა; იგი უფრო შორსაც მიდის: ეს არის არა კორელაცია, არამედ იგივეობა; ოღონდ იგივეობა ენისა არა ხალხთან, არამედ ხალხის (ერის) გონთან (თუქცა მოცულობით თუ არა, შინაარსობრივად არსებითად ეს იგივე გამოდის, რადგან ერი კაცობრიობის „გონითი ფორმა“ — და ამდენად იგი ოდენ გონითი ფენომენია, ოღონდ სივრცისა და დროით შექპრობებულა). პირობითია დაყოფა: გონი (ინტელექტი) და ენა; სინამდვილეში ეს ერთი და იგივეა. ხალხთა „ენა არის მათივე გონი და მათი გონი არის მათივე ენა“. „ინტელექტსა და ენას შორის მიჯნა არ არსებობს“.

აქვე უნდა შევნიშნოთ შემდეგი: „ინტელექტის“ სინონიმად „გონის“ ხმარება (საწორედ ენასთან დაკავშირებით), ერთდროულად აზუსტებს ორსავე ცნებას: „ინტელექტი“ უფრო ფართო ჩანს, ვიდრე მისი თანამედროვე გაგება (ratio). ხოლო „გონი“, ერთი მხრით, ინტელექტთან იდენტობის, მეორე მხრით, ენასთან კავშირის გამო, აღარ არის მეტაფიზიკური და არც უთუოდ ინტუიციით მისაწვდომი სიდიდე, არამედ უკვე ენის სოციოლოგიის შესაძლებელი ობიექტია.

მაგრამ რანაირი იქნება ის მეცნიერება, რომელიც ამას გამოიკვლევს? შეიძლება მას ენათმეცნიერება ეწოდოს? ჰუმბოლდტი თვითონვე მიუთითებს მისი პროგრამის იმდროინდელი ისტორიული ენათმეცნიერებისაგან განსხვავებაზე: „აქ, რა თქმა უნდა, შეუძლებელია მოვიპოვოთ მასალა ისეთი შედარებითი ენათმეცნიერებისათვის, რომელიც თავისი არსით მხოლოდ ისტორიულია“ [59. VII. 15] და ამის ერთ მთავარ საბუთად ის მოკყავს, რომ მხოლოდ და მხოლოდ ხალხის გონთან ურთიერთობის ცოდნა გახდის შესაძლებელს „ჩაწვდეთ“ მოვლენათა თავდაპირველ კავშირს და შევიმეცნოთ ენა, როგორც „შინაგანად შეკავშირებული ორგანიზმი“.

ადრე ვფიქრობდით: ხომ არ იყო სწორედ ამ „შინაგანად შეკავშირებული ორგანიზმის“ შესაცნობად მოხმობილი ხალხის გონის ცნება, რაც, შეიძლება გვეფიქრა, იგივე „ერის ენობრივი ცნობიერებაა“? დადებითი პასუხი თითქოს შესაძლებელია: „რამდენადაც იგი (ენა — გ.რ.) თავის მთლიანობაში ოდენ ეროვნული ენობრივი საზრისის ქმედებაა, ამდენად, საკითხები, რომლებიც შეეხება ენათა აგებულებას მათს შინაგან არსში, და საიდანაც იმავდროულად ენათა უმნიშვნელოვანესი განსხვავებულობანი გამომდინარეობს, საფუძვლიანად არ გაირკვევა, თუ არ ავმალდებით ზემოაღნიშნულ თვალსაზრისამდე“ [59. VII. 14].

„ენის შინაფორმის“ შესახებ თავის დასაწყისში ნათქვამია, რომ „ენას ქმნის სწორედ მისი სრულიად შინაგანი და წმინდა ინტელექტუალური ნაწილი“ [59. VII. 86]. „ერის ენობრივი ცნობიერების“ ცნებამ, რომელიც ენის მთლიანობის კორელატია და ენის შინაგანი არსისა და ენათა სხვაობის „უმნიშვნელოვანესი“ საფუძვლის გამოსავლენად არის მოხმობილი, შესაძლებელია ენის შინაფორმის რეალურ ასპექტებს მოჰფინოს შუქი და ამით ბუნებრივი გახადოს მისი გენეზისური კავშირი „ენობრივი მსოფლხედვის“ ადრე შემოტანილ ცნებასთან. ყოველ შემთხვევაში, ფაქტი ისაა, რომ ხალხის გონთან (რაც, შეიძლება უკვე ითქვას, იგივე ერის ენობრივი ცნობიერებაა) კავშირში მოაზრებული ენა არის მისთვის სწორედ შედარებითი ენათმცოდნეობის ერთადერთი და ნამდვილი ობიექტი. ამ მიმართულებით კვლევა ფრიად ფართოდ აქვს მას წარმოდგენილი: „შედარებითი ენათმცოდნეობა, ენათა ნაირგვარობის იმ საფუძვლის წვდომა, რის მიხედვითაც წყევტს ურიცხვი ხალხი ენის ორგანიზაციის ამოცანას (რომელიც მათში, როგორც აღამიანებშია მოცემული), მოკლებული იქნება ყოველგვარ ამაღლებულ ინტერესს, თუ განხილვაში არ ჩაერთვის ის მომენტი, სადაც ენა ეროვნული გონის ქმედებას უკავშირდება“ [59. VII. 14].

ხალხის გონის თავისთავადი ფენომენური მოცემულობა ჩვენ ეჭვის ქვეშ დავაყენეთ. თვითონ ჰუმბოლდტისავე შეხედულებათა იმანენტური

ანალიზით [5.118]. იგი ერის ენობრივი ცნობიერებაა. ასეთმა ახსნამ რამდენადმე გასაგები უნდა გახადოს ეროვნებად გადაჭარბებული მოთხოვნის ნამდვილი მოტივი, რომ „ერის ცნება ენის ცნებას დაემყაროს“.

ერის ენობრივი ცნობიერების ცნების პოსტულირება საშუალებას მოგვცემს ჩავწოდეთ ენისა და ხალხის გონის თავდაპირველ ეროიანობას და ამით გასაგები გავხადოთ ენიდან ამოსვლით ერი, როგორც ინტელექტუალური კატეგორია. მაგრამ ახლა სხვა მხრიდან, იმავე ცნების შემოტანით, უფრო ღრმად შეგვიძლია გავიაზროთ რეალობის გენიალური ალლოთი ნაკარნახევი მოთხოვნა, რომ თვითონ ენის, კერძოდ, რომელიმე ენის, განხილვისას არ იქნეს დავიწყებული მისი აუცილებელი კავშირი, მეტიც, იგივეობა ერის ენობრივ ცნობიერებასთან.

ამრიგად (ენერგეისტული თვალსაზრისი უნდა ცდილობდეს ხალხის გონითი შემოქმედების პროდუქტებშივე დაინახოს ენა, როგორც „თეორიული გონების პირველივე ქმედება“ (ჰეგელი). რაკი „ენა იდეის განჩენისა და გაზიარების“ (ჰუმბოლდტი) ასევე პირველი პირობაა, ხალხის შემონაქმედი ფორმების (კულტურის) იერარქიაც ამნაირადვე უნდა აიგოს. ეს იქნებოდა გზა იმ იდეის განხორციელებისა, რაც ექსპლიციტურად გამოთქვა XX საუკუნეში ვ. პორციგმა, დასახა რა ენათმეცნიერება ფუძემდებლურად გონის მეცნიერებისათვის [69.7]. ხალხის გონის ვერბალურობის ჩვენება უნდა მოხდეს „ენობრივი ცნობიერებიდან“ ამოსვლით, რაც გასაგებს გახდის კულტურის ლინგვისტური დეტერმინაციის ფაქტებს. „ერის ენობრივი ცნობიერება“, რომელიც არ გამოიყვანება არც ადამიანის ზოგადენობრივი უნარიდან და არც მეტყველი ინდივიდის „ენის გრძნობიდან“, ისეო ფენომენად შეიძლება იქნეს გაგებული, რომელიც ხალხის „ენობრივ კოლექტივად“ ინტერპრეტაციის საშუალებას მოგვცემს. ენისა და ენობრივი კოლექტივის საურთიერთო მექანიზმის კვლევით შევამზადებთ პირობებს იმის დასაძლევად, რომ ენა არ იქნეს მიჩნეული მხოლოდ პროდუქტად ან მემკვიდრეობით გადმოცემულ პასიურ „ქონებად“; ამავე მექანიზმის აღდგენით შევდივართ ენერგეისტული კვლევის ფაზაში.

ენობრივი ცნობიერების ცნებით (რომელიც მოხსენიებულია ჰუმბოლდტის „შესავალში“, მაგრამ არ არის განმარტებული) ჩვენ არა მხოლოდ ვცდილობდით, დაგვეცვა ჰუმბოლდტი ფილოსოფიური თუ სოციოლოგიური ხასიათის ბრალდებათაგან იმ პუნქტში, სადაც იგი სწორედ ყველაზე უფრო ძნელი დასაცავია, კერძოდ, „ხალხის გონის“ საკითხში [5. 39-40], არამედ მენტალისტური თვალსაზრისიც განგვევითარებინა და თანაც: ამავე თვალსაზრისიდან ამოსვლით ენის შესახებ მეცნიერების სტატუსი გაგვერკვია. „ენობრივი ცნობიერების“ შემოღებით გონის რელატიური ცნება მივიღეთ, რამდენადაც იგი ერის ცნობიერებაა; ამით მოსალოდნელი უნივერსალისტური ინტერპრეტაციების (რომელთა წყარო უფრო რაციონალისტური ან აბსტრაქტული იდეალისტური ფილოსოფიაა) შესაძლებლობა შევზღუდეთ. აქვე უნდა ითქვას, რომ რამდენადაც ენობრივი ცნობიერების ცნებაა ამოსავალი, ეთნოფსიქოლოგიიდან მომდინარე ინტერპრეტაციებსაც სხვა მიმართულება უნდა მიეცეს*. ამდენად: ენობრივობა და რელატივობა აუცილებელი წინაპირობებია ენაში მოქცეული გონის მოდუსის დასადგენად.

მაგრამ ხომ არ არის ეს ლინგვისტური რელატივიზმი?

სრულიად გარკვევით უნდა ითქვას, რომ მთელი ეს მსჯელობა „ენა-ერის“ პრობლემატიკის შესახებ დაქვემდებარებულია დიდ მიზანს: გაირკვეს, თუ „რას აღწევს ადამიანი ენის მეშვეობით“. ამ მიზნისათვის თანაბრად აუცილებელია როგორც მეტყველი ინდივიდის ენობრივი პირობების ემპირიული გამოკვლევა, ისე საკაცობრიო ამოცანის (ადამიანი ენობრივი არსებაა) ნათელყოფა. მაგრამ ორივე მიმართულებით კვლევისათვის ამოსავალი უნდა იყოს ენის მოცემულობის სოციოლოგიური ფორმა.

ვ. ფონ ჰუმბოლდტის შრომაში, სადაც შედარებითი ენათმეცნიერების ამოცანებია ჩამოთვლილი [59. VII. 14], კვლევის სხვადასხვა

* დასაძლევა როგორც ფსიქოლოგიზმის, ისე ეთნოგრაფიზმის ცალმხრივობა.

მიმართულებაა ნაწვენები, რომელთა შორის უთუო კავშირი უნდა ვაჩვენოთ (და რაც ცალმხრივ რელატივისტურ ინტერპრეტაციასაც აგვაცილებს); პირველ ყოვლისა, ეს არის პოსტულირება ყველა ხალხისათვის საერთო ზოგადადამიანური „ენობრივობის“ ისეთი ფორმისა, რაც ადამიანებში მხოლოდ „ამოცანის სახით“ შეიძლება იყოს მოცემული. ამ ამოცანის გადაჭრა, თავის მხრივ, ენათა მრავლიანობის საფუძვლის პოვნასაც ნიშნავს და პასუხსაც კითხვაზე, თუ როგორ წყვეტენ ხალხები აღნიშნულ ამოცანას. მაგრამ თვითონ ეს, როგორც ითქვა, ნაკლებად მოხერხდება, თუ ენათა შედარებით კვლევაში არ ჩავრთეთ ის უმნიშვნელოვანესი პუნქტი, „სადაც ენა ერის ენობრივ ცნობიერებას უტოლდება“. „ენობრივი ცნობიერება“, თუ იგი მისაღები იქნება აქ წარმოდგენილი ინტერპრეტაციით, შესაძლებელია იქცეს ენის სოციოლოგიის იმ ამოსავალ ცნებად, საიდანაც ენისა და ენობრივი კოლექტივის ისტორიული ურთიერთქმედების დინამიკაში უნდა შევალწიოთ. იგივე ცნება გზას გაგვიხსნის ორივე მიმართულებით — როგორც ინდივიდში მოცემული „ენის გრძნობის“, ისე ზოგადადამიანური ენობრივი უნარის გამოსაკვლევად. ხოლო თვითონ ჰუმბოლდტის პრობლემატიკის სახით, ენობრივი ცნობიერება აუცილებელი წინასწარი ცნებაა, საიდანაც ცხადი უნდა გახდეს ენის შინაფორმის მოცემულობის რელატიური ასპექტი და მისი გენეზისური კავშირი ადრე შემოტანილ Weltansicht-ის (ენობრივი საგანთხედვის) ცნებასთან.

ადამიანთა ერთობა — აბაგური ენით

გარეგნულად — მეტყველებითი საშუალებებით, მაგრამ შინაგანად — ენობრივი ცნობიერებით გაერთიანებულ ადამიანთა კომპაქტური ჯგუფი უკვე ისეთი ერთობაა, რომელიც არც ბიოლოგიურ ფაქტორებზე დაიყვანება და არც ეთნოფსიქოლოგიის (ან ტრადიციული „ხალხთა ფსიქოლოგიის“) ტერმინებში აღიწერება. ეს შეიძლებოდა ყოფილიყო ენობრივი კოლექტივი, ენობრივი სოციუმი.

ენობრივი ცნობიერების ცნება ერთდროულად აშუქებს ენასთან

დაკავშირებულ ცნებათა ასეთ კომპლექსს: ხალხის გონი, ინტელექტუალობა... და გასაგებს ხდის თეზისს, თუ რატომ არ შეიძლება ერთმანეთს დაცილდეს ენა და ხალხის გონი, ენა და ინტელექტუალობა, რომ ისინი, ბოლოს და ბოლოს, ერთიანი იმავს სხვადასხვანაირი გამოთქმაა. ენიდან ამოსვლით ხერხდება ერის ინტელექტუალური ასპექტით განხილვა და ეს ასპექტი იგივე ერის ენობრივი საზრისი შეიძლება იყოს, რაც გასაგებს ხდის ერის ასეთ დახასიათებას — „ენობრივი გარკვეულობის მქონე კაცობრიობის გონითი ფორმა“.

თითქოს შემზადდა პირობები „ენობრივი კოლექტივის“ ცნების დასაფუძნებლად. მაგრამ ეს ტერმინი (Sprachgemeinschaft) გერმანულ ლექსიკონებში მხოლოდ 1840 წელს გამოჩნდა, ე.ი. მაშინ, როცა ჰუმბოლდტი აღარ იყო ცოცხალი. თუ ჩვენ თვითონ ჰუმბოლდტის მიერ მოწოდებულ, მაგრამ არადეფინირებულ ცნებათა: ხალხის გონი, ინტელექტუალობა, ერის ინტელექტუალური ასპექტი... ინტერპრეტაციიდან ვცდილობდით გამოგვეყვანა ენობრივი სოციუმის ცნება (და აგვეგო იგი ენობრივ ცნობიერებაზე), ლ. ვაისგერბერი სხვა მეთოდს მიმართავს: იგი ჰუმბოლდტის ეპოქის ფართო კონტექსტში მიმოიხილავს ნაცია — ხალხი — სახელმწიფო ტერმინთა გამოყენების შემთხვევებს და ამ სოციოგრაფიული ანალიზით მიდის იმ დასკვნამდე, რომ ჰუმბოლდტთან ხალხი ენობრივ ერთობად შეიძლება იქნეს გაგებელი [92].

ენის ენერგეტიკული თეორიის ამოსაპალი ცნებები

ჰუმბოლდტის ტექსტის ჩვენ მიერ ჩატარებული ინტერპრეტაციის მთელი განვლილი გზა* შესაშვადებული საფეხური იყო იმისათვის, რომ მისი თეორიის ფუძემდებელ ცნებებში: ენერგეია, წარმოქმნა, შინაფორმა ამოგვეკითხა ის ძირითადი საზრისი, რაც ენის შესახებ

* იხ. ჩვენი შრომები: [71, 5, 73] და სხვ.

მეცნიერებას უფლებამოსილს ხდის თავისი მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს აზროვნების თეორიაში, განსხვავებით იმ გავრცელებული ინტერპრეტაციებისაგან, რაც ამ ცნებებს მიეცა საზოგადოდ ფორმალურ პოსტულატზე აგებულ თანამედროვე ლინგვისტიკასა და, კერძოდ, გენერატორული ტრანსფორმაციული ლინგვისტიკის თეორიაში.

ბუნებრივად დგება საკითხი: როგორი იქნება ის ცნებათსისტემა, რასაც ენათა შინაარსობრივი შედარება უნდა დაემყაროს და რის საფუძველზეა ენის ერთიანი ენერგეისტული თეორია აიგოს?

ასეთი მიზნისათვის, პირველ ყოვლისა, მასალა, რა თქმა უნდა, ისევ პუმბოლდტთან უნდა მოვიპოვოთ; და ეს იქნება სწორედ „მასალა“, რადგან ენერგეისტული ენათმეცნიერების ცნებათსისტემატიკა მას არ მოუცია. მაგრამ უნდა შევეცადოთ მსჯელობა გაიშალოს იმ მიმართულებით, რასაც „პუმბოლდტიანური ორიენტაცია“ შეიძლება ეწოდოს. ეს იქნებოდა მის მიერვე დასმული ამოცანების მიხედვით ენერგეისტული თვალსაზრისის გამომუშავების ცდა.

აქამდე მივუთითებდით ენის ენერგეისტულ ფუნქციაზე, როგორც ინტელექტუალური პროცესების (ენის ფილოსოფია), ისე ენობრივი კოლექტივის (ენის სოციოლოგია) მიმართ. ენობრივი ცნობიერებით, შეიძლება ითქვას, ვიპოვეთ ის ფესვი, რაც ენასა და ენობრივ კოლექტივს ორგანულად აკავშირებს. ასეთი დაშვება უკეთეს პირობებს შექმნის „სინამდვილე-ენა-ადამიანის“ კომპლექსის ემპირიულად შესასწავლად. ენა, უკვე ამ კორელაციაში ჩართული, სრულიად სხვა ცნებაა და ეს გარემოება გასათვალისწინებელია, როდესაც ენის შესახებ მეცნიერების სტატუსს ვეხებით. „შედარებითი ენათმეცნიერება“ შედარების მეთოდის კერძოული თეორია კი არ არის, არამედ მეცნიერება, რომელიც ენას ამ ახალ მიმართებებში განიხილავს და მას ასე ფართო მნიშვნელობით იღებს („მე აქ ენას ვიღებ მისი უვრცესი განფენილობით, ე.ი. არა მხოლოდ მის მიმართებაში მეტყველებასა და სიტყვათა მარაგთან, როგორც მის უშუალო წარმონაქმნთან, არამედ, აგრეთვე, მის მიმართებაში აზროვნებისა და აღქმის უნართან. განხილვის არეში ექცევა მთელი გზა,

რომელზედაც ენა, გამომოვალი გონიდან, გონსევე ახდენს უკუქმედებას“ [59, VII. 53]).

ა. წარმოქმნა ზემომოყვანილ ციტატაში გარკვევით არის ნათქვამი, რომ იგი ენას მხოლოდ მისი „უშუალო პროდუქციის“, მეტყველების აქტების წარმოქმნასთან მიმართებაში კი არ განიხილავს, არამედ ფართოდ — აზროვნებისა და აღქმის უნართან მიმართებაში.

ეს ცნება, მოხმობილი და დეფინიციის რანგში ატანილი ჰუმბოლდტის ბოლო შრომაში, არ არის დაცვილებული იმ მნაშვნელობისაგან, რაც მას ჰქონდა პირველ ნაშრომში*. ეს მოსაზრება რომ უსაფუძვლო არ არის, იქიდანაც ჩანს, რომ ზემომოყვანილ ციტატას ტექსტში მოსდევს ფრაზა: „ენა აზრების შემქმნელი ორგანოა“ — და ვრცელი მსჯელობა ენის ინტელექტუალურ პროცესებთან მიმართების შესახებ.

ეს არის უმთავრესი ასპექტი და აქედან ამოსვლით უნდა გაიხსნას ჰუმბოლდტის ორივე ცნობილი ფორმულის შინაარსი:

1. ენა არის წარმოქმნა (die Erzeugung) და არა წარმონაქმნი (das Erzeugte). პირველ დეფინიციას ახლავს განმარტება: უმჯობესი იქნება, თუ განყენებას მოვახდენო იმ თვალსაჩინო ფაქტისაგან, რომ ენა საგანთაღმნიშვნელია და გაგებინების საშუალება; განსაკუთრებულ ყურადღებას მივაპყრობთ მის გენეზისს („მჭიდროდ შეწნულს გონის შინაგან ქმედებასთან, და მათ ურთიერთზეგავლენას“ [59, VII. 44]).

2. ენა ენერგეიაა (Energeia) და არა ერგონი (Ergon).

ბ. ენერგეია მეორე, საყოველთაოდ ცნობილი განსაზღვრაც ენისა (ენა ენერგეიაა და არა ერგონი) გენეზისური ტიპის დეფინიციია (Ihre wahre Definition kann daher nur eine genetische sein) [59, VII. 46].

* „წარმოქმნას“ რომ ინტელექტუალური ფუნქცია აქვს და არა ფორმალური, აღნიშნულია ჩვენს მოხსენებაში ლინგ. X საერთ. კონგრესზე [23:257], რასაც მხარი დაუჭირა ბ. კეიდტმა [96.259].

სრულიად უეჭველია, რომ ამ მეორე შემოსხვევაშიც ემპირიული გენეზისი არ იგულისხმება: იგი არ არის არც დროში განენის ემპირიული აქტი (Anfang) და არც მეტყველების ცალკეული აქტების პროდუცირება, არამედ არის გენეზისი (Ursprung), მჭიდროდ დაკავშირებული ცნობიერების გენეზისთან. ეს ფესვეული კავშირი ზოგადად იმ ტიპისა ჩანს, როგორიც ენა და საზრიანობაა (Besonnenheit) ჰერდერის თეორიაში (157 შდრ. 7), ანუ რეფლექსიის უნარია.

ეს არის ენის ანთროპოლოგიური თეორია, რომელმაც პასუხი უნდა გასცეს არა მხოლოდ სტატიკური შინაარსის კითხვაზე, თუ რას წარმოადგენს ადამიანი, როგორც „ენობრივი არსება“, არამედ უფრო კონსტრუქციულად დასმულ კითხვაზე: „რას აღწევს ადამიანი ენის გზით“.

ვფიქრობთ, რომ ამ მიმართულებით კვლევა წინ წაიწევს და ჰუმბოლდტის „გამოყენება“ უფრო ეფექტური იქნება აქ დასახული მიზნისათვის, თუ ენობრივი სინთეზის პოსტულატიდან ამოვალთ.

ოლონდ წინასწარ უნდა შევნიშნოთ, რომ სინთეზის პრინციპის წვდომა ისევ სინთეზური თეორიის პირობებშია შესაძლებელი; მეთოდად ვიყენებთ არა ანალიტიკურ პროცედურას, არამედ „გენეზისურ ინტერპრეტაციას“. ამთავითვე უნდა ითქვას, რომ ამ მეთოდის „გამოყენება“ იმედროულად მისი ჩამოყალიბებაც არის. ამოსავალია ენისა და ცნობიერების (ინტელექტის, გონის...) ურთიერთკორელატიურობის, უფრო მეტიც: მათი „ურთიერთგამსჭვალვის“ თეზისი. არც ერთ ვითარებაში არ განიხილება ენა როგორც შინაარსისაგან დაცლილი „ბგერათერთიანობა“, „წმინდა ფორმა“ ან „ცარიელი“ სტრუქტურა, არამედ, პირიქით, ყველა ვითარებაში იგი ელემენტთა შინაარსეული ერთიანობაა, რაც ინტელექტთან აუცილებელ კავშირს ემყარება. მეორე მხრივ, ბგერით ფაქტორთან კავშირის გამოც (არა in concreto, არამედ in abstracto) თვით ეს შინაარსები, ალბათ, სახეცვლილია, მაგრამ ამის ჩვენება და ემპირიულად დამტკიცება

უკვე ენერგისტული ენათმეცნიერების საბოლოო შედეგებს გული-
სხმობს.*

ანალიტიკური მეთოდი („დაშლელი“, როგორც იგი ამბობს) ვერ
ამოგვაცნობინებს ბგერა-აზრის „ერთიანობის“ საიდუმლოებას („ჩვენ
შეგვიძლია ცნებები ვაპოთ და სიტყვები ვანაწევროთ, მაგრამ მაინც
ვერ მივაღწიოთ იმ საიდუმლოების ამოხსნამდე, თუ როგორ უკავშირდება
აზრები სიტყვებს“ [57. VII. 55].

ანალიტიკური და სტატიკური მეთოდის (რასაც იგი „მკვდარ
ოპერაციას“, „ანატომიურ“ მეთოდს უწოდებს) ნაცვლად მას შემოაქვს
დინამიკური თვალსაზრისი, რომელიც სინთეზის, როგორც ფორმალური
აქტივობის იდეიდან ამოდის და ენას განიხილავს როგორც ფორმას,
გენერირებასა და ენერგეიას, ნაცვლად ამორფული მასალისა,
რეზულტატისა და ერგონისა. უნდა დავუშვათ, რომ ყველაფერ ამას
იგი შედარებითი ენათმეცნიერების აგების ამოცანებს უკავშირებს,
მოითხოვს რა წინასწარ, ენათა შედარებისას, იმ მოსაზრებისაგან
(დროებით) განყენებას, რომ ენა „საგანთაღმნიშვნელია და აზრის
გადაცემის საშუალებაა“.

*ჩვენთვის აშკარად იმის აღნიშვნაც დიდად მნიშვნელოვანია, რომ ენის
თითქმის ყველა უმთავრესი დეფინიცია, რაც ჰუმბოლდტის სხვადასხვა ნაშრომში
გვხვდება, აგებულია ბგერითის აზრთან აუცილებელი კავშირის პრინციპზე;
გაიხსენოთ ზოგი მათგანი:

ა) ენის ენერგეიად განმარტებას მოსდევს ფრაზა: ენა არის „გონის
მუდამ განმეორებადი ქმედება, რომელიც ნაწევროვან ბგერას აზრის გამოხატვის
თვისებას ანიჭებს“.

ბ) ენის ფორმის შედარებით აღრინდელი დეფინიცია ასეთია:
„ენის ფორმა, ზოგადად განხილული, ისეთი ფორმაა, რომელშიაც ენა
თავის სიტყვათა ბგერებს აზრის გამოსახატავად აყალიბებს და აწესრიგებს“
[59. VI. 248]. ცოტა ქვემოთ, იხსენებს რა ამ დეფინიციას, ჰუმბოლდტი წერს:
„დაუბორონდეთ იმ დეფინიციას, რომლის თანახმადაც ენის ბუნება გამოვსახეთ,
როგორც აზრის სწრაფვა სიტყვით შემოსეისაკენ“ [59. VI. 254] და სხვ.

გ) ენის სისტემად განსაზღვრისას იგი კვლავ სინთეზის აქტზე
მიუთითებს: „ენას ვერ ჩავთვლით სიტყვათა აგრეგატად. ყოველი ენა სისტემაა,
რის მიხედვითაც გონი ბგერას აზრთან ამთლიანებს [59. VII. 220].

რატომ არის შედარებითი ენათმეცნიერების აგების ამოცანა დაკავშირებული პროცედურის ასეთ შეზღუდვასთან? იგი აღრიკვე (1801) ამჩნევს, რომ „სხვადასხვა ენა სხვადასხვა აღნიშვნა კი არ არის რომელიმე ერთი საგნისა, არამედ მასზე სხვადასხვა თვალსაზრისი“ [59. VII. 89].

რაკი თანდათან უფრო გაცნობიერდა, რომ ენათა შორის სხვაობა მხოლოდ ბგერებსა და ფიზიკურ აღმნიშვნელებში არ არის და ყოველი ენა თავისებური მიდგომაა საგნისადმი (და არა ბგერითი ეტიკეტების მიწებება), ამიტომ იგი ამგვარ განხილვას მოგვიანებით (1820) უწოდებს სინამდვილის მიმართ ენობრივ თვალსაზრისს (sprachliche Weltansicht). ეს დებულება შეეძლო მიეღო მას იმ ფაქტის ღრმა გააზრებითაც, რომ „ენებს შორის არ არის სინონიმია“. აქედან უკვე ერთი მთავარი ხაზი შინაფორმის იდეისაკენ მიემართება, მაგრამ ენის „შინაფორმის“ ცნება, რომელიც მის ბოლო ნაშრომში (1835) გამოჩნდა, გარდა იმისა, რომ აღნიშნულ ასპექტს მოიცავს და ჩართულია ადამიანის შინაგანი აქტივობის გამოხატველ ცნებათა კომპლექსში (ენობრივი საზრისი, არტიკულაციის უნარი, ინტელექტი, გენერირება, ენერგია, სინთეზი), ფორმის იდეას გულისხმობს და კორელაციაშია სუბსტანციის ცნებასთან.*

ბ. ენის შინაფორმა როგორც კვლავის ამრსამატშია. ჰუმბოლდტს არ მოუცია ენის შინაფორმის ცნების დეფინიცია, ამიტომაც ენის თეორიაში თავი იჩინა ურთიერთსაწინააღმდეგო ინტერპრეტაციებმა. მაგრამ ყოველი ცდა ამ პრობლემის ახსნისა ტექსტის მიხედვით და თანაც ჰუმბოლდტის სულისკვეთებით, სულ მცირე, სამ მოთხოვნას მაინც უნდა აკმაყოფილებდეს:

1. ენის შინაფორმა სწორედ შინაგანი და არა გარეგანი

* რამდენადაც ენობრივი ფორმა „გრამატიკულ ფორმაზე“ მეტია და „ბგერითის“ საპირისპირო (რაც „შესავლის“ ერთ-ერთი თავის სათაურიდანაც ჩანს: „ბგერის კავშირი ენის შინაფორმასთან“ [59, VII. 94]) შეიძლება ითქვას, რომ აქ ფორმა შინაფორმის სინონიმია და, გარკვეული აზრით, ფორმის ზოგადი თეორია შინაფორმის თეორიაა.

ფორმაა (რაც იმას ნიშნავს, რომ მისი განხილვა შინაარსეული საზომებით უნდა განხორციელდეს და არა იმ საზომების გადმოცანით, რაც ენის გარეფორმის კვლევისას იქნა შემუშავებული);

2. იგი თუმცა შინაგანია, მაგრამ გეშტალტს მოკლებული არ არის. (ე.ი. უფორმო, უსახური სუბსტანცია არ არის, არამედ ფორმაა).

3. და, რაცმნიშვნელოვანია, ენის შინაფორმა სწორედ ენის ფორმაა და არა აზრის ფორმა.

ეს ბოლო დებულება ყველაზე უფრო საკამათოა ამჟამინდელ ენის თეორიაში (მაგ. პეშენის მიხედვით, ენის შინაფორმა „იდეის ფორმაა“ [54. 227]).

ენის შინაფორმა მოქცეული უნდა იქნეს იმ ფუნდამენტურ ცნებათა რკალში, რომელიც ახლა მოვიხილეთ („ენერგია“, „წარმოქმნა“) და ეს იქნება განხილვის ახალი განზომილება. მეტიც: შეიძლება ითქვას, ცნებათა სწორედ ამ რიგში უნდა იქნეს მიკვლეული და გახსნილი მისი, როგორც ანთროპოლოგიური ფენომენის, საზრისი.

ენაში რელატიურისა და უნივერსალურის ურთიერთმიმართების თვალსაზრისით საინტერესოა ზოგი რამ თვითონ „ენის შინაფორმისადმი“ მიძღვნილი ტექსტიდან [59. VII. 86-94]. უნდა აღინიშნოს, რომ ენის შინაფორმის შესახებ დისკუსიებში მკვლევარები გვერდს უვლიან, როგორც წესი, საგანგებო თავს „ენის შინაფორმის“ შესახებ, რადგან იგი „ერთობ ბუნდოვანია და სქემატური“ (პ. შტაინთალი). [79. 342].

თუმცა „ზოგადი მიმართებები და სიტყვის გრამატიკული ფორმები ემყარებიან მეტწილად ჭკრეტისა და ცნებათა ლოგიკური წესრიგის ზოგად ფორმებს“, მეორე მხრივ, პუმბოლდტი გარკვევით მიუთითებს, რომ ნაციონალური თავისებურება ენის ინტელექტუალურ სფეროში არა მარტო „ცნებათწარმოებაში შედგენდება“, არამედ იგი „ასევე დიდ ზეგავლენას ახდენს შესიტყვებაზე“, წინადადების აგებაზე. უნდა ითქვას, რომ, როგორც იგი შენიშნავს, შესიტყვებაში ამ ვითარების აღმოჩენა უფრო ძნელია.

ამრიგად, ისევ შეგვიძლია ვამტკიცოთ, რომ პუმბოლდტისეული

ენის „ინტელექტუალური ნაწილი“ არ უნდა განემარტოთ როგორც „ლოგიკური სტრუქტურა“; ის არის ენისათვის იმანენტური („ქმნის საკუთრივ ენას“) და ამიტომაც იგი სწორედ ენის შინაგანი ფორმაა და არა აზროვნებისა.

ასეთ დასკვნას შეგვიძლია ზურგი გავეუმაგროთ შემდეგი დაშვებით:

1. ორი სახეობა „ნამდვილი მასალისა“ („საზოგადოდ ბგერის“ გვერდით), რომლებსაც ჰუმბოლდტი „შესავალში“ განარჩევს, სახელდობრ, ა) „გრძნობად შთაბეჭდილებათა მთლიანობა“ და ბ) „სულის თავისუფალი მოძრაობანი“ — ვითარცა ენის ორი გონითი სუბსტრატი — კორელაციაშია ენის შინაფორმასთან, როგორც ენის „ინტელექტუალურ ნაწილთან“.

2. ამ კორელაციიდან გამომდინარე, ენის შინაფორმა გენეზისურად უკავშირდება არა მარტო „ენობრივ საგანთხედვას“ („საგანთგადმოცემის“ გაგებით), არამედ, აგრეთვე, საკუთრივ „გრამატიკულ ხედვასაც“, რაც სხვა ნაშრომის მიხედვით შეგვიძლია დავადასტუროთ: „ენათა გრამატიკული სხვადასხვაობა უფრო ნაკლებად ძვეს, ვიდრე სიტყვებისა, მარტოდენ ბგერათა სხვადასხვაობაში, — იგი სწორედ გრამატიკული ხედვის სხვადასხვაობაშია; ამიტომაც, გრამატიკა ერების გონით თავისებურებას უფრო მეტად ენათესავება, ვიდრე სიტყვები“ [59. VI, 338].

„გრამატიკული ხედვის“ ცნება ნათელს ხდის, თუ რაოდენ ძლიერია რელატიური ფაქტორი თვით გრამატიკის აგებაში. ამ ფონზე საეჭვო მოჩანს ნ. ხომსკის ცდა, დაამტკიცოს, რომ ჰუმბოლდტთან უფრო მთავარია ენათა გრამატიკის უნივერსალურ თვისებათა დომინანტობა [39].

3. ყოველი ენა — როგორც საგანთხედვა და როგორც გრამატიკული ხედვა — შეიცავს ერთგვარ რელატიურ ჭეშმარიტებას; მაგრამ რამდენადაც ენები ერთმანეთის შემავსებელნი არიან „ობიექტურ ჭეშმარიტებასთან“ მიახლოების მიზნით (რომელიც „ენათა შორის ძვეს“), ამდენად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ყოველი ენა უნდა განიხილებოდეს არა როგორც დახშული სისტემა, არამედ როგორც

მიზანსწრაფული მოქმედება. ამისდა მიხედვით, ენათა სხვადასხვაობა არის სხვაობა საშუალებებისა და „მეთოდებისა“, და მათი კვლევის გამართლება გამომდინარეობს მიზნის ერთიანობის მოთხოვნიდან.

თუ ასეთ ინტერპრეტაციას მივიღებთ, შემთხვევითად არ მოგვეჩვენება, რომ ენის შინაფორმის იდეამ თავი იჩინა სწორედ კუპბოლდტის ბოლო ნაშრომში („შესავალში“). [59. VII]. ეს ფუძემდებელი შრომა შეიცავს ორ ძირითად ტენდენციას, რასაც შეგვიძლია თვალი გავადევნოთ მათელი მისი შემოქმედების მანძილზე: სახელდობრ, ენა როგორც აზრის ამგები ორგანო და ენათა შინაარსობრივი პლურალობის წამოწევა. ენის შინაფორმას, ამდენად, მივიჩნევთ ამ ორი ტენდენციის შესაძლებელი გაერთიანების სიმბოლურ გამოხატულებად. ისიც გასაგებია, რომ იოლი როდია ენის შინაფორმის ზუსტი დეფინიცია. როგორც ჩანს, თვით ავტორიც არ მიიჩნევდა ამას საჭიროდ. ენის შინაფორმის იდეა ამოცანა უფროა ენის მთლიანობრივი განხილვის ახალი ორიენტაციისათვის, ვიდრე ობიექტი ან შედეგი ორთოდოქსული ანალიტიკური აზროვნებისა.

გვესმის რა ენობრივი სისტემა, როგორც ელემენტთა შინაარსეულ-ენერგეისტული გაერთიანების ფუნქცია, ხოლო ენობრივი ფორმა, როგორც სინთეზური პროცესი და წარმოქმნა (გენეზისურ-ტელეონომიური აქტი), მანაც შესაძლებელი ხდება, ბერასთან დაკავშირებით, ჰიპოთეზის სახით წამოვაყენოთ ენის შინაფორმის წინასწარი დახასიათება და აღვნიშნოთ ზოგიერთი მომენტი: ს ა მ ე ტ ყ ვ ე ლ ო „ ბ გ ე რ ი ს გ ა მ ო ყ ე ნ ე ბ ა “ , ე . ი . ა ღ ნ ი შ ვ ნ ი ს ა ქ ტ ი (ს ი გ ნ ი ფ ი კ ა ც ი ა) უ ნ და გ ა ვ ი გ ო თ ა რ ა რ ო - გ ო რ ც უ შ უ ა ლ ო კ ა ვ შ ი რ ი ბ გ ე რ ა დ ო ბ ი ს ა ს ა გ ა - ნ თ ა ნ , ა რ ა მ ე დ , რ ო გ ო რ ც ე ნ ი ს მ ი ე რ ბ გ ე რ ი ს გ ა მ ო ყ ე ნ ე ბ ი თ ც ნ ე ბ ი ს ი მ გ ვ ა რ ა დ წ ა რ მ ო ქ მ ნ ი ს ა ქ ტ ი , რ ო მ ლ ი ს შე დ ე გ ი ც ს ა გ ა ნ თ ა ს ი ნ ა მ დ ვ ი - ლ ი ს ც ნ ო ბ ი ე რ ე ბ ი ს ო ბ ი ე ქ ტ ა დ გ ა რ დ ა ქ მ ნ ა ა . „გაშუამავლებაში“ ჩანს კავშირი ენობრივ საგანთხედვასთან

* ამასთან დაკავშირებით უფრო ვრცლად იხ. [71].

(Weltansicht), რაც შინაფორმის რელატიურ ასპექტს ქმნის, ხოლო ენის მიერ ბგერის გამოყენებით ცნების აგების კონკრეტულ აქტში — უნივერსალური ასპექტი: „სამყაროს გარდაქმნა ცნობიერების საკუთრებად“.

**ენა და „ადამიანის შაქტორი“ (ენის შინაფორმა და
„განწყობის უსიძლოობია“)**

დ. უზნაძის გამოკვლევას „ენის შინაფორმა“ [46] (წინ უსწრებდა 20-იანი წლების დისკუსია გერმანიაში (ვ. პორციგი [70], ლ. ვაისბერგერი [87], ანტ. მარტი [68], ო. ფუნკე [43] და სხვ.) და ტრადიცია რუსეთში (ა. პოტებნია [22], გ. შპეტი [29]), რომელიც დაკავშირებული იყო ჰუმბოლდტის ავტორიტეტის კვლავ აღორძინებასთან (ენის) ფილოსოფიასა და ლინგვისტიკაში. მაგრამ დ. უზნაძის ეს გამოკვლევა, თავის მხრივ, წინ უსწრებს მეორე დისკუსიას, რომელიც 50-იან წლებში ისევ გაიმართა გერმანიაში (პ. ჰარტმანი [53], კ. გლინცი [51], მ. შორერი [75], ო. ფუნკე [44], ლ. ვაისგერბერი [90] და სხვ.) და რომელიც დღემდის გრძელდება სხვაგანაც. მიზანია ენობრივი შინაარსის ფაქტორზე დაყრდნობით ენის შინაგანი ფორმის კონკრეტული ასპექტებისა და ენების მიმართ მისი ემპირიული შესაძლებლობის ჩვენება. ამგვარად, დ. უზნაძის ეს ნაშრომი შეგვიძლია განვიხილოთ როგორც შემაერთებელი რგოლი 20-იანი წლების დისკუსიისა იმ დისკუსიასთან, რომელიც მიმდინარეობს დღესაც. იგი ემთხვევა ჰუმბოლდტის კვლავ აღორძინების ეპოქას, რასაც ამერიკიდან ენათმეცნიერ ნ. ხომსკის მოწოდებამაც [39] შეუწყო ხელი.

დ. უზნაძის გამოკვლევის მთავარი თემაა ენისა და ადამიანის ურთიერთობა.

ენას ადამიანური წარმოშობა აქვს და ენა არა თუ ადამიანის გარეშე არ არსებობს, არამედ იგი მის გარეშე არც მოიაზრება. ამას

დ. უზნაძე ასე ასაბუთებს: „არ არსებობს არაფერი ენაში, რომ ადამიანის მიერ არ იყოს თქმული, მის მიერ არ იყოს წარმოქმნილი“ [8. 166].

ამიტომ ენა მეორეული, ნაწარმოები სამყაროა, რომლის იქითაც ადამიანი დგას: იგი საკითხს ასე სვამს: რა უფლება აქვს ენის შესახებ მეცნიერებას ენა დამოუკიდებელ რეალობად მიაჩნდეს, ადამიანისაგან დამოუკიდებელი საკუთარი კანონები აღმოაჩინოს და ფაქტები დაადგინოს, მაშინ როცა ეს ფაქტები ყოველთვის ადამიანთა აქტივობას გულისხმობენ. საკითხი აქ ორ ასპექტშია ერთდროულად დასმული: ენის ადამიანური წარმოშობა, ერთი მხრივ, და, მეორე მხრივ, ენის ადამიანისაგან დამოუკიდებლობა, რამაც უნდა უზრუნველყოს ენის შესახებ მეცნიერების თავისთავადობა. იგი ფიქრობს, რომ თუ არ მოიძებნა პასუხი ამ საკითხზე, დაუსაბუთებელი დარჩება ენათმეცნიერების, როგორც დამოუკიდებელი მეცნიერების, არსებობა. დ. უზნაძის აზრით, ენათმეცნიერების დამაარსებელმა ვ. ჰუმბოლდტმა დააყენა ეს საკითხი და მანვე „არსებითად სწორი პასუხის მონახვა შეძლო ამ კითხვაზე“ — ენის შინაფორმის ცნების შემოტანით.

რატომ დასვა დ. უზნაძემ ეს საკითხი? რით არის გამოწვეული მისი, როგორც ფსიქოლოგის, ასეთი დაინტერესება ენათმეცნიერების დამოუკიდებლობით (როგორც ცნობილია, ფსიქოლოგები ასეთ ინტერესს ნაკლებად იჩენდნენ და ფსიქოლოგიაშიც ენათმეცნიერებაში ნაწილობრივ ამით აიხსნება). ეს გამოწვეულია სწორედ იმ შეუსაბამობით, რომ ენობრივი ფაქტების უკან მუდამ ადამიანი დგას და, ამავე დროს, ენა ადამიანისაგან დამოუკიდებელი რეალობაა. დ. უზნაძე ფიქრობს, რომ „ენის შინაფორმის“ ცნება, რომელიც ჰუმბოლდტმა შემოიტანა, ამ სიძნელეს დასძლევს, რადგან ენის შინაფორმა ადამიანური ფენომენიც არის და იმავედროულად სწორედ ენის შინაგანი ფორმაც. აქვე ვიტყვით, რომ ენის შინაარსის საფუძველი აუცილებელია. მისი გამოტოვებით შინაფორმის კვლევისათვის არ შემზადდება სათანადო პირობები.

მაგრამ კითხვა მაინც კითხვად რჩება: ენის შინაფორმა ხომ ენათმეცნიერული ცნებაა და რატომ არის ფსიქოლოგი ასე ჩართული ამის გარკვევაში? ბოლოს დ. უზნაძე იტყვის, რომ თუმცა ენის შინაფორმა დიდი მიზნებისთვისაა გაჩენილი, იგი იმ სახით, როგორც

ჰუმბოლდტმა წარმოადგინა, მაინც ვერ წყვეტს ზემოთ დასმულ ამოცანას; რომ „განწყობა“ არის სწორედ ის ცნება, რომელიც შეძლებს ამ შეუსაბამობის მოხსნასა და დაძლევას [8. 190].

როგორ ასაბუთებს დ. უზნაძე, რომ „შინაგანი ფორმა“, მიუხედავად მისი დიდი მნიშვნელობისა, მაინც არ გამოდგება ამ დილემის დასაძლევად, ან მისივე სიტყვებით: „ადამიანსა და ენას შორის არსებული უფსკრულის ამოსავეებად“?

ენის შინაფორმასთან დაკავშირებით დ. უზნაძე გადმოსცემს ჰუმბოლდტის შეხედულებებს და იშველიებს სამ ცნებას: ენერგია, ერგონი, სინთეზი. ენერგია-ერგონის გაგებაში იგი მიჰყვება იმ ხაზს, რომელსაც დღესაც ბევრი მისდევს ლინგვისტიკაში: ენერგია ეს არის მეტყველება, ხოლო ერგონი — ნიშანთა სისტემა. ისევ უნდა აღინიშნოს, რომ ჰუმბოლდტის ენერგია — ერგონი, ერთი მხრივ და მეტყველება — ენა, მეორე მხრივ, ერთმანეთს არ ფარავენ. ჯერ ერთი, ჰუმბოლდტი გარკვევით ამბობს, რომ ენა ენერგიაა და არა ერგონი.

აქვე დავურთავთ:

ენერგია უნდა დავინახოთ მეტყველების ყოველ აქტში, თანაც, მეტყველების ყოველი აქტი არ ნიშნავს უთუოდ აბგერებას, ამეტყველებას, არამედ ეს არის ენობრივი აქტი ბგერითის სინთეზისა აზრთან, ხოლო „მეტყველების აქტების მთლიანობა“ — ენის საერთო ქმედებაა. მაშასადამე, „ენერგია“ ფართოდ უნდა იქნეს გაგებული: იგი არის როგორც ყოველწამიერი მეტყველების აქტი ინდივიდისა, ისე ათასწლეულთა მანძილზე ჩატარებული „მოღვაწეობა“ ენობრივი სოციუმებისა, რომელიც ზოგად ადამიანურ ამოცანას ემსახურება: „სამყაროს გარდაქმნას აზრებად“ (Act der Verwandlung der Welt in Gedanken [59. VII. 41]).

მაშასადამე, ენერგია, ჰუმბოლდტის მიხედვით, მარტოდენ მეტყველი სუბიექტის ფუნქცია კი არ არის, არამედ მას ფართო დიაპაზონი აქვს და უპირისპირდება ერგონს, როგორც ენის სტატიკურ მდგომარეობას. იგი უფრო ენის, როგორც კოლექტიური ფორმით მოცემული რეალობის, თვისებაა.

ენერგიას ასეთი გაგებიდან ამოსვლით, დ. უზნაძისაგან განსხვავებით, სხვანაირად გამოიყურება თვისთონ შინაფორმის ცნება. ამ ცნებას, რომელიც ჰუმბოლდტის ბოლო შრომაში გამოხდა, წინ უსწრებდა „ენობრივი მსოფლხედვის“ (sprachliche Weltansicht) ცნება, რომელიც მანვე შემოიტანა და ენათა სხვაობის ასახსნელად მოიშველია („ენათა სხვაობა არის არა მხოლოდ ბგერებსა და ნიშნებს, არამედ — თვით საგანთხედვაში“, მსოფლხედვაში [59. IV. 28]). თუ ამ ცნებათა კონტექსტში (ენერგია, საგანთხედვა) განვიხილავთ ენის შინაფორმას, მაშინ სხვაგვარად დადგება საკითხი, თუ რას ნიშნავს მისი ამგვარი დეფინიცია, რომელიც ჰუმბოლდტს აქვს და რომელიც დ. უზნაძესაც მოჰყავს: ენის „ინტელექტუალური ნაწილი“. უზნაძე კითხვას სვამს:

„შეუძლია კი ინტელექტუალურ ნაწილს ენისას, ცნებას, იმ როლის შესრულება, რომელსაც ჰუმბოლდტი იმთავითვე ენის შინაფორმას აკისრებს?“ (1.169). უზნაძე სწორად შენიშნავს, რომ თუ ენის ბგერითი ფორმები ამავე ენის შინაფორმით განისაზღვრებიან, ხოლო ასე ვთქვათ, ფსიქოლოგია და ლოგიკა ინტელექტუალურ პროცესებს სწავლობენ, მაშინ ენათმეცნიერების დამოუკიდებლობაზე ლაპარაკი ფუჭი იქნებოდა: დ. უზნაძე დაასკვნის, რომ ჰუმბოლდტის „შინაფორმის“ ცნება, რამდენადაც იგი ენის „ინტელექტუალურ“ ნაწილს წარმოადგენს, ბოლომდე ვერ ასრულებს იმ როლს, რისთვისაც იგი იმთავითვე იყო გამიზნული და კარს უღებს ენათმეცნიერებაში ორ მოპირდაპირე მცდარ მიმართულებას: ლოგიციკურსა და ფსიქოლოგიკურს ამის შემდეგ, სიტყვა „ინტელექტუალურიდან“ ამოსვლით, იგი განიხილავს ორ ინტერპრეტაციას: ლოგიკურს (ჰუსერლის შეხედულება) და ფსიქოლოგიურს (ვუნდტის შეხედულებები ენის შინაფორმაზე). ასეთი განხილვა, რომელიც მოცემულია ვ. პორციგთან ენის შინაფორმის შესახებ დაწერილ მიმოხილვით სტატიაში, გავრცელებული იყო იმდროინდელ ჰუმბოლდტოლოგიაში (რაც არ არის ზუსტი). დ. უზნაძეც იმოწმებს მას, როგორც ჰუმბოლდტის ტექსტის შესაძლო ინტერპრეტაციას. დაისმის კითხვა: როგორ შეიძლებოდა ჰუმბოლდტს შემოეტანა ენის შინაფორმის ცნება და ამავე დროს იგი ენისათვის

უცხო სინამდვილე ყოფილიყო? პასუხის გასაცემად ისევ ჰუმბოლდტის ტექსტს მივმართით, სადაც შინაფორმის შესახებ ასეა ნათქვამი: „ეს მისი სრულიად შინაგანი და წმინდა ინტელექტუალური ნაწილი ქმნის სწორედ საკუთრივ ენას“ (Dieser ihr ganz innerer und rein intellektueller Theil macht eigentlich eine Sprache aus ([13. 86]).

აქვე გვინდა შევნიშნოთ, რომ უზნაძის სტატიაში გამოტოვებულია დეფინიციის პირველი ნაწილი: „სრულიად შინაგანი“, რომელიც აგრეთვე „ქმნის სწორედ საკუთრივ ენას“. ამის აღნიშვნას კი არსებითი მნიშვნელობა ექნებოდა ენათმეცნიერების თავისთავადობის მის მიერვე დასმული პრობლემისათვის. მაგრამ „წმინდა ინტელექტუალური“ როგორღა ქმნის „საკუთრივ ენას“? საქმე ისაა, რომ ჰუმბოლდტის ტექსტში ბევრგან „ინტელექტუალური“ არ იხმარება თანამედროვე გაგებით, ე.ი. ratio-ს მნიშვნელობით. ამიტომ ლოგიკისტური ინტერპრეტაციის საშიშროება არ იქმნება. „ინტელექტუალური“ ნიშნავს გონითს, იდეალურს. ეს სხვადასხვა კონტექსტიდან ჩანს. ამ კონტექსტების შეჯერებამ გვიჩვენა [5. 115], რომ „ინტელექტუალური“ არ არის „ლოგიკური ფორმის“ სინონიმი (შდრ. ჰუსერლი). იგი არ არის არც ინდივიდუალური ფსიქიკის ფაქტი (შდრ. ვუნდტი), არამედ დაკავშირებულია უფრო სოციოლოგიურ სიდიდესთან — ენის „ეროვნული ფორმით“ არსებობასთან. იგი მატერიალურის საპირისპიროა, ენის „იდეალურ“ ასპექტს ქმნის (ჰუმბოლდტი იყენებს კიდევაც ამ სიტყვას). მაგრამ, ამავე დროს, რამდენადაც ენა ეთნიკური რეალობაა, სოციალური სიდიდეა; ამდენად შინაფორმა უფრო შედარებითი ენათმეცნიერების ცნებათა რეალში უნდა იქნეს განხილული („ხალხის გონი“, „საგანთხედვა“ და სხვ.): ენის „შინაფორმა“ შინაარსეული ცნებაა. და ეს არა მარტო იმ გაგებით, რომ იგი მოიცავს ენის შინაარსეულ ასპექტს, როგორც არამატერიალურს, არამედ უფრო ენერგეიას ისეთი ცნებიდან ამოსვლით, რის მიხედვითაც ენის არსი „სამყაროს აზრებად გარდაქმნაშია“ (ამის გამო ენა არის არა მხოლოდ მოპოვებული ცოდნის გადაცემის საშუალება, არამედ „ახალი ჭეშმარიტების პოვნის“ იარაღიც). აი, სწორედ ეს ის ასპექტია ენის შინაფორმისა, რომელიც, ალბათ, მნიშვნელოვანი იქნებოდა

განწყობის ცნებისათვის, რამდენადაც იგულისხმება განწყობის შინა-
არსეული ინტერპრეტაცია, კერძოდ, ობიექტური ვითარების განწყო-
ბისეული ასახვა.

ფსიქოლოგი ჩვეულებრივ თავს ვერ იკავებს ფსიქოლოგისტური
მოსაზრებებისაგან სხვა ობიექტის განხილვისას. იშვიათია ასე გაგებით
გკიდებოდეს სხვა ფსიქოლოგი ენათმეცნიერების მიანენტურ ინტერე-
სებს. ერთი მხრით, ენა არის სუბიექტური, რამდენადაც ადამიანის
ცნებასთან არის დაკავშირებული და მის გარეშე არ არსებობს; მეორე
მხრით, იგი ობიექტური კანონზომიერების მქონეა. ჩვენ აქ დავუმა-
ტებდით, რომ ენათმეცნიერების ისტორიაში და დღესაც ენის ობიექ-
ტურობის თეზისის დასაბუთების ფონზე თითქმის სრულიად იქნა
მივიწყებული ეს მეორე მხარე — ენის ანთროპოლოგიური წარმოშობა
და ის გარემოება, რომ ეს ორი თეზისი არ ეწინააღმდეგება ერთმანეთს.

დ. უზნაძის ამ სტატიის გახსენება, ენის ანთროპოლოგიური
ასპექტების გააზრებასთან დაკავშირებით, არასოდეს არ ყოფილა ასე
აქტუალური ლინგვისტიკისათვის, როგორც ახლა*.

აქვე უნდა შევნიშნოთ შემდეგი: მართალია, ენის შინაფორმა უნდა
იყოს მოხმობილი ენათმეცნიერების თავისთავადობის დასამტკიცებ-
ლად, მაგრამ იგი რომ დაუდგენელი ცნებაა? ენის შინაფორმის შესახებ
სრულიად საპირისპირო თვალსაზრისების შესაძლებლობას უზნაძე,
გარდა ინტერპრეტატორების კონცეფციათა სხვადასხვაობისა, იმიტაც
ხსნის, რომ თვით ჰუმბოლდტის მიერ მოწოდებული შინაფორმის იდეა
შეიცავს ასეთ საპირისპირო მტკიცებათა შესაძლებლობას; იგი, მისი
აზრით, „დიალექტიკური“ ბუნების არის და იქ უნდა ვეძიოთ გასაღები
სუბიექტურისა და ობიექტურის პრობლემის გადასაჭრელად და ეს
„გასაღები“, მისი აზრით, განწყობის თეორიაშია.

უზნაძე ბევრ ანალოგიას ხედავს ამ ორ ფუნდამენტურ ცნებას
შორის; და თუ, როგორც ითქვა, შ ი ნ ა ა რ ს ე უ ლ ასპექტს
გავაძლიერებთ, მათ შორის კიდევ უფრო მეტ საერთოობას დავინახავთ
და მათ კავშირს — კიდევ უფრო პროდუქტიულს.

*სწორედ დ. უზნაძის გარდაცვალებას ემთხვევა დენთროპოლოგიზაციის
ხანგრძლივი ეტაპის დაწყება თვით ფორმალურ ლინგვისტიკაში. მხოლოდ
უკანასკნელ ხანს დაიწყო ისევ ენისა და ადამიანის ურთიერთობის გააზრება.

ენათმეცნიერს აღნიშნული სტატიის გაცნობისას უთუოდ ასეთი კითხვა გაუნდებდა: თუ იმ ამოცანას, რაც შინაფორმას აკისრია, განწყობის ფსიქოლოგიური ცნება გადაწყვეტს, მაშინ როგორღა იქნება უზრუნველყოფილი ენათმეცნიერების დამოუკიდებლობა? შინაფორმა ხომ თვით ფსიქოლოგისავე აღიარებით იმისთვის არის შექმნილი, რომ ენათმეცნიერების თავისთავადობა აჩვენოს და დაასაბუთოს?

ისეთი რანგის თეორეტიკოსისაგან, როგორც უხნაძეა, ასეთი თვალშისაცემი შეუსაბამობა არ არის მოსალოდნელი.

ამიტომ საკითხი ასე უნდა დაისვას: როგორც შინაფორმის ცნებაა მოწოდებული დიდი მიზნებისათვის, კერძოდ სუბიექტ-ობიექტის დიდი პრობლემის გადასაჭრელად ისე, რომ მისი აღამიანური გენეზისი ერთი წუთითაც არ უნდა იქნეს დავიწყებული, ასევე „დიდი მიზნებისათვის“ არის მოაზრებული ავტორის მიერ განწყობის ცნება: როგორც შინაფორმის გაგება აფართოებს ენათმეცნიერების ფარგლებს (ეს იყო სწორედ ჰუმბოლდტის მიზანიც) იმ ზომამდის, რომ ენის როლს ცხადყოფს ზოგადანთროპოლოგიურ და გნოსეოლოგიურ პრობლემათა კომპლექსში, ასევე განწყობასაც ანალოგიური დანიშნულება აქვს.

ამ მიზნით დ. უხნაძეს დიდად გამოადგებოდა იდეა ენის „შინაარსობრივი შუამავლობის“ შესახებ. მიზანდასახულობით ხომ განწყობაც შუამავალია! მის გარეშე შინაფორმა გაუგებარია.

**ენის შინაფორმა ლოგისტიკურად ორიენტირებულ
ფორმალურ ლინგვისტიკაში
(ენათმეცნიერების დიანთროპოლოგიაცია)**

სიღრმულ სტრუქტურაში თანამედროვე ტრანსფორმაციულმა ლინგვისტიკამ სემანტიკური კომპონენტი შეიტანა. გაჩნდა შთაბეჭდილება შინაფორმასთან სიღრმული სტრუქტურის კავშირის შესახებ. მაგრამ ასეთი დაშვების ისტორია სემანტიკის გამოჩენამდე იწყება. ამერიკელმა

ლინგვისტმა ნ. ხომსკიმ ერთ-ერთ ნაშრომში (1965) [26] წამოჭრა საკითხი ენის „შინაფორმისა“ — და „სიღრმული სტრუქტურის“ შესახებ ურთიერთობის შესახებ: „ნაცვლად ტერმინებისა: „სიღრმული სტრუქტურა“ და „ზედაპირული სტრუქტურა“, შეიძლება ასევე გვეხმარა ჰუმბოლდტის სათანადო ცნებები: წინადადების „შინაფორმა“ და „გარეფორმა“... მაგრამ მე უფრო ნეიტრალური ტერმინოლოგია ვარჩიე, რათა აქ თავი ავარიდო ტექსტის ინტერპრეტაციის საკითხს... თუმცა, მე ვფიქრობ, რომ „სიღრმული სტრუქტურა“ და „ზედაპირული სტრუქტურა“ აქ იმ გაგებით არის ნახმარი, რაც ძლიერ შეესაბამება ჰუმბოლდტისეულ „შინაფორმას“ და „გარეფორმას“ (წინადადების მიმართ)“ [26. 183].

როგორც ცნობილია, ნ. ხომსკი არ დააკმაყოფილა სტატისტიკური ლინგვისტიკის პრინციპებმა, რასაც მან ტაქსონომიური ლინგვისტიკა უწოდა და მას დაუპირისპირა თავისი „დინამიური“ ლინგვისტიკა, რაც „ტრანსფორმაციული ლინგვისტიკის“ სახელწოდებით გახდა ცნობილი. იგი ცდილობს თავი დააღწიოს დესკრიფციულ ლინგვისტიკას, რომელიც მან დაახასიათა როგორც „ინვენტარიზაცია“ და „კატალოგიზაცია“. მას სურდა აეგო ენის ათვისებისა და კომუნიკაციის პროცესის ადეკვატური თეორია, რომელიც, მისი აზრით, იქნებოდა არა ელემენტთა კატალოგიზაცია, არამედ წ ა რ მ მ ქ მ ე ლ ი გ რ ა მ ა ტ ი კ ა , როგორც მეტყველებისა და გაგების წინაპირობა.

ნ. ხომსკის „კარტეზიანული ლინგვისტიკის“ (1966) [39] მთავარი დებულება უკვე ისაა, რომ ყველა ენაშია მოცემული გრამატიკული სტრუქტურის საერთო თვისებები, რომლებიც წარმოადგენს აზროვნების გარკვეულ ფუნდამენტურ კატეგორიებს. ამიტომაც გრამატიკის ფილოსოფიის ამგებნი უფრო მეტად დაინტერესებული იყვნენ „ზოგადი გრამატიკის“ საკითხებით, ვიდრე ცალკეული ენის გრამატიკით. ნ. ხომსკის შეხედულებით, ჰუმბოლდტს, როგორც ხსენებული გრამატიკის მომხრეს, სჯერა, რომ საფუძვლიანი ანალიზი გამოავლენს ნაციონალური და ინდივიდუალური მრავალფეროვნების საფუძველში მდებარე საერთო „ენობრივ ფორმას“. აქედან გამომდინარეობს მისი დასკვნაც: არსებობს ლინგვისტური უნივერსალები, რომლებიც ზღუდავენ ენათა მრავალნაირობას. შესაბამისად, „ზოგადი გრამატიკა“

ნიშნავს იმ უნივერსალურ პირობათა გამოკვლევას, რომლებიც განსაზღვრავს ყველა ადამიანურ ენობრივ ფორმებს. ჩვენ უშუალოდ არ ვითვისებთ ამ უნივერსალურ კანონებს. ისინი უფრო მათორგანიზებული პრინციპებია, რომლებიც შესაძლებელს ხდის ენის სათანადო დაუფლებას და აპირობებს მონაცემთა ფაქტორების ცოდნად გარდაქმნას; თუ ამ პრინციპებს, როგორც თანდაყოლილ თვისებებს, აზროვნებას მივაწერო, გასაგები გახდება ის ცხადი ფაქტი, რომ ამა თუ იმ ენაზე მეტყველმა ბევრი ისეთი რამ იცის, რაც არ უსწავლია.

თუმცა ჰუმბოლდტის მთავარი ნაშრომის სათაურში ენათა სხვაობის ფაქტია ამოსავალი (Ueber die Verschiedenheit des menschlichen Sprachbaues und ihren Einfluß auf die geistige Entwicklung des Menschengeschlechts), ნ. ხომსკი გვარწმუნებს, რომ სათაური არამცდაარამც არ ნიშნავს ჰუმბოლდტის სიმპათიას იმ შეხედულების მიმართ, თითქოს ენა იყოს ერთგვარი „ისტორიული პროდუქტი“, რომელსაც შეიძლება ყოველგვარი სტრუქტურა ჰქონდეს. ჰუმბოლდტი, მისი აზრით, უფრო იმაზე მიუთითებს, რომ ენები ერთმანეთს ჰგვანან ზოგადი თვისებების მხრივ.

ეს ჩანსო ენის შესწავლის პრინციპიდანაც, როგორ ხორციელდება იგი? ნ. ხომსკი იმოწმებს ჰუმბოლდტს: „შესწავლა არის... მუდამ კვლავწარმოქმნა“ და ამაზე დაყრდნობით ავითარებს საკუთარ თვალსაზრისს, რომლის თანახმადაც, ენის ათვისების ფორმა შინაგანი ფაქტორებით განისაზღვრება; ბავშვი ყოველ ენას ითვისებს ყველა ადამიანური ენის არსებითი ურთიერთმიმართების ძალითა და ყველა ადამიანის იგივეობის გამო.

ნ. ხომსკი ამავე თვალსაზრისით განიხილავს კომუნიკაციის აქტსაც. მისი შეხედულებით, მეტყველების გაგებისა და წარმოქმნის მექანიზმი სარგებლობს მის საფუძველში მდებარე სისტემით წარმომქმნელი წესებისა. სწორედ ამ სისტემის მოქმედი იგივეობის მეოხებით ხდება შესაძლებელი კომუნიკაცია მეტყველსა და მსმენელს შორის. ასეთი ერთგვარობის საფუძველი ისევ და ისევ ადამიანური ბუნების ერთგვარობაშია.

ნ. ხომსკი ფიქრობს, რომ ამ აზრს თავისი საფუძველი მოეძებნება ჰუმბოლდტის დებულებაში: სიტყვა არის არა საგნის ეკვივალენტი,

არამედ თვალსაზრისისა მის შესახებ.

ამრიგად, ჰუმბოლდტის „ორგანული ფორმა“ ინტერპრეტირებულია წესებისა და პრინციპების წარმომქმნელ სისტემად, რომლებიც, თავისთავად ფიქსირებულნი და უცვლელნი, გზას უკვალავენ ურიცხვი ინდივიდუალური შემოქმედებითი აქტების საშუალებებს; ეს აქტები ხომ ენის ჩვეულებრივი გამოყენებაა. ნ. ხომსკის ახრით, ჰუმბოლდტმა ამით ლინგვისტურ თეორიაში შეიტანა ორიგინალური და მნიშვნელოვანი წვლილი, რასაც დღემდე სათანადო ყურადღება არ დათმობია.

თუმცა ნ. ხომსკი თვლის, რომ მისი წარმომქმნელი გრამატიკა არის შედეგი ცდისა, ზუსტად გადმოსცეს ჰუმბოლდტის ენობრივი ფორმის ზოგიერთი ასპექტი, იგი იმავდროულად მიუთითებს თავის პრინციპულ სხვაობაზეც ჰუმბოლდტისაგან; მას მიაჩნია, რომ წარმომქმნელი გრამატიკა უფრო მკვეთრად არის შემოსაზღვრული: იგი არ განიხილავს განსაკუთრებით სემანტიკისა და ცნების სტრუქტურის საკითხებს; ამის გასამართლებლად ნ. ხომსკი იმოწმებს ხსენებულ საკითხებზე გამოთქმული ყველა მოსაზრების ნაკლებ დამაჯერებლობას.

მართალია, ბოლო პერიოდში სემანტიკური კომპონენტი დაერთო მის თეორიას, მაგრამ უნივერსალობის თეზისი არ შეცვლილა*. რელატიური ასპექტი (რაც შინაფორმის სრული ცნებისთვისაც არის საჭირო) ისევ არ არის გათვალისწინებული.

ტრანსფორმაციულმა ლინგვისტიკამ, კერძოდ, ხომსკიმ, რომელიც ანთროპოლოგიური ლინგვისტიკის რელატივიზმს დაუპირისპირდა, უარყო ამ ამერიკული მიმდინარეობის მთავარი თეზისი — ენათა სხვაობის განსაკუთრებულობა და ეს სხვაობა ზედაპირულ სტრუქტურებს მიაწერა, საპირისპიროდ იმ ერთიანობისა, რაც სიღრმეულ სტრუქტურაში ივარაუდება.

ენათსხვაობა ანთროპოლოგიურ ლინგვისტიკაში**, მიუხედავად თეორიული განცხადებისა, ფაქტობრივ, მართლაც, უმნიშვნელო ჩანს:

* პირიქით, იგი მის გასაძლიერებლად არის მოხმობილი.

** ანთროპოლოგიური ლინგვისტიკა არ უნდა აირიოს ენის ანთროპოლოგიურ თეორიაში. ეს ორი სრულიად სხვადასხვა თვალსაზრისია და სხვადასხვა ტრადიციის მქონე.

ენა ან ანარეკლია კულტურის სტრუქტურისა ან კიდევ კულტურის რეალობის ნომენკლატურაა. იგი ადვილად შეიძლება გამხდარიყო კრიტიკის ობიექტი.

ბოლო ხანებში [27] ხომსკი ცდილობდა აეგო ენის იმგვარი თეორია, რომელიც ინტელექტუალური პროცესების საფუძველში მდებარე პრინციპებს გამოავლენს.

უნივერსალური ფორმალური პრინციპების დადგენის მხრით, შეიძლება ითქვას, რომ ზოგი შედეგი მართლაც არსებობს და ეს, პირველ ყოვლისა, სწორედ ტრანსფორმაციული ლინგვისტიკის შემქმნელის, ნ. ხომსკის დამსახურებაა.

მაგრამ ენისა და აზროვნების პრობლემა კონკრეტულ ხასიათს მნიშვნელობის ფენომენის კვლევისას იძენს. დესკრიფციული ლინგვისტიკა მნიშვნელობის კვლევას, საუკეთესო შემთხვევაში, დაქვემდებარებულ ხასიათს ანიჭებდა. ასეთმა პოზიციამ მთლიანად გაანელა ინტერესი ენისა და აზროვნების პრობლემის მიმართ ლინგვისტიკაში.

ახლა, როცა მნიშვნელობისა და საზოგადოდ სემანტიკის პრობლემები კვლავ ყურადღების ცენტრში მოექცა, ისევ ჩნდება საკითხი ენათმეცნიერის პოზიციის შესახებ ენისა და აზროვნების საკითხში. მაგრამ იმავე ნ. ხომსკის აღიარებით, თუ უნივერსალური გრამატიკის ფორმალურ პრინციპთა დამუშავებაში ზოგიერთი შედეგი უკვე არსებობს, სამაგიეროდ, უნივერსალური სემანტიკის კვლევა, რასაც „გადამწყვეტი როლი ეკისრება“, „მხოლოდ ოდნავ თუ შეიძლება იყოს წაწეული წინ შუასაუკუნეების დროიდან“ [27. 115].

ეს მოსაზრება გამოითქვა ადრე. დღესაც, შეიძლება ითქვას, იგი ძალაშია. ოღონდ არა იმიტომ, რომ ამ მიმართულებით გამოკვლევები არ იწერება. პირიქით, სემანტიკის საკითხებზე სწორედ ამ ბოლო წლებში შრომების არნახული რაოდენობა დაგროვდა და მათი მეტი წილი უნივერსალური სემანტიკის პრობლემებს ეხება. ჩვენ სხვა რამეს ვგულისხმობთ, სახელდობრ: თანამედროვე ფორმალური სემანტიკა მიჰყვება კარტეზიანული ფილოსოფიური გრამატიკის ტრადიციას და საზოგადოდ დეკარტეს რაციონალური ფილოსოფიის სქემას, გართულებულს თანამედროვე კიბერნეტიკული ბიოლოგიით.

სურუქტურალისტი ლ. იელმსლევი პროეცირების წესით გადის იმანენტური ლინგვისტიკიდან სხვა სემიოტიკურ სისტემებში, ენის ანალოგონებს სხვა ნიშანთა სისტემებში ეძიებს. ეს სხვა არაფერია, თუ არა დაყვანა ნიშნებისა ენაზე და პირუკუ — ენისა ნიშნებზე.

ჩვენ შევეცადეთ მოგვენახა უფრო ლოგიკური საფუძველი ასეთი გადასვლისათვის — ეს არის სინთეზის აქტი.

შეერთება ბგერისა აზრთან, სინთეზის ეს აქტი, ვფიქრობთ, იმავდროულად უკვე არის ცდის (Erfahrung) ვერბალიზაციის პროცესიც. თუ ეს ასეა, მაშინ ენერგისტული ბუნებისა ყოფილა იმანენტური ლინგვისტიკის შიგნითვე სინთეზი და ცდის ვერბალური აგებაც ბგერის აზრთან შეერთების ყოველ აქტში განხორციელებულა. ყოველ შემთხვევაში, თეორიულად ეს ასე წარმოგვიდგება.

შეგვიძლია იგი თვითდაკვირვების გზითაც დავადასტუროთ, ოღონდ ერთი პირობით: უნდა მივიღოთ, რომ სიტყვის მნიშვნელობის საფუძველი ენაშივეა და არა მის გარეთ. ეს არ იქნება ფსიქოლოგიზმი. ჯერ ერთი, შინაარსის ბუნების დასადგენად, გარდა ინტროსპექციისა, ენათა შედარებასაც მივმართავთ. თანაც, მეტყველების ფსიქოლოგიის საკვლევი ვერ იქნება არაინდივიდუალური ფენომენი — შინაარსები; იგი ენათმეცნიერების ობიექტია.

ჯერ შევეცადოთ მივუახლოვდეთ ენობრივი სინთეზის აქტს იმანენტური საზომების მოშველიებით, ენის სისტემიდან გაუსვლელად. ეს, რა თქმა უნდა, პროცედურის დროებით შეზღუდვაა, მაგრამ ისედაც, ენათმეცნიერებამ არ უნდა მოიშველიოს, თუ ეს მოსახერხებელია, ექსტრალინგვისტური საზომი; იგი უნდა აიგოს იმანენტურ პრინციპებსა და ცნებებზე. ენათმეცნიერებამ სტრუქტურული ლინგვისტიკის სახით თითქოს მიაღწია ენის იმანენტური პრინციპებით შესწავლას, მაგრამ განაღდა იზოლაციის საფრთხეც. ფ. დე სოსიურმა, ენის მეტყველებისაგან გამოცალკევებითა და „ღირებულების“ პრინციპის შემოტანით, ფაქტიურად გეზი, აიღო ენის იმანენტური გამოკვლევისაკენ. ენობრივი ფორმის თეორიას, რომელიც აიგო ორი პლანის, გამოხატულებისა და შინაარსის (სოსიურის სიტყვებით:

„აღმნიშვნელისა და აღსანიშნის) განუყრელი ერთიანობის თეზისზე, უნდა მოეცა ენერგეისტული ორიენტაციაც. ენის ენერგეისტული განხილვა გამოავლენს იმ იმანენტურ ფუნქციებს, რაც აგვისხნის ენობრივი ერთეულის „წარმოქმნის აქტს“. ეს კი გულისხმობს ენის სინოფიზური აქტის პოსტულირებას, რაც ენაში დანაწევრების, ანუ არტიკულაციის შემწეობით ხორციელდება.

არტიკულაცია (განსხვავებით ფონეტიკურისაგან) არის დანაწევრება ენისა შინაარსობრივ ერთეულებად. ეს შეამჩნია ვ. ფონ ჰუმბოლდტმა, მაგრამ როგორც პრინციპი შემოიტანა ენათმეცნიერებაში ფ. დე სოსიურმა [24].

სოსიურთან წამოწყებულ იმანენტურ კვლევას გზა მოუჭრა მისივე თეორიის სტატიკურობამ. ამ თეორიის ფონზე განუხორციელებელ ამოცანად რჩება იმ ზოგადი სემიოლოგიის აგებაც, რომლის საფუძველიც, სოსიურისავე სიტყვით, თითქოს „უნდა გამხდარიყო ენა, როგორც — უპირატესი მნიშვნელობის მქონე სემიოლოგიურ სისტემათა შორის“. [24. 53-54]. აქვე უნდა ვეძიოთ ლ. იელმსლევის თეორიის მარცხიც სემიოტიკის აგებაში. ენის ენერგეისტული ასპექტის გაუთვალისწინებლობის გამო იელმსლევის თეორია საბოლოოდ ჩაიკეტა გლოსემატიკური „სქემის“ ვიწრო ჩარჩოებში. ამ თეორიაში არათუ გაუგებარია ენის ენერგეისტული ფუნქცია, არამედ გამოუყენებელი რჩება მისივე განცხადებანი ლინგვისტიკის ამოსავალი მდგომარეობის შესახებ ადამიანური ცოდნის სისტემაში.

ენის თეორიას, რომლის პოზიციაც აღინიშნება შინაარსობრივი და „ენერგეისტული“ თვალსაზრისის თანმიმდევრული გატარებით, შესწევს ძალა თავი დააღწიოს სტრუქტურული ლინგვისტიკის პარტიკულარიზმს და ენის იმანენტური გამოკვლევის საფუძველზე შექმნას სათანადო პირობები ენის ზემოქმედების რეზონანსული ეფექტის გამოსავლენად ადამიანის არსებობისა და ცნობიერი ქმედების სხვადასხვა ფორმებში. ვერას გვიშველის ვერც სოსიურისა და ვერც იელმსლევის რეცეპტი ენის განსაკუთრებული როლის შესახებ სემიოტიკურ სისტემაში, თუ თვით ენის ფუნდამენტურ ფუნქციონირებაში არ დავინახეთ კონსტიტუციური მომენტი და, აქედან ამოსვლით, ენის უპირატესი როლი ნიშანთა სხვა სისტემებს შორის.

მაგრამ ეს ვერ განხორციელდება, შინაარსობრივი პრინციპის უპირატესობა თუ არ ვაღიარეთ.

შინაარსობრივი დანაწევრების იდეა

ენერგეისტული ლინგვისტიკის ამოსავალი პოსტულატია კავშირის დანახვა ენობრივი ერთეულის ორმხრივობასა და ენის შინაარსობრივ არტიკულაციას (დანაწევრებას) შორის.

შეიძლება ითქვას, რომ ეს არის სინთეზურ პრინციპზე აგებული ფორმის ერთიანობა, სადაც სინთეზი ერთდროულად ნიშნავს ოპოზიციის მოხსნას, ერთი მხრივ, ბგერითსა და აზრითს შორის და, მეორე მხრივ, მთელსა და ნაწილს შორის, რადგან სისტემა არის ელემენტთა შინაარსობრივი ერთიანობა.

ვინც მხოლოდ არტიკულაციას (დანაწევრებულობას) სცნობს და ორმხრივობის პოსტულატს არ ითვალისწინებს, ის მიიღებს სტატიკურ თეორიას ენისას — ფორმალურ სტრუქტურალიზმს. შესაძლებელია, აქ იყოს მსჯელობა სემანტიკის სტრუქტურაზეც, მაგრამ რაკი ორსავე პლანში იდენტიური სტრუქტურის დაშვებაა ამოსავალი, ამიტომ კრიტერიუმი ცალმხრივია და ენობრივი ერთეულის ბუნება გაუხსნელი. ასეთ დროს ფაქტიურად შინაარსის სტრუქტურის ცნება გაუქმებულია, რადგან გამოხატულების სტრუქტურის მეთოდითაა გამოყენებული შინაარსების საკვლევეად.

ვინც სისტემური „არტიკულაციის“ (დანაწევრების) იდეას იგივეს წყებს, თუმცა ნიშნის ორმხრივობას არ უარყოფს, ენა — აზროვნების საკითხში ასოციაციონიზმის სქემას მიიღებს, ხოლო ლინგვისტიკაში — ნომენკლატურის თეორიას, რაც ამავე დროს ენის გატოლებას ნიშნავს სტატიკურ ნიშანთა სისტემებთან.

ელემენტთა გაერთიანება ხდება შინაარსობრივი კრიტერიუმის მიხედვით, რაც მეტყველების კომუნიკაციაში იდენტიფიკაციის აქტში.

ვლინდება. მეორე მხრივ, სინთეზურობა ნიშნისა (რაც „ერთნაირი ბგერების ერთნაირი შინაარსებისადმი“ მორგებას ნიშნავს), აგრეთვე, ენერგეისტულია, მაგრამ ეს იმდენად, რამდენადაც სიტყვა (ნიშანი) სისტემის წევრია. „ბგერა-აზრის“ სინთეზს მხოლოდ მაშინ ექნება ენერგეისტული ძალა, თუ მას ფორმის ერთიანი პრინციპის გამოვლენად მივიჩნევთ.

ამავე დროს, თუ ნიშნის ორბუნებოვნება იმანენტური ლინგვისტიკის აგებულების ამოსავალი პუნქტია, ღირებულების (Valeur) ცნება აუცილებელი ნაწილია ამ შენობისა, საიდანაც შეიძლება გამოჩნდეს მთელი პერსპექტივა ენიდან მეტყველებითი ქცევის ფორმების ახსნამდე და თვით აზროვნების ვერბალურობამდე.

ღირებულებათა სისტემის ცნების შემოტანით დასაბუთდა ელემენტთა ურთიერთშემოსახლერის იდეა, რაც დაუპირისპირდა ნომენკლატურის ყოველგვარ სახეობას.*

გარდა ამისა, დანაწევრების გაგება ძნელია დანახულიყო სხვა ენის არსებობის ფაქტის გათვალისწინების გარეშე (აკი ღირებულებასთან დაკავშირებით მიმართავს კიდევ მისი შემომტანი ფ. დე სოსიური სხვა ენებთან შედარებას). ეს ღირებულებათა დადგენის წესია. არ იყო საკმარისი მხოლოდ ერთი ენის შიგნით ინვარიანტულის ძიების სტატიკური მეთოდი.

მაშასადამე, ენათა პლურალიზმი არის ამოსავალი ენერგეისტული ორიენტაციის მქონე იმანენტური თეორიისათვის. შედარებითი მეთოდი აუცილებელია.

არტიკულაციის იდეამ ახლებურად გააშუქა სინთეზურობა; რომ ბგერა-აზრი ერთმანეთთან რაღაცნაირ კავშირშია, ეს მეტყველისა და

* ფორმალურად თუ გამოეთქვამდით, ენობრივი ერთეული ერთდროულად არის სემანტიკური პარადიგმატიკისა და ორ პლანს შორის არსებული კორელაციის შედეგი. აი, სწორედ ასეთ, ენობრივ ერთეულს შეიძლება მქონდეს ენერგეისტული ფუნქცია (ელემენტი „სისტემის ინდექსით“). ელემენტის ამოცნობა მოხდება გენეზისური მეთოდით და არა კომპონენტთა ანალიზის წესით. ზემომოტანილი დეფინიცია არ მოგვეჩვენება სტატიკურად, თუ გავითვალისწინებთ, რომ „პარადიგმატიკა“ ჩვენთვის შინაარსეული ცნებაა.

მსმენელის მეტყველებითი აქტის ანალიზიდანაც ჩანს. თუ ანალიზს განვავითარებთ და ბგერას გამოვაცალკევებთ მოლიანობისაგან, ლინგვისტიკას დავცილდებით. ბგერა აქ ნიშნავს გამოხატულებას საზოგადოდ და არა უთუოდ მის ემპირიულ დადასტურებას (როგორც ჩანს, ბგერის ანალიზის ყოველ ეტაპზე უნდა გვახსოვდეს, რომ იგი ენობრივი ნიშნის კომპონენტია). ასევე, თუ მნიშვნელობას გავყვებით არტიკულაციის იდეის გარეშე, ლინგვისტიკის ფარგლებს გავცდებით. ენის სისტემა, როგორც რაღაც პრინციპით დანაწევრებული სისტემა, ბგერა — აზრის (შეერთების) გამოხატვის წესს განსაზღვრავს, რის შემდეგაც აღმნიშვნელი და აღსანიშნი უკვე არის არა ბგერითი ხატი და კონცეპტი, არამედ გამოხატულება და შინაარსი. გამოხატულებასა და შინაარსს შორის სოლიდარობა არსებობს არა მხოლოდ იმ აზრით, რომ მათი დაცილება დაუზიანებლად არ მოხდება, არამედ იმ აზრითაც, რომ არტიკულაციის წესი საერთოა მათთვის, და რომ ბგერა არის შინაარსის, როგორც დანაწევრებული ოდენობის, გამოხატულება; ოღონდ ისინი სხვადასხვანაირად არიან აგებულინი.

მაშასადამე: ენობრივი ერთეული არტიკულირებული ბუნების მქონე სინთეზური მთელია: ენა იქ ქრება, სადაც კარგავს როგორც დანაწევრების, ისე სინთეზის თვისებას.

ეს ენის ერთიანი თეორიაა, სადაც შინაფორმა გაგებულია, როგორც სამეტყველო აქტების წარმოქმნისა და განხორციელების გლობალური პირობა, როგორც წესთა და ელემენტთა ისეთი შინაარსობრივი ერთიანობა, რისი გამოვლენაც დედანობრივ ალლოში უკვე ჩანს.

ამიტომ, პირველ ყოვლისა, უნდა უკუვავადოთ ის შეხედულება, რაც ენის შინაფორმის გაგებას დაუკავშირდა შტაინთალ-პოტენიან ტრადიციის შედეგად, როცა იგი შეიცვალა სიტყვის შინაფორმით. სიტყვის შინაფორმის მაილუსტრირებელი კერძოული მაგალითი თვითონ ჰუმბოლდტთანაც არის (მაგ.: „სპილო“) [59. VII. 90]). მაგრამ თუ დავუკვირდებით, ეს მაგალითი ენის შინაფორმის პრინციპის გამოვლენა უფროა, ვიდრე სიტყვის შინაფორმისა საკუთრივ; სიტყვას შინაფორმა არ შეიძლება ჰქონდეს, რადგან ეს

უკანასკნელი ენის მთლიანი „ქმედება“ და ამდენად სიტყვა მის გამოვლენად უფრო უნდა ჩაითვალოს, ვიდრე თვითონ შინაფორმად. სიტყვა, როგორც შინაარსეული ველის წევრი, არის შინაფორმის კონკრეტული სახე, მისი ემპირიული დადასტურება.

შინაარსეულმა ძიებამ შესაძლებელია კორელაცია დაამყაროს შინაფორმასა და ღირებულების კატეგორიას შორის, რის შემდეგაც ღირებულების კატეგორია უფრო ცხადს გახდის სინთეზის აქტს და უფრო კონკრეტულს— სინთეზის სქემას.

ენერგეტიკული ენის თეორია, როგორც ითქვა, შინაარსეულ საფუძველს ემყარება და ამას ზოგადი ამოცანიდან ამოსვლით ეძლევა გამართლება. ეს კარგად ჩანს სხვადასხვა ენის შედარებიდან. თითოეული ენა არის პასუხი იმ ფუძემდებელ კითხვებზე, რაც ამოცანის სახით დგას ყოველი ენის წინაშე. ენათა ერთიანობა არის პასუხების ერთიანობა და ყოველი პასუხი არის ამოცანის გადაჭრის თავისებური მეთოდი.

თუ გამონათქვამს „ენა საერთოდ“ რაიმე აზრი აქვს, მაშინ მისი მიზანი საერთო უნდა იყოს და ეს არის შთაბეჭდილებათა გარდაქმნა ცნებებად, რაც შინაფორმის ჩვენს მიერ მოწოდებულ დეფინიციაში მოჩანს. აქ ჩანს ენის ტელეონომიური ასპექტი და ამდენად მიზნის ერთიანობა. ენათა მიზანი საერთოა, განსხვავებულია გზები ამ მიზნის მიღწევისა.

არათუ ენათა სხვაობის დადგენა იქნება ძნელად მისაღწევი შინაარსეული პრინციპის გათვალისწინების გარეშე, თვით მათი ერთიანობის ჩვენებაც ამას უნდა დაემყაროს. როცა ენის არსებობის აზრი გაცნობიერდება როგორც საზოგადოდ ადამიანისათვის, ისე ცალკეული ენობრივი ერთობისთვის (კულტურის აგებით კაცობრიობის გონით სივრცეში ისტორიული ადგილის დამკვიდრება) და, ასევე, ინდივიდისათვის (სინამდვილის ფაქტის ცნობიერების ფაქტად გარდაქმნა სოციალური ინსტრუმენტის მოშველიებით და შემოქმედებითი აქტივობის გაშლა ერისა და კაცობრიობის წინაშე მდგარ ამოცანათა გადასაჭრელად), მაშინ დადგება საკითხი იმის შესახებ, თუ რა როლს ასრულებს შედარებითი ენათმეცნიერება ზოგადანთროპოლოგიურ მეცნიერებათა სისტემაში და რა ღირებულებით განიზომება მისი როლი ადამიანის შესწავლაში.

ენობრივ სინთეზს სოციოლოგიური დასაბუთებაც ესაჭიროება. ამ სოციოლოგიამ, რომლის ობიექტიც ენობრივი სოციუმის და ენის ერთიანობაა (ისტორიულად აგებული ერთიანობა), უნდა აგვიხსნას ემპირიული სინთეზის არსი, რასაც არ შეიძლება ჰქონდეს აპრიორული (უნივერსალური) საფუძველი. უფრო ზუსტად: უნივერსალურია პრინციპი სინთეზისა, მაგრამ თვითონ სინთეზის სპეციფიკა უნივერსალურით არ აიხსნება. ეს არ არის ერთისა და იმავეს სხვადასხვაგვარი „შესრულება“, არამედ ახალი შინაარსების შექმნა. ამიტომაც „ვერ თავსდება ენები ერთს კონსექვენტურად აგებულ სტრუქტურაში“. ახალი შინაარსების წარმოქმნას ერთიანი პრინციპი ვერ ექნება.

ემპირიული სინთეზი და მისი საფუძველიც რელატიურ-სოციოლოგიურია, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მას უნივერსალურისათვის მნიშვნელობა არ ჰქონდეს. პირიქით, ეს ისევე ის გზაა, როცა განსხვავებული ენობრივი პოზიციებიდან წამოსული ინტელექტუალიზაციის ფორმებით საგანთა ონტოლოგიური მოცემულობის არა მხოლოდ სხვადასხვა სექტორი „ნათდება“, არამედ, საბოლოო მიზნით, ენათა თეორიულ ერთიანობაში საგანთა ერთიანობის პრინციპიც ცნაურდება.

ენის უმცირესი ელემენტის, ნაწევროვანი ბგერის, წარმოქმნაც დაქვემდებარებულია სინთეზის ფუძემდებელ პრინციპს. ასეთ დროს, წარმოქმნა (Erzeugung), რა თქმა უნდა, წარმოშობაცაა, ოღონდ არა ემპირიული, მასალობრივი, ფიზიკური. ნაწევროვანი ბგერა „წარმოქმნის მიხედვით უნდა აღიწეროს“, — ამბობს ჰუმბოლდტი და უპირისპირებს ამას ფიზიკურ ახსნას; ნაწევროვანი ბგერის ასეთ დეფინიციაში მოცემულია მიზნის ელემენტი: სინთეზის საქმეს მოემსახურებს („აზრის გამოხატვის უნარით აღიჭურვოს“, „ინტელექტუალურ ამოცანას მიესადაგოს“). ეს არის გენეზისური და, ამავე დროს, ტელეონომიური დეფინიცია. იგივე ითქმის მთელი ენის მიმართ; ენის ენერგეიად გაგება გენეზისური დეფინიციაა. გენეზისი აქ ენის წარმოქმნის მიზნობრივ გამართლებას გულისხმობს: ენა — „აზრის

ამგები“, ანდა აღრინდელი გაგება წარმოქმნისა: „ქმნის აზროვნების ობიექტს“. აქ ისევ ნათლება „წარმოქმნის“ არსა: იგი კონსტიტუციური ცნებაა. „ფორმა“ რაღაა? იგი რომ ცარიელი და პასიური ფორმა არ არის და, პირიქით, მათორგანიზებული ფუნქცია აქვს, ეს ჯერ კიდევ არისტოტელეს დროიდან მოდის, ხოლო კანტის შემდეგ ასეთი დაშვება აღარ იყო მიუღიოდნელი. ოღონდ ენობრივი ფორმა (სხვა ფორმათაგან განსხვავებით) „ბგერას აზრთან აერთებს“. უფრო მეტიც: იგი ისეთი ძალაა, რომელიც „აზრებს სიტყვებში მოაქცევს“. მაშასადამე, ფორმის დანიშნულება ყოფილა — განახორციელოს სინთეზი. იმანენტური განხილვით, ენის ფორმალური ორგანიზაცია მართლაც ემყარება ბგერა-აზრის სინთეზს, ხოლო ენერგეისტული გააზრებით, ეს სინთეზი ახალს აჩენს, მაგრამ რა არის ეს ახალი, ამაზე პასუხი არ აქვს ჰუმბოლდტს და თუ იმას გავიხსენებთ, რომ მისთვის ენა „უცნობი ჭეშმარიტების აღმოჩენის“ იარაღიცაა, მაშინ განრდება კითხვა, თუ როგორ ახერხებს ენა ამას. რაკი „ჭეშმარიტება“ ვახსენეთ, შეგვიძლია ჰუმბოლდტის ენათშედარების შესახებ აღრინდელი ნაშრომი [59. VI. 1-34] მოვიგონოთ, სადაც პოვნა „ჭეშმარიტებისა“, რომელიც „ენათა შუაში“ და მათგან დამოუკიდებლად ძევს, ენათშედარების ამოცანად არის დასახული.

რას ნიშნავს „მათგან დამოუკიდებლად?“ ჭეშმარიტება ხომ აზრია და თუ აზრი ენისაგან იმთავითვე დამოუკიდებელია, მაშინ როგორღაა ენა „აზრის შემქმნელი“? მაგრამ „არსებობა“ აქ უნდა გავიგოთ გნოსეოლოგიურად. ენებზე არ არის დამოკიდებული ჭეშმარიტება, მაგრამ მათი გზითაც მოიპოვება. რაკი იქვე მეტაფორულად „პრებად სხივებს“ არის შედარებული ენები, ამიტომ „ობიექტური ჭეშმარიტება“ ამოცანა, მიზანი უფროა, რაც „ფრაგმენტულად“, ენათა მიხედვით, და ამდენად, განსხვავებული გზებით მოიპოვება, ვიდრე პირდაპირ, უშუალოდ, ცხადად; და ახლა ჩვენ ვიტყვოდით: ენის შინაფორმა, როგორც „საერთო ინტელექტუალური ნაწილი“, ენათა ამ მიზნობრივი ერთიანობის იდეალს გამოხატავს და არა წინასწარ პოსტულირებულ ლოგიკურ საყოველთაობას თუ იგივეობას. ყოველ ცალკეულ ენაში ეს არის ბგერა — აზრის შეერთების წესა, რაც ახლის წარმოშობის პირობაა და უკვე ჩვენთვის იგი განიხილება, როგორც „უცნობი ჭეშმარიტების აღმოჩენის“ იარაღიც.

ენის მიერ შექმნილი „ახლის“ კვალი უნდა ვეძიოთ მასზე დაშენებული აზრისა და კულტურის ფენომენებში. ეს აგვიხსნის, ალბათ, საბოლოო ანგარიშით იმ თითქოსდა უცნაურ ვითარებასაც, თუ რატომ არ უკუაგდო კაცობრიობამ თავისი განუხრელი პროგრესის გზაზე ენები, როგორც „ხელისშემშლელი“ და რატომ. არ დაადგა იგი ერთი რომელიმე ენის ან აზროვნების ერთიანი სიმბოლური ტექნიზაციის გზას.

ახლის დაშვება, როგორც შედეგი ენით შემტკიცებულ ადამიანთა ინტელექტუალურ — გრძნობითი შეხვედრებისა კაცობრიულ ამოცანებთან, ისტორიის მთელ მანძილზე, არის იმავდროულად ახსნის გზაც ენობრივი სოციუმის გონითი სპეციფიკისა და თვით ენათა გონითი მოდუსისა. აქ გამოდგება წარმოდგენები „ახალი რეგიონების“, „ახალი განზომილებების“: რეალობის რომელიმე „მონაცემი“ სხვადასხვა კუთხით კი არ არის დანახული სუბსტანციონალურად, არამედ სხვა რეგიონშია „გატანილი“ ფუნქციონალურად.

ყოველი დაბალი დონის ელემენტის გაჩენა ენაში ნაკარნახევია მაღალი დონის ერთეულის შექმნის აუცილებლობით (ე. ბენვენისტი) [15]. ეს სხვა არაფერია, თუ არა ტელეონომიური ასპექტი ენობრივი ერთეულის წარმოქმნისა: ენობრივ ერთეულს აჩენს მიზანი უფრო მაღალ ორგანიზაციაში მონაწილეობისა. გენეზისი და მიზანი კორელაციაშია. მიზნის შემოტანით კიდევ უფრო ცხადი გახდება კავშირი სამი ფუნქციონალური ტერმინისა — წარმოქმნა, ენერგია და გენეზისი. ენერგია, პირველ ყოვლისა, მიზნისეული ცნებაა და მიუთითებს ენის პროცესუალურ მიმართულებაზე.

ენობრივ საშუალებათა განხილვა მიზნის გათვალისწინებით შესაძლებლობას მოგვცემს ამოვიცნოთ არა მხოლოდ ენის ზოგადი მიმართულება, არამედ მივაგნოთ ცალკეული ელემენტების გაერთიანების შინაგან პრინციპსაც: როგორ ხდება ცნებათწარმოქმნა და როგორ მონაწილეობენ ამ პროცესში ბგერითი და ინტელექტუალური ფაქტორები?

ამ მსჯელობის ფონზე უმჯობესი იქნებოდა ჰუმბოლდტის მიერ გამოყოფილი „ნამდვილი მასალა“ შეგვეცვალა ტერმინით სუბსტანცია, რომელიც 1) ენის გარეთ ძეგს 2) ამორფულია და 3) „წინ უსწრებს“ ენის (ფორმის) დახმარებით ცნების შექმნას. ეს არის ინდიფერენ-

ტულ-გაუდიფერენცირებული მონაცემი. იგი არის აბსტრაქციით მიღებული, რაც, პუმბოლდტის მიხედვით, საჭიროებს „ენის საზღვრებს გარეთ გასვლას“.

თვითონ ენაში არ არის გაუფორმებელი მასალა, რადგან ყველაფერი მასში მიმართულია გარკვეული მიზნისაკენ — „აზრის გამოხატვისაკენ“. ეს იმას ნიშნავს, რომ „გაუფორმება“ ავტორს ესმის, როგორც „აზრმდებლობა“, როგორც ტელეონომიური ამოცანის გადაწყვეტა, როგორც იდეის შეერთება ფიზიკურთან; ეს შეერთება ხდება თვით ბგერაშიც და იგი იქცევა ნაწვეროვნად. შეერთების საჭიროებას სხვადასხვა მოტივი აქვს. ერთი მთავარი მოტივი ის არის, რომ „გონითი არტიკულაციის“ ზოგადადამიანური ოპერაცია იქნეს ფიქსირებული და — როგორც საყრდენი — გამოყენებული შემდგომი ოპერაციებისათვის. მართალია, ბგერა პასიურია, როგორც ფიზიკური, აზრის მიმართ, მაგრამ იგი პლასტიკურია, ენაში შინაარსების სიმბოლოდაა გამოყენებული, და ესაა მისი „დიდი ღირსება“.

შინაარსის სუბსტანცია? არსებითია ვიცოდეთ, რომ შინაარსის სუბსტანცია, რომელსაც რომელიმე ენაში აბსტრაქციის გზით გამოვეყოფთ შინაარსის ფორმისაგან, არ არის უნივერსალური ამორფული მასა, როგორც ამას ფიქრობს იელმსლევი, არამედ ფორმის ანაბეჭდვადამულია და ამიტომ მისი მოხაზულობა და ზონა განსხვავდება სხვა ენაში ამავე წესით გამოყოფილი შინაარსის სუბსტანციისაგან. რეალურად, როგორც ითქვა, შინაარსის სუბსტანცია არც არსებობს.

თუ ენები ფორმის მიხედვით განსხვავებულია, ხოლო ბგერითი სუბსტანცია (როგორც შესაძლებლობები) საერთოა, ასეთივე საერთო სუბსტანცია შინაარსის ხაზით იქნებოდა ის „ობიექტური ჭეშმარიტება“, რაც „ენათა შუა ძეგს“. აი, სწორედ აქ შემოდის ტელეონომიური ასპექტი და ადამიანური ფაქტორის მონაწილეობა, მეტიც: თუ ბგერით ნაწილში და ბგერისეული გრამატიკის ფარგლებში ისე არ იგრძნობა ადამიანური ფაქტორის მონაწილეობა, სამაგიეროდ, შინაფორმის ხაზით ენის ენერგეისტული ბუნება ცხადი ხდება: პროცესი ცნებათწარმოქმნისა შინაარსობრივი პროცესია, რაც (ლოგიკურად) წინ უსწრებს

„არტიკულაციის აქტს“, როგორც ბგერისეულ აქტს. სინამდვილის ცნობიერებად გარდაქმნის ადამიანურ აქტივობაში ჩართულია, პირველ ყოვლისა, „ხედვის წესი“, რომელიც შედეგია ერთიანი შინაგანი აქტივობისა.

როგორც გრძნობადი შთაბეჭდილებები, ისე ზოგადლოგიკური ოპერაციები ცნების წარმოქმნის აუცილებელი საფუძველია; მაგრამ ეს აქტი შესრულდება მხოლოდ მას შემდეგ, რაც ენა ჩაერთვის: „ნამდვილი სუბსტანციის“ ცნებად გარდაქმნა ხდება ენით. ეს არის სწორედ „გარდაქმნა“ (Umschaffen der Welt...).

რა დანიშნულება აქვს ამ „გარდაქმნას“? ცნებების შექმნით ჩვენ ვახდენთ სამყაროს საგანთა სურათის შექმნას; ამით გზა იკვალება ობიექტური ჭეშმარიტებისაკენ, რომელიც თურმე ენისეული ინტერპრეტაციების გარეშე ძნელად შეიცნობა, რადგან „ენათა შუა ძევს“; პასუხი აქედან გამომდინარე ნათელია კითხვაზე: „რას აღწევს ადამიანი ენის გზით“ და აგრეთვე შინაარსი ფორმულისა: „ენა არის ობიექტურ აზრს მიახლოებული ადამიანი“. „გარდაქმნა“ იმავდროულად არის გაენოვნება ანუ პიროვნებიდან გატანა გრძნობად შთაბეჭდილებათა და მათი გაობიექტურება გასხვისების გზით. „სუბიექტურის ობიექტურად ქცევა“, რაც ენის შემწეობით ხორციელდება, ეს იგივეა, რაც სუბიექტურ (ინდივიდუალურ) შთაბეჭდილებათა გაობიექტურება (სხვისად ქცევა) და, ამავე დროს, სუბიექტურის (კოლექტიური სუბიექტის) შენარჩუნება (კრამდენადაც ენა ინდივიდის მიმართ, მართალია, ობიექტურია, მაგრამ გარესინამდვილის მიმართ იგი მაინც სუბიექტურია (რაც მტკიცდება თუნდაც ენათა ნაირობის მარტივი ფაქტით). შინაფორმით შესრულებული პროცესი (ცნებათწარმოქმნა — ობიექტივაცია) წინ უსწრებს „ბაგეებიდან ყურებისაკენ მიმავალ ფიზიკურ პროცესს“; ამავე დროს შინაფორმის აქტივობა ნიშნავს მთელი შიდაენობრივი ენერჯის ამოქმედებას; შინაფორმის გამოვლენის თითოეული ფრაგმენტი მთელი ენერჯის გამოძახილია. აი რატომ არ დაიყვანება ენის შინაფორმა სიტყვის შინაფორმაზე.

ამდენად, ენა „გარდაქმნა“ სინამდვილის ფაქტებისა ცნობიერების საკუთრებად და არა მისი ასლი, ან ცნობიერი ასახვა. მაგრამ თუ დავუშვებთ (და ასეთი „დაშვება“ არცთუ იშვიათია), ენა სინამდვილის ასახვაა, მაშინ დადგება საკითხი იმის შესახებ — რით განსხვავდება

ენობრივი ასახვა აზრით ასახვისაგან. იქნებ პირველი არის გრძნობადი და, ამდენად, არაზუსტი, ხოლო მეორე ცნებითი და, ამდენად, ზუსტი? თუ ასახვა გაცნობიერებულ პროცესია, მაშინ ენა ასეთად არ ჩაითვლება, რადგან ენობრივ საშუალებათა გაუცნობიერებელი გამოყენება უფრო შეეფერება ენის ფუნქციას. ენა რომ ცნობიერი სურათი იყოს, მაშინ ასახსნელი იქნებოდა ენათა ნაირობის ფაქტი; თუ მხოლოდ ბგერით ფაქტორზე დაიყვანდით ენათა სხვაობას და არა შინაარსობრივზე, მაშინ კვლავ ასახსნელი იქნებოდა თარგმნის სიმძლე. ხოლო თუ ამ ფაქტებს არ მივუკავებდით დიდ ყურადღებას და არ ჩავთვლიდით მათ პრინციპულ პრობლემად, მაშინ ენათა ცნობიერი სურათების შედარების დროს იერარქიებსა და გრადაციებზე უნდა გველაპარაკა იმისდა მიხედვით, თუ რომელი ენობრივი სურათია სინამდვილისა უფრო ადეკვატური და სხვ. რაკი ჩვენ იერარქიის საპირისპიროდ მაინც ლინგვისტური ფარდობითობის პრინციპს ვამჯობინებთ (როგორც ფაქტობრივად ფასეულს), ეს იმას როდი ნიშნავს, რომ რელატივობის, ასე ვთქვათ, აბსოლუტიზაციას ვეწვეით. მაშინ თარგმანის ფაქტიც უნდა უარეყოთ და სხვა ენის შესწავლის შესაძლებლობაც.

თუ მხოლოდ ის ვამტკიცებთ, ზოგი თანამედროვე ლოგიკოსის მსგავსად, რომ ემპირიული ენა ხელს უშლის აზროვნებას (შესაძლებელი დასკვნით: რომ არ გექონოდა ეს ენები, უმჯობესი იქნებოდაო), ამით თვით ფაქტი აზრის პროგრესისა ეჭვის ქვეშ დაგვიყენებია, რადგან, სხვა თუ არაფერი, არც ერთი ხალხის ისტორიას არ ახსოვს შემთხვევა მეცნიერული აზრისა და კულტურის შემოქმედებისა არაენობრივ გარემოში. მაშასადამე, ცოდნას საგანთა სინამდვილის შესახებ ენობრივ გარემოში და, ამდენად, ენის მეშვეობით ვიძენთ. მართალია, ეს ემპირიული საბუთია და არა ლოგიკური, მაგრამ აქედანაც ცხადია, რომ ენას საშემეცნებო ფუნქცია აქვს (ქმნის შემეცნების პირობებს), რაც სწორედ იმას ნიშნავს, რომ იგი თვითონ არ არის ლოგიკური შემეცნება.

ყოველ ენაში სამყაროს მოცემულობა მეტისმეტად უშუალოა: იგი იმდენად არის მოახლოებული ჩვენთან, რომ უშუალო განცდაში გვეძლევა, მაგრამ ამ განცდის საგანგებო ანალიზი ენობრივი ფაქტორის მონაწილეობას აღმოგვაჩენინებს, რის შემდეგაც ცხადი

შეიძლება გახდეს, რომ სიახლოვის ეს განცდა არ მომდინარეობს საგანთა ბუნების უშუალო ცოდნიდან, არამედ შედეგია იმ პოზიციისა, საიდანაც საგანს „ვუყურებთ“. ეს არის ადამიანის პოზიცია; ყოველი ენა გადმოსცემს ადამიანის პოზიციას საგანთა მიმართ და ამით თვითონ საგნებს.

ემპირიული ენების არსებობას და მათ განსხვავებას შეიძლება ორნაირი გამართლება დაექვეყნოს: 1) ახალ განზომილებათა სისტემის შექმნა, რაც თვითონ ნაირგვარი სინამდვილის „გახსნის“ აუცილებლობით არის გამოწვეული, ე.ი. ბევრნაირი საინტერპრეტაციო სისტემების აგება. 2) ენობრივად დანაწევრებულ ადამიანთა კომპაქტური ჯგუფებისათვის (რასაც ენობრივ კოლექტივებს ვუწოდებთ) ისტორიული სიმტკიცის შენარჩუნება, რაც ენობრივი ცნობიერების ერთიანობით უნდა განხორციელებულიყო და რის გამოვლენებსაც კულტურის ერთობაში ვხედავთ.

თეზისი ენის შესახებ, როგორც საგანთშემეცნების კოლექტიური ფორმისა, ამ ორნაირ გამართლებას ერთიან ახსნას მოუძებნის.

ენა როგორც საბანტოსონის სოსიალური ფორმა

თუ ენერგეისტული თვალსაზრისით „საგანი — ენა — ადამიანი“-ს ურთიერთობათა კომპლექსს გამოვიკვლევთ, ენის ფუნქციას ადამიანის ცნების დაფუძნებაშიც აღმოვაჩენთ და, ასევე, საგანთა აღქმის აქტშიც ენობრივი ფაქტორის მონაწილეობას დავადასტურებთ.

ასეთი დაშვება, ენის მონაწილეობის იდეა ადამიანის მიერ გარემოს ინტელექტუალურ დაუფლებაში, გარდა იმ ბიოლოგიური აუცილებლობით ნაკარნახევი მოტივებისა, რომელიც კომუნიკაციის ელემენტარულ აქტებს წარმართავს, ენის ფუნქციობის იმ ასპექტებსაც მოიცავს, რაც უთუოდ კომუნიკაციის ასეთ აქტებში არ ვლინდება.

შთაბეჭდილებათა გაერთიანება ენობრივი სინთეზის შედეგად საგანთცოდნის თავისებურ პირობად შეიძლება მოგვევლინოს. „თავისებურად“ იმიტომ, რომ იგი არც ინდივიდუალურია (მაგალითად, ინდივიდუალური ცოდნა) და არც ზოგადდამიანური (ვთქვათ, მეცნიერული ცოდნის მაგვარი), არამედ სოციალური ფორმაა საგანთცოდნისა.

მართალია, ცხოვრებისეული პრაქტიკის მოთხოვნით ბევრი რამ აიხსნება ენაში, მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ პრაქტიკის მოთხოვნებს ენა არ წყვეტს უთუოდ იმ ინსტრუქციის მიხედვით, რასაც მას პრაქტიკა წაუყენებს. პრაქტიკულ-ბიოლოგიური მოთხოვნების და ამოცანების მიხედვით ენობრივ კოლექტივებს შორის ზოგჯერ დიდი მსგავსებაა ხოლმე, მაგრამ ენები, ამავე დროს, საოცრად დიდ განსხვავებას იძლევიან.

სახელწოდებათა რიგი, რომელიც ყოფის რეგისტრაციას ახდენს, სიტყვის მნიშვნელობას ყოფითი საგნიდან ამოსვლით განმარტავს; ასეთ დროს სიმბიოზი სახელწოდებისა და საგნისა მეტყველთა კოლექტიურ ცნობიერებაში არანაკლებ მყარია, ვიდრე ჩვეულებრივი სიტყვებისა; გარდა ამისა, ყოფითი კულტურის ცოდნა ასეთი ლექსიკით, სახელწოდებებით, ყოველთვის ითვლებოდა ნივთიერი კულტურის შესახებ ცოდნის მოპოვების საშუალებად. მაგრამ ხალხის სულიერი კულტურა?

სულიერი კულტურის სფეროს რაც შეეხება, აქ უკვე განსხვავებაა. ისე არ არის, თითქოს სულიერი კულტურა წინასწარ ჩამოყალიბებული და გამოკვეთილი ფორმით იყოს მოცემული, როგორც სრულიად ენისაგან დამოუკიდებელი რამ და მხოლოდ ენით ხდებოდეს მისი რეგისტრირება; მნიშვნელობაში მოცემული კულტურის ერთეულები მეტისმეტად ძნელად გამოსაცალკევებელია თავად ამ მნიშვნელობათაგან. ეს შეეხება თვით აბსტრაქტულ ცნებათა ისეთ რიგს, რომელიც ერის ცხოვრების პუმიანტარულ სექტორს ქმნის: მორალის, სამართლის, ესთეტიკურ ღირებულებათა იმ შკალას, რაც კულტურის სპეციფიკის უდაო შთაბეჭდილებას ახდენს და ამავე დროს ერთი ენიდან მეორე ენაში თარგმნისას დიდ სიძნელებებს აჩენს. აქ მათი არსებობის ფორმა თუ ცხადად მოცემული საგნობრივი ერთეულები არ არის, ასევე არ არის იგი მეცნიერულად მყარი და ყველა ხალხისათვის მისაღები ცნებათა რიგი.

ყოფითი სიტუაციებისაგან მოწყვეტა ზოგჯერ განცდისეულ

პრობლემებს წამოჭრის და ისე გაიგება, როგორც არსებობის ბუნებრივი საყრდენების მორღვევა, რადგან ადამიანის მშობლიურ გარემოსთან ჰარმონიას არა მხოლოდ ტერიტორიული და ბიოლოგიურ-ეკონომიური, არამედ ენობრივი კავშირების ტრადიციაც ქმნის. მეტიც: ეს სიმბოზი იმდენად მტკიცეა და ზემოქმედი, რომ ადამიანი ზოგჯერ წინააღმდეგია მეტამორფოზებისა, უცხო ქვეყნისა და ენის გარემოში გადანაცვლებისა, თუნდაც იგი ყოფის უკეთესად მოწყობის საშუალებას იძლეოდეს. ასევე და უფრო მეტად არ ეთანხმება იგი სამართლის, ზნეობის, მშვენიერების ტრადიციულ ცნებებზე უარის თქმას, უცხო ხალხში მიღებული ცნებათა რიგის შეთვისების სანაცვლოდ.

რა რეალური საყრდენი აქვს ამ ცნებებს? ეს არ არის საერთო შკალა. მაშინ სხვადასხვა ენაზე მეტყველი ხალხები ამ სფეროში ერთმანეთს ძალიან ადვილად გაუგებდნენ (ვთქვათ, „სობრალულს“ ისეთივე ზუსტი ეკვივალენტი რომ ჰქონდეს სხვადასხვა ენაში, როგორც აქვს „სამკუთხედს“). ნამდვილად კი, პირიქით არის: თვით დიდოსტატ მთარგმნელებს უძნელდებათ მათი ეკვივალენტების დაძებნა და მეტადრე ისეთი ტიპის სიტყვებისა, როგორც არის გერმ. Geist ან ბერძნ. Logos (ამის შესახებ ქვემოთ).

მაშასადამე, ეს შკალა არ არის სახელწოდებათა რიგი მზამზარეული ნივთების რიგისა და არც ტერმინები მეცნიერულ ცნებათა დადგენილი რიგისა (როგორც, ვთქვათ, გეომეტრიის ან ქიმიის ცნებათარიგი). როგორია მათი არსებობის ფორმა?

ემპირიულად მათი არსებობის საზღვრები ეთნოსის საზღვრებით არის შემოფარგლული. მაგრამ თუ სიტყვების მთელი მასა მხოლოდ აღმნიშვნელებად მივიჩნიეთ (და ამდენად სახელწოდებაზე დავიყვანეთ სიტყვის სტრუქტურა), მაშინ წინასწარ დაგვიშვია რალაც სიდიდე „ხალხის სულის სტრუქტურისა“, რომელიც ენამდე ყოფილა მოცემული და შემდეგ ენაში აღბეჭდილი. გარდა სხვა სიძნელისა, აქ ის უხერხულობაცაა, რომ თვითონ „ხალხი“ ენამდე და საზოგადოდ ენობრივი კომპონენტის გარეშე გაურკვეველ სიდიდედ გამოიყურება. „სხვა სიძნელე“ კი ის არის, რომ „სულის სტრუქტურა“ (ხალხისა)

რეალურად მნიშვნელობების სახით გვეძლევა და თეორიულად ძნელი წარმოსადგენია მათ გარეშე არსებობის როგორი ფორმა ექნებოდა მას და საერთოდ რა ბუნებისა იქნებოდა იგი. ჩვენ ყურადღება მივაპყრით სიმბიოზის ხარისხს, რაც შესაძლებელია თანაბრად მძლავრი იყოს როგორც სახელწოდებებში, ისე სიტყვებში. მაგრამ სახელწოდებები ცივილიზებულ საზოგადოებებში არ არის შემოფარგლული უაუოდ ამ საზოგადოებისათვის სპეციფიკური ყოფის საგნებით, მხოლოდ კულტურის ტრადიციული რეალიებით, თუმცა ცივილიზაციის ახალი პროდუქციაც საჭიროებს გაენოვნების იმავე აქტს, რასაც მისი ორგანულად შეთვისებისა და ერთიან კულტურაში მოქცევის ამოცანა მოითხოვს.

. გაენოვნება არის პროცესი, აქტი შინაარსობრივი გადამუშავებისა. ამ პროცესში მეტ-ნაკლები ინტენსივობით მოყოლილია ადამიანური ცხოვრების ყველა სფერო — ელემენტარული ვიტალური მოთხოვნილებებიდან სულიერი აქტივობის მაღალ ფორმებამდე.

„ენობრივი მსოფლხედვა“

„ენობრივი მსოფლხედვა“ (და არა მსოფლმხედველობა! — ეს ორი სრულიად სხვადასხვა ცნებაა) უკავშირდება ენის შინაფორმას და კულტურის ცნებას — ფართო გაგებით. ადამიანის კულტურა „შეჭრილია“ თვით ბუნების გაგებაში და გამოხატავს მის მიმართ ადამიანის პოზიციას. უნდა გაირჩეს კულტურის ფორმათმოძღვრებაში ენობრივი, როგორც ანიონიმური ფაქტორი, ერთი მხრივ, და, მეორე მხრივ, ის ფორმები, რაც „შეგნების“ მომენტს შეიცავს. ინდივიდს წინ დაუხვდება კულტურის ის ფორმები, რომელთა შესახებაც მან იცის, რომ ესენი ერის სულიერი კულტურის ფაქტები არიან, მაგრამ, გარდა ამისა, მას ასევე წინ დაუხვდება ისეთი ფორმაც, რომლის შესახებ არ იცის, რომ ისიც თეორიული პოზიციია სამყაროს მიმართ (იგი ფორმაა, ოღონდ სამყაროს ფორმა). ეს არის ისტორიულად

აკუმულირებული ენობრივი ცოდნა, უკვე სტრუქტურირებული და, ამდენად, უფრო ყოვლისმომცველი და „სავალდებულო“, უფრო გამძლეც, ვიდრე ცალკეულ პიროვნებათა შემოქმედებაა. სადავო აღარ უნდა იყოს, რომ „აკუმულირებული“ არ ნიშნავს სტატკურად „რეგისტრირებულს“. იგი ენერგეიაა.

თავისთავად გასაგებია, რომ ენით შექმნილი თეორიული პოზიცია (მსოფლ-ხედვა) ისევე არ არის სინამდვილის მიმართ ცნობიერი პოზიცია, როგორც კოლექტიურ ინტერპრეტაციად ენის გაგება არ ნიშნავს იმას, რასაც ჩვეულებრივ სიტყვა „ინტერპრეტაციაში“ ვგულისხმობთ.

ამის კიდევ ერთხელ აღნიშვნა აუცილებელია, რადგან ამ ბოლო ხანებში ორთოდოქსული რელატივისტური თეორია, მომდინარე ბ. უორფისაგან, არა მხოლოდ ფსიქოლინგვისტიკის აუცილებელ კომპონენტად აქციეს (შდრ. სლობინი [76]), არამედ ჰუმბოლდტის მიერ მოწოდებული Weltansicht-ის ცნებაც ცალმხრივ რელატივისტურ გაგებათა რკალში მოაქციეს. ამან შექმნა მეორე უკიდურესობა, რომელიც როგორც ენის, ისე ჰუმბოლდტის მიმართ ისევე არაადექვატურია, როგორც უკიდურესი უნივერსალისტური თეორიები.

ჰ. გიპერი ფუძემდებელი ცნების world view-ს ანალიზისას [48. 102-105] აღნიშნავს, რომ ბ. უორფი ამ ტერმინს სხვადასხვა აზრით ხმარობს, რაც ხშირად გაუგებრობას იწვევს.

გერმანული ცნებები, „ენობრივი მსოფლხედვა“ (sprachliche Weltansicht) და, შესაბამისად, „ენობრივი მსოფლხატი“ (sprachliches Weltbild) ჰუმბოლდტისა და ვაისგერბერის მოძღვრებაში (და გიპერის მიხედვითაც) ეხება სათანადო ენის შინაარსულ აგებულებას, ე.ი. სამყაროს (Welt) მოცემულობის წესს, სახეს, წარმოდგენილს ენის სემანტიკურ დანაწევრებასა და გამოსახვის საშუალებებში. ე.ი. აქ საკმე ეხება იმას, რაც ენის შემსწავლელ ადამიანს „მნიშვნელობების“ სახით ეძლევა და რასაც იგი არაცნობიერად ითვისებს (აქვე შევნიშნავთ, რომ ზოგ შემთხვევაში ეს არის ნაგულისხმევი ბ. უორფის world view-ში).

ამისგან განსხვავებით, სამყაროს მეცნიერული სურათი

(wissenschaftliches Weltbild) იგება სამყაროს ასკრონომიული, ბიოლოგიური, ან სხვა სახის კავშირთა ცნობიერი გააზრებით. იგი შეგნებულად მოიპოვება ადამიანის მიერ და, საპირისპიროდ ენობრივი მსოფლხატისა, ლოგიკურად მეორეულია.

„მსოფლმხედველობა“ (Weltanschauung) კი არის აღზრდის მეშვეობით მიღებული, მაგრამ პიროვნული გადაწყვეტა იმისა, რასაც სამყაროს კავშირთა იდეოლოგიური ხედვა ჰქვია და უფრო ადამიანის პოზიციის შეფასებაა — რელიგიური, ფილოსოფიური და პოლიტიკური თვალსაზრისით. გიპერი ფიქრობს, რომ ენობრივი მსოფლხატი (sprachliches Weltbild) უნდა განვიხილოთ, როგორც ამოსავალი სხვადასხვა შესაძლო Weltbild-ებისა და Weltanschauung-ებისათვის. გერმანულ ენაზე მეტყველი თანაბრად შეიძლება იყოს კოპერნიკული, გალილეის, აინშტაინის Weltbild-ის, ან ქრისტიანული თუ სხვა Weltanschauung-ის მიმდევარი. გერმანული ენის პრიმარულად მოცემული საშუალებებით შესაძლებელია სეკუნდარულად მეტად განსხვავებული აზრითი სისტემები იქნეს აგებული [48. 103-104].

სხვადასხვა ფილოსოფიათა არსებობა ერთსა და იმავე ენობრივ სივრცეში გაოცებას არ უნდა იწვევდეს. საკითხავი ის არის, თუ რაში მდგომარეობს სპეციფიკურ-ენობრივი ზეგავლენა აზროვნებაზე.

გიპერი, აკრიტიკებს რა კოშმიდერის მოსაზრებას, თითქოს კოპერნიკი ვერასოდეს შექმნიდა თავის „ველტბილდს“, ენობრივი „შხის ამოსვლა“ და „შხის ჩასვლა“ რომ აზროვნებაზე ზეგავლენას ახდენდეს, შენიშნავს [48. 104]: კოშმიდერი არ ითვალისწინებს, რომ ჯერ ერთი, კოპერნიკის ველტბილდი ეს მეორეული ველტბილდია და მეორეც ის, რომ „შხე ამოდის“, „წვიმს“, „ქარი ქრის“ თუ სხვა ამდაგვარი, წარმოშობილია „ჩვეულებრივი“ ყოველდღიური გამოცდილებისა და დაკვირვების დონეზე. ამ დონეზე ხორციელდებოდა მსოფლიოს ენობრივი გაგება მრავალი საუკუნის მანძილზე და ამ დონეზე ისინი სავსებით აზრიანი რჩებიან, რადგან, მიუხედავად ცოდნისა, რომ დედამიწა ბრუნავს შხის ირგვლივ და არა პირუკუ, ჩვეულებრივი დამკვირვებლისათვის შხე უწინდელივით პორიზონტზეა ან პორიზონტს იქითაა. ბუნებრივი (ამჯერად, მაგ., გერმანული) ენა,

განაგრძობს ავტორი, არავის უშლის ხელს, რომ დაუბრკოლებლად ჩამოაყალიბოს ახალი შეხედულება [48. 105].

ამდენად: ენობრივი მსოფლხედვა (Weltansicht) ფუძემდებელ საენათმეცნიერო ცნებად შეიძლება იქნეს მიჩნეული. როგორც ადრე აღვნიშნავდით, ჰუმბოლდტის მოძღვრებაში ეს ცნება „შემუშავდა შედარებითი ენათმცოდნეობის ამოცანებთან დაკავშირებით“; მართალია, იგი მასთან „ბოლომდის განმარტებული არ არის, მაგრამ უდავოდ ლინგვისტური შინაარსის მქონეა“ [69. 139]. გიპერის ზემომოყვანილი თვალსაზრისიც ადასტურებს ამ მოსაზრებას.

შინააქლამბელია თუ არა სამანტიკური უნივერსალიაიი „ენობრივი მსოფლხედვის“ ცნებიდან ამოსვლით?

თუ ენას ენერგეიად მივიჩნევთ, მაშინ ყოველი ენობრივი ერთეული, როგორც შინაარსობრივი სიდიდე, მოგვევლინება ენის მთლიანი იდეისა და მიმართულების გამომხატველად და ამოცანა იქნება, ყოველ მათგანში ამ მთლიანის ენერგეისტული სწრაფვის ინტენცია ამოვიკითხოთ.

მაგრამ ენობრივი ერთეულის ინტენციას საგნის მიმართ ვერ გამოვავლენთ ენათშედარების გარეშე; ძნელი ამოსაცნობი იქნება ენის სუბიექტური აქტივობა, რადგან, სხვა თუ არაფერი, ერთი ენის პირობებში არ ჩანს სხვაობა ობიექტურსა და სუბიექტურს შორის. ის განსხვავება, რაც ენას გაუტარებია, მხოლოდ იმ შემთხვევაში დადასტურდება ერთი ენის გამოკვლევით, თუ წინასწარ მივიღეთ პოსტულატი ენის სუბიექტურობის შესახებ, მაგრამ ეს პოსტულატი თვითონ საჭიროებს ასევე წინასწარ დასაბუთებას, რაც ისევ შედარებითი მეთოდით თუ მოხერხდება.

არ უნდა დაგვაფრთხოს სიტყვამ „სუბიექტური“. აქ იგულისხმება, ვერ ერთი, კოლექტიური სუბიექტი. მეორე მხრივ, ბუნებრივი ენის კრიტიკა, ასე ტოტალურად ჩატარებული თანამედროვე მეცნიერული

ენის თეორიაში (ლოგიკტიკა), დამაჯერებელი დადასტურებაა იმისა, რომ ენა სინამდვილის ფოტოგრაფია ან ასლი არ არის. უფრო სწორად, ყოველი ენა სხვადასხვაგვარი „გადაღება“ სინამდვილისა და ამდენად არც ერთ ენაში არ არის განხორციელებული იდეალი ს ა მ ყ ა რ ო ს ა დ ე კ ვ ა ტ უ რ ი ა ლ ქ მ ის ა .

არის ეს დაბრკოლება ცოდნის გზაზე?

ენა რომ ნომენკლატურად მიგვეჩინა, საგანოცოდნა იმთავითვე აიგებოდა გრძნობად (ენობრივ) მონაცემთა უცნაურ ჯამზე (უსასრულოდ ბევრი ერთეულისა), ლოგიკური უშუალოდ დაჯავშინდებოდა გრძნობადს. რა იქნებოდა ენა — გრძნობადის აღმნიშვნელი, თუ უკვე გაფორმებული ცდის (ლოგიკურის) აღმბეჭდავი? ასეთ დროს არ არის ხოლმე ნათელი წმინდა გნოსეოლოგიურად — ენა გრძნობადი სინამდვილის აღმნიშვნელია, თუ ცნებათა მაფიქსირებელი.

სურვილი — ენასა და ენის სტრუქტურაში დაენახათ გზა ლოგიკურისაკენ — უკვე იყო დადასტურება იმისა, რომ რალაცნაირი შეხვედრა ან პარალელიზმი არსებობს ენობრივსა და ლოგიკურს შორის.

როგორია ბუნებრივი ენისა და ლოგიკური ენის ურთიერთობა? ენერგეისტული თვალსაზრისი თუ იმას არ იტყვის, რომ ლოგიკური ენობრივზეა მსილიანად აგებული, ის მაინც უნდა თქვას, რომ ლოგიკის ენის აგება ბუნებრივი ენის კრიტიკული დაძლევა რაკია, ამდენად მისგან განთავისუფლება იმავდროულად მასზე დამოკიდებულებაც არის. ლოგიკურთან მიმართებაშიც ორნაირი მიდგომა უნდა გამოვყოთ: 1) ენერგეისტული, რაც გულისხმობს ლოგიკურის ენობრივ საფუძველს და 2) ერგონული, რაც გულისხმობს ენობრივის ლოგიკურ საფუძველს. არა მხოლოდ ენას შეუძლია გამოხატოს ლოგიკა, არამედ ლოგიკურშიც დაიძებნება ენობრივი ფესვი.

ბგერათა სხვაობა თვალმისაცემი და ენათა სხვაობის ნათელი პრინციპია. მაგრამ ეს სხვაობა შედეგია უფრო ძირეული სხვაობისა. ეს რომ არ გავითვალისწინოთ და შედარების დროს მხოლოდ ბგერიდან ამოვიდეთ — როგორც თავისთავადი პრინციპიდან — სინთეზის აქტის გაუთვალისწინებლად, უწყყმანოდ უნდა მივიღოთ როგორც სტატიკური თვალსაზრისი ენაზე, ისე ენათა უნივერსალობის თეზისი.

მაგრამ ეს თეზისი, ვფიქრობთ, გამორიცხავს სტრუქტურულ

თვალსაზრისს, რამდენადაც უნივერსალური სივრცე არადიფერენცირებული სივრცეა. უნივერსალური შესაძლებელია იყოს მხოლოდ სუბსტანცია (თუკი მისი გააზრება შეიძლება!) და არა ენობრივი — ფორმა, რომელიც დიფერენციალურია. რა არის უნივერსალური სტრუქტურა? ალბათ, ლოგიკური, თორემ „უნივერსალური ენობრივი სტრუქტურა“ წინააღმდეგობაა ტერმინებში (ენერგეისტული ენათმეცნიერების თვალსაზრისით).

თუ მიზან-ინტენციის ცნებასაც შემოვიტანთ, მაშინ უნივერსალურ სტრუქტურაზე კი აღარ ვილაპარაკებთ, არამედ უნივერსალურ ამოცანა-მიზანზე, რაც ყოველი ენის წინაშე დგას და რაც წყდება მხოლოდ სტრუქტურული გზით (და არა ატომისტურად).

მაშასადამე: სტრუქტურული თეორია, თუ იგი ენათა „არტიკულაციისა“ და სინთეზის პრინციპების უნიკალობას ემყარება, არ შეიძლება აიგოს უნივერსალობის პოსტულატზე.

უნდა გაირჩეს უნივერსალიები და უნივერსალური მიდგომა. შეიძლება თუ არა სემანტიკური „ტიპის“ უნივერსალური კვალიფიკაცია? რა არის „ძმა“ როგორც ენობრივი კონცეპტი? იმწამსვე ჩნდება კითხვა: ქართულში? თუ რომელ ენაში? რადგან, რომელ ენაზეც ითქმის, ჩვეულებრივ, იმ ენის კონცეპტი წარმოგვიდგება.

უნივერსალური პირობები მეტყველების პროცესისა ფსიქოლოგმა შეიძლება დაადგინოს, ყოველ შემთხვევაში, ეძიოს, მაგრამ მოგებული დარჩება, თუ ენობრივ მოტივაციას გაითვალისწინებს. გამოყენების სხვადასხვაობა ფრიად თვალში საცემი ფაქტია: ვის არ შეუმჩნევია, რომ უცხო ენის ათვისების დროს გაკვირვება გამოუწვევია ორ სიტყვას საკუთარი ენის ერთი სიტყვის ნაცვლად (ან პირიქით), რასაც „გამოყენების“ სხვადასხვაობისაკენ უბიძგებია, რადგან სიტუაცია გართულებულა ან ძალზე გამარტივებულა. ეს არ არის დაუძლეველობა, მაგრამ ეს არის შეფერხება; ჩვეულებრივ, ასეთი გაკვირვების საფუძველი დედაენასთან გაუცნობიერებელი შეჯერებით გამოვლინდება. თუ სახელწოდებების რიგს ადვილად ვუფულებით, გაცილებით უფრო გვიძნელდება ნაწევროვან სტრუქტურებში შეღწევა, რაც უკვე სათანადო ენის ოპერაციებისა და სემანტიკის კანონის ცოდნას მოითხოვს. თვით ბგერათა ფონოლოგიური ოპოზიციის წვდომა მას

შემდეგ ხერხდება, რაც სემანტიკურ ოპოზიციას ეცნობა კაცი (კუდი — ქუდი, სარი — ზარი...). მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ აქ მონაწილე ოპოზიციური წყვილები გამოყენებულია ფონემური ოპოზიციის გამოსავლენად და არ წარმოადგენენ „ველის“ წევრებს შინაარსის პლანში. მაგრამ, რომ სემანტიკური სხვაობა არა, ამ ფონემათა ფონოლოგიური ოპოზიციის გაცემა ძნელი იქნებოდა, იქნებ შეუძლებელიც. მაშასადამე, ფონემის ათვისებაც არა ჰგავს ნომენკლატურის ათვისებას. ფონემის ფაქტიც კი მოწმობს, რომ ნომენკლატურისეული არ შეიძლება იყოს „საკუთრივ“ ენობრივი, და ეს იმიხდა მიუხედავად, თუ ენის რა დონეს განეკუთვნება იგი. ეს ხდება, ალბათ, იმიტომ, რომ ფონემა თვითონ არის დიფერენციალური სიდიდე, განსხვავებით ფიზიკური ბგერისაგან, ისევე, როგორც სიტყვა არის დიფერენციალური სიდიდე — განსხვავებით სახელწოდებისაგან.

ამ შემთხვევაში „დიფერენციალური“ იმას ნიშნავს, რომ ფონემა „დიფერენციალური“ სტრუქტურის, ენის, როგორც ფორმის, წევრია და არა იმას, რომ თვითონ არის დიფერენციალურ ელემენტებად (სუბსტანციებად!) დაშლადი.

შინაარსის დაღმინის ბარემობრივი შაქტორების კრიტიკა

თუ გვსურს მივაგნოთ ენის სიღრმისეული მოქმედების კვალს ადამიანის აღქმასა, წარმოდგენებსა და სხვა ინტელექტუალურ პროცესებში, წინასწარ კრიტიკულად უნდა იქნეს დაძლეული ის თვალსაზრისები, რაც ენის გაგებაში იჩენს თავს და რასაც ჩვენ „ნომენკლატურის“ საერთო სახელწოდებით ვაერთიანებთ. ესაა თვალსაზრისები, რომლებიც სიტყვის მნიშვნელობათა კლასიფიკაციის დროს გარეენობრივ, ე.წ. საგნობრივ კრიტერიუმებს მიმართავენ იმ მარტივი ფაქტიდან ამოსვლით, რომ სიტყვა საგანზე „მიუთითებს“ და რომ იგი ცნებას გამოხატავს.

ფ. დე სოსიურმა თავისი წიგნი დაიწყო ნომენკლატურის ნაივური

თვალსაზრისის კრიტიკით, მაგრამ იგი დღესაც ღრმად არის გამჯდარი, ლინგვისტოა ცნობიერებაში. მეტიც; თვითონ ის ფაქტი, რომ ადამიანს ჩვეულებრივ ძნელად დააჯერებ, სიტყვა საგნის ეკვივალენტური არ არისო — უკვე იმას მოწმობს, რომ სიტყვა საგანთან არის გაიგივებული, სიტყვა ამ საგნის სრულიად სანდო მონაცვლეა. მაშასადამე, „ბუნებრივი ლოგიკისათვის“ სიტყვა ხელს კი არ გვიშლის საგანთა შემცნებაში, არამედ იგი საგნის ტოლფარდია. განცდისეულად სიტყვებს საგნობრივი მნიშვნელობა ენიჭება და ხდება ისე, რომ „ვერბალური“ საგნები ცხადდება რეალურ საგნებად, რომელთა შექმნაშიც, რა თქმა უნდა, ენის მონაწილეობა უკვე ძნელი წარმოსადგენი ხდება.

მეტყველის ბუნებრივ ლოგიკაში ენის ასეთნაირ გაგებას, როგორც ვხედავთ, რაღაცნაირი ფსიქოლოგიური გამართლება ეძებნება. მაგრამ მეტყველის ეს თვალსაზრისი, როგორც ითქვა, ენის შესახებ მეცნიერებაშიც არის შეჭრილი. ამ თვალსაზრისის მომხრენი თითქოს ასახვის გნოსეოლოგიურ პოსტულატს ედავებიან იმის გამო, რომ არ არის პარალელიზმი რეალობასა და ენობრივს შორის. ცხადია, საგნობრივ კრიტერიუმზე უარის თქმა არ უნდა გავიგოთ თვითონ საგანზე უარის თქმად! ენა ჩართულია ადამიანის საგნებთან ურთიერთობაში და სწორედ საგნობრივი ცნობიერების აგებაში მონაწილე ფაქტორია. მაგრამ საგნობრივ კრიტერიუმს მაინც ძალაში ტოვებენ: რამდენი საგანიცაა, იმდენივე მნიშვნელობაა.

ჩვენში ა. ჩიქობავა შეეხო ამ საკითხს. მისი დეფინიციის მიხედვით, „სიტყვის მნიშვნელობა“ და „აღმნიშვნელობითი ფუნქცია“ სინონიმები. ბოლო დრომდე იგი ღრმად იყო დარწმუნებული, რომ სიტყვის მნიშვნელობა მდგომარეობს მითითებაში გარკვეულ ობიექტურ მონაცემებზე“ [12. 174]. ავტორი არ ასხვავებს ერთიმეორისაგან სიტყვის ბგერით მხარესა და თვითონ სიტყვას. მისი მაგალითი, რასაც ხშირად ვიმოწმებთ, ეხება სიტყვას — „ცხედარი“, რომელიც ძვ. ქართულში მიუთითებდა საწოლზე, ახლა მიუთითებს — მიცვალებულზე [2. 173]. „აი ეს მითითება შეიცვალა... რადგან მნიშვნელობა მითითებაა“ (იქვე). კეთდება დასკვნა: „ძველ ქართულში ეს სიტყვა ერთს

ობიექტურს მონაცემზე მიუთითებდა, ახალში — სხვაზე მიუთითებს: სიწყვამ იცვალა მნაშვნელობა, ერთის ნიშანი იყო, სხვა მონაცემის ნიშნად იქცა“ — (იქვე). აქვე ვიძვევით: სიწყვამ კი არ იცვალა მნაშვნელობა, ეს უკვე ორი სხვადასხვა სიწყვაა — ბგერითად ერთნაირი. სხვადასხვაა იმიტომ, რომ სხვადასხვა დროისა და სხვადასხვა სიტყვათაგანის წევრია: ცხედარი (1) ძვ. ქართულში — ლოგინი („მომცა მე ღმერთმან მცირე ესე ლოგინი და ტყავი მას ზედა“), საკაცე („დასდგამიდეს ცხედრებითა და საკაცებითა“), საწოლი, სარეკელი, სასუენებელი [1. 521]. ცხედარი (2) — ახალ ქართულში მიცვალებული, გვამი... ეს სხვადასხვა სიბრტყეა. ამ სიტყვამონიშვნელობების ერთიმეორის გვერდით დაყენება, ვთქვათ, პოლისემიის ან ომონიმიის მიხედვით, ან ბუდობრივი პრინციპით ანაქრონიზმი იქნება. განსხვავება თანამედროვე ქართველის წარმოდგენაშიც არის არგულილი: „ცხედარი განბანეს“ — აქ ტახტი არავის ახსენდება. შინაარსების კვლევის დროს ბგერითი წარმომავლობის მსგავსებაზე ყურადღების გადატანამ შეცდომაში შეიძლება შეგვიყვანოს. ამდენად: სახელი და სიტყვა სხვადასხვა რამეა. სიტყვის მეორე მხარეს სიცარიელე კი არ არის, არამედ შინაარსია და განუყრელია იგი ბგერითი ფორმისაგან.

მისი მიმდევრის, ბ. ფონხუას წიგნში — „ქართული ლექსიკოლოგია“ [9] უგულებელყოფილია „შინაარსის ფენა“ და აქაც ქართული ენის ლექსიკოლოგია ონიმასიოლოგიურ პრინციპზე უფრო იგება, ვიდრე სემანტიკურზე. ამას არც ავტორი უარყოფს, მაგრამ არ აქვს ბოლომდე გააზრებული, რომ მიზანი ასე ვერ მიიღწევა.

მაგრამ თუ ა. ჩიქობავა სინტაქსში ფორმალური პრინციპის თანმიმდევარი დამცველია [13], ლექსიკოლოგიაში იგი „ობიექტივიზტია“. **ონომასიოლოგია ან ონომასიოლოგიური პრინციპი მიაჩნდა მთავარ პრინციპად. საუბარში უთქვამს, კიდევ, რომაელ ჯარისკაცებს ესა და ეს იარაღი რომ არ ჰქონოდათ, მათი სახელები ხომ არ გვეცოდინებოდაო. ეს ონომასიოლოგის ტიპური მსჯელობაა! ეს ცოუნებაა და ბევრს მოსდის: შინაარსის პლანში ენობრივის დანახვას ბგერი ვერ შეეწვია!**

აღიარებენ. მის მნიშვნელობას, მაგრამ მას ცოტა თუ იყენებს. „მითითება“, მართალია, არაინდივიდუალურია, სოციალურია, მაგრამ თვითონ სიტყვა „მითითება“ მისათითებელს წინასწარ მოცემულად გულისხმობს (სულ ერთია რომელ სფეროში იქნება, ობიექტურად მისი არსებობა, უკვე სიტყვამდეა ნაგულისხმევი!). რა თქმა უნდა, ის, რომ მოცულობითა და გაგებით სიტყვათა მნიშვნელობები სხვადასხვა ენებში ერთი მეორეს არ ფარავენ, ბევრმა შეამჩნია, მათ შორის არნ. ჩიქობავამაც. მის წიგნებშიც არა ერთ მაგალითს ვიპოვით, მაგრამ ეს ფაქტი ენათა მხოლოდ იდიომატურ სხვაობამდე დაჰყავს, ნიუანსურ-სტილისტურ განსხვავებამდე, რაც ენათა სხვაობის შინაარსეული გააზრების საკიოხამდე არც აღის*.

როგორც ითქვა, მას სემასიოლოგია — თუ თეორიაში არა, პრაქტიკულად — დაჰყავდა ონომასიოლოგიაზე, რომელიც თავისთავად დიდად საჭირო დისციპლინაა (მრავალგზის დაკავშირებული ლინგვისტური გეოგრაფიის გამოკვლევებთან), მაგრამ არაკორექტულია დებულება, თითქოს სიტყვები საგნებთან სახელის თუ სახელწოდების მიმართებაში არიან. ენობრივი შუაფენა, სადაც სწორედ შინაარსები უნდა ვეძიოთ, ცალკეულ ენებს შორის სხვაობს — ერთი და იმავე საგნებისა თუ ცნებებისათვის (ერთგულება, შური...) სახელების მიკუთვნება მზა რეზერვუარიდან არ ხდება. კვლევის ასეთი წესი მოითხოვდა ახალი მეთოდების შემოქმედებასა და დანერგვას. ჰელმუთ გიპერის აზრით, [46. 35], სიტყვათშინაარსების ნაკლოვანმა დეფინიციებმა ახალი მეთოდები მოითხოვა და ველის თეორია წარმოშვა.

* გასაკებია, რომ ბოლო ხანებში უნივერსალიების ძიების ტალღამ გაანელა ინტერესი ამ მიმართულებით. მეორე მხრივ, უკიდურესმა რელატივიზმმა, რასაც იცავდა ბ. უორფი [98] და, რაც ენათა სხვაობა კი არა, ენათა ორად დაყოფა უფრო იყო (ევროპა და არაევროპა), ასევე გაანელა უნიკალურის შემჩნევის ხალისი. მაგრამ ენის მეცნიერული გრამატიკის დაშვები ვერ გამოირიცხავს შინაარსის უზარმაზარ სექტორს ვერც გრამატიკული ძიებიდან და ვერც, მით უფრო, სიტყვათკვლევიდან. უნივერსალიების ძიება აუარსოვებს თუ არა ჩვენს ცოდნას? არნ. ჩიქობავა ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ ეს ასე არ იყო, ოღონდ არა სემანტიკის სტატუსის გამო, რასაც იგი უნივერსალურად თვლიდა (თუშეცა ამის გამო ფორმალურ ლინგვისტიკას ედავებოდა).

მაგრამ ქართული საენათმეცნიერო კვლევა-ძიება ამ მიმართულებით არ განვითარებულა: სემანტიკასა და ონომასოლოგიას შორის მკაფიო ზღვარი არ აღნიშნულა, უფრო სწორად, სემანტიკა დავიდა ონომასოლოგიამდის.

ჩვეულებრივ ლექსიკოგრაფიულ პრაქტიკაში ვერ მიჯნავენ ხსენებულ ორ დარგს ერთიმეორისაგან. ანბანურ ლექსიკონში იცემატურად გაერთიანებულ მასალას სიტყვათა შორის ორგანული შინაარსობრივი კავშირის გარეშე აჯგუფებენ. ამიტომ სიტყვანი მნიშვნელობათ-ლექსიკონთან ერთად საგანთლექსიკონიცაა, მაგრამ ასეთია ცივილიზაციის მქონე ყოველი ქვეყნის ლექსიკონი, მათ შორის ქართულიც. სიძნელეს თეორიის ნაკლოვანება ქმნის (მაგ. ველის თეორიის) და არა უთუოდ მასალის სიუხვე და სიჭრელე.

მეორე ამდაგვარი თვალსაზრისის თანახმად, რომელიც სემიოტიკურია, სახელი მიმართებაშია შხა ცნებასთან, რაღაც შხა იდეალურ ფაქტთან ანუ ნაგულისხმევთან (ითქოს ამ ნაგულისხმევს თავისთავად ჰქონდეს რაიმე გარკვეულობა). ასეთი დაშვების შემთხვევაში სახელი ნებისმიერი, პირობითია აღსანიშნის მიმართ. ცხადია, რაკი აღმნიშვნელსა და აღსანიშნს შორის არ არის ორგანული და იმთავითვე მოცემული ერთიანობა, უნდა დავუშვათ მასთან ხელოვნური, ნებისმიერი, შეთანხმებითი, პირობითი კავშირი. სემიოტიკოსების მსჯელობა და ტიპიური მაგალითი ასეთია: წითელი ფერი ქუჩაში მოძრაობის დროს რომ „შეჩერებას“ აღნიშნავს და მწვანე „სვლას“, ეს სრულიად პირობითი აქტია: წითელი არაფრით არ ჰგავს თვითონ იდეას. ამ საზოგადოებაში „წითელი“ შეჩერებას აღნიშნავს, რადგან აქ ასე შეთანხმდნენ. მაშასადამე, მათ ურთიერთობაში ჩართულია რაღაც პირობითი მოტივი და ამის ძალითაა წითლის ასეთი ფუნქციონირება. ეს კომბინაცია ორ ჰეტეროგენულ მომენტს აერთებს. მაგრამ რაკი ეს ხდება სისტემაში — მწვანე, ყვითელი, წითელი, — ამდენად იგი შესაძლებელია ენის ანალოგონად გამოიმდგარიყო. მაგრამ აქ მაინც სისტემამდე წინასწარ უკვე არსებობდა ორივე სუბსტანცია — ფერი და იდეა „მოძრაობა-უძრაობისა“; „შეარჩიეს“ და სრულიად ცნობიერად შემოიღეს ასეთი ხმარება; აქ მთავარი ის კი არ არის, თუ ასეთ კავშირს რა მოტივი და მოსაზრება დაედო საფუძველად (შესაძლებე-

ლია, იგი იყოს სრულიად შემოხვევითი და პირობითი, როგორც ეს შუქნიშნების შემოხვევაშია და შესაძლებელია, მოტყვირებული, როგორც ეს მედიკინის სიმბოლოზეა — ფიალა გველია), არამედ ის, რომ დიფერენცირებულად ისინი არსებობდნენ მანამდე და აქ მოხდა მათი ხელოვნური სინოეზი: სოსიურის ენა, ფერის „სპირიტუალიზაცია“ და იდეის „მატერიალიზაცია“.

ეს მოხდება ყოველთვის, როცა განხრახვის, საზოგადოდ გაცნობიერების მომენტი ჩაერთვის. ასეა საკუთარ სახელებში და ასეა ტერმინებში. მაგრამ ასე არ ხდება ბუნებრივ ენაში სიტყვის აღმოცენება. აქ როდია ხელოვნური და ჩარევითი პროცესი. ამიტომ მეოთხედიანი თვალსაზრისით გამართლებული იქნებოდა ბუნებრივ ენაში ორი დონე გამოგვეყო: ერთი — რეფერენციის ანუ ე.წ. ნომენკლატურის დონე და მეორე — კოლექტიური შეფასებისა.

ნომენკლატურის დონე იდეალური სახით გამოვლენილია საკუთარ სახელებსა და ტერმინებში, სადაც თვალსაჩინოა აღსანიშნა და აღმნიშვნელს შორის დამოკიდებულების შემოხვევითობა; როგორც წესი, ჯერ აღსანიშნა ცხადად მოცემული და შემდეგ მას სახელს უძებნიან (ანდაზა: „ჯერ ბავშვი არ დაბადებულიყო, სახელს არქმევდნენ“, სწორედ საკუთარი სახელის ბუნებას გამოხატავს). ასევე შემოხვევითია და პირობითი კავშირი აღმნიშვნელსა და აღსანიშნს შორის ტერმინოლოგიაში: თუ ტერმინი ბუნებრივ ენათა მიხედვით მოდიფიკაციას განიცდის, ეს მოდიფიკაცია არ არღვევს მის მთლიან სტრუქტურას, არამედ ეხება მხოლოდ აღმნიშვნელს: სამკუთხედი — რუსულად *треугольник*, გერმანულად *Dreieck* და სხვ. აღსანიშნი ცხადია ყოველი ენის წარმომადგენლისათვის. ნიშნის ნებისმიერობისა თუ პირობითობის თეზისის შშვენიერი ილუსტრაციაა ის შემოხვევა, როცა ერთსა და იმავე აღსანიშნს სხვადასხვა ენაში სხვადასხვა აღმნიშვნელი შეესაბამება. აქ თვალსაჩინოდ არის მოცემული აღსანიშნი — საგანი იქნება იგი თუ მეცნიერული ცნება და აღმნიშვნელი — ბგერათნაერთი, რასაც ჩვეულებრივ სიტყვას* უწოდებენ (მაგალითად, ვამბობთ, რომ სიტყვა „სამკუთხედი“ აღნიშნავს ამასა და ამას და სხვ.).

* სიტყვის სტრუქტურის შეს. იხ. [60].

რომ დავმდგარიყავით მეტყველის პოზიციაზე და ენა და მეტყველების აქტი ერთიმეორისაგან არ გაგვერჩია (ენა მეტყველებისათვის გაგვეტოლებინა), მაშინ უნდა მიგველო ნომენკლატურის პრინციპი — ბგერა+იდება, სადაც ბგერა და იდება დამოუკიდებელ, დიფერენციალურ ერთეულებად გაიგება (როგორც ობიექტი ფიზიკისა და ობიექტი ფსიქოლოგიისა). მაგრამ ენობრივი ერთეული არ არის ორი ჰეტეროგენული ელემენტის მარტივი ჯამი. ასეთი ვითარება საკუთარ სახელებსა და ტერმინებში უფროა. სიტყვის ფორმულა შეიძლება გამოგვესაქვა სოსიურის ანალოგიით ქალაქის ორ მხარეზე, როგორც განუსყრელზე [24]. ლ. იელმსლევის ენით, ეს არის სოლიდარობა გამოხატულებისა და შინაარსისა [29. 306]. რის გამოა ეს განუსყრელობა და რატომაა სოლიდარობა? ამ კავშირის დაშვების გარეშე გაუგებარი იქნება არაიუ შინაარსის კომპონენტი, რომელიც აუცილებლად საჭიროებს გამოხატულებას, არამედ გამოხატულების პლანის კომპონენტიც, რომელიც ენაში არსებობს მხოლოდ შინაარსის პლანთან კავშირის ძალით. მაშასადამე, როდესაც „ენაზე“ ვლაპარაკობთ, მხედველობაში გვაქვს ბგერით-შინაარსობრივი მთლიანობა, რაც ენის ყოველ დონეზე დასტურდება სხვადასხვანაირი სახით. ეს მთლიანობა არის არა კონგლომერატი ორი ჰეტეროგენული მომენტისა, არა სუბსტანციების შეერთება, არამედ ერთიანი ენობრივი ფორმა, სინთეზური მთელი, რაც იქიდან ჩანს, რომ ბგერითის ანალიზი გულისხმობს ინტენციას შინაარსისადმი და ასევე შინაარსი ძნელად მისაწვდომია ბგერითი გამოხატულების დაშვების გარეშე. ამ ფაქტის გაუთვალისწინებლობამ გამოიწვია ლინგვისტური კრიტერიუმების მოშლა, რისი შედეგებიც გამოჩნდა თვით ლინგვისტური ერთეულის ანალიზის ყოველ დონეზე.

პირველი, რაც მოხდა, სემანტიკური (ჩვენი გაგებით — ინტერპრეტაციის) დონე დაიყვანეს სიგნიფიკაციის, ე.ი. რეფერენციის დონეზე და ამით წაიშალა ზღვარი სიტყვასა და სახელწოდებას შორის. სწორედ ამ ორი დონის აღრევამ შექმნა გაუგებრობები ლინგვისტურ თეორიაში.

მკაფიოდ უნდა გაირჩეს სიგნიფიკაციის ზოგადი თეორია ლინგვისტური შინაარსების თეორიისაგან. ჩვენ შეგვეძლო გვეხმარა ტერმინი „სემანტიკა“, ტრადიციული გაგებით რომ არ ყოფილიყო

დამძიმებული. თანამედროვე ფორმალურ თეორიებში „სემანტიკას“ ხმარობენ მეტწილად „სიგნიფიკაციის“ გაგებით. რა თქმა უნდა, თუ ასე გავიგებთ, მართებული იქნებოდა ლ. ბლუმფილდის პოზიცია, რომ „მნიშვნელობა“ არ არის ლინგვისტიკის საქმე [32], რადგან ვიდრე გარეენობრივ სიჭუტაობებს არ შეეისწავლით, მანამ შეუძლებელია მნიშვნელობის საკითხის კვლევა (გრამატიკაში ეს თავს იჩენს ფუნქციის საკითხში).

მაშასადამე, იქ, სადაც, ასე ვთქვათ, შეგრძნებათა არხები „გახსნილია“ და საგანთა ნიშან-თვისებებიც თვალსაჩინო, ბგერადობით ფიქსირებული საგნები რეფერენციულ დონეზე განლაგდება, ხოლო სადაც საგანი „არ ჩანს“ და ადამიანური შეფასების ფენა ძლიერია, ენობრივი ინტერპრეტაციის როლიც მატულობს, რაც, პირველ ყოვლისა, სემანტიკური ველის ქმედებაში იჩენს თავს: ველის თითოეული წევრის შინაარსობრივი „პოზიცია“ შეპირობებულია მოსაზღვრე წევრთა პოზიციით.

პირობითად ამ ორ დონეს „ტერმინისა“ და „სიტყვის“ დონეც შეიძლება ეწოდოს. რეფერენციის ან „ტერმინის“ დონეს მივაკუთვნოთ მეცნიერული ტერმინოლოგია და სახელწოდებები (სამკუთხედი, პეტრე, პარიზი, ტრაქტორი...), „სიტყვის“ ან კოლექტიური ინტერპრეტაციის დონეს ის, რასაც ჩვეულებრივ ენის ძირითად ლექსიკაში გულისხმობენ ტრადიციულად (ძმა, სქელი, მიდის...); სიტყვის დონეზე შეიძლება ვაღკვე გამოვყოთ „მეტაფორა“, ე.ი. სიტყვები, რომელთაც ე.წ. გადატანითი მნიშვნელობა აქვთ და მოიცავენ ესთეტიკურ ასპექტს. აგებულების თვალსაზრისით „ტერმინი“ მარტივია: ბგერითი ფორმადენოტატი; „სიტყვას“ უკვე სამი განზომილება ექნება: ბგერითი ფორმა — შინაარსი — დენოტატი; მეტაფორა, რომელიც დამატებით ასპექტს მოიცავს, ოთხგანზომილებიანად შეიძლება ჩავთვალოთ.

ენათმეცნიერული კვლევის თვალსაზრისით, რეფერენციის, „ტერმინის“ დონეს ნაკლები ინტერესი ახლავს, როგორც უმარტივეს სტრუქტურას (თუმცა ზოგადი სემიოტიკის თვალსაზრისით ასეთი კვლევა ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს). „მეტაფორას“ რთული სტრუქტურა აქვს და მისი ანალიზი დამოკიდებულია ზოგადად „სიტყვის“ სტრუქტურაზე. საკუთრივ ლინგვისტური საზომების გამოყენება მიზანშეწონილი ჩანს, უპირველეს ყოვლისა, სწორედ „სიტყვის“

ან ენობრივი შეფასების დონეზე, რომელიც ენობრივი წრის სემანტიკური არეალის ცენტრში ძეგს.

ენობრივი ერთეულის აღმოცენება — სიტყვა იქნება იგი, თუ გრამატიკული ფაქტი — ხდება არა წინასწარ ცხადად მოცემული მომენტების შეერთება-შეწებებით, არამედ — სისტემაში და სისტემის პრინციპით. სისტემას აქვს თავისი მოტივი, რაც ხშირ შემთხვევაში უცნობია. რატომ? ენობრივი კოლექტივის ანონიმური მოღვაწეობა მთელი თავისი ისტორიის მანძილზე ქმნის ტრადიციას, რაც თავს იჩენს ენობრივი „შემოქმედების“ პროცესში. ამით განსხვავდება ენა სხვა, სტატკურ ნიშანთა სისტემებისაგან.

მაგრამ თუ სიტყვები არის მხოლოდ აღნიშვნა გარეთ არსებულ საგანთა და ცნებათა, მაშინ საგანთა და ცნებათა რიგი უნდა განსაზღვრავდეს მათს რიგს. თუ ასეა, იძულებული გაგხდებით, დაუშვათ, რომ ენას მხოლოდ გამოხატვისა და აღნიშვნის ფუნქცია აკისრია: უკვე წინასწარაა მოცემული დიფერენცირებული აზრითი ერთეულები და ასევე შხა მასალა ბგერათნაერთების სახით; ამოცანა ისლაა, რომ ბგერამ აზრი გამოკვეთოს და დაამაგროს, რათა იგი (აზრი) სხვას გადასცეს. ჯერ ერთი, თუ აზრი ისედაც დიფერენცირებულია და ცალკე ოდენობების სახითაა მოცემული, რაღა საჭიროა მისი ხელახალი გამოკვეთა? მეორეც, ეს „აზრი“, თუ იგი უნივერსალურია, მაშინ ენები განიხილება, როგორც ერთი და იმავე აზრის პარალელური აღნიშვნის შემთხვევები. ასეთი ვითარება კი ტერმინებსა და საკუთარ სახელებში უფრო გვაქვს.

არაფერს ვამბობთ იმაზე, რომ საგანთსამყაროს ენობრივი დუბლირება ფაქტობრივ შეუძლებელი გახდებოდა. ენობრივ ნიშანთა სამყარო რომ საგანთა სამყაროს დუბლიკატი ყოფილიყო, მაშინ ენას უნდა აღენიშნა საგნის და პროცესის ემპირიული არსებობის ყოველი შემთხვევა დაახლოებით ისე, როგორც ეს საკუთარ სახელებსა და სახელწოდებებში გვაქვს.

ბგერადობა არ არის ასეთ უშუალო კავშირში დენოტატთან.

სხვადასხვა მიდგომა აქვს დენოტატისა და ნიშნისადმი ლოგიკოსსა და ენათმეცნიერს.

ლოგიკოსისათვის ნიშანი არის სახელი, რომელიც მიუთითებს საგანზე, რასაც იგი დენოტატს უწოდებს. ეს მიმართება სახელისა

(ნიშნისა) საგანიან არის ცალსახა და არ იკვლება ენათა მიხედვით. (კვლილება შეიძლება შეეხოს მხოლოდ ბგერით (გრაფიკულ) გამო-სახულებას, მაგ., „სამკუთხედი“, ТРЕУГОЛЬНИК (დენოტატი იგივეა).

ენათმეცნიერი, რომელიც ნიშნის იმანენტურ თეორიას იცავს (იელმსლევის მიხედვით, ესაა დე სოსიური და ვაისგერბერი; მისივე განცხადებით, თვითონაც მათ მიჰყვება [19. 306]), ნიშნის სტრუქტურაში გამოყოფს აღმნიშვნელსა და აღსანიშნს, ანუ გამოხატულებასა და შინაარსს. „აღსანიშნი“ სოსიურის თეორიაში არავითარ შემთხვევაში არ არის საგანი (ენობრივი ნიშანი აერთებს არა საგანსა და სახელს, არამედ აღმნიშვნელსა და აღსანიშნს [24. 100]). „აღსანიშნს“ იგი ცნებას (კონცეპტს) უწოდებს, რაც აგრეთვე არ უნდა ავურიოთ ლოგიკურ ცნებაში, რადგან, ჯერ ერთი, ასეთი ცნების ენის გარეთ არსებობას იგი საერთოდ არ უშვებს (მისი აზრით, იდეები ამორფულია, ვიდრე ენაში გაფორმდებოდეს და მეორეც: სიტყვები რომ მხოლოდ იმისთვის არსებობდნენ, რათა წინასწარ მოცემული ცნებები გამოხატონ, მაშინ ამ ცნებებს ექნებოდათ ზუსტი აზრითი შესატყვისები ყველა ენაში“ [24. 149]), ასეთი თვალსაზრისი კი ენას უტოლებს ნომენკლატურას. ნიშნის ტიპოლოგიაში, რაც თანამედროვე ლოგიკასა და ფილოსოფიაში მუშავდება, არ არის გატარებული გამოხატულებისა და შინაარსის ასპექტების გამოყოფა ენობრივი ნიშნის სტრუქტურაში. ეს შეეფერება ამ მეცნიერებათა მიზანს — შეიქმნას ისეთი ხელოვნური ენა, სადაც ყოველი სიტყვის მნიშვნელობა იქნება ცალსახა და თანაც უნივერსალური. ასეთი ლოგიკური ენა იქნება მეცნიერების ენა. ლინგვისტიკისათვის მკაცრად ფორმალიზებული ენის შექმნის პირველი სერიოზული ცდა იელმსლევს ეკუთვნის [19], მაგრამ ნიშანთა ლინგვისტური ტიპოლოგიის აგების დროს იგი ამოდის ბუნებრივ ენებში არსებული თავისუფალი სემანტიკური ორგანიზაციის ფაქტიდან და სწორედ ამ ფაქტის სრული გათვალისწინებით ცდილობს მოუპოვოს განსაკუთრებული ადგილი ლინგვისტიკას სემიოტიკურ მეცნიერებაში.

„თავისუფალი სემანტიკური ორგანიზაცია“ იმას ნიშნავს, რომ ენებს შორის განსხვავებაა არა მხოლოდ გამოხატულების პლანში, არამედ შინაარსის პლანშიც. მხოლოდ გამოხატულების პლანში

განსხვავება ლოგიკოსებისათვის დაბრკოლებას არ წარმოადგენს, ხოლო ენათა შორის შინაარსის პლანში განსხვავებას ისინი პოლისემიად თვლიან, რაც, მათი აზრით, ახასიათებს ბუნებრივ ენას და რითაც იგი უპირისპირდება მეცნიერულ ენას. პოლისემია, მაშასადამე, თანამედროვე ლოგიკოსის სიტყვახმარებაში ნიშნავს არა მხოლოდ იმას, რასაც ამ ტერმინში ენათმეცნიერები გულისხმობენ, არამედ იმასაც, რომ სხვადასხვა ენაში თითქოს „ერთსა და იმავე“ სიტყვას სხვადასხვა მნიშვნელობა აქვს. მაგ., ქართული „ძმა“ არ უდრის მნიშვნელობით რუსულ брат-ს და მით უფრო სვანურ „მუხუბეს“, თუმცა ცხადად უნდა ითქვას, რომ ქართული ენობრივი კოდექტივის შიგნით „ძმას“ სრულიად ცალსახა მნიშვნელობა აქვს და ქართველი მას სხვა სიტყვაში არ ურევს. ასეთივე ვითარებაა რუსულსა და სვანურში და სხვა ენებში. მხოლოდ ერთმანეთთან შედარებისას ამჟღავნებენ ეს სემანტიკები სხვაობას. სიტყვათა ეს შეუთანაზომადობა ენებში მიიჩნია ნ. ვინერმა თავის დროზე მანქანური თარგმნის ერთ-ერთ დიდ დაბრკოლებად („რაც შეეხება მანქანური თარგმნის პრობლემას, გულახდილად უნდა ითქვას, მე ვშიშობ, რომ სიტყვათა საზღვრები სხვადასხვა ენებში მეტისმეტად ბუნდოვანია“ [16. 37]). რა თქმა უნდა, მეცნიერული ენის თვალსაზრისით, სადაც ცალსახად არის განსაზღვრული ყოველი სიტყვის მნიშვნელობა, ეს შეუთანაზომადობა პოლისემიად შეიძლება იქნეს გაგებული, განსხვავებით პოლისემიისაგან ერთი ენის შიგნით, სადაც გამოყოფენ სიტყვის პირდაპირსა და გადატანით მნიშვნელობებს. ერთი და იმავე სიტყვის განსხვავებულ მნიშვნელობათა ეკვივალენტები სხვადასხვა ენაში არ ითვლება პოლისემიად. ამიტომ სიტყვა „ძმა“ ან „მამიდა“ ქართულში ისეთივე ცალსახობის მქონეა, როგორც ტერმინი „სამკუთხედი“ გეომეტრიაში, ასევე, брат რუსულსა და „მუხუბეს“ სვანურში.

ამგვარად, როგორც ფორმალიზებული ენის ნიშანი, ისე ბუნებრივი ენის ნიშანი თანაბრად ცალსახაა, ოღონდ თავ-თავიანთ ჩაკეტილ სისტემებში.

ბუნებრივ ენათა სემანტიკური სისტემები, ცალ-ცალკე აღებული, ამ ნიშნით არ უპირისპირდება ფორმალიზებულ ენას.

ის პრინციპი, რასაც ლოგიკოსები იყენებენ ხელოვნური ენის შესაქმნელად, ბუნებრივ ენაშიც გვეხვდება სახელწოდებებსა და

ტიქნიკურ ტერმინოლოგიაში. ამ მასალის თარგმნა ერთი ენიდან მეორეზე ადვილად ხორციელდება იმის გამო, რომ ნიშნის სტრუქტურა მარტივია: სახელი + საგანი. თარგმანი შეეხება არა დენოტატს, არამედ გრაფიკულ გამოსახულებას. მაგრამ ენა შედგება არა მხოლოდ საკუთარი სახელებისა და ტერმინებისაგან, ე.ი. ორწევრიანი მოდელის მქონე ნიშნებსაგან, არამედ უმოავრესად სამწევრიანი მოდელის მქონე ნიშნებისაგან: ბგერითი ფორმა + შინაარსი + საგნები (სწორედ საგნები და არა ერთეული საგანი!). ამ დონეზე დენოტატი ყოველთვის ცხადი არ არის და ადეკვატური თარგმანი რთულ პროცედურას წარმოადგენს. მაგ. რუს. ТЕТЯ არ არის ზუსტი ეკვივალენტი ქართული „მამიდასი“ ან „დეიდასი“. რამდენი დენოტატი გვაქვს ასეთ შემთხვევაში? რუსულად მეტყველი დაასახელებს ერთ დენოტატს, ქართველისათვის დენოტატი ორია. რამდენია სინამდვილეში? ე.ი. რა შემთხვევაში შეგვიძლია დენოტატზე ვილაპარაკოთ? თუ იგი ენამდე არის მოცემული იმ გაგებით, რომ ენის გარეშე „უხედავთ“ და, მაშასადამე, მხოლოდ ფიზიოლოგიური ეფექტის შედეგია (თუ არა და ინტუიციის?), მაშინ ბგერები, მართლაც, საგანთა ეტიკეტებია და ენის ფუნქცია — ფოტოგრაფიული. მაგრამ არის განა ასე? შეიძლებოდა ეს გარკვეული დათმობით საკუთარ სახელებში დაგვენახა, მაგრამ სიტყვა „ხე“ ხომ თანაბრად მოიცავს, როგორც იტყვიან, აღუბლის ხესაც და დიდ მუხასაც, ისევე, როგორც „ფრინველი“ არის როგორც საცოდავი ბელურა, ისე ძლევაძმოსილი არწივი? ფოტოგრაფიული კადრი საგნისა მხოლოდ მის აქტუალურ მოცემულობას (სივრცესა და დროში) გადმოსცემს. სიტყვა „ვაშლ“-ში „ეს ვაშლი“ კი არ არის მოცემული, არამედ „ამ ვაშლის“ სწორედ ის ასპექტი, რაც არადროულ-სივრცულია. ხომ არ არის იგი სიტყვა-აზრით უკვე დანახულის აღბეჭდვა? თუ ეს ვთქვით, მაშინ წმინდა აზრი უნდა დაფუშვებოთ სიტყვაზე ადრე და აზროვნებას მივაწეროთ ის ფუნქცია, რაც ბიბლიურ გადმოცემაში ღმერთმა იკისრა... აზრმა ბგერას „დაავალა“ საგნები აღენიშნა, რომლებიც მან წინასწარ გამოყო და აცალკევა ისევე, როგორც ღმერთმა ადამს დაავალა მის მიერ შექმნილ საგანთათვის სახელების დარქმევა.

კითხვა ჩნდება: თუ აზრმა დაანაწევრა წინასწარ საგნები, მაშინ ენებს ერთი აზრითი შინაარსი ჰქონია და მათი განსხვავება მხოლოდ

ბგერის საშუალებებში ყოფილა. ამ გაკებით, ლოგიკური ცნება და სიქცვის მნიშვნელობა ერთი და იგივე გამოდის. თუ უნივერსალური აზრი იყო დამანაწევრებელი, მაშინ რატომ ერთნაირად არ დაუყო ხილული სამყარო ყველა ხალხს? სელექციის ფუნქცია თუ აზრმა ენის გარეშე შეასრულა და შემდგომში ეს ენამ გაიმეორა, ჯერ ერთი, სისტემატიკის პრინციპი რატომ არ ჩაატარა ლოგიკურად, თანამიმდევრულად (შეეშალა? შეცდომა დაუშვა?); და თუ ენა გამოხატულებაა ან განმეორებაა სელექციისა თუ სისტემატიკის ლოგიკური ოპერაციისა, მაშინ რატომ არ ემთხვევა ლოგიკური და ლინგვისტური კლასები (სისტემატიკა) ერთმანეთს? თანაც, რატომ არის ეს კლასები სხვადასხვანაირი სხვადასხვა ენაში?

როგორ მოხდა, რომ აზრმა დაანაწევრა სამყარო ფერის, გემოს, მოხაზულობის... მიხედვით? ეს აზრმა (წმინდა აზრმა) დაჰყო, თუ ადამიანებმა დაჰყვეს გონითი ფუნქციების მოშველიებით? თანაც ცალკეულმა პირებმა კი არა, არამედ სოციალურმა ჯგუფებმა, რომლებმაც ერთიანი კულტურის შექმნა დაიწყეს?

გარესამყაროს აგენტთა სელექცია აუცილებელი იყო ადამიანის, როგორც ფიზიკური, ისე გონითი ორიენტაციისათვის სამყაროში. ეს იყო ინტელექტისა და ენის ერთიანი მოქმედება — განუყოფელი ლოგოსი.

კლასებში გაერთიანება და დანაწევრება, ანალიზი და სინთეზი, დიფერენციაცია და იდენტიფიკაცია ადამიანური უნარია, რაც ყველგან ვლინდება. ენობრივი დანაწევრება და იგივეობა გონების პირველი არაცნობიერი ოპერაციაა, რაზედაც შემდგომში იგება ლოგიკური ანალიზისა და სინთეზის ცნობიერი ოპერაციები. თუ ლოგიკა ენის განმეორება არ არის, ყოველ შემთხვევაში, მის მიერ დაწყებული საქმის გაგრძელებაა: ლოგიკა და მეცნიერება ანაწევრებს და აერთიანებს კლასებში მოვლენებს მკაცრად დამუშავებული საზომების მიხედვით. მანამდე (და პარალელურად) იმასვე აკეთებს ენა, ოღონდ ფარულად და „არამკაცრად“. ასე რომ, ენობრივი მოდელირების ნიშნად „თვალწინ აქვს“ თეორიულ აზროვნებას და თვითონ მეცნიერს, რომელიც, ლოგიკური მოდელის ცნობიერ აგებამდე, ადრეული ბავშვობიდანვე არის დაჩვეული საგნებზე ოპერირებას წინასწარ მოქმედი ენობრივი პროგრამით.

როცა სიტყვის გამოყენების საფუძველს ვეხებით, ჩვენ ვამბობთ, რომ ეს საფუძველი არის ერთი „განათებული“ საგანი, ამდენად, გაშუამავლებული, და არა ჩვენი უშუალო რეაქცია გრძნობად მონაცემებზე, როგორც შეგრძნებათა კომპლექსზე, ვთქვათ, სიტყვა „ლუკმა“ შემთხვევაში — როგორც ოპტიკურ, კინესთიქურ და გემოს შეგრძნებათა კომპლექსზე. ასეთი კომპლექსი ყველას აქვს. „ლუკმა გადაყლაპე!“ როცა ბავშვს ვეუბნებით, სიტყვა „ლუკმა“ არ არსებობს სხვაგან, თუ არა ენაში, ამჯერად, ქართულ სიტყვათხმარებასა და ენობრივ ცნობიერებაში* (შდრ. მაგ., რუს. проглотить кусок და кусок ткани, железа), იგი არის ენობრივი ხედვის შედეგი. უფრო ზუსტად: ობიექტური მონაცემი ენობრივი რაკურსით არის დანახული და ამდენად „ობიექტივაციის“ ფაზაშია ატანილი. ამ შემთხვევაში ობიექტივაციის აქტს თითქოს ლინგვისტური დასაბუთება ეძებნება, მეტყველების აქტებში ობიექტივაციის აქტს ვადასტურებთ, რომელსაც, თავის მხრივ, ლინგვისტური საფუძველი აქვს.

თუ „საგნის ცნობა“ გულისხმობს რაღაც აპერცეფციასაც, ენა ერთი აუცილებელი კომპონენტია, როგორც ინტელექტუალური აქტივობის პირველსახე. რატომ ვუწოდებთ ენას ინტელექტუალურ აქტივობას? რადგან „განზოგადება“ უკვე ენაშივე გვაქვს: კლასების აგება ფაქტია სუბლოგიკურ დონეზე. არავითარი უნივერსალური ლოგიკური პრინციპით არ არის ნაკარნახევი „ლუკმა“, როგორც კლასი და, ვთქვათ, „ჭმუჭუნა“, როგორც ოპერაციების მოდელი.

მაშასადამე: „ლუკმა“ არსებობს ენაში და მისი, როგორც ენობრივი დიფერენციალის გაზომვა — გამოყოფა არ მოხერხდება გარეენობრივი კრიტერიუმებით — არც საგნობრივითა და არც ლოგიკურით. ამიტომ უნდა დაიძებნოს მისი მნიშვნელობის დადგენის იმანენტურ-ლინგვისტური საზომი და არა მხოლოდ აღსანიშნულ მითითება.

როდესაც რუსული სიტყვა переносица შეითვისა ქართველმა, ის, რაც აქამდე მისთვის გაუდიფერენცირებელი „შუბლ-ცხვირის

* ამ შემთხვევაში, ქართულ ენაში მისი სემანტიკური ადგილის თვალსაზრისით მნიშვნელობა არა აქვს იმ გარემოებას, რომ ეს სიტყვა შემოსულია სხვა ენიდან.

ნაწილი“ იყო, (როგორც ქართული ენობრივი წრის წევრისათვის), ამჯერად ენით გაშუქებული „საგანია“ და იგი თავის მეტყველებაში (რუსულად) არა მხოლოდ იყენებს ბგერათა (ფონემათა) ახალ კომბინაციას, არამედ ეუფლება შინარსის კომპონენტს და მის ხმარების წესს; გარდა ამისა, თითქოს იძენს ხედვის ახალ პერსპექტივას: ენამ გაუნათა და მისმა შუქმა არე შემოავლო შუბლ-ცხვირის იმ „ნაწილს“, რაც ამიერიდან უკვე დამოუკიდებელი აღქმითი სეგმენტი თუ ცდის ელემენტია. ბგერათკომპლექსი *переносица* მის მეტყველებით პროცესში უკვე „გარკვეულობის“ მქონე ობიექტს აღნიშნავს, რასაც აქვს ობიექტის ყველა თვისება: მოცულობა, ფორმა (მოხაზულობა), მდებარეობა. თანაც, *переносица* არის არა რომელიმე პიროვნების შუბლ-ცხვირის სეგმენტი, არამედ კლასის სახელი და ეს კლასი რუსული ენობრივი კოლექტივის შიგნითაა აგებული, რაც არ გამოიყვანება არც კაცობრიობის ზოგადლოგიკური პრინციპიდან, არც თვალის ფიზიოლოგიური სპეციფიკიდან და არც ინდივიდის ნება-სურვილიდან, რადგან იგი საერთოა მთელი ენობრივი კოლექტივისათვის და „სავალდებულო“. ადამიანის ჩვეულებათა, საგანი ჩათვალოს სიტყვის გამოყოფის საფუძვლად ნამდვილად კი, მას საგნობრივ სინამდვილეში გადააქვს ენობრივი შინაარსები და მიაწერს რეალობაში არსებობის თვისებას. „დღედა-მამიდა-ბიცოლა“ (შდრ. რუსული *тетя*) მიმართებები მას მიაჩნია რეალურ მიმართებად, მაშინ როცა იგი თავისი ენიდან შეითვისა და გარეთ გაიტანა. მაგრამ ადამიანი უსაზღვროდ ენდება თავის ენას, მიიჩნევს რა მას საგანთა ვითარების ზედმიწევნით უკუფუნად. აქ მულავნდება უცნაური და საინტერესო რამ: საგანთა მსგავსება-განსხვავების ერთადერთი სქემაა ენის სქემა; ენის გარეშე საგანთა მსგავსება-განსხვავების ბუნებრივი საზღვრები თითქოს არ ჩანს და ვერც დავადგენთ; სად უნდა დაისახსროს პროცესები და საგანთშთაბეჭდილებები — ამასაც ასე ადვილად ვერ ვიტყვით. უცნაური სხვა რამეცაა: ადამიანისათვის არსებობს მხოლოდ სახელდებული საგნები და ასეთი საგნები, მისი შთაბეჭდილებით განსაკუთრებული რეალობის მქონეა; ეს ალბათ იმიტომ, რომ ასეთ საგნებს აქვთ შინაარსობრივი სტრუქტურის წევრობის თვისება, ყოველი მათგანი სემანტიკური ბადის სტაბილური წევრია. ასეთ საგანს იხსომებს იგი ჩვეულებრივ და მხოლოდ ასეთ საგანზე შეუძლია გამოთქვას აზრი. რას ნიშნავს უცნობი საგანი? რომლი? ' ' '

არ ვიცი, რადგან სახელის ცოდნა უკვე მისი რომელიმე კლასში, გაერთიანებაა ერთგვარი დასკვნის წესით.

სულიერი განცდების აღმნიშვნელ სიტყვათა კლასიფიკაციაც თითქოს მაშინაა შესაძლებელი, როცა თვითონ ამ სულიერ განცდათა სახეებსა და ბუნებას გავეცნობით. მაგრამ სად არსებობს სულიერ განცდათა წინასწარი ტაბულა? ასეთი ტაბულა, როგორც ითქვა, არა გვაქვს.

მაშასადამე: როცა ვამბობთ სიტყვა საგანს აღნიშნავსო, ეს, რამდენადაც მეწყველის პოზიციას გამოხატავს, სწორია, მაგრამ ლინგვისტური ინტერპრეტაციის გარეშე მეცნიერულ დებულებად არ გამოდგება. რა არის საგანი, როცა მას ენასთან მიმართებაში ვიღებთ? რა არის აღნიშვნა? რას აღნიშნავს სიტყვა „ძმა“? იგი შეიძლება კონკრეტულ შემთხვევაში კონკრეტულ პიროვნებაზე მიუთითებდეს, რომელიც შეიძლება ვილაცის ძმა იყოს, მაგრამ როდესაც აღნიშნული პიროვნება ქართულმა კაცმა ვილაცის ძმად ჩათვალა, იგულისხმა ერთი დედმამიშვილობა; ამით მან აღნიშნა ან გამოხატა არა უნივერსალური ცნება „ძმისა“ (თუ ასეთი შესაძლებელია), არამედ ქართულ ენობრივ კოლექტივში მიღებული „ენობრივი ცნება“, ან „ვერბალური საგანი“ (როგორც ჩვენ მას ვუწოდებთ). „აღნიშვნა“, ამდენად, არის არა შზა საგანზე ბგერითი ეტიკეტის მიკვრა, არამედ იმ სინაეზის ემპირიული რეპროდუქცია მეტყველებაში, რაც ენაში უკვე არსებობს ბგერითი ფორმისა და შინაარსის სახით.

ენა თავის ფუნქციას მარტო მაშინ არ ავლენს, როდესაც აზრებს ბგერითად გამოვთქვამთ და ამ აზრებს ერთმანეთს ვუზიარებთ. ენა „მოქმედებს“ მაშინაც, როცა ვაზროვნებთ გამოუთქმელად და თუნდაც როცა პრაქტიკულად ვსაქმიანობთ, ოღონდ სამეტყველო ხმის გარეშე. ირკვევა, რომ მაშინაც კი, როდესაც აზრებს გამოვთქვამთ და ვმსჯელობთ, თვითონ ეს მსჯელობა თუ შეფასება რაიმე მოვლენისა შესაძლებელია მოტივირებული იყოს არა მხოლოდ საგნობრივი ვითარებით, არამედ რამდენადმე ენითაც, ჩვეულებრივ — დედაენით. ასეთ დროს ენა გარეგანი ფორმა კი არ არის აზრითი პროცესებისა, არამედ ამ პროცესებში ჩართული და მათ განხორციელებაში მონაწილეა. აქედან გამომდინარე, შესაძლებელია ითქვას, რომ ენა არ არის მხოლოდ აღმბეჭდავი (ერთგვარი ეტიკეტების რიგი, საგნებზე მიკრული ისე, როგორც, ვთქვათ, ბოტანიკურ ბაღში ხეებს აქვს აბრა

აკრული), არამედ — თანამონაწილე ადამიანის მოქმედებათა სისტემაში და ამდენად საგანთა, თვისებათა თუ პროცესების ერთგვარი ანონიმური ინტერპრეტატორი, რაც ვლინდება ჩვენს დამოკიდებულებაში გარემოსთან. ზოგადად დებულება, რომ ქცევასა და ენას შორის არის რაღაც დამოკიდებულება, — შემწინეულია კარგა ხანია და მასზე მეტწილად ფსიქოლოგები მიუთითებენ. მოპყავო აგრეთვე ბავშვის ამეტყველების მაგალითები, რაც ზოგად კანონზომიერებას ავლენს [34]. ამჯერად გვაინტერესებს არა ზოგადად ენის ინტელექტზე გავლენის საკითხი, არამედ მასზე კონკრეტული ენის გავლენის საკითხი. არსებობს წმინდა ლინგვისტური ოპერაციები ე.წ. სუბლოგიკურ დონეზე, სადაც ადამიანის მეტყველებითი ქცევის რეგულაცია ხდება არა უნივერსალური სქემების მიხედვით, არამედ იმ ენის მიხედვით, რომელიც მან ბავშვობიდან ღრმად შეითვისა — ჩვეულებრივ, ეს არის დედაენა. მაშასადამე: დედაენისმიერი კლასები საგანთა და მოვლენათა დაყოფისა და დაჯგუფებისა არა მხოლოდ ბავშვობაში უნდა ახდენდნენ ქცევაზე ზეგავლენას, არამედ მაშინაც კი, როცა სივრცის, დროის თუ საგანთა განზომილების მეცნიერულ ცნებებს ვეცნობით. მაგალითად, ქართველი მრგვალი და ოვალური საგნების მიმართ იტყვის „მსხვილს“: მსხვილი მარცვალი, კვერცხი, მილი, ჯოხი... ხოლო ბრტყელის მიმართ „სქელს“ — სქელი ფიცარი. ქართულში ორი კლასია: მსხვილი და სქელი. შეუმჩნეველად მოქმედი ეს კლასიფიკაცია საგნებისა მსხვილისა და სქელის ნიშანთა მიხედვით იმპერატიულია ქართული ენობრივი წრის შიგნით. არათუ მეტყველებაში სიტყვის ხმარება არის მოტივირებული აღნიშნული ოპოზიციით ლინგვისტურ კლასებს შორის (მსხვილი-სქელი), არამედ თვით საგანთა აღქმით ფორმებშიც არ არის მოულოდნელი, თავი იჩინოს კლასებად დაყოფის აღნიშნულმა პრინციპმა. მაშასადამე, ქართულ ენაში არსებული სიტყვათაოპოზიცია მეტყველების პროცესში „აწესებს“ ნორმას აღნიშნულ სიტყვათა ხმარებისას და „წარმართავს“ ქცევას ფართო გაგებით, რაც გამოიხატება სათანადო საგნების მიმართ ეგზემპლარის კლასის ინდექსით აღბეჭდვაში: სრულიად შეუმჩნეველად, ყოველგვარი წინასწარგააზრებული ცოდნის გარეშე და თანაც სრულიად უმტკივნეულოდ (ყოველგვარი სიძნელის გარეშე) ქართული ენობრივი ერთობის წევრები მარცვალს, ნემსს, წვეთს, ფანქარს, მილს...

მიაწერენ „მსხვილის“ კლასის ნიშანს, განსხვავებით „სქელის“ კლასში შემავალი საგნებისაგან.*

სხვა კრიტერიუმი, რაც ქაროველის ამ ქცევას აგვიხსნიდა, გარდა დედანობრივისა, არ ჩანს: უნივერსალური სქემა აქ არ მოქმედებს: თუ იმას ვიტყვით, რომ რეალურად მილი მსხვილია (ან წვრილი), ხოლო ფიცარი სქელი და მეტყველებაში ეს არის ასახული, მაშინ უნდა ავხსნათ (თუკი საგნობრივი დიფერენციაცია აშომად ცხადია და თვალსაჩინო), რატომაა, რომ, მაგალითად, გერმანული და რუსული ერთ კლასში აერთიანებს იმ საგნებს განზომილების მიხედვით, რაც ქართულისათვის სხვადასხვა კლასშია? სხვანაირად: რატომ არ იყო ეს დიფერენციაცია ამ ენებში ასევე ცხადი? ერთადერთი საზომია შიდაენობრივი სტრუქტურული სხვაობა. ოპოზიციის ლოგიკურობა მკლავნდება მათს ანტიონიმურ ცვლებშიც: მსხვილი, სქელი — წერილი, თხელი.

აქედან გამომდინარე, ადამიანებს შორის საუბარი არის არა კომუნიკაციის მარტივი აქტი, მხოლოდ ინფორმაციის უბრალო გადაცემა საგნობრივი ვითარების (სიტუაციის) შესახებ, არამედ ურთიერთგაგება, რაღაც შეთანხმება ან შეუთანხმებლობა, რაღაც შეფასება ან მსჯელობა საგანთა ვითარების შესახებ... და აი, სწორედ აქ თავს იჩენს ენა არა მხოლოდ როგორც ბგერითი გადამტანი, არამედ როგორც კოლექტიური ინტერპრეტაციის ერთ-ერთი ანონიმური ფორმა.

თუ ჩვენი დამოკიდებულება სინამდვილესთან, როგორც წინაურე მეცნიერულ საფეხურზე, ისე ლოგიკური სტრუქტურების სრული დაუფლების პერიოდშიც, რამდენადმე გაშუამავლებულია ლინგვისტური კლასების მოქმედებით, თავისთავად გასაგებია, რომ ამ კლასების მოქმედების გამოვლენა ენათა მიხედვით პირველ რიგში ენათმეცნიერის საქმეა, ხოლო თუ ქცევასა და კულტურის ფორმებში ლინგვისტური ფაქტორის დადასტურება და მისი რეაქტივიზაცია

* ამავე მაგალითზე ეს ჩვენი მოსაზრება ექსპერიმენტულად შემოწმდა იხ. [21].

** (შდრ. გერმ. dick და რუს. (толстый), სადაც სხვა ვითარებაა. (ამის შესახებ ქვემოთ).

ფსიქოლოგიური ექსპერიმენტითაც მოხერხდა, მაშინ კიპოთეზა მნიშვნელობათა სტრუქტურულ-ენერგეისტული ბუნების შესახებ, თეორიულად ჩვენთვის სრულიად ცხადი, ექსპერიმენტულადაც დადასტურდება.

ამდენად, საგნობრივ საზომზე უარის თქმა არ უნდა გავიგოთ თვითონ საგანზე უარის თქმად. ენა, ადამიანის საგნებთან ურთიერთობაში ჩართული, სწორედ საგნობრივი ცნობიერების აგებაში მონაწილე ფაქტორია.

იქ, სადაც „ენა“ გაგებულია ფონეტიკურ ფორმად და სინტაქსის ფორმალურ წესათა ერთობლიობად, კომუნიკაციის თეორიაც მარტივია. თუ ვიტყვით, რომ ენა მეტია, ვიდრე ნომენკლატურა, მაშინ თავით კომუნიკაციის გაგება უნდა შეიცვალოს და ამდენად მისი სოციოლოგიური შინაარსიც.

კომუნიკაციას, მართალია, დღეს „სტიმულ-რეაქციის“ მარტივ სქემაში აღარავინ ათავსებს, მაგრამ ფაქტიურად ასოციაციონისტური სქემა ბგერადობა-აზრისა მაინც განსაზღვრავს კომუნიკაციის გაგებას და სწორედ ამ სქემას არაიშვიათად ვაწყდებით ხოლმე თანამედროვე ლინგვისტების თეორიულ შრომებში. ამავე დროს, კომუნიკაციის ის ზოგადი თეორია, რაც დღეს აერთიანებს ენას სხვა საკომუნიკაციო სისტემებთან, სრულიად არ არის საკმარისი ენის ადეკვატური თეორიის ასაგებად. კომუნიკაციაში, პირველ ყოვლისა, იგულისხმება „გაგების“ მომენტი. „გაგება“ დამოკიდებულია სემანტიკურ წესებზეც. როგორც ჩანს, ამ წესების „ცოდნა“ წყვეტს არსებითად სათანადო ენობრივ კოლექტივში საგანთა შესახებ გაგებინების შესაძლებლობას. სემანტიკურ წესებთან არის სწორედ კავშირში სიტუაციის დანაწევრების აქტი.

„სემანტიკური წესები“ აქამდე ისტორიულ ლინგვისტიკაში განიხილებოდა და ეს იყო სიტყვის მნიშვნელობის ცვალებადობის წესები, რომელსაც ფსიქოლოგიური საფუძველი ჰქონდა (მნიშვნელობის გაფართოება-დავიწროება და სხვ.). ეს იყო ზოგადი კანონზომიერება და იკვებებოდა როგორც ფსიქოლოგიიდან, ისე ლოგიკიდან.

ოუ არსებობს საზოგადოდ სიტყვათა ხმარების წესები, უნდა არსებობდეს სემანტიკური წესებიც. ალბათ, არსად ისე არ ვლინდება ენის ავტონომიურობა, ისევე, როგორც სხვა მოვლენებთან მისი მიმართების ბუნება, როგორც სემანტიკურ სამყაროში. მაგრამ ამის დანახვა ძნელია.

როდესაც სემანტიკურ ერთეულთა კომბინაციების შეზღუდვაზე ვლაპარაკობთ, როცა ვამბობთ, მაგალითად, „თხელი ნემსიო“ (წერილის ნაცვლად), ეს ჩვეულებრივ სტილის შეცდომად ითვლება, არა და, იგი ენობრივი შეცდომაა. სტილი მწერლის ან დედაენის სხვა რომელიმე კარგი მცოდნის თავისებურებაა და არა მთელი ენობრივი საკრებულოსი. შეცდომით თვლიან ლინგვისტურ სტილისტიკას ცალკე დარგად; იგი უთუოდ საექვო დარგია. სემანტიკა სტილისტიკისაგან უნდა განვასხვავოთ. მ ნ ი შ ე ნ ე ლ ო ბ ა თ ა ა ლ უ რ ე ვ ლ ო ბ ა მეტყველებაში არის ენაში ს ე მ ა ნ ტ ი კ უ რ ი ა კ რ ძ ა ლ ვ ე ბ ი ს , სემანტიკური წესების მოქმედების შედეგი. ჩეიფის აზრით, ლინგვისტი თუ იმას შეძლებს, რომ ფონეტიკურ ერთეულთა კომბინაციების შეზღუდვა იგარაუდოს, ეს ასე ადვილი არ არის სემანტიკურ ერთეულთა მიმართ. მართლაც, ფონეტიკური კომბინაციების რაოდენობა თვლადია, სემანტიკურისა კი — თითქმის უსასრულო (მაგრამ ამის შესაძლებლობას მაინც არ გამოორიცხავენ, შეუძლებელ კომბინაციებსაც აღნიშნავენ და ამ მიზნით ფონეტიკასთან ანალოგიას მიმართავენ; მაგალითად, ისევე შეუძლებელია სემანტიკაში ზოგი კომბინაცია, როგორც ფონეტიკაში „აპიკო-ველარული“ არტიკულაციაო [28. 100]). პროგნოზირება მაინც შესაძლებელია. ეს, მათი აზრით, ზოგადად ენას უფრო ეხება და მხოლოდ ამდენად — კერძოულ ენას. ჩვენ კი ვფიქრობთ, რომ, რაც „ზოგადად ენაშია“, არა თუ მოსალოდნელი არ არის კონკრეტულ ენაში, საპირისპირო ვითარებასაც შესაძლებელია ჰქონდეს ადგილი.

რა თქმა უნდა, ისე ექსპლიციტურად არ გვეძლევა სიტყვათა შინაარსობრივი შეხამება, როგორც სიტყვათა სინტაქსური კავშირი;

ამიტომ ამ გზით წესების იმთავითვე ფორმულირება სემანტიკაში, როგორც ეს სინტაქსშია, ძნელად მისაღწევია. ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ უდავო შემთხვევები განვიხილოთ და ენაში არსებულ იმ თვალსაზრისებსე მივუთითოთ, რის მიხედვითაც, ხდება დედაენაში სიტყვათა უდავო კომბინაცია ან კომბინაციის შეზღუდვა. საჭიროა ამ თვალსაზრისების გამოვლენა. დედაენაში მოქმედი ველის კანონით და სხვადასხვა ენის შედარება ამ პრინციპით. სემანტიკური წესი დედაენაში მნიშვნელობათა აღურევლობის საფუძველზე ყალიბდება.

სემანტიკური კრიტერიუმი, რარიგ პარადოქსულადაც უნდა მოგვეჩვენოს, ლინგვისტიკის იმანენტურობის პოსტულატს ასაბუთებს: ენის ერთეულს განიხილავს ლინგვისტური ინტერპრეტაციის დონეზე, ოღონდ სიტყვა „სემანტიკა“ უნდა დაზუსტდეს; თუ ლინგვისტიკა იმანენტურობის პოსტულატით ეროგვარ იზოლაციონიზმამდე მივიდა, ეს იმიტომ, რომ „მნიშვნელობა“ იყო არაზუსტად გაგებული, ამდენად იგნორირებულიც კი. „მნიშვნელობის“ უარყოფამ „ჩატება ხიდი“ სხვა ფენომენებთან ენის ურთიერთობისა, გამოაცხადა ენა სემიოტიკური სისტემების ერთ-ერთ შემთხვევად და ამით ფაქტიურად მოხსნა ენის სხვა ნიშანთა სისტემებთან მიმართების კვლევის შესაძლებლობა, შემოფარგლა რა კვლევის ასპექტი ანალოგიის პრინციპით: ან ენა გამოდიოდა ანალოგიური სხვა სემიოტიკური სისტემებისა, ან სხვა ნიშანთა სისტემები იყო ანალოგიური ენისა. გარდა ანალოგიისა, ურთიერთობის სხვა ფორმა არ იყო შემჩნეული.

ლ. იელმსლევის მიერ განხორციელებულმა ანალოგიამ ენისა და „ენის მსგავსი სისტემებისა“ უთუოდ ჩაკეტა გზა ნამდვილი ურთიერთობისა და გაუგებარი გახდა თვით მის მიერვე შემოთავაზებული პროეცირების იდეა. ისევე ძალაში რჩება სოსიურის მიერ აღნიშნული სიძნელე ენის სხვა ნიშანთა სისტემებთან მიმართებისა: წრეში ტრიალით როგორ დავაღწიოთ თავი ლოგიკურ წრეს? ვიდრე ენის სტატიკური თეორიის ფარგლებში ვართ, ეს არც მოხდება. უფრო საინტერესოა ის ტენდენციები, რომელიც სემიოტიკურ სისტემებში იერარქიის პრინციპს იცავს და ასხვავებს „პირველად“ და „მეორეულ“ სისტემებს. მაგრამ ეს კვლევა ჩვეულებრივ იფარგლება ლოგიკური

და ეთნიკური ენების ურთიერთობით, სადაც ლოგიკური მეორეული ჩანს. ამ შემთხვევაშიც კვლევა მიმდინარეობს არა რომელიმე ბუნებრივი ენისა და მეცნიერული ენის მიმართების ხაზით, არამედ საზოგადოდ ემპირიული ენისა და მეცნიერული ენის ხაზით — ძირითადად პოლსემიის, როგორც სენის, განკურნების მიზნით.

ესეც სტატისტიკური თეორიაა. ვიდრე არ იქნება გამოვლენილი ენის ენერგისტული ფუნქცია, მისი ანონიმური მოქმედების ასპექტები, მანამდე იერარქიის სქემა მექანიკურ პრინციპზე იქნება აგებული.*.

სემანტიკური წესების ცხადყოფა უნდა მოხდეს ენათა შედარების მეოილის მოშველიებით.**

მაგრამ მანამდე საჭიროა საკუთრივ ლინგვისტიკაშივე გაირჩეს ერთიმეორისაგან „ენობრივი შინაარსი“ და „სიტუაციური შინაარსი“; ლინგვისტური ნიშნის მიმართება სიტუაციასთან მაშინ გახდება გასაგები, როცა სათანადოდ დადგინდება „ლინგვისტური შინაარსის“ ცნება.

სემანტიკური კანონების ცოდნა და ექსპლიკაცია გამოაჩენს იმ მიმართულებასაც, რაც ენის როლს შეეხება გარემოსაგან მომდინარე იმპულსების „მეორე“ გადამუშავებასა და განცდათა კლასიფიკაციაში ლინგვისტური ასპექტების გამოსაყოფად. ამავე დროს, ეს გვესახება გზად იმანენტური ლინგვისტიკის ენერგისტულ პრინციპებზე ასაგებად და ამით ლინგვისტიკის ადგილის გასარკვევად ზოგადანთროპოლოგიურ და სოციალურ მეცნიერებებში.

რას ვგულისხმობთ ენერგისტული თვალსაზრისით „სემანტიკურ წესებში“, რომლებიც დაკავშირებული არიან ინდივიდის ქცევის ფორმებთან? „სემანტიკური აკრძალვა“ ერთი ასეთი გზაა.

ამთავითვე უნდა ითქვას, რომ „სემანტიკური წესები“ არ არის

* ენის სემანტიკური წესების ნათელყოფა გამოავლენს ენის როლსა და მონაწილეობას ე.წ. „მეორეულ ნიშანთა“ სისტემებში; მისი ანონიმური მოქმედების ცხადყოფა გასაგებს გახდის აგრეთვე მასზე დაშენებულ ნიშანთა სისტემებში კომუნიკაციისა და შეთანხმების მექანიზმებს, კულტურული შემოქმედების მიმართულებას (რამდენადაც ენა აძლევს კულტურას კალაპოტსა და ქარგას).

** ამ თვალსაზრისით სათანადო ფაქტობრივი მასალა გაანალიზებულია [71].

რომელიმე მეტყველი ინდივიდის ქცევის ფსიქოლოგიური კანონები. რამდენადაც კანონზომიერებას აქვს არაინდივიდუალური ხასიათი და ახასიათებს ენობრივი ერთობის წევრთა მეტყველებით ქცევას საზოგადოდ: იგი რომ არც ზოგადლოგიკური თეორატიკებია, იქიდან ჩანს, რომ მათი „ინსტრუქცია“ სხვადასხვაა სხვადასხვა ენაში. ამ კანონებს აქვთ სოციალური ხასიათი, ოღონდ სოციალური სხვაც შეიძლება იყოს, რაც ზეპიროვნულია. ჩვენ გვანტერესებს სოციალური ქცევის ლინგვისტური ფორმები, რაც ჩვეულებრივ ენათა მიხედვით სხვაობს. რამდენადაც ენობრივ სოციუმთა არსებობა ფაქტია და პრობლემაა მათი ურთიერთობების მოგვარება (თარგმნის პრობლემა, მეორე ენის ათვისება — სწავლების საკითხი), და რამდენადაც ენობრივ სოციუმთა კონტაქტებისა თუ კომუნიკაციების გარეშე წარმოუდგენელია საზოგადოებათა და კაცობრიობის პროგრესი თანამედროვე მსოფლიოში, ლინგვისტის მოვალეობაა, გაარკვიოს ენის ფენომენში ის ასპექტები, რაც, ერთი მხრივ, ენობრივ საზოგადოებათა შემოქმედებისა და პროგრესის წყარო, იმპულსია და, მეორე მხრივ, გამოავლინოს ის მომენტები, რაც თითქოს აძნელებს ხალხთა შორის კომუნიკაციას (თუმცა ისიც უდავოა, რომ განვითარებული ენობრივი საზოგადოებები ადამიანური კულტურის ერთიან შინაარსს ამდიდრებს და მის პროგრესს ხელს უწყობს).

სემანტიკური წესები, მისი სტრუქტურული მოქმედების კანონები, ყოველ შემთხვევაში, ლოგიკური სტრუქტურებისაგან განსხვავდება, თუ ამჯერად ლოგიკურს გავიგებთ, როგორც თეორიულსა და მეცნიერულს.

ადამიანის ქცევის რეგულაცია ხდება სუბლოგიკურ დონეზეც და იგი არის არა მხოლოდ ბიოლოგიური, არამედ ანთროპოლოგიური, სოციალური და ლინგვისტური. აქვე უნდა დაზუსტდეს სოციალურისა და ლინგვისტურის ურთიერთობა. როგორც ითქვა, ყოველი ლინგვისტური სოციალურია, მაგრამ ყოველი სოციალური, რა თქმა უნდა, არ არის ლინგვისტური. ლინგვისტურის კორელატი სოციალურ ურთიერთობებში არის, როგორც ზემოთ ითქვა, ენობრივი ერთობა, ენობრივი კოლექტივი, სოციუმი.

ინდივიდის ქცევის სემანტიკური ინსტრუქცია „გასაგებია“ მხოლოდ ენობრივი კოლექტივის შიგნით. შესაძლებელია არსებობდეს რაიმე კავშირი გრამატიკულ ფორმებსა და ადამიანისეულ ინტერპრეტაციას შორის. მაგრამ ამის ჩვენება, ჯერ ერთი, მეტისმეტად ძნელია, და,

მეორეც -- ბევრ შემთხვევაში სადავო. გავიხსენოთ დისკუსია, დაკავშირებული უორფის თეორიასთან. იგი კედლობდა, დროისა და სივრცის გრამატიკული კონვერსიების ანალიზით დასკვნები გაგკეთებინა იმ ხასიათისა, თითქოს ენის გრამატიკული სურათი ახდენდეს დერერმინაციას სამეაროს სურათზე. მისი დასკვნები მექად შორსმიმავალი იყო.

ქვევის ფორმებთან ენის კავშირი ცხადად ჩანს თვით მარტივ სტრუქტურებში, მაგრამ ენერგისკულ თვისებათა გამოვლენა შედარების გზით ენობრივი შინაარსების მოხმობას საჭიროებს ფართო სპექტრით. მარტივი სტრუქტურა კი ასეთია: გერმანულში, მაგალითად, გარჩეულია die Büchse და das Glas. რუსულისათვის ეს ორივე არის ნашка — იმისდა მიუხედავად, არის შუშისა თუ თუნუქისა.

გერმანული ენისათვის აქ ორი კლასია, მაშინ, როცა რუსულისთვის ერთი კლასია. კლასის შიგნით განსხვავება თვალისათვის ორსავე შემთხვევაში შესამჩნევია, მაგრამ ფიზიკური კრიტერიუმი — მასალობრივი შედგენილობა — როგორც ჩანს, არ არის რუსულისათვის საკმარისი, რომ მათ შორის განსხვავება აღინიშნოს. „ჭურჭლის“ ზოგადი დანიშნულება მისთვის უფრო მნიშვნელოვანია. მაშასადამე, ნашка-ს მნიშვნელობა განიმარტება არა ფიზიკური მასალის მიხედვით, არამედ ინტერპრეტაციის დონიდან. ეს ინტერპრეტაცია ერთ დროს შესაძლებელია ცხადად იყო მოტივირებული, მაგრამ ამჟამად ყოველგვარი რეულექსიისა და წინასწარი „ცოდნის“ გარეშე მოქმედებს, როგორც ქვევის ერთგვარი რეგულატორი.*

* ამ დასკვნის უფლება ერთი ასეთი შემთხვევის ანალიზმა გაგვაბედინა: როგორც ეს აღნიშნული გვაქვს, მოსკოვში ხანგრძლივი დროით მყოფმა და რუსულის თითქოს კარგად მცოდნე ავსტრიელმა გაკვირვებით აღნიშნა: „ჩემმა მეზობელმა რუსმა სტუდენტმა თქვა: нужно вынудить нашу, გადაყარა და ზედ მიაყოლა корснки от консервов-ო. გერმანულ ენაზე მეტყველისათვის ეს გაოცება შედეგია იმისა, რომ გერმანულში მკაფიოდ არის გარჩეული მასალის მიხედვით ორი სახეობა ჭურჭლისა: das Glas და die Büchse, ამიტომ რუსული наша მან გერმანულ Glas-ს გაუტოლა. ის განსხვავება, რაც რატიონლაც გერმანულმა ენამ აღნიშნა, როგორც მადიფერენცირებული — ე.ი. მასალა (შუშა, თუნუქი) — იქცა საფუძვლად გერმანელის მიერ ობიექტთა სხვადასხვა კლასში ჩარიცხვისა და, აქედან ამოსვლით, რუსი მეზობლის მოქმედების გამო გაცეხისა. ეს მტრია, რა თქმა უნდა, ვიდრე ერთი სამეტყველო ქვევის რეგულაცია. ენის ანონიმური მონაწილეობის შეჩინება სულერთი არ უნდა იყოს ისეთი პრობლემების კვლევისას, როგორცაა აღქმის კარტიკონიკობა და მასში ენობრივი ფაქტორის როლი [35].

სემანტიკური ოპოზიციები მაინც მარჯივი სერუქერებია. ამასი ქვევაზე ზეგავლენა ცალკეულ შემთხვევებში შესაძლებელია საკმაოდ ეფექტურად დავადასტუროთ და ექსპერიმენტულადაც ვანვენოთ, მაგრამ ამის მიხედვით ზოგადი დასკვნის გამოტანა ენის ქვევაზე ზეგავლენის შესახებ, მეტი რომ არა ვთქვათ, არაკორექტულია. ენა — აღებული როგორც ბგერითი ფორმისა და შინაარსის ერთიანობა (ეს არის მთავარი!), მილიანობრივ უნდა იქნეს განხილული, როგორც საგნობრივ ვითარებასთან, ისე ენობრივ კოლექტივთან მიმართებაში; ამ გზით უფრო გამოვლინდება ცალკეული ენების შესაძლებლობათა მიმართულება. კონკრეტულად სემანტიკური აკრძალვის ფორმულირება გვეჩვენება ეფექტურ საშუალებად ენერგისტული სემანტიკის ასაგებად. მის მოქმედებას გზადაგზა ვანვენებთ. მანამდე გვიჩნდა შევეხოთ ერთ თავისებურებას — ენაში სემანტიკური წონასწორობის პრინციპს.

სემანტიკური წონასწორობის პრინციპი

ენათა ნაირგვარობისა და ტოლფასოვნების თეზისი ჩვეულებრივ არ იწვევს დავას, თუ იგი არ სცილდება ჰუმანურ თვალსაზრისზე დამყარებულ მხოლოდ ზოგად მსჯელობას, რადგან, როგორც კი კონკრეტულ სახეს იღებს ეს მსჯელობა, არც თუ ისე იშვიათია ასეთი ტიპის დასკვნა: „ეს ენა მეტად არის დიფერენცირებული, ის კი ნაკლებად“. ასეთ დასკვნას ორი ურთიერთგამომრიცხავი შეფასებითი მოსაზრება უდევს საფუძვლად (რომლის ფსიქოლოგიური მოტივი მაინც იმ ენის უპირატესობის გახაზვაა, რის მიმართაც მოკამათე სიმკათიურად არის განწყობილი): ერთი მოსაზრების მიხედვით, თუ სათანადო ენაში ესა თუ ის საგნობრივი ვითარება მეტად არის სიტყვიერად დიფერენცირებული, მაშინ ეს ნიუანსების გამოხატველი „მდიდარი ენაა“, ხოლო თუ არ არის დიფერენცირებული, მაშინ, მეორე მოსაზრების მიხედვით, იგი ლოგიკური იდეისა თუ ცნების დონეზე მდგომი ენაა და აბსტრაქტული აზროვნების ძლევამოსილების მანქენებელია.

ენის ეს ორნამირი კრიტიკა არა მხოლოდ „სალი აზრის“ ნაყოფია: სოფისტებიდან დაწყებული, ენას იმას უსაყვედურებენ, რომ იგი სქემატურია და არასრულად ასახავს „სისხლსავსე“ სინამდვილეს. მეორე მხრივ, სწორედ ამ ირაციონალობას, მეტადრე დღეს, ზოგი ნაკლად უთვლის ენას. გარდა ამისა, როცა ერთი ენის უპირატესობას ხედავენ მის აბსტრაქტულობაში, ხოლო მეორისას ნიუანსების გამომხატველობაში, უკვე იშვიათად თუ ვინმეს ახსენდება ენათა ტოლფასოვნების ზემოთ ნახსენები თეზისი, რადგან თუ იგი გასაგებია კუმანურ მოსაზრებათა გამო, თეორიულად და პრაქტიკულად სრულებით არ არის გააზრებული და მითუმეტეს დასაბუთებული (ეს კი, პირველ ყოვლისა, მოეთხოვება ენათმეცნიერს). პრაქტიკულად (ანალიტიკური წესით) მეორე ენის უფრო გამოკვეთილი მოდუსის მიახლოებითი გამოხატვა, რა თქმა უნდა, სეგმენტირებული სექტორები შესაძლებელია გეკონდეს, მაგრამ ძნელად დავადასტურებთ ე.წ. „შერეულ“ საფეხურს: არ შეიძლება ერთსა და იმავე დროს, როცა ვფიქრობთ „თამარზე“, — ენობრივად იგი იყოს ბიცოლაც და დეიდაც, ან „ძმა“ იყოს — ღვიძლიც და ბიძაშვილიც (შდრ. რუს. ТСТЯ და брат, სადაც ეს შესაძლებელია). დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რა ენის ბგერებს წარმოვთქვამთ — დედაენისას თუ სხვა ენისას. დედაენაზე წარმოთქმულ ბგერით ფორმასა და მნიშვნელობას შორის პირობითი კავშირი არ განიცდება: ქართ. ბგერათფორმა „ძმა“ აბსოლუტური ფიზიკური ეკვივალენტია „ძმის“ ქართულისავე მნიშვნელობისა. მაგრამ სხვა ენაზე? ჩვეულებრივ პასუხობენ ხოლმე: „ხომ გასაგებია, რაზეც არის სხვა ენაზე ლაპარაკი — „ძმა“ არის და არა, ვოქვათ, „და“, მაგრამ ასეთი „გაგება“ არ არის ყოველთვის საკმარისი ადამიანთა ურთიერთობაში. სულ სხვა ენობრივი ცნებები აქვს „ძმისა“ მაგ., უნგრელსა და ქართველს; მარტივი კომუნიკაციის დონეზე შესაძლებელია, რა თქმა უნდა, მათი ჩანაცვლება, მაგრამ წარმოვიდგინოთ სიტუაცია (თუნდაც კამათის), სადაც ყოველ სიტყვას თავისი მნიშვნელობა და თავისი გამოყენება აქვს; სხვისი კულტურის „გაგება“ და მასში შეღწევა გაგების ასეთ დონეს ვერ დასჯერდება. ასეთი „გაგება“ პრაქტიკულად უდრის „არგაგებას“. სიტყვის „ადგილი“

მყარია ენობრივი კოლექტივის ცნობიერებაში, ინდივიდის სიტყვახმარებაში იგი მერყეობს, მაგრამ მისი ამპლიტუდა არ სცილდება მანაც ენობრივი კოლექტივის „შუა წევრის“ [71] სემანტიკურ არეალს.

საქმე ისაა, თუ რანაირი კომუნიკაცია გვაქვს მხედველობაში (ეესტ-მიმიკითაც ბევრი რამ შეიძლება კაცს გააგებინო!). ენის ენერგეისტული თეორიის აგება მას შემდეგ იწყება, როცა აზრიან ბგერათფორმებს განიხილავენ როგორც რომელიმე კონკრეტული ენის სემანტიკური იდეისა და არა გარეენობრივი ზოგადი იდეის გამომხატველს, როცა სათანადო ბგერათრივი მიმართებაშია მხოლოდ მასთან დაკავშირებულ მნიშვნელობასთან, როცა ბგერათა „ესა და ეს“ კომბინაცია მხოლოდ „ამა და ამ“ მნიშვნელობისათვის არსებობს. მაგალითად, სიტყვა „ყანა“ ქართულში აჩენს წარმოდგენას ან დათესილი, ან კიდევ გადახნული მიწისას, შესაძლებელია, ლობეშემოვლებულისაც. წარმოდგენა თუ გაჩნდა, მას ენობრივი საფუძველიც ექნება. კახელისათვის შესაძლოა ყანა პურის ყანა იყოს, იმერლისათვის მეტწილად სიმინდისა, მაგრამ ველისა და მინდვრისაგან მას ორივე განასხვავებს. როგორც ითქვა, პირობითი კავშირი არ განიცდება დედაენობრივი ცნობიერების შიგნით, რადგან ბგერათფორმის გაგონებისას ჩვენ არათუ სათანადო ცნების არეს მოვხაზავთ, არამედ ერთგვარ ცოდნასაც მივიღებთ მისი ადგილის შესახებ. მეტიც: თუ უცხოურ ენაში ბგერადობა მანიშნებელია სიგნალია შინაარსობრივი ოდენობის არსებობისა, დედაენაში შინაარსთან სიმბიოზის ხარისხიც შეიგრძნობა.*

* ზოგჯერ გვაიწყდება სახელი, მაშინ როცა ხატი თვალწინაა. რა ხდება ასეთ დროს? ეს საინტერესო მოვლენაა. საქმე ისაა, რომ ხატი — ეს ენობრივი კონცეპტის ხატია, მაგრამ მისი აღმნიშვნელი არ გვახსენდება. ეს მხოლოდ იმას მოწმობს, რომ ვერ მოვახდინეთ მისი მეტყველებითი რეპროდუქცია და სხვა არაფერი. მაგრამ ის ფაქტი, რომ „ხატი“ არ არის სუბპურული, არამედ ეგამოკვეთილიცაა, მოწმობს ენობრივი შინაარსების თავისთავადობასა და ედომინანტობას. ომონიმიის ფაქტი — ერთნაირი ბგერათფორმა სრულიად სხვადასხვა მნიშვნელობებისათვის — ამისი ემპირიული ილუსტრაციაა. ერთი დროს არ გვეპყვება: მეტყველ ინდივიდს ხატი შეიძლება გაუნდეს და შეიძლება არა, მაგრამ მას, როგორც ენობრივი კოლექტივის წევრს — ხატები არ

როგორც ეს ღრავერთხელ აღვნიშნეთ, სიტყვის საგანზე მითითება ენერგისტულ თეორიაში გაიგება არა ბგერათკომპლექსის საგნობრივ შთაბეჭდილებასთან (რაც, ვთქვათ, ჩვენი თვალის ბადურაზე აღბეჭდილი) უშუალო კავშირად, არამედ გაშუალებულ კავშირად და „შუამავალი“ ენობრივ მნიშვნელობათა სისტემაა, რასაც მარეგულირებელი კანონის ძალაც აქვს და რაც ჩვეულებრივ გაცნობიერებული არ არის.

„რეგულაციის კანონი“ ჩვენ გვესმის არა როგორც საერთოდ ქცევის რეგულაცია, არამედ, პირველ ყოვლისა, როგორც მეტყველებითი ქცევის რეგულაცია და რამდენადმე აღქმითი სტრუქტურის შეპირობებულობა. რუსული банка რომ გერმანელისათვის ჩვეულებრივ „შუშის ჭურჭელია“ (das Glas) და არა თუნუქისა (die Büchse) ეს იმას არ ნიშნავს, რომ რუსული ენობრივი კოდექტივის წევრს არ შეუძლია საჭიროების შემთხვევაში განასხვავოს ეს ორი მასალით სხვადასხვა ჭურჭელი (აქვს კიდევ სიტყვა жестянка — ფაკულტატურად): საქმე ისაა, რომ მას არ სჭირდება ამ განსხვავების ჩვენება და წინ წამოწევა; სხვაგვარად: იგი არ არის მისთვის რელევანტური და ეს გასაგები იქნება, თუ გავითვალისწინებთ, რომ ენა აკუმულაციაა, ეკონომიური მექანიზმი და თუ მან საგნებს და ე.წ. ქვეკლასებს შორის ყველგან რელევანტური ოპოზიცია მოგვცა, იგი ვეღარ

აერგვა. აღურველობის განცდა ცხადია. ამას ჩვენ „დედაენაში მნიშვნელობათა აღურველობის პრინციპი“ შეიძლება უწოდოთ. არის საპირისპირო შემთხვევაც, როცა სახელი ვიცით და საგანი არა, მაგალითად, „მატიტელა“; ასეთ შემთხვევაში შესაძლებელია კონკრეტული ხატი არ გვექონდეს, მაგრამ კლასისადმი მისი მიკუთვნებულობის „ცოდნა“ უთუოდ გვაქვს: „ვიცით“, რომ იგი ყვავილების კლასს ეკუთვნის, სხვანაირად სახელს, ალბათ ვერც დავიხსოვებდით: ვერბალური აქტი სწორედ კლასისადმი მიკუთვნებულობის აქტია და ეს არის არსებითი საგნის ცნობისათვის. „მატიტელას“ კონკრეტული ხატი არ გვექნება, მისი გამოცნობაც გაგვიჭირდება, მაგრამ მისი ლინგვისტური სტატუსი ყვავილთა ნომენკლატურაში გასაგებია. „მატიტელას“ ლინგვისტური სტატუსი უფრო სტაბილურია, ვიდრე ფსიქიკურ-რეალური (არ აირევა ეს სიტყვა „მიხაკში“, „ვარდში“ და, ამდენად, მისი ჩასმა ხერხდება ე.წ. სემანტიკურ უჯრედებში). მაშასადამე, კლასის აგების პრინციპი არ ირღვევა — ესაა ამჯერად არსებითი.

მოახერხებს იყოს კომუნიკაციის მოქნილი და ეფექტური იარაღი. ამდენ დისტინქციას და მის დაცვას, ალბათ, ვერც დაიტევს მესხიერება. მაშასადამე, სეგმენტაცია-იდენტიფიკაციის ზოგადი ამოცანა, ისე როგორც კლასებისა და ტიპების აგების პრინციპი, სხვადასხვა ენაში სხვადასხვაგვარად წყდება. თუ რუსულმა არ მოახდინა **банка**-ს რელევანტური დიფერენციაცია, სამაგიეროდ, გერმანული **das Glas** არ ასხვავებს „ჭიქას“ და „შუშის ჭურჭელს“. მეტყველებითი აქტი ასხვავებს (იგი ხომ წინადადებასა, კონტექსტსა და სიტუაციასა მოცემული), მაგრამ ენა არ ასხვავებს. მეტყველებითი აქტი მიუთითებს ენობრივი ერთიანი კლასის ერთ ნაწილზე, მაშინ როცა რუსულში **стакан** და **сосуд** სხვადასხვა კლასებს ფარავს და ამდენად აქ შინაარსობრივად მეტყველებითი და ენობრივი ერთიმეორეს კვეთენ, მაგრამ მეტყველებითი დროულ-სივრცულად აკონკრეტებს („იყენებს“) ენობრივ ზოგადს: თუ ენაში სიტყვა კლასის გვარეობითი კატეგორიის აღმნიშვნელია, მეტყველების აქტში სიტყვა **стакан**, გარდა იმისა, რომ კონკრეტულ საგანს აღნიშნავს, ამავე დროს რეპრეზენტატია ენობრივი **стакан**-ისა. ასე რომ: **это стакан** ერთდროულად არის ემპირიული აქტიც (სიტუაციური) და კატეგორიალურიც, რამდენადაც ამ აქტით ეს კონკრეტული **стакан** ზოგადენობრივ **стакан**-კლასში ჩაირიცხა.

დიფერენცირება ენის ერთ ნაწილში ანაზღაურდება მნიშვნელობის დაუშლელიობით ენის სხვა ნაწილში, და ეს ბალანსი მნიშვნელობათა განაწილებისა სხვადასხვა ენაში სხვადასხვაა: ს წ ო რ ე დ ბ ა ლ ა - ნ ს ი უ ნ დ ა ქ მ ნ ი დ ე ს ე ნ ა თ ა გ ა ნ ს ხ ვ ა ვ ე ბ ი ს ე რ თ - ე რ თ ს ა ფ უ ძ ვ ე ლ ს .

ენათა თვისებაა ამ წონასწორობის შენარჩუნება. მაშასადამე, თუ დიფერენციაცია-ინტეგრაციის სტრუქტურული ბალანსი ენის ტოტალური მოქმედებაა, მისი გამოვლენის დანახვა მეტყველების მხოლოდ ცალკეულ აქტში შეუძლებელია; იგი მოქმედებს როგორც მთლიანი მექანიზმი (სინამდვილის ფაქტის გარდაქმნა ცნობიერების ფაქტად ამის ამოქმედებით ხდება). ოპოზიცია, რომელიც ერთ უბანში გვაქვს და კლასის აგების კანონი, რომელიც აგრეთვე ერთ უბანში

დავადასკურეთ, არ მოქმედებს ლოკალურად (სიტყვის წარმოთქმა მთელ ენას ამოქმედებს). გარდა კონკრეტული წესისა, აქ ამოქმედდება ამ ენისათვის დამახასიათებელი ზოგადი კანონი და ეს იქნება იმავდროულად ლექსიკური ველის, სიტყვათწარმოებისა და სინტაქსის კანონები. ყოველი წარმოთქმული სიტყვა მეტ-ნაკლებ რეზონანსს იძლევა ენის მთელს სისტემაში.

ენათა სემანტიკური შეპირისპირებისას გათვალისწინებულ უნდა იქნას წონასწორობის ფაქტორიც.

შეიძლება გვეფიქრა, რომ მეტისმეტი დანაწევრება გარდა იმისა, რომ ენაში ეკონომიის პრინციპის მოქმედებას შეაფერხებს, ადამიანის მებსიერების ზღურბლსაც გადააჭარბებს!

ენათმეცნიერის ამოცანაა, საკუთრივ ენის, როგორც ენათმეცნიერების ობიექტის, თავისთავადი გამოკვლევით მივიდეს პერსპექტივის გაფართოების საჭიროებამდე. მით უფრო, რომ ენის ფენომენი თავისთავშივე ატარებს ამის აუცილებლობას.

სამანტიკა როგორც ენობრივი შინაარსის დადგენის საზომი ენოგასიოლოგიის საპირისპიროდ

რა საენათმეცნიერო ცნება უნდა იყოს ამოსავალი სიტყვათა საკლასიფიკაციოდ? ფონეტიკური საზომებით (თუმცა მას ენობრივობის უთუო ბეჭედი აზის და თანაც რომელიმე ენისა) ლექსიკას ვერ გავანაწილებთ. სასკოლო გრამატიკიდან ცნობილი დაყოფა ე.წ. შინაარსობრივ ჯგუფებად“ თანამედროვე მეცნიერებას ვერ დააკმაყოფილებს. ენობრივი კოლექტივი უნდა გამომდგარიყო თითქოს ასეთად, რამდენადაც ენის ლექსიკა ენობრივი კოლექტივის „ყოფას ასახავს“, მაგრამ ჩვეულებრივ ავტორები მის სოციოგრაფიულ ასპექტს უფრო აჩვენებენ, ვიდრე სოციოლოგიურს, რის გამოც არ არის მთლად ნათელი, როგორ აკავშირებს ენობრივი კოლექტივი ერთმანეთთან ბგერადობასა და გარესამყაროს საგნებს. ტრადიცია, ჩვევა, რასაც ავტორები ასეთ დროს მიმართავენ, ამხსნელ ფაქტორად ძნელი

გამოსაყენებელია, რადგან „ჩვევა“ ვერ აგვიხსნის მნიშვნელობის ერთიანობას, პირიქით, ჩვევა სეკუნდარულია და თვითონ არის ასახსნელი.

რა შეიძლება „ლექსიკის შინაგანი დანაწევრებისათვის“ იყოს იმაზე მეტად „შესაბამისი“, ვიდრე მნიშვნელობა? ეს შესანიშნავად ესმით და ბევრჯერაც არის აღნიშნული, მაგრამ მნიშვნელობა გაგებულია საგნობრივ მიმართებად, შესაბამისად: სიტყვათა მნიშვნელობის მიხედვით კლასიფიკაცია — საგნობრივი მიმართების მიხედვით კლასიფიკაციად [9. 10].

ვინც საგნობრივი მიმართების (მითითების) თეზისს თანმიმდევრულად იცავს და ამდენად საგანს თვლის მნიშვნელობის დადგენისა და გამოყოფის კრიტერიუმად, მისთვის მნიშვნელობათა ლექსიკონი იქნება იგივე საგნობრივი ლექსიკონი. დორნაიფის ცნობილი ლექსიკონი მეცნიერულ ცნებათა სისტემატიკა უფროა, ვიდრე საგანთა სისტემატიკა. რანაირად გამოდგება საგანთა სისტემატიკა ლექსიკონის საფუძვლად, როცა საგანთსამყარო უბოლოვადოა და აქტები უოვალავი? თუ ეს უნდა მოხდეს ენათა მიხედვით, მაშინ იგი ხომ ენაში დადგენილ მნიშვნელობათა სისტემატიკა იქნება და არა საგანთა? ენაში ტრანსპონირებული საგანი ხომ უკვე მნიშვნელობაა, რაც მნიშვნელობათა დაჯგუფების იმ წესებში მოექცევა, რომელიც ამ ენაშია მიღებული? ეს კი სხვა არაფერია, თუ არა ენის მნიშვნელობათლექსიკონი და არა საგანთლექსიკონი?

ამასთან არის დაკავშირებული მომდევნო საკითხიც: როგორ მოხერხდება საგნობრივი კრიტერიუმით კონკრეტული ენის ლექსიკოლოგიის აგება ისე, რომ ლექსიკის მთლიანობა არ დაირღვეს და მნიშვნელობის მქონე ერთეულები არ „გაიპოს“?

საგანს ლექსიკიდან მთლად ვერ გამორიცხავ. პირიქით, ლექსიკა მაინც საგნით არსებობს, თუმცა არის ენაში სიტყვებიც, სადაც საგანი არ ჩანს. მაგრამ საგანი, როგორც ასეთი, საერთოა ენებისათვის და თუ მას კრიტერიუმად მივიჩნევთ, საკუთრივ კონკრეტული ენის ლექსიკოლოგია როგორღა აიგება? აქ ორივე ფაქტორი მონაწილეობს (უნივერსალური — საგნისმიერი და სპეციფიკური — საკუთრივ ენის ისტორიიდან გამომდინარე): ან რომელიმე მათგანი უნდა იყოს

დომინანტური, ანდა უნდა შემუშავდეს ისეთი თვალსაზრისი, რაც ამათ ერთიანობას ახსნის. ეს უნდა მოახერხოს მნიშვნელობის ცნებამ, რომელიც ორივე ასპექტს მოიცავს. ნათლად არის გასარკვევი სწორედ ამ ამოსავალი ცნების — მნიშვნელობის — ადგილი სიტყვების სტრუქტურაში: იგი ან გარეთ არის გატანილი და ამდენად გარეენობრივი ფაქტია, ან, საუკეთესო შემთხვევაში, გაგებულია ბგერითი ფორმის ფუნქციად (საგნის აღმნიშვნელია) და ამით სიტყვის მოდელი დაყვანილია სახელწოდების მოდელზე: სახელი (ბგერითი ფორმა) — საგანი, ნაცვლად სამწევროვანი მოდელისა: ბგერითი ფორმა — მნიშვნელობა — საგნები (სწორედ საგნები და არა ერთეული საგანი); ასეთი ცალსახა მიმართების დროს მნიშვნელობა ქრება!

ხშირად მნიშვნელობათა დაუმთხვევლობა ენებში აღნიშნულია. ისიც არის ნათქვამი, რომ ენები არ წარმოადგენენ „იარლიყებს“ ერთი და იმავე აღსანიშნების მიმართ და სხვ., მაგრამ ეს არ სცილდება უბრალო დაკვირვების დონეს და ასეთი ფაქტები, შეიძლება ითქვას, აგტორებს სიძნელეს უფრო უქმნის, ვიდრე გამოსავალს. გამოსავალი კი მაშინ გამოჩნდება, თუ ტრადიციით, ჩვევით „შეწებებულ“ ბგერადობასა და საგანს ერთმანეთს დავაცილებთ (ჩვევით სახელწოდებებიც არის საგანს შეწებებული!), მათ შუა მნიშვნელობას ჩავსვათ და მას გავიხდით ამოსავლად და საორიენტაციოდ. ეს ხელს შეუწყობდა ლექსიკის ჰომოგენურ პრინციპებზე აგების საქმეს და თან ბგერადობისა და სემანტიკური ფაქტორების ერთიანობის ფაქტს აგვიხსნიდა.

ეს ამოცანა განსახორციელებელია, თუ უფრო წინ წამოვწევთ განსხვავებას სახელწოდებასა და სიტყვას შორის. მაგრამ ეს ზღვარი მკაფიოდ არ არის ხოლმე გატარებული: სემასიოლოგიის ონომასიოლოგიასთან შედარება უფრო ნათლად გამოკვეთს თვალსაზრისს. თუ სიტყვიდან, როგორც ბგერადობიდან, ამოვალთ და მის მნიშვნელობას გამოვიკვლევთ, — ეს სემასიოლოგიური თვალსაზრისია, ხოლო, თუ მნიშვნელობიდან ამოვალთ და მის სახელს, ე.ი. სიტყვას, როგორც ბგერადობას, შევისწავლით, — ეს ონომასიოლოგიური თვალსაზრისა

იქნება.

ნათელ პოზიციას ენობრივისა და გარეენობრივის გარჩევაში, ვფიქრობთ, მნიშვნელობა ექნება არა მხოლოდ თეორიული, არამედ სრულიად კონკრეტული საკითხების გამოკვლევისათვის ლექსიკოლოგია-სემასიოლოგიაში* (მაგ.: სინონიმის, ომონიმისა და პოლისემიის საკითხები ამასთან უშუალო კავშირშია).

ამდენად: მთავარი პრობლემაა ენობრივისა და არაენობრივის ერთიმეორისაგან გამიჯვნა. ენებში არ არის უშუალოდ არეკლილი საგანთა კლასები და „უნივერსალური ცოდნაც“ (თვით გენეტიკური ახსნითურთ) საეჭვო ცნებაა. ეს უფრო ჩეიფის ვარაუდებს შეეხება.

უ. ჩეიფი მიმართავს ანალოგიას ფონეტიკიდან. ეს ანალოგია უთუოდ შთაბეჭდავია, რადგან ანატომიურ თუ სხვა მოსაზრებათა გამო მართლაც შეიძლება ბევრ შემთხვევაში წინასწარ ივარაუდო უჩვეულო ან არაბუნებრივი და ზოგჯერ შეუძლებელი ბგერათათაგ მოყრა. ამასვე უნდა გულისხმობდეს თვითონ ჩეიფის შენიშვნაც: ლინგვისტი თუ იმას შეძლებს, რომ ფონეტიკურ ერთეულთა კომბინაციების შეზღუდვა ივარაუდოს, ეს ასე ადვილი მოსახერხებელი არ არის სემანტიკურ ერთეულთა მიმართ და მაინც:

დაეძებნება ამას მნიშვნელობებში ანალოგია?

ამჯერად მხოლოდ იმ შენიშვნით დაკმაყოფილდებით, რაც ს. ულმანს გამოუთქვამს მსგავს ვითარებაში ე. კოსერიუს მოხსენების გამო გამართულ დისკუსიაში: თანამედროვე ინგლისურში 44 ან 45 ფონემაა, მაშინ, როცა ინგლისური ენის სრული განმარტებითი ლექსიკონი 400000 სიტყვას შეიცავს. შეფარდება არის დაახლოებით 1:10000.

* უკანასკნელი ხანის სემანტიკური ხასიათის ნაშრომებიდან იხ. [36, 77].

პინკურაჲ შეროუსულუაჲი ლეჰსიკის
სემანტიკური ანალიზი

პასუხი უნდა გაეცეს კითხვას: რამდენად არის შესაძლებელი, საგანთსინამდვილიდან ამოსვლით, დავადასტუროთ საერთოობა ენათა სემანტიკაში? თავისთავად ცხადია, რომ ყოფის ამსახველ ლექსიკაში უფრო მეტად მოხერხდება ენათა სპეციფიკის ჩვენება, თუმცა, აქვე უნდა ითქვას, რომ ეს ისევ ყოფის სპეციფიკა იქნება და არა ენებისა.

თუ ენათა შორის არაყოფით ლექსიკაშიც აღმოჩნდა სხვაობა, — სწორედ იმ ლექსიკაში, რომელშიაც არეკლილია და ფიქსირებული ადამიანის მოქმედების უნივერსალური ფორმები (ქცევის ფორმები), ან საგანთა უნივერსალური თვისებები (განზომილება, ფორმა, ფერი...), — მაშინ სხვა სიბრტყეზე გადაინაცვლებს საკითხი რელატიურისა და უნივერსალურის ხვედრითი წონის შესახებ ენის სემანტიკაში. რომ აგველო ასეთი „არაყოფითი“ ლექსიკის სფეროდან ე.წ. „ბიოლოგიური უნივერსალები“, თუნდაც ჭამასთან დაკავშირებული ისეთი ჩვეულებრივი აქტები, როგორიცაა „მოკებნა“ და „მოკვნეტა“, შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ „მოკებნა“ და „მოკვნეტა“ სიტყვების განსხვავებული ხმარება გამოწვეულია ენის გარეთ არსებული აქტების ანუ ქცევის განსხვავებით; თითქოს იმიტომ ვიცით, რასაც ნიშნავს „მოკვნეტა“, რომ რეალურად ვიცით ქცევის ასეთი სახე.

ქართულში „მოკვნეტა“ და „მოკებნა“, მართლაც, ორი განსხვავებული აქტია: „მოკვნეტა“ — არის მაგარ საგანს როცა კბილებით მცირე ნაწილს მოვაცლით, „მოკებნა“ უფრო დიდი ნაწილია — ლუკმაა. „მოკებნის“ დროს ნაწილი უთუოდ სცილდება. მთელს „მოკვნეტის“ დროს ნაწილი შეიძლება მოსცილდეს და შეიძლება არა. ამდენად, ვაშლი იკბინება, შაქარს მოკვნეტენ. „კებენ“ მხოლოდ შეჭმის მიზნით. მოკვნეტის შედეგი უთუოდ შეჭმა არ არის. შდრ.: „შაქარი მოკვნეტა“, მაგრამ „ძაფი მოკვნეტა“ (მეტაფორულად „ენა მოიკვნეტა“), „თითი მოიკვნეტა“. (შდრ. ქართულ ლექსებებში — რკინისმკვნეტელი, ე.ი. ვაჟაკი).

საინტერესოა ზემოხსენებულ ლექსემათა შედარება რუსულთან. თუ ქართულში „მოკებნა“ და „მოკვნეტა“ ერთიმეორისაგან განსხვა-

ვდება იმითაც, რომ ნაკბენი უფრო დიდი ლუკმაა და ნაკვნეტი მცირე, რუსულში ამ მხრივ მათ შორის განსხვავება არ არის. რუსი თანაბრად იტყვის откусил яблоко და откусил кусок сахара. ქართველი არავითარ შემთხვევაში არ იტყვის „ვაშლი მოკვნიტეო“.

განსხვავდება ეს ორი აქტი რეალურად ერთმანეთისაგან?

ქართულისათვის აქ სხვადასხვა აქტებია, რუსულისათვის თითქოს არა. ასევე, ამ აქტების შესაბამისად, სიტყვა „კვნიტი“ აღნიშნავს მცირე ნატებს — მოკვნეტის შედეგს (კვნიტი მარილი, კვნიტი შაქარი), მცირე ნატებს იმისას, რაც იჭმევა. რუსულში გვექნება ისევ кусок.

ამრიგად: ქართულ ენაში მოკბენა-მოკვნეტა და კვნიტი ვერბალური ობიექტებია და არა წინასწარ ცხადად გამოყოფილი საგნების აღნიშვნები. ასე რომ ყოფილიყო, იგი რუსულშიც გამოიყოფოდა. ეროვნულ ან ეთნიკურ თავისებურებებზე ლაპარაკი აქ უსაფუძვლოა: მოკბენა და მოკვნეტა საერთოდ ადამიანის ქცევის ფორმებია, ოღონდ ქართველი ენობრივად არჩევს ქცევის ორ ფორმას, სხვა ენაში კი (მაგალითად, რუსულში) ეს შესაძლოა გარჩეული არ იყოს.

საგნობრივი ან ცნებითი კრიტერიუმი რომ ყოფილიყო ამოსავალი და წინასწარ ყოფილიყო მოცემული უნივერსალური ტაბულა „კბენა-კვნეტა-კბენა“ ცნებებით, მაშინ შეგვეძლო გვეთქვა, რომ ერთი რომელიმე ენა ახლოს არის ამ ლოგიკურ ეტალონთან და სხვა ენა დაცილებულია, მაგრამ ასეთი ტაბულა არ არსებობს და თუ განცდისეულად „არსებობს“, იგი შედეგია მისი სწორედ კონკრეტული ენიდან ჰიპოსტაზირებისა.

„კბენის“ აქტის განხილვა სხვა მხრივაც არის საინტერესო. რუსულში пчела, оса, овод — жалят, მაგრამ რატომღაც комар кусается; комар თუმცა მწერი, მაგრამ იკბინებს. ქართულში ფუტკარიც იკბინება (და არა მარტო ქართულში).

ამრიგად, ქართულში იკბინება: ძაღლი, კოლო, ფუტკარი — რუსულში кусается: ძაღლი, კოლო, მაგრამ жалит: ფუტკარი, კრაზანა.

ფიზიკურად მსგავს აქტებში ნესტრით ჩხვლეტისა (ფუტკარი —

* ქართულში იარაღია (კბ) აღნიშნული, რუსულში — შედეგი (кус).

კოლო) რუსულმა დიფერენციაცია შეიტანა. განა ასე განსხვავდება ბიოლოგიურად ფუტკრისა და კოლოს კენა? ხოლო ერთ კლასში გააერთიანა კოლო და ძალი იმავე რუსულმა, აგრეთვე, ქართულმა, თუმცა ფიზიკურად სრულიად განსხვავებული აქტები გვაქვს.

ამრიგად, ზმნები: კენს, კენს, კვენტს... ენობრივი ინტერპრეტაციის ფორმებია და ქართულის სპეციფიკურ სემანტიკურ ინვენტარს ქმნიან.

იგივე შეიძლება ვამტკიცოთ ადამიანის მოქმედების იმ სახეთა მიმართ, რაც მხოლოდ ბიოლოგიური ქცევის ფორმებზე არ დაიყვანება. ასეთია ქართულში, მაგალითად, სიტყვა „ზანტი“ და, მით უფრო, „ზარმაცი“. ეს უკანასკნელი ქართულში „უქნარა, მცონარა“-ს შინაარსობრივი ველის წევრია და, ჩვეულებრივ, ადამიანის თვისებაა.

როცა ვამბობთ „ზარმაცი“, ამით გამოვხატავთ არა მხოლოდ ზოგად უარყოფით იდეას, არამედ ქართულ გაგებას „ზარმაცისას“, რაც შეიძლება სიტყვათა იმ „თანავარსკვლავედში“ არ ჩაჯდეს, რაშიაც სათანადო სიტყვა სხვა ენაში; მაგალითად, რუსული ЛЕНИВЫЙ არის როგორც „უსაქმური“ (შრომა ან სწავლა რომ ეზარება), ისე **выражающий внешностью лень, медлительный** [25. II:45].

ამდენად, რუსული ЛЕНИВЫЙ ზარმაციც არის და ზანტიც: შდრ. **ленивый ученик** და **ленивая походка**.

ქართულში კამეჩი, მაგალითად, „ზანტია“ (ნელა მოძრაობს), მაგრამ მასზე არ ითქმის „ზარმაცი“ (იგი მუყაითიც კია!). ქართული „ზანტი“ მოქმედების ინტენსივობის დაბალ ხარისხს გამოხატავს და ფსიქოლოგიურად უარყოფითი ემოციითაა შეფერილი, მკვირცხლის, მარდის, სწრაფის, მარჯვეს საპირისპიროდ. „ზანტი“ — „ზარმაცი“ აღნიშნავს ქცევის ორი ფორმის განსხვავებას, და რომელ ენაშიც ეს ორი სიტყვა არ არის, შესაძლებელია, ეს განსხვავება არც ასე მკაფიოდ ჩანდეს.

ბგერითი ფორმა მნიშვნელობის ძალით არსებობს ენაში და მხოლოდ მნიშვნელობის მქონე ბგერით კომპლექსს შეუძლია აღნიშნოს საგანი. ამოსავალი თუ ეს შუაფენა, მნიშვნელობა იქნება, მაშინ ადვილად ავხსნით, ერთი მხრივ, ბგერითი ფორმის ენობრივობას და, მეორე მხრივ, საგანთაღნიშვნის შესაძლებლობასა და მიმართულებას.

ყველაზე დიდი გამოცდის წინაშე, რა თქმა უნდა, ხმაბაძეითი

სიტყვების შემთხვევაში დავდგებით. თუ იქ მოხერხდა ბუნებრივ ხმასა და უშუალოდ მის აღმბეჭდავ ბგერადობას შორის მნიშვნელობის ჩასმა, მაშინ ამის გატარება მოხერხდება მიუღელ ენაში და მნიშვნელობის სტატუსიც გაირკვევა სიტყვის სტრუქტურაში. ქართული სიტყვები ისეთი ტიპისა, როგორიცაა ჭიხვინი, ყოყინი, კაკინი... უმარტივესი (ცალსახა) მიმართების მაგალითებია: ჭიხვინებს მხოლოდ ცხენი და ა.შ. აქ ზმნის ხმარება შეზღუდულია თითო ცხოველის ხმით და მნიშვნელობის პრობლემა მინიმუმამდეა დასული. მაგრამ „ყიყინი“ უკვე ორ განსხვავებულ ხმას აერთიანებს (ბაყაყისა და ბატის; შდრ. რუსული, სადაც гусь рокочет და лягушка квакает). აბსტრაქციის უფრო მაღალი საფეხურია „ბლავილი“; ხარი, ძროხა, ცხვარი... ბლავის; შესაძლებელია ქართულში მის ოპოზიციურ ცალად მივიჩნიოთ „ღრიალი“; ღრიალებს ლომი, ვეფხვი... ღრიალებს უფრო მხეცი და არა საქონელი (შდრ. „საცოდავად ბლავის“ და სხვ.). გერმანულში brüllt* ხარიცა და ლომიც: ქართულს არ მიჰყვება (ნადირი— არანადირი). აბსტრაქციის კიდევ უფრო მაღალი საფეხურია საგანთან დაცილების ხაზით „ჭიკჭიკი“; არ არის ყოველთვის ნათელი, რა სახის ჩიტები „ჭიკჭიკებენ“ (ეს ლ. ვაისგერბერის მაგალითია).

ჩვენი ყურადღება მიიპყრო იმან, რომ ქართულ სალექსიკონო სტატიებში (და თითქოს ეს პრინციპი გატარებულია), ზოგჯერ ერთი ბგერითი ფორმით ისეთ ცხოველთა ხმებია გაერთიანებული, რომელთა ხმიანობის შემოწმების ნაკლები შესაძლებლობა გვაქვს; დათვის „ბურღღინი“, მგლის „ყმუილი“ და ლომის „ღრიალი“ ენიდან უფრო გვესმის და ვიცით, ვიდრე ბუნებიდან; ჩვენ ვერც დავადგენთ და არც გვანიტერესებს ღრიალისა და ბლავილის აკუსტიკური განსხვავების გრადაციები. მეორე მხრივ, „ბლავის“ ხარიც და ცხვარიც ქართულში (რაც, რა თქმა უნდა, იმას არ ნიშნავს, რომ ქართველი გლეხი ცხვრისა და ხარის ბლავილს ერთიმეორისაგან ვერ არჩევდეს). აქ საქმე ეხება იმას (და ენათმეცნიერის პრობლემაც აქ ჩნდება), რომ სიტყვის (ამჯერად ქართულის) მეტყველებაში (და ისედაც, „ღუმილის“ დროს) გამოყენების პირობებს ბუნებაში ვერ დავუწყებთ ძებნას. ბუნებრივი ხმების განმეორებასთან კი არა გვაქვს საქმე, ან მათ მხოლოდ ფონეტიკურ ნაირსახეობასთან სხვადასხვა ენაში

* გერმანულში ხმაბაძეითი სიტყვების შესახებ იხ. [49. 415-417].

(ყიყინებს, квакает, quakt), არამედ ამ ხმების სემანტიკურ „გადამუშავებასთან“; და სათანადო ბგერადობით სწორედ ეს აღიბეჭდა: ამასვე ადასტურებს სხვადასხვა ენებში ხმათა სხვადასხვაგვარი დაჯგუფების პრინციპებიც. თვით ხმაბაძვითი სიტყვები რომ აგველო: მაგ. „სისინებს“, „ყიყინებს“ და სხვ. ვნახავთ, რომ ქართულში — სისინებს: გველი, ბატი. ყიყინებს ბაყაყი. რუსულში — шипит: გველი და ბატი, მაგრამ, квакает მხოლოდ ბაყაყი. ბატისა და ბაყაყის ხმის გაერთიანება, (ვთქვათ квакает гусь) რუსულისათვის აკრძალული სემანტიკური კომბინაცია და ამდენად დაუშვებელი სიტუაცია იქნება (შდრ. აგრეთვე ვ. პორცივის სინტაგმატური ველი — „მნიშვნელობათა არსითი მიმართებები“ ენაში [70ა]).

თუმცა ზმნები ისეთი ტიპისა, როგორცაა „ყიყინებს“ და სხვა, ბუნების ხმების ენობრივი (ბგერითი) გამოძახილია, და იმდენად ძლიერია საგნის „შემოჭრა“, რომ ძნელი წარმოსადგენია ენებში ამ მხრივ სხვაობა.

ხმაბაძვით სიტყვებზე ყურადღება შევანიშნებ შემდეგ პრინციპულ მოსაზრებათა გამო: 1. ჯერ ერთი, როგორც ითქვა, აქ თუ მოხერხდა ენობრივი მნიშვნელობის ჩასმა ბუნების (ცხოველების) ხმებსა და მეტყველებით ბგერადობას შორის, მაშინ გაცილებით ადვილი იქნება ასეთი შინაარსობრივი შუაფენის მოთავსება სხვა სიტყვებში და ამდენად ლექსიკის დიდ სფეროებში. 2. ქართული ხმაბაძვითი სიტყვები არა მხოლოდ ფონეტიკურად და მორფოლოგიურად აღმოჩნდება ქართული, არამედ სწორედ მნიშვნელობით, რაც მათ სემანტიკაში განხილვას და ამ ნიშნის მიხედვით კლასიფიკაციას შესაძლებელს გახდის. 3. ამდენად: საგნობრივისა და ენობრივის საზღვრების გარჩევა თვით ხმაბაძვით სიტყვებში უნდა მოხერხდეს და გატარდეს მეთოდურად მთელ ლექსიკაში სწორედ იმიტომ, რომ ლექსიკა, ასე ვთქვათ, „ბოლო გადასასვლელია“ ენიდან საგნობრივი სინამდვილისაკენ და მათი საზღვრები ხშირად ირევა. ხმაბაძვით სიტყვებზე უბრალო დაკვირვებაც გვიჩვენებს, რომ ამ საზღვრის გაცნობიერება შესაძლებელია. ხმაბაძვითი სიტყვების, ენაში წარმოდგენილი ბუნების ამ „უშუალო ხმების“, ასეთი ინტერპრეტაცია ეფექტური საშუალება ჩანს უშუალობის პოსტულატის დასაძლევად.

ხშირად ლაპარაკობენ ე.წ. გარედან პროექტირებული „აკრძალვების“ გამო; „წინდაწინვე (!) შეიძლება ვთქვათ, რომ ცხენის აღმნიშვნელ სიტყვასთან კაკანის აღმნიშვნელი სიტყვის დაკავშირება,

ან ქათმის აღმნიშვნელი სიტყვისა და ჭიხვინის აღმნიშვნელი სიტყვის ერთ სინტაგმაში მოქცევა არა მხოლოდ ქართულშია შეუძლებელი, არამედ სხვა ენებშიც დაუშვებელია“. ბ. ფონსუა [29:55], (ხაზი ჩვენია — გ.რ.).

როდესაც ლაპარაკია „სემანტიკურ შესაძლებლობებზე“, როგორც უზოგადეს სუბსტრატზე, ეს გასაგებია, მაგრამ, როცა უკვე პროგნოზირებას ახდენენ, თუ რა აზროთი კავშირებია ენებში მოსალოდნელი ან დაუშვებელი, ასეთი ოპერაცია საგანთა განსხვავების მეტისმეტი სიცხადის უშუალო ცოდნას ემყარება. მეტისმეტად ცხადია, რა თქმა უნდა, დათვისა და პაწაწკინტელა ხოჭოს განსხვავება და რაიმე ნიშნით მათი გაერთიანება შეუძლებელიც ჩანს, მაგრამ მაინც, მაგ., გერმანულ ენაში დათვიცა და ხოჭოც (Maikäfer) ერთ ხმას გამოსცემს (brummt) [91. 160], თანაც აქ ფიზიკურად სრულიად სხვადასხვა ეფექტია: ერთი ყელისმიერი ბგერებით გამოსცემს ხმას (ღრიალებს, ბურღუნებს), მეორე კი ფრთების ქნევით (ბზუის). ვინ შეძლებდა ამის თქმას ან ართქმას „წინდაწინვე“? ასე რომ, თუკი გერმანულში ხოჭო და დათვი მოხვდა ერთ კლასში, არც ქათმისა და ცხენის გაერთიანება იქნება რომელიმე ენაში თეორიულად ასე მოულოდნელი.

ასევე დარწმუნებულია ბ. ფონსუა და, მართლაც, ვინ უნდა შეიტანოს ეჭვი იმაში, რომ „სიცილისა და ტირილის აღმნიშვნელი სიტყვები თითოეულ ენაში ურთიერთდაპირისპირებული აღმოჩნდება, რადგან ადამიანის ფსიქიკური ორგანიზაცია ყველგან ერთნაირია და სიხარული და მწუხარება ყველასათვის ურთიერთსაპირისპირო გრძნობებია“ [9. 47]. მაგრამ, მაგ., არაბულმა შეიძლება მხარი არ დაუჭიროს ასეთ თითქოსდა „თავისთავად ცხად“ გამიჯვნას: სიტყვა „ტარიბა“ არაბულში აღნიშნავს ადამიანის ისეთ ფსიქიკურ მდგომარეობას, რომელიც შეიძლება საერთო იყოს სიხარულისა და მწუხარების დროს. იგი აღნიშნავს „მღელვარებას, სიხარულს, მწუხარებას“ [14. 129, 17. 475, 86. 503].

თავად ქართულშიაც, მართალია, ტირილი და სიცილი, სიხარული და მწუხარება ურთიერთსაპირისპირო ფსიქიკური მდგომარეობა და ურთიერთსაპირისპირო მნიშვნელობის სიტყვებია, მაგრამ ზმნა „გადაფიჩინდა“ გამოიყენება როგორც სიცილის, ისე ტირილის მიმართ. მის მეტ და მეტ გამოვლენას თითქოს კიდევ უფრო მეტი განსხვავება უნდა მოეცა და ამდენად — დაცილება, მაგრამ ენის „თვალმა“

ისეთი მომენტი შენიშნა, რაც, როცა გავიგეთ, უკვე ჩვენც „დავინახეთ“: „სუნთქვის შეკვრა ტირილის ან სიცილის დროს — სულს ვერ მოითქვამს“ [10 II. 332]. ანდა: „ამ ამბავმა ააღელვა“ — ვის შეუძლია ამტკიცოს, რომ მხოლოდ შეწუხებას გამოხატავს ეს დღევანდელ ქართულში?

ენობრივი კრლექტივის ყოფითი ლექსიკის გამორიცხვა უკვე არის გამოცდა საგნობრივი საზომისა. დგება საკითხი იმის შესახებ, თუ რამდენად არის გამოსადეგი ეს საზომი სიტყვათდასაჯგუფებლად საზოგადოდ. ამან მოითხოვა პასუხი კითხვავზე: რა ფორმით წარმოგვიდგენია საგნის მოცემულობა, როცა მას აღსანიშნად მივიჩნევთ? თვითონ ტერმინ „აღსანიშნ“ ხომ არ შეეყავართ შეცდომაში, როცა ამით ის იგულისხმება, რაც უნდა აღინიშნოს? (შესაძლებელია, რაც ჯერ არ აღნიშნულა?), ე.ი. რაღაც ენის მიღმა მდებარე? საკუთარ სახელებში ეს სრულიად გარკვეულია; იქ აღსანიშნი ერთეული საგანია და სწორედ ამ გარკვეულობის გამო იქ მნიშვნელობის პრობლემა არც დგას. ასევე გარკვეულია ეს ონომასიოლოგიისათვის: ნივთი, რომელიც უნდა აღინიშნოს, ან რომელიც ამა და ამ სახელით არის აღნიშნული — თვალწინაა. თვითონ „აღნიშნავ“, როგორც აქტი, არის გზა აღმნიშვნელიდან აღსანიშნისაკენ — იმისაგან, რითაც უნდა აღინიშნოს, იმისაკენ, რაც უნდა აღინიშნოს. მაგრამ თვითონ ბგერათკომპლექსმა საიდან შეიძინა აღნიშვნის ფუნქცია? იგი რომ უაზრო ყოფილიყო, ამას ვერ მოახერხებდა. ჩვენ ახლა ვიტყვი: ნაწევროვან ბგერებს, როგორც ადამიანური ენის ბგერებს, გონითი ფუნქცია აქვს, ოღონდ არა აზრი; მნიშვნელოვნობის (Bedeutsamkeit) თვისება აქვს და არა მნიშვნელობა (Bedeutung).

ორიოდე სიტყვით უნდა შევეხოთ ტერმინოლოგიის საკითხს. სასაუბრო მეტყველების ყოველნაირი გამოთქმა, ცხადია, არ გამოდგება ტერმინად. მაგრამ მაინც საჭიროა დაზუსტება და ხელახალი გააზრება იმ ტერმინებისა, რასაც ასეთი წარმოშობა აქვს.

სასაუბრო მეტყველებიდან გვაქვს: „დასახელება“ (ფსიქოლოგიაში „სახელდება“), „დარქმევა“, „აღნიშვნა“ და აი, აქ გადმოგვყვა სასაუბრო მეტყველების (ყოველდღიური სიტყვათხმარების) ჩვეულება, რამაც სიძნელე შექმნა ცნებათდადგენისას: სახელი არის ისეთი ბგერათნაერთი, რომელიც წინასწარ გვაქვს მოცემული რაიმე ნივთისა

თუ ცალკეული საგნისათვის. სიტყვები უფრო მეტ მოთხოვნებს გეყენებენ, რამაც ერთეულ საგნებს უნდა გაგვაცილოს; მანძილა სახელსა და სიტყვას შორის საგრძნობია. მათი გამოყენების სფეროები უნდა გაიმიჯნოს.

ტერმინით „აღმნიშვნელი“ არ არჩევენ სახელსა და სიტყვას. ასევე არ არის გარჩეული „აღსანიშნის“ ხმარება ნივთისა თუ საგნის მიმართ. ნივთი მატერიალური კულტურის ფაქტია, რაც ადამიანს შეუქმნია გარკვეული მიზნით და მისთვის სახელიც დაურქმევია. საგანი უფრო ბუნებაშია. ორივე შეიძლება იქცეს ჩვენი ყურადღების ობიექტად. მაგრამ „საგანი“ უფრო განზოგადებულად იხმარება და ობიექტი ხშირად მისი სინონიმია (შდრ. ფილოსოფიაში: შემეცნების ობიექტი, შემეცნების საგანი; ის, რომ ნეოკანტიანელმა ფილოსოფოსებმა გაარჩიეს საგანი და ობიექტი — სრულიად სხვა სიბრტყეა).

სკოლის პრაქტიკაც უწყობს ხელს ამ აღრევას: რა ჰქვია ამ საგანს? მერხი, მაგიდა, დაფა (ანდა: დაასახელეთ ის ნივთები, რაც საკლასო ოთახშია). ეს კითხვა არაფრით არ განსხვავდება ასეთი კითხვისაგან: რა გქვია შენ? „ეწოდება“ უფრო ტერმინის მიმართ ითქმის: რა ეწოდება თვისების აღმნიშვნელ მეტყველებების ნაწილს? (ზედსართავი). ანდა რიტორიკული შეკითხვაა: რა შეიძლება ეწოდოს ასეთ საქციელს? მაგრამ „სხეულებრივი ობიექტის“ მიმართ თუ მაინც — აღსანიშნის თვალსაჩინოების გამო — სახელი და სიტყვა ასე ნათლად არ გაირჩევა, სამაგიეროდ, „უსხეულო ობიექტების“ მიმართ ამ ზმნებს არავინ ხმარობს, რადგან ე.წ. აღსანიშნის დეფინიცია აღმნიშვნელის დაუსახელებლად არ ხერხდება (აქ არის სწორედ თავი და თავი პრობლემისა: სიტყვა ჩარეულია ცნების წარმოქმნაში); თუ ვამბობდით: რა ჰქვია იმ ნივთს, რითაც ვწერთ? ასევე ვერ ვიტყვით: რა ჰქვია იმ გრძნობას, როცა ადამიანებს ერთმანეთი არ მოსწონთ? პასუხი სხვადასხვანაირი იქნება: სიძულვილი, ზიზღი, გაუტანლობა... მეორე ენის შესწავლისას ასეთ შემთხვევაში დედაენის (საერთოდ ენის) სიტყვებს (საგნის ნაცვლად სიტყვებს!) იშველიებენ: რა ეწოდება რუსულად „თანხმობას“, „მეტოქეობას“... ან როგორ აღვნიშნოთ ქართულად ეს სიტყვები რუსულისა და სხვ.

„უსხეულო ობიექტების“ მიმართ სიტყვის „ჩარევის“ როლი იზრდება. თუ ნივთები და საგნები მაინც „დასანახია“, ამათი

(უსხეულო ობიექტების) „დანახვა“ მხოლოდ აზრით ხდება, აზრი კი სიტყვიერი ფორმის მქონეა და, ამდენად, ეს ხერხდება გასიტყვებული აზრით, უფრო ზუსტად, სიტყვადქმნილი აზრით.

ენობრივი შინაარსი და
„საბანთა კონსტრუქცია“

ამ ბოლო ხანებში ეროვნული პოპულარობით სარგებლობს შვეიცარიელი ლინგვისტის ე. ლაიზის ემპირიული გამოკვლევა: „სიტყვის შინაარსი, მისი სტრუქტურა გერმანულსა და ინგლისურში“ [65], რომელიც ეძღვნება „სიტყვათა სისტემატურ კლასიფიკაციას მათი სემანტიკური ტიპის მიხედვით“ [65. 12]. ავტორი იწყებს კონკრეტული ამოცანით: როგორ არის, რომ გერმანელი, მიუხედავად ლექსიკონისა, შეცდომით ხმარობს ზოგიერთ ინგლისურ სიტყვას წლების მანძილზე? რატომ ხმარობს ინგლისელი სწორად გერმანულ სიტყვებს Stuhl, Tisch („სკამი“, „მაგიდა“) და Philosoph („ფილოსოფოსი“), მაგრამ უძნელდება სწორად იხმაროს Zipfel, Brocken, stellen? [65. 10]. როგორ არის, რომ ზოგიერთი სიტყვა ადვილად ითარგმნება, სხვები კი, საზოგადოდ, არც ითარგმნება? შესაძლებელია თუ არა ამის მიზეზთა შეცნობა და კანონების დადგენა?

მ. ლაიზი ფიქრობს, რომ საჭიროა შეიქმნას ისეთი სიტყვათმოდგერება, რომელიც ცალკეულ შემთხვევებს კი არ განიხილავს, არამედ „სიტყვის კანონთა სისტემატურ ჩარჩოებს, რომლებიც გამოსადეგი იქნება ყველა შემდგომში ამოტივტივებულ შემთხვევათა ამხსნელად“ [იკვე]; ამიტომაც პირველი ამოცანაა სიტყვათა კლასიფიკაცია.

მისთვის ამოსავალს ქმნის სიტყვის „შინაარსი“. სიტყვათა უფრო ზუსტი განსაზღვრის მიზნით იგი ამოდის დედაენიდან, ანუ გერმანული ენიდან (იგი გერმანულენოვანი შვეიცარიიდანაა). გერმანული სიტყვები, სადაც კი შესაძლებელია, შედარებულია ინგლისურ სიტყვებთან. ამრიგად, მისთვის სიტყვის შინაარსის აღწერა ნიშნავს იმ პირობებში შეჭრას, რომლებიც მოქმედებს ამა თუ იმ ენობრივ სოციუმში.

ლაიზის კლასიფიკაცია ეყრდნობა არა „საგნობრივ, არამედ

ენობრივ კატეგორიებს“ [65. 20]. შესაბამისად იგი იკვლევს სხვადასხვა სიტყვას იმ რელევანტურ პირობათა მოხმობით, რომლებიც წარმოდგენილია სათანადო ენაში შესაბამისი ენობრივი კოლექტივის მიერ. მაგალითად, „ვაშლის“ შემთხვევაში „მოძრაობა“ არის არარელევანტური პირობა, რადგან სიტყვა „ვაშლი“ შეგვიძლია ვიხმაროთ იმისდა მიუხედავად, იგი ძირს ვარდება, მიგორავს თუ ერთ ადგილას დევს. რაც შეეხება სიტყვა „ქარს“, მასში იგულისხმება მხოლოდ მოძრავი ჰაერი. თუ ჰაერი უძრავია, ჩვენ მას არ ვუწოდებთ „ქარ“-ს, ე.ი. ამ სიტყვისათვის „მოძრაობა“ რელევანტური პირობაა. აქედან გამომდინარე, „შინაგანი ფორმა“ „ვაშლისა“ მკაფიო ნიშნით განირჩევა „ქარის“ „შინაგანი ფორმისაგან“, რის გამოც ისინი სხვადასხვა კატეგორიაში თავსდებიან. თუ ჩვენ ავიღებთ მესამე სიტყვას — „ჰაერი“, ამ შემთხვევაში სულერთია, იგი მოძრავია თუ უძრავი, რადგან მოძრაობის ნიშანი არარელევანტურია; იგი გაერთიანდება ერთ კლასში — „ვაშლთან“ ერთად. ამრიგად, საგნობრივად ერთიმეორისაგან შორსმდგომი სიტყვები, როგორცაა „ვაშლი“ და „ჰაერი“, ერთ ენობრივ კლასში მოექცევა, ხოლო საგნობრივად ახლოსმდგომი სიტყვები, ჰაერი და ქარი — სხვადასხვა კლასში, ე.ი. „სიტყვის გამოყენება ძალიან ბევრ შემთხვევაში სრულიადაც არ არის დამოკიდებული საგნის თვისებაზე, არამედ — სულ სხვა პირობებზე, რომლებიც ასე ვთქვათ, ადამიანმა „ააგო“ [65. 22].

განსხვავებით წინა ორი თვალსაზრისისაგან, აქ თითქოს უფრო წინ არის წამოწეული სიტყვის ხმარების იმ პირობების შესწავლა, რომლებიც ყველა შემთხვევაში არ გამოიყვანება საგნიდან. მისი მაგალითების უმრავლესობა საგნის მიმართ ადამიანის თვალსაზრისების სხვადასხვაობას აჩვენებს. მაგრამ მაინც არ არის დაძლეული საფრთხე შიდაენობრივი და გარეენობრივი ასპექტების აღრევისა (შდრ. სუბსტანტივების განლაგება ობიექტურობის ხარისხის მიხედვით) [40:66]. უფრო მართებული იქნებოდა სიტყვის ხმარების პირობათა გამოკვლევა ენობრივი კოლექტივის „შუაწევრის“ (როგორც სოციოლოგიური ნორმის) პოზიციიდან.* ამ სოციოლოგიური პოზიციის გაუთვალისწინებლობის შედეგია, რომ შინაგანი ფორმა მასთან სიტყვის შინაფორმად არის გაგებული და არა ენის შინაფორმად.

რა პრინციპით ვაჯგუფებთ სიტყვებს დედაენის შინაარსობრივ კვლებში? პირველ ყოვლისა, ენის ალღოს ანუ ენის გრძნობის კარნახით. ენის გრძნობა (Sprachgefühl, чувство языка) თუმცა გრძნობაა და არა ინტელექტუალური ბუნების ცნობიერი აქტი, მაგრამ იგი ინდივიდის არც სხვა გრძნობათა რიგშია განსახილველი, რადგან გრძნობები, როგორც ცნობილია, სუბიექტურია. ამიტომ ფსიქოლოგიაში მის ადგილს ეძებენ გრძნობისა და ცოდნის მიჯნაზე.***

ენის გრძნობა არის დედაენით გაერთიანებული სოციუმის თვისება. ამდენად, იგი სუბიექტის თვისებაა (და არა ენისა), მაგრამ მისი საფუძველი არ არის სუბიექტური, იგი ობიექტური ბუნებისა უნდა იყოს.

პირველი მიახლოებით, ენის გრძნობა ასეც შეიძლება განიმარტოს: სათანადო აღსანიშნის (საგნის) მიმართ სიტყვის ადეკვატურად შერჩევის წესი.

ეს არ ნიშნავს უთუოდ საგნის თვისებათა წინასწარ ცოდნას, ან მისი უშუალობის აღქმას და ამ საფუძველზე მისთვის შესაფერისი სახელის გამოხატვას. ასეთი დაშვება ილუზიაა. ამას მოწმობს ფსიქოლოგიური ექსპერიმენტი [6], რომელიც ეხება შეუსაბამობას სიტყვის მნიშვნელობის დეფინიციასა და მის გამოყენებას შორის.

რას ნიშნავს ადეკვატური შერჩევა? ადეკვატურობა ასეთ დროს პასუხი უფროა იმ მოთხოვნებზე, რაც სათანადო ენობრივი კოლექტივის სემანტიკური ნორმიდან გამომდინარეობს, ვიდრე იმ მოთხოვნებზე,

* ენობრივი კოლექტივის შუაწევრის ცნების შესახებ იხ. [71].

** იხ. ჩვენი სტატია [72].

*** ამის შესახებ იხ. ფ. კაინცი [63], რომელმაც თავის ხუთტომიან „ენის ფსიქოლოგიაში“ მთელი თავი მიუძღვნა იმ საკითხის გარჩევას, თუ რა არის „ენის გრძნობა“ და არის თუ არა იგი გრძნობათა კლასში მოსათავსებელი. ხომ არ წარმოშვა საკითხის ასე დასმა უფრო იმან, რომ გერმანულ ენაში Sprachgefühl (ენის გრძნობა) ითქმის? მაგ., ქართულ ენაში ასეთ შემთხვევაში უფრო ენის ალღო იხმარება. მსჯელობის გასაადვილებლად ჩვენც აქ „ენის გრძნობას“ დავტოვებთ.

რაც უშუალოდ საგნიდან შეიძლება მომდინარეობდეს, რადგან, როგორც ირკვევა, საგნის ცნობიერება და ცოდნა არ უდევს საფუძვლად სიტყვის გამოყენებას [6], განსხვავებით სახელდებისაგან.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ისევე, როგორც აღსანიშნი საგნის ნათელი გაცნობიერება არ უძღვის შერჩევის აქტს, ასევე არ არის წინასწარ მოცემული აღმნიშვნელები, რომლიდანაც უნდა შეირჩეს შესაფერისი სიტყვა სათანადო აღსანიშნისათვის. ასეთი აღმნიშვნელები რომ წინასწარ ცხადად ყოფილიყო მოცემული, მაშინ სელექცია მარტივი და უმტკივნეულო ოპერაცია იქნებოდა აღმნიშვნელების მიმართაც (პირდაპირ ვიტყვით, რომ „ესა და ეს სიტყვა უმიჯობესია“).

როდესაც ენის გრძნობა სემანტიკურ პრობლემად გვესახება, ასეთ დროს, რა თქმა უნდა, სემანტიკად არ არის გაგებული ისტორიული სემასიოლოგია. იგი არ არის არც „უნივერსალური სემანტიკა“, რადგან ენის გრძნობა, როგორც კონკრეტული ენის შეთვისების ხანგრძლივი და რთული პროცესის შედეგი, კორელაციაშია რომელიმე ენის სემანტიკური დაყოფის წესთან.

ენის გრძნობა არის „ცოდნა“ ენის (ჩვეულებრივ, დედაენის) სემანტიკური წესებისა, მაგრამ მეტყველს იგი ცნობიერად არ ეძლევა. ეს წესები არც ლინგვისტიკაში არის ფორმულირებული ექსპლიციტურად, თუმცა ყოველ ენაში მისი ნორმის დონეზე ცხადყოფა და აღწერა მოსახერხებელია. ოღონდ სემანტიკური განაწილების ეს ნორმა ყოველ ენაში თავისებურია.

გასარჩევია ერთიმეორისაგან სიტყვის (საზოგადოდ ენობრივი საშუალების) გამოყენება და სელექციის აქტი. მას შემდეგ, როცა მოხერხდება გამიჯვნა ენობრივისა საგნობრივისაგან და გაცნობიერდება სიტყვის ხმარების პრინციპი, რომელიც უშუალოდ არ იმეორებს საგანთდაყოფის პრინციპს, შესაძლებელი გახდება გამოვავლინოთ პირობათა ის კომპლექსი, რომელიც არა მხოლოდ სიტყვის გამოყენების, არამედ უკვე სიტყვის სელექციის (შერჩევა) აქტს უდევს საფუძვლად. თუ პირველ შემთხვევაში (სიტყვის გამოყენების დროს) ენობრივისა და საგნობრივის გამიჯვნა მოხერხდება, სელექციის დროს იგი უფრო გართულებულია: რადგან უფრო მეტად არის დაკავშირე-

ბული ენის ენერგეისტულ ფენასთან და საგანიც მეტად არის აქ „თვალს მიფარებული“.

სელექციის აქტს ენის გლობალური ცოდნა უდევს საფუძვლად (სიტყვის გამოყენება უფრო კერძოული სემანტიკური ველის ინდექსით არის აღბეჭდილი). სელექცია გამოვლენაა არა მხოლოდ ველთა ინტეგრაციისა, არამედ თვით სემანტიკისა და გრამატიკის (სიტყვათ წარმოება) ერთიანობისა. ამდენად, მისი მოქმედება გლობალურია: შერჩევითიც არის და, მეტადრე მწერალთან, ამორჩევითიც.

შერჩევის აქტი, მართალია, დაკავშირებულია ინდივიდთან, მაგრამ თავისი არსით ზეპიროვნული ბუნების აქტივობაა და ახასიათებს ინდივიდს, როგორც ენობრივი კოლექტივის (და არა მარტივად მეტყველებითი კოლექტივის) წევრს. იგი შეიძლება დაგვეხასიათებინა, როგორც ენობრივი ერთობის საინტერპრეტაციო ცენტრს მიახლოებული წევრი, ან ამ ერთობის აქტიური „შუაწევრი“ [71].

თუ რაიმე გზით მივწვდებით ენის ენერგეისტული მოცემულობის ფორმას, ერთი ამათგანი ენის გრძნობაა, რომელიც სელექციის აქტში ავლენს თავის შემოქმედებითობას.

შერჩევის აქტი, როგორც გლობალური ქმედება, ენის შინაფორმის ემპირიულ გამოვლენად შეიძლება ჩაგვეთვალა.

ასეთი დაშვება შესაძლებელს გახდის მიუახლოვდეთ ჰუმბოლდტისეული „ენობრივი ალღოს“ იმ გაგებას, რაც ენის მთელი სისტემის ინსტინქტისმაგვარ წინაშეგრძნებას (Vorgefühl) [59. VI. 70] გულისხმობს. ეს გზას გაგვიხსნის მისი მეორე დეფინიციისაკენ, რომელსაც ზედსართავი „შინა“ — (innerer Sprachsin) დამატა, რომელშიაც „სულიერ ძალთა მთლიანობა“ იგულისხმება და „ამდენად — მხოლოდ მიმართულება“ (nur eine Richtung) [59. VI.. 250].

გამოიყოფა სამი საფეხური: სიტყვის გამოყენება, სიტყვის სელექცია (ენობრივი გრძნობის კარნახით) და ცნებათაგება.

ენობრივის საგნობრივისაგან გამოიჯენა — გამოყოფა, ამ თანდათანობითი გრადაციით, გამოავლენს არა მარტო პირობებს, რომლებიც თავისი არსით სოციოლოგიური ბუნებისაა, არამედ წარმოაჩენს ენის დინამიკური ქმედების გრადაციასაც.

სელექციის აქტი არის გარდამავალი საფეხური სიტყვის გამოყენებიდან ცნების ჩამოყალიბებამდე. დედაენის გარემო აუცილებელია.

ენის გრძნობა კი არა მარტო „ცოდნა“ (მოტივაციის გარეშე), არამედ აქტივობა. შესაძლებელია იგი ტიპის იმ ცნებას უფრო მიესადაგოს, რომელიც უფრო მაღალი ერთიანობაა და მეტს გულისხმობდეს, ვიდრე სტატიკური სისტემის ინტუიტიური ცოდნა.

ამას მივყავართ ენის შინაფორმის იმ ასპექტის ცხადყოფისაკენ, სადაც ენის ენერგია, უკვე კულტურის სექტორში გამოვლენილი, ფილოსოფიურ ცნებათწარმოებასა და პოეტურ სიტყვაში ჰპოვებს თავის უმაღლეს გამოხატულებას.

ენათმეცნიერმა რეფლექსიის საგნად უნდა აქციოს ენის გრძნობაში მოცემული სემანტიკურ წესთა ენერგეისტული ცოდნა, რაც დაემატება გრამატიკული ანალიზის გზით (ე.ი. გაცნობიერებით) მიღებულ ენის ცოდნას. ცოდნის ეს ორი ფორმა ერთმანეთს არ გამორიცხავს; მეტიც: მათი ურთიერთობა ენერგეისტულ საფუძველზე უნდა მოგვარდეს. ამით სწორი მიმართულება მიეცემა აგრეთვე ძველთაძველ და მუდმივ დიალოგს ე.წ. ენის ალღოს მქონე მწერლებსა და გრამატიკოსებს შორის.*

თვით სისტემის დონეზეც, თუ, რა თქმა უნდა, მნიშვნელობათა ურთიერთქმედების უფრო ფართო დიაპაზონს ავიღებთ, ენის გრძნობა გამოავლენს მნიშვნელობათა აღურევლობის წესის** ინტუიტიურ ცოდნას: „სქელი ფიცარი“, მაგრამ „მსხვილი ჯოხი“ — ასე ითქმის, ჩვეულებრივ, ქართულად, და თუ მეტყველს ზოგჯერ წასცდება „სქელი ჯოხი“, სამაგიეროდ, ვერ იტყვის „თხელ ჯოხს“, ნაცვლად „წვრილი ჯოხისა“, ვერ აურევს ზედსართავებს ანტონიმურ ცალებში. ამ უკანასკნელ შემთხვევაში ქართულის სემანტიკური ნორმა იმდენად იმპერატიულია, რომ მეტყველი მისდევს (თუმცა გაუაზრებლად) „შუაწვერის“ სემანტიკურ ნორმას, სადაც მოგრძო-მრგვალი საგნების მიმართ ზედსართავი „მსხვილი“ იხმარება და რაც მის ანტონიმურ

* ამ დიალოგის მოგვარების საჭიროებას, ოღონდ სხვა ასპექტით, ეხებოდა თავის დროზე გ. მაჭავარიანის წერილი [3].

** უფრო ვრცლად ამის შესახებ [71].

ცალში (წვრილი ჯოხი) ასე კარგად ჩანს. ეს უკვე სემანტიკური წესია. დედაენაში სემანტიკურ კომბინაციათა აღურევლობა ამ ენაზე მეტყველთათვის არის სემანტიკური აკრძალვა, რაც მნიშვნელოვანი გზაა „ენის გრძნობის“ გამოსაკვლევად.

ენის გრძნობა ავლენს, აგრეთვე, „ცოდნის“ ისეთ ფორმას, როგორც არის „ენის შესაძლებლობათა ცოდნა“; იგი მეტია როგორც ენის სტატიკური სისტემის ცოდნაზე, ისე ცოდნის იმ დინამიკურ ფორმაზე, რასაც ხომსკი ე.წ. კომპეტენციის (competence) ცნებაში გულისხმობდა. ეს არის სიტყვათშემოქმედების ისეთი შემთხვევებიც, როდესაც მეტყველი (მეტწილად სიტყვიერი ხელოვნების ოსტატი) უტყუარი ინტუიციით ქმნის ენის ტიპის თვალსაზრისით სრულიად შესაძლებელ და მოსალოდნელ ახალ ფორმას.

მაშ, ენის გრძნობა არის გაუცნობიერებელი, მაგრამ აქტიურად გამოვლენილი ფორმა იმ სემანტიკური წესების „ცოდნისა“, რომელიც ქმნის ენობრივი სოციუმის სემანტიკურ უზუსს და მოიცავს ენის შესაძლებლობათა ცოდნასაც (ამდენად იგი ენერგეისტული ბუნებისაა).

რამდენადაც პრინციპი „საგნებიდან ენისაკენ“ უფრო სახელწოდებებს ეხება, ონომასიოლოგიურია და მთლიანი ლექსიკის სრულ სემანტიკურ კლასიფიკაციას ვერ მოგვეცემს, იქნებ ენობრივიდან საგნებისაკენ გზის ჩვენებას უფრო მეტი ლინგვისტური საფუძველი მოეძებნოს (ენათმეცნიერ-სემანტიკოსს ხომ, პირველ ყოვლისა, მნიშვნელობებთან უნდა ჰქონდეს საქმე და არა საგნებთან). მნიშვნელობა ენის ფაქტია, ამდენად, ენობრივი კოლექტივის საერთო კუთვნილება და არა ინდივიდისა, მაგრამ ენერგისტული ძალით სწორედ ინდივიდში ვლინდება (რაც „ენის გრძობის“ ფენომენშიაც ჩანს). იქნებ შესაძლებელია ინდივიდშივე მოხერხდეს მისი პოვნა და დადგენა? ერთი შეხედვით, ეს თვითდაკვირვების ფსიქოლოგიურ მეთოდს ჰგავს; მაგრამ მხოლოდ „ერთი შეხედვით“, რადგან, ინტროსპექციული მეთოდისაგან განსხვავებით, მიზანია სუბიექტურში არა საკუთრივ ფსიქიკურ განცდაზე (სუბიექტურზე) დაკვირვება, არამედ მასში კოლექტიურის (ობიექტურის) პოვნა და მისი გამოცალკევება. ეს შეიძლებოდა მიგვეჩინა შინაარსობრივი თვალსაზრისის მქონე ენათმეცნიერის კვლევის ერთ-ერთ გზად, რომელმაც, პირველ ყოვლისა, ენის საკუთარ ცოდნაზე დაკვირვებით, ხოლო შემდეგ სხვა მეთოდების მოშველიებით, მნიშვნელობის კონსტიტუციაში უნდა დაადგინოს საგნობრივი და ენობრივი ფაქტორების ურთიერთობა. ამოცანაა, ენობრივად გადაამუშავებული (ენაში ტრანსპონირებული) საგნობრივის ამოცნობა, რაც ამავე დროს ახალი საფეხური და პოზიცია იქნება თვით საგნის მიმართ, პოზიცია — გაშუამავლებული ენით.

მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ თვითდაკვირვების მონაცემების ინტერპრეტაცია წინაპირობად ისევ სოციუმის (და არა ინდივიდუალურ) ენას გულისხმობს. ე.წ. „ინდივიდუალური ენა“ სხვა არაფერია, თუ არა მოდიფიკაცია სოციალური ფორმით არსებული საერთო ენისა; იგი — წინაპირობა და განმსაზღვრელი ინდივიდის სამეტყველო

აქტებისა — მისი შინაგანი გამოცდილების სფეროებშიც არის შეღწეული. მით უფრო, რომ ენობრივ სოციუმს ნაკლებად ძალუძს რაიმე აზრი აქონდეს თავისი ენობრივი მეთოდის საფუძვლების შესახებ, რადგან სოციუმში მოღვაწეობა ხორციელდება ყოველგვარი გეგმაზომიერი რეფლექსიისა და განხილვის მიღმა. მხოლოდ მეცნიერებას შეუძლია პრობლემის დანახვა, მაგრამ ისიც დაკვირვებითა და სოციუმის გამოკითხვით ამას ვერ მიაღწევს.

დედაენობრივი ცოდნის, როგორც ენერგეიას, მიმართ ასე შეიძლება ითქვას: დედაენა „ამოქმედებას“ იწყებს არა უოუოდ მაშინ, როცა მას ადამიანი საგანგებოდ მიმართავს უკვე დასრულებული აზრითი ოპერაციის აღბეჭდვის მიზნით (ეს იქნებოდა ენის, როგორც ინსტრუმენტის მოხმარების აქტი, რაც უფრო უცხოური ენის გამოყენების მექანიზმს ახასიათებს), არამედ იგი (დედაენა), გარეშე მასზე საგანგებო რეფლექსიისა, აღმოჩნდება უკვე ჩართული, როგორც ერთი აუცილებელი ფაქტორი, იმ ფაქტორთა კომპლექსში, რომლებიც თვით აზრის ჩამოყალიბებაში მონაწილეობენ. განწყობის ფსიქოლოგიის ტერმინებში ეს ასე წარმოგვიდგება: მოთხოვნილებების (იგულისხმება „თეორიული მოთხოვნილება“ — დ. უზნაძის გაგებით) განჩენისთანავე. დედაენა „ამოქმედდება“ და მოთხოვნილებისა და სიტუაციის პირობებისეულ ერთიანობას (განწყობა) სათანადო ელფერს დაამჩნევს. დედაენობრივი ცოდნისა და განწყობის მექანიზმის ამ თვალსაზრისით შესწავლა ენათმეცნიერისა და ფსიქოლოგის თანამშრომლობის უთუოდ ერთი მნიშვნელოვანი რგოლია. ენა აქ გამოცდილებაში მოცემულ „ობიექტურ ფაქტორად“ არის გაგებული.

ენობრივი შინაარსის საფუძვალი:
ტრადიცია და ისტორიული განვითარება

შინაგანი გენეზისის ზემოაღნიშნულ პროცედურას, რომელიც ამოსავლად რომელიმე ენას გულისხმობს, სისრულისათვის უნდა დაერთოს იდენტიფიკაციის შინარსობრივი აქტების შესწავლა გაგებინების პროცესში, რადგან ჩვენ საგნებს კი არ ვუზიარებთ ერთმანეთს,

არამედ „რალაცას“ მათ შესახებ. ამ „რალაცის“ აგებულებაში ენობრივის აღმოჩენა კი უკვე გაფართოებული გენეზისური ინჟერპრეტაციის სფეროა, რაც გულისხმობს არა მხოლოდ იგივეობრივი სტრუქტურის დადგენას და მისი, როგორც სოციალური სიდიდის, სტატისკურ ანალიზს (ეს რამდენადმე სოსიურმა შეასრულა), არამედ, შინაარსობრივი იგივეობრივიდან ამოსვლით, სამეტყველო კომუნიკაციის აქტების ენერგეისტულ ახსნას — ამ აქტებსა და საგანს შორის ენობრივი გამაშუალებლის აღმოჩენის გზით.

სინამდვილის ფაქტების ადამიანური გონის სამკვიდროში შემოქანა (არსებობს უფრო მარჯვე ნათქვამიც ჰუმბოლდტისა: ენა არის „აქტი სინამდვილის გარდაქმნისა აზრებად“ — *Act der Verwandlung der Welt in Gedanken* [59. VII. 41]) რომ ზეპიროვნულია და არა ერთჯერადი ინდივიდუალური აქტი, ეს მთელი წინა მსჯელობიდან ცხადი უნდა იყოს, მაგრამ ეს პროცესი, ამავე დროს, ისტორიული განზომილებების მქონეც არის. იგი, პირველ ყოვლისა, ენობრივი კოლექტივის ხანგრძლივი აქტივობაა, თანაც, დროისა და სივრცის გადამლახავ ამ პროცესს შერთულია და „შეწოვილი“ ცალკეული ინდივიდის ენობრივი შესაძლებლობანი და ძირითადი სამეტყველო მიმართულება.

განსაკუთრებით სოსიურის შემდეგ სადავო აღარ უნდა იყოს ის მოსაზრება, რომ თვით სრულიად ელემენტარულ სამეტყველო ქმედებაშიც ენობრივი თვალსაზრისით ყოველი ადამიანი მისდევს წესრიგს, რომელიც, მართალია, მასშია მოცემული, მაგრამ მის პერსონალურ შემოქმედებად ვერ ჩაითვლება. ოლონდ, სოსიურს არ დაუსაბუთებია არც შინაარსობრივი ბუნება ამ „წესრიგისა“ და არც მისი ისტორიული გამძლეობა და სიმტკიცე. მის ამოცანას მით უფრო არ შეადგენდა ეჩვენებინა, რომ ეს ენობრივი წესრიგი გაუცნობიერებელი, მაგრამ ერთგვარი „თეორიული“ პოზიციანა სინამდვილის მიმართ, რომელიც ადამიანის საგანთან დამოკიდებულების ყველა იმ ფორმებში შეგვიძლია დავადასტუროთ, რაც ინსტინქტური ბუნების უშუალო რეაქციად არ გაიგება.

ენობრივ თვალსაზრისთა ეს ერთიანობა ტრადიციული და ისტორიული კატეგორიაა, მემკვიდრეობითაა მიღებული, მაგრამ იგი არ არის უბრალო მემკვიდრეობა: ადამიანთა ისტორიული ჯგუფები

თავიანთ წევრთა ენობრივი შესაძლებლობების სულ მუდამ ახალი კუმულაციით საუკუნეთა მანძილზე ქმნიან ენობრივი ენერგიას ნაკადს, რომელიც გონით სივრცედ გადააქცევს მათ სასიცოცხლო სინამდვილეს. ამ გარემოში ისინი თავად გარდაიქმნებიან ენობრივ ერთობად და, შესაბამისად, გონით-კულტურული ცხოვრების ხანგამძლე ცენტრად.

**ენაში დანაწევრება არ არის დამოკიდებული
ბარაქენობრივ შაბტორებზე**

აქვე კიდევ ერთხელ უნდა შევნიშნოთ, რომ გამოთქმები: ენის „თეორიული პოზიცია“, „ენობრივი თვალსაზრისი“ — არ უნდა იქნეს გაგებული ინტელექტუალისტურად: ენა, მართალია, თეორიული განზომილების მქონეა (შდრ. დ. უზნაძე) [8. 176], მაგრამ ენობრივი აქტი როდია წმინდა თეორიული აქტი; იგი სამყაროს სწორედ პრაქტიკულად დაუფლებისა და გარდაქმნის ადამიანურ პროცესშია ორგანულად ჩართული და თავისი არსით იმდენად გაუცნობიერებელი და „ბუნებრივი“ ქმედებაა, რომ ქცევის სხვა ბუნებრივი ფორმებისაგან ძნელი განსასხვავებელია. „გონების ინტელექტუალური ინსტინქტი“ (ჰუმბოლდტი) — ეს მეტაფორული გამოთქმა ალბათ უფრო შეეფერება ენის გაუცნობიერებლად მოცემულობის ფორმას, ასევე მის იმ ფუნქციას, რასაც იგი ყოფიერების ცნობიერებად გარდაქმნაში ასრულებს.

თუ დღეს თითქმის დაძლეულია ბიოლოგიკური თვალსაზრისი და ენა ქცევის მარტივ სახედ აღარ გაიგება, არც მისი საპირისპირო ინტელექტუალისტური თვალსაზრისია გასაზიარებელი, რომელიც ენას ბუნების უზოგადესი სტრუქტურის გამოთქმის თვისებას მიაწერს. მივაწერეთ რა ენას ბუნების სტრუქტურის ასახვის ფუნქცია, ამით დავუშვით ენის გაიგივება მეცნიერებასთან, მაგრამ ენის სურათში როდია აღბეჭდილი ბუნების კანონზომიერების სურათი. ამის პრეტენზია შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ მეცნიერებას და ისიც იდეალში! თუ კი ენამ თავისი ბუნებრივი მოცემულობით ასე „უმტკივნეულოდ“ გადაჭრა სამყაროს ნამდვილი სურათის შექმნის ამოცანა, მაშინ

ძნელია გავამართლოთ მეცნიერული შემეცნებისა და მეცნიერების თვით არსებობის ფაქტი (უკანასკნელ ხანებში გაშლილი კრიტიკა ბუნებრივი ენისა სხვადასხვა ქვეყანაში და ის უდიდესი ძალისხმევა, რაც მიმართულია მეცნიერების ერთიანი ენის შექმნისაკენ, საუკეთესო საბუთია მეცნიერთა (ფიზიკოსთა, ლოგიკოსთა...) უნდობლობისა ბუნებრივი ენის მეშვეობით მიღებული ინფორმაციისადმი სინამდვილის შესახებ [56. 24]. ენის მეშვეობით შეიძლება „დანახვა“ საგნებისა, მათი ფორმის, ზომისა, მათი მსგავსებისა და განსხვავებისა, ოღონდ „ხედვის“ ე.წ. „მეცნიერებადელ“ დონეზე. ენათა შინაარსობრივი სხვაობა სწორედ ამ დონეზე იჩენს თავს და შედარებითი კვლევა აქედან უნდა დაიწყოს.

იმდენად ბუნებრივია სურვილი დაინახონ უფრო ღრმა კავშირები საგანთდაყოფასა და ენობრივ დაყოფას შორის, რომ ზოგიერთ ლინგვისტს საგანთა უნივერსალური კლასების აგებაც კი უცდია ენიდან ამოსვლით. მაგ.: ვეიდტის სტატიაში კამათია იმის შესახებ, რომ რაკი გერმანულსა, ინგლისურსა და ფრანგულში ერთი ზედსართავით (dick, thick, épais) არის აღნიშნული, ვთქვათ, ფიცრის, ნისლისა და სითხის სისქე, შეიძლებოდა გვეფიქრა რაღაც გამაერთიანებელ თვისებაზე, რაც სქელ საგნებს უნდა ახასიათებდეს და ასეთი შეიძლება იყოს საერთო უნარი წინააღმდეგობის გაწევისა (ლურსმანი ძნელად ჩადის სქელ ფიცარში, ასევე კოვზი ძნელად ჩადის სქელ წვნიანში, შუქი ძნელად ატანს სქელ ნისლში და ა.შ.) [97. 63].

ამ მსჯელობის გაცნობის შემდეგ ნათელი ხდება, რომ ლინგვისტებიც განიცდიან ენის ბგერისეული ორიენტაციის ფარულ ზემოქმედებას იმდენად, რომ საგნებში ცდილობენ იმ საერთოს პოვნას, რაც მხოლოდ სიტყვის ფონეტიკური ერთიანობიდან მომდინარეობს. აქ ორი შეცდომაა ერთდროულად დაშვებული — ერთი ის, რომ ენათმეცნიერი საგნის სუბსტანციური თვისებებიდან არ უნდა ამოდიოდეს სემანტიკური ერთეულის დადგენის დროს — ეს ონომასიოლოგიზმია სემანტიკაში. მეორეც ის, რომ დედაენის ზეგავლენის ამოცნობას ენათმეცნიერი მაინც უნდა ახერხებდეს. ამისათვის საკმარისია სხვა ენებთან შედარება. მაგალითად, რუსულში, სადაც მყარი სხეულების მიმართ იხმარება *толстая (доска)*, ხოლო თხევადი

კონსისტენციის სხეულის მიმართ густой (მჭდ), ენათმეცნიერისათვის, ალბათ, არც დადგება საკითხი ნივთიერებათა ამ ორი კლასის ერთიან საფუძვლის შესახებ.

მთავარ ევროპულ ენათა მონაცემების მიხედვით საგანთა ერთიანი კლასების აგების ასეთ ცდას სხვა ენების, თუნდაც ქართულისა და უფრო რუსულის, ვითარება მთლიანად აცლის საფუძველს.

ქართულ ენაში დღეს ზედსართავი „სქელი“ გამოიყენება როგორც სითხის, ისე მყარი ბრტყელი საგნების მიმართ: „სქელი რძე“, „სქელი ფიცარი“. ამავე დროს მრგვალი და ოვალური სხეულების განზომილება, რომელთაც, აგრეთვე, მოგრძო ფორმა აქვთ, გამოიხატება ზედსართავით „მსხვილი“. სითხეც, თუკი მას მრგვალი ფორმა მიუღია, ამ სიტყვით აღინიშნება: „მსხვილი მარცვალი, მილი“ და „მსხვილი წვეთი“. სხვა ვითარებაა რუსულში: სითხე და მყარი სხეულები იქ ერთი ზედსართავით არ აღინიშნება: толстая доска, მაგრამ густое молоко. ამავე დროს, ქართულისაგან განსხვავებით, რუსული ენა ბრტყელსა და სიგრძითი განზომილების მქონე მრგვალ სხეულებს ერთად აჯგუფებს: толстая доска და толстая труба. რაც შეეხება სიგრძითი განზომილების არამქონე მრგვალი ფორმის სხეულებს, მათ შორის, თხევად სხეულებს, ისინი, მასალობრივი შედგენილობის მიუხედავად, ცალკე გამოიყოფა ზედსართავით — крупный: крупное зерно, крупная капля.


საინტერესოა, რომ დაპირისპირების თანმიმდევრობა მელავნდება ანტონიმებშიც, როგორცაა: „თხელი“, „წვრილი“, „წმინდა“, „სიფრიფანა“. ქართულში „თხელი ფენა“ შეესაბამება რუსულ тонкий-ს, „წვრილი“ და „წმინდა“ ძაფის მიმართ ითქმის, ე.ი. ამ შემთხვევაში შეიძლება ეს ორი სიტყვა ერთმანეთს ჩაენაცვლოს. „წვრილი“ სრულიად სხვა განზომილებაა ქართულში. რუსულში ეს სხვაობა, როგორც ჩანს, არარელევანტურია. თუ ქართველისათვის „თხელი რძე“, „თხელი თმა“, „თხელი ფენა“ შესაძლებელია, რუსი ასეთ შემთხვევაში იტყვის: 1. жидкое молоко, 2. редкие волосы, 3. тонкий слой.

მაშასადამე, რუსული тонкий მყარ სხეულებში ორ განზომილებას აერთიანებს: „თხელი ფენა“ და „წვრილი მავთული“, სითხე აქ არ

შემოაქვს; ქართულში მყარი სხეულები „წვრილი“ და „თხელი“ სულ სხვადასხვა განზომილებაა, ხოლო „თხელი“ სითხისა და მყარის დაპირისპირებას არ ქმნის. „თხელისათვის“ არარელევანტურია მყარი — თხევადის გარჩევა და რელევანტურია განზომილება.

რუსულში ТОНКОЕ МОЛОКО შეუძლებელია, „აკრძალული კომბინაციაა“, ქართულში კი თამამად შეიძლება ითქვას: „თხელი რძე“ და „თხელი ქაღალდი“.

ამრიგად, „სქელის“ და „მსხვილის“ ანტონიმებში ასეთ სურათს მივიღებთ:



გარდა ამისა, უნდა ითქვას, რომ ქართულში ცალკეა, აგრეთვე, აღნიშნული „თხელის“ უმაღლესი ხარისხი — მაქსიმალურად „თხელი“ — „სიფრიფანა“. ს. ორბელიანის მიხედვით („სიტყვის კონა“), „სიფრიფანა — ესე არს, რომლის სიგრძე და სივრცე განიზომებოდეს და არა აქუნდეს სიღრმე განსაზომი“ (49:10). გარკვეულ შემთხვევებში „სიფრიფანა“ გამოხატავს უაღრესად „თხელს“, მაგრამ არა ყველა საგნის მიმართ, სადაც „თხელი“ შეიძლება ვიხმაროთ. იგი გამორიცხულია, მაგალითად, სითხის მიმართ: არ შეიძლება „სიფრიფანა“ რძე, მაგრამ „სიფრიფანა“ კაბა, „სიფრიფანა“ ქაღალდი, „სიფრიფანა“ ფრთები (პეპლისა), „თხელისაგან“ განსხვავებით იგი აღნიშნავს სხვა თვისებასაც — თითქოს

ოდნავ გამჭვირვალესა და გასაფრიალებლად შესაძლებელს.

მაგრამ თუ უშუალოდ არა, იქნებ შუალობით მაინც მოქმედებს საგანთა დაყოფის უზოგადესი პრინციპები, რაც ისევე შეიძლება იმას მოწმობდეს, რომ სიღრმულ განზომილებაში ენისა და მეცნიერების ხედვის რაკურსი არ არის ასე განსხვავებული? რუსულმა ენამ გაატარა განსხვავება ზედსართავებში საგანთა გეომეტრიულ (ТОЛСТАЯ ДОСКА) და ფიზიკურ (ГУСТОЙ МЁД) თვისებებს შორის, რაც ნივთიერებათა მეცნიერულ დაყოფას შეიძლება ერთგვარად ემთხვეოდეს. ასევე ქართულმა აღნიშნა განზომილებათა სხვადასხვა პარამეტრი ცილინდრული და სფეროსებრი საგნებისა სიბრტყის მქონე (პარალელეპიპედი) საგნებისაგან განსხვავებით. თუნდაც მხოლოდ მყარი საგნების განზომილებათა ზედსართავები რომ შეგვედარებინა, გამოირკვეოდა, რომ იაპონური ენა^{*} კიდევ უფრო მეტად უახლოვდება ე.წ. გეომეტრიულ კლასებს, რაც იმას შეიძლება მოწმობდეს, რომ ენები იმეორებენ თვისებათა მიხედვით საგანთა დაყოფის უნივერსალურ პრინციპებს — პარალელეპიპედად, ცილინდრისებრად, სფეროსებრად.

იაპონურის გარდა სხვა ენა რომ არ არსებულებოდა, ამ მაგალითის მიხედვით (და მის ფარგლებში) შეიქმნებოდა სრული ილუზია იმისა, რომ ენა განმეორებაა საგანთა დაყოფის უნივერსალური კლასებისა. მაგრამ სხვა ენათა მონაცემებმა, რომლის უკიდურესი ვარიანტიც ამავე სქემაში გერმანულია, როგორც ვნახეთ, სრულიად სხვა სურათი გვიჩვენა.^{**}

ვარიაციათა რაოდენობა და თავისებურება რომ ენათა მიხედვით შეუზღუდველია, ამას შემდეგი ვითარებაც მოწმობს. ზომის აღმნიშვნელ ზედსართავის ხმარებაში ქართულში ჩვენი ყურადღება მიიპყრო ერთმა თავისებურებამ: მართალია, მრგვალი, სფეროსებრი სხეულების მიმართ გამოიყენება ზედსართავი „მსხვილი“ — მსხვილი მარცვალი, კაკალი, კვერციხი... მაგრამ „ვაშლი“ უკვე აღარ შეიძლება იყოს „მსხვილი“, ასევე ატამი, მსხალი, მით უფრო, საზამთრო, აქ უკვე მხოლოდ „დიდი“ ითქმის. დიდი საზამთრო, დიდი ბურთი — დაახლოებით ვაშლის ზომიდან იწყება ეს საზღვარი!

* ამის შესახებ უფრო ვრცლად იხ. [5. 195].

** ჩვენი დებულება და სათანადო მაგალითები სომხურთან მიმართებით განხილული აქვს გერმანელ ენათმეცნიერს დ. იობს [62].

სად შეიძლება იყოს ენის გარეთ დადგენილი ეს საზღვარი? რატომ იწყება იგი მაინცდამაინც ვაშლისოდენა საგნების 'ზომიდან' (და არა უფრო ქვემოთ ან ზემოთ?). საზღვრის ადგილის შესაძლებლობანი არათვლადია, ამიტომ იგი არ ემორჩილება არავითარ წინასწარ გაზომვას და მას „უნივერსალური ცოდნის“ ე.წ. ლექსიკონში ვერ ამოვიკითხავთ. სხვა ენაში საზღვარი შეიძლება სხვაგვარად გადიოდეს. რუსულში, მაგ.: ითქმის крупные яблочки (თუმცა ერთი ვაშლი большое яблоко). აქ ზომის ზედსართავს крупный სიმრავლის ცნება დაუკავშირდა, ქართულშიც უკავშირდება ზომას სიმრავლის, კრებადობის იდეა, მაგრამ არა მსხვილსა და დიდს, არამედ მხოლოდ ანტონიმს — „წვრილს“. თუ „მსხვილი ვაშლი“ არ ითქმის, „წვრილი ვაშლი“ უკვე შესაძლებელია და ნიშნავს ზომით პატარა, მაგრამ ბევრ ვაშლს (შდრ. ასევე „წვრილი შვილი“, „გამოჩნდნენ წვრილნი ვარსკვლავნი“ და სხვ.). ბუნების აუცილებლობიდან იმის პროგნოზირება, თუ ენაში რომელი იდეა რას დაუკავშირდება, ყველა შემთხვევაში არ მოხერხდება. ასეთი „უცნაურობანი“ სხვა ენებშიცაა.

უფრო არსებითია, ამოვიცნოთ საგანთა მიმართ ადამიანის ინტერესთა სფერო, პოზიცია და თვალსაზრისები, რაც, თავისთავად ცხადია, ყოველთვის არ ემთხვევა საგნების ონტიურ თვისებათა სიცხადეს. მართალია, ადამიანთა თვალსაზრისებში დიდ ადგილს იკავებს საჭიროებით მოტივირებული დამოკიდებულებანი საგნებთან, მაგრამ ენებში გამოიყოფა არც თუ მცირე ნაწილი ლექსიკისა, რომელიც მოწმობს, რომ ადამიანთა ინტერესების სფერო ყოველთვის არ განისაზღვრება ვიწრო პრაქტიკული მოთხოვნებით, მხოლოდ პრაგმატული თვალსაზრისით.

ამის გამო ამ სიტყვებს როდი აქვს ნაკლები რეალობა! ასევე, ე.წ. „სემანტიკური აკრძალვების“ საფუძველიც ყოველთვის ენის გარეთ არ გამოინახება: „მსხვილი ან წვრილი საზამთრო“ რომ შეუძლებელი, „აკრძალული“ სემანტიკური კომბინაციაა ქართულში, ამის ახსნას ბუნებაში ვერ ვიპოვით და ვერც საჭიროების მოთხოვნიდან გამოვიყვანთ, მაგრამ ისევე აუცილებელია მივსდით ამ „აუხსნელ“ სემანტიკურ დაყოფას (ქართულ სემანტიკურ ნორმას), როგორც იმ ნორმას, რაც ბუნებრივი ან სოციალური აუცილებლობიდან შეიძლება იქნეს გამოყვანილი. თუ ამ უკანასკნელის ათვისება-გამოყენება რამდენადმე გარეგანი მოტივებითაც შეიძლებოდა გამართლებულიყო,

აქ, ასე ვთქვათ, კონკრეტული ენის მიერ „აგებულ“ სიტუაციაში ვტრიალებთ და, მიუხედავად იმისა, რომ იგი მეტწილად გაუაზრებელია, მეტყველისათვის არაფრით არ არის ნაკლები რეალობის მქონე ან ნაკლებად იმპერატიული. სწორედ აქ შეიძლება დაგვედასტურობინა ენის ისეთი ფუნქციობა, რასაც „საკუთრივ ენის ქმედება“ დაერქმეოდა. ისეთი სიტყვები, რომლებიც ადამიანური აქტივობის უფრო მაღალ (სულიერი კულტურის) სფეროებს გამოხატავენ და რომელთა სუბსტრატს ენის გარეთ ასე ადვილად ვერ ვპოულობთ, განსაკუთრებული ენერგეტიკული ძალის მქონეა და ზოგჯერ არააქტუალური სიტუაციების ცნობიერად აგების საყრდენებადაც გვევლინებიან. აქ შემოვიდოდა სიტყვათწარმოების საშუალებანიც.

**ენის შინაარსების კვლევა გზაა „ენობრივი ველის“
შემოსატანად (ემაირიული ორინატაცია)**

„ენობრივი ველის“ (Sprachfeld) ცნების შემოტანა გამოიწვია ტრადიციული ლექსიკოგრაფიის კრიტიკის საჭიროებამ. ენობრივი ველის შესახებ ბევრი იწერება.* კვლავ არ არის ნათელი, რა იგულისხმება ზუსტად ამ ცნებაში. ყველაზე უფრო იმედის მომცემი, ჩვენი რწმენით, ლ. ვაისგერბერის ძიებანია. იგი იწყებს ტრადიციული ლექსიკონების კრიტიკით. ეს ლექსიკონები, როგორც ცნობილია, ვერ მიჰყვებიან იმ პრინციპს, რომლის მიხედვითაც სალექსიკონო მასალა ენობრივად უნდა დადგინდეს: ანბანურ ლექსიკონში სიტყვები ანბანურ რიგს მიჰყვებიან და ის მხოლოდ პრაქტიკულ მიზანს ისახავს — რაც შეიძლება სწრაფად იქნას ნაპოვნი სიტყვა, ენის შინაარსობრივ აგებულებაზე კი ვერაფერს ამბობს. ამას გრძნობდნენ ბერძნებიც და ანბანურის გვერდით შექმნეს ონომასიოლოგიური ლექსიკონები (ონომასტიკა), სადაც ბერითი ფორმებით კი არ არის მასალა მოწესრიგებული, არამედ საგნობრივი ჯგუფების მიხედვით. ისინი ამოდიან საგნებიდან, მაგრამ გარეენობრივ პრინციპს მისდევენ. ისე, როგორც

*ამის შესახებ იხ. პობერგი [58] კოსეროუ [40] და სხვ.

ანბანური, საგანთლექსიკონიც დედანას შინაარსობრივი საზომების ვერ აღწერს; საგანთლექსიკონის შემდგენელნი მეტწილად ვერ აცნობიერებენ ენობრივი საგანთხედვის პრინციპს და „გადაახტებიან“ ხოლმე დიდად მნიშვნელოვან და გადამწყვეტ ენის შინაარსების სფეროს. მაგრამ თუ სიტყვათშინაარსები მხოლოდ ნიშნობრივობის ძალით არ დადგინდება და არც შემოისაზღვრება, ეს უნდა განხორციელდეს, ლ. ვაისგერბერის აზრით, სიტყვათველების მიხედვით. ტრადიციული ლექსიკონები უთუოდ შეიცავენ საჭირო მითითებებს, მაგრამ არა იმ პრინციპს, რასაც მთლიანობიდან ამოსვლით მისდევენ სიტყვათველები. ეს ველები საგანთა ენობრივ სურათს მონაკვეთების სახით შეავსებენ და ასე იქმნება დედანის სრული სურათი.

ანბანური ლექსიკონი, ჩვეულებრივ, ატომიზებულია, საგნობრივი, თემატური კი ენებს არ ასხვავებს, ამდენად, ფოტოგრაფიულია, ყოველ შემთხვევაში, ცდილობს, ასეთი იყოს; ქართულში თემატური ლექსიკონი ქართული ყოფის სურათს იძლევა (ქოხი-ბოსელი-ფარეხი...) და ახლოს არის ქართველი კაცის პრაქტიკულ აღქმასთან. თვითონ ბუნების მოვლენებიც ქართული აღქმის არეალშია ენის მიერ „შემჩნეული“ და სახელდებული. მაგალითად, „ცვარი“ და „ნამი“ — ერთი თემის შიგნითაა, როგორც „ნესტიანი“ და „ნოტიო“. ეს ამ სიტყვების გამოყენებათა კონტექსტების არაგადამკვეთი შემთხვევებიდან არის ამოზრდილი: „ცვრიანი“ მწვადი და არა „ნამიანი“ (მაგრამ გასაუთობლად: დანამული თეთრეული). კედელი შეიძლება იყოს „ნესტიანი“, მაგრამ არა „ნამიანი“, ან „ცვრიანი“. ნაშში შხის სხივია გადატეხილ-აციალებული; განსხვავდებიან ნიავი, სიო. ვამბობთ: „აქ მუდამ ნიავია“, მაგრამ „სიომ დაუბერა“. კოჯრის „ნიავი“ და არა კოჯრის „სიო“. თავისებურება გრძელდება; მაგ. განიავება: ოთახი გაანიავე, ოთახი გაასიოე — არ ითქმის. აქ პრობლემა ლინგვისტურიცაა: ნიავი და სიო არ ჩაითვლებიან სინონიმებად; ისინი ერთ მოვლენას სხვადასხვა ბგერითი ფორმით კი არ აღნიშნავენ, არამედ აღამიანის სხვადასხვაგვარ დამოკიდებულებას აჩვენებენ მათთან: თვალსაზრისთა სხვაობასთან გვაქვს საქმე და ეს თვალსაზრისები

ენობრივი ერთობის შიგნითაა. ასევე ადამიანის ფაქტორი მონაწილეობს „წვიმის“ ტემპის აღსანიშნად. სულხან-საბას მიხედვით: დელგმა — არს წვიმა დიდი და გვიან მომდარებელი; ისხარი — წვიმა სწრაფი და ადრე მომდარებელი. მეცნიერული ობიექტურობისა და მხატვრულობის ბრწყინვალე ნიმუშია ცვარი — „სინოტივისაგან ჰაერისა უღრუბლოდ მოსული ღამით და დილეულ ფურცელზედ მდგარი“. [4. II. 390] (მდრ. პროზაული განმარტება თანამედროვე „ქართული განმარტებითი ლექსიკონიდან“: „საგანთა ზედაპირზე გაჩენილი წვრილი წვეთები ტენიანი ჰაერის გაცივების შედეგად“ [10. VIII. 607]. აქ ადამიანი, რა თქმა უნდა, არ ჩანს).

ცალკეული სიტყვა საბას ლექსიკონში არ არის მოცემული მხოლოდ საგნობრივი ან ცნებითი პრინციპით: „დელგმა“ საბასთან გრადაციას, ინტენსივობას გამოხატავს, მაგრამ, ამავე დროს, მისდამი ადამიანის დამოკიდებულებაც ჩანს. („წვიმა ძლიერი“ — ეს უფრო ობიექტურია, ხოლო „გვიან მომდარებელი“ — უკვე ადამიანის მონაწილეობაა). „ძლიერი“ — გრადაციის, ინტენსივობის გამომხატველია, „გვიან მომდარებელი“ — ზოგადადადამიანურია, ოღონდ ენაში მნიშვნელობათა განაწილებიდან ამოზრდილი. როგორც ცნობილია, არსებითად განსხვავებიან ანბანური და თემატური ლექსიკონები, მაგრამ ზოგჯერ არის შემთხვევები, როცა ანბანური პრინციპია მოშველიებული და თან თემატურიც. „დელგმაც“ ამის ნიმუშია: რა იქნებოდა საგნობრივი „დელგმაში“? ინტენსივობის ხარისხი: წვიმა და თანაც ძლიერი, განსხვავებით „ცრის“ და სხვათაგან. მაგრამ „გვიან მომდარებელი“, გარდა იმისა, რომ ობიექტურადაც სწორია, ადამიანის განცდასაც გამოხატავს (ფსიქოლოგიურ დროსაც!). „ცვარი“, გარდა იმისა, რომ ლამის მეცნიერული დეფინიციია (არც ერთი კომპონენტი არ აკლია!), ისეთი ფორმით არის მოწოდებული, რომ ძალაუნებურად გახსენდება ჰუმბოლდტის ნათქვამი: ენა ხელოვნებააო.!


„ხილულ“ სამყაროში ერთმანეთისაგან ვარჩევთ საგნებს და პროცესებს (მდგომარეობას). პირველის აღმნიშვნელ სიტყვებს გრამატიკაში უწოდებენ სუბსტანტივებს, მეორისას — ზმნებს. მაშასადამე: საგნებად და აქტებად დაყოფას სამყაროში შეესაბამება ენობრივი

დაყოფა სუბსტანტივებად და ზმნებად. მაგრამ ნებისმიერ ენაზე ელემენტარული დაკვირვებაც კი ცხადყოფს: [ეს აღნიშნა ჯერ კიდევ ბ. უორფმა [98] და შემდეგ ე. ლაიზიმ [65]], რომ დაყოფის პრინციპები ენაში მეტყველების ნაწილებად და ბუნებაში ყოველთვის არ ემთხვევა ერთმანეთს: სუბსტანტივია სიტყვა „ქარი“ და სუბსტანტივია „ხეც“, თუმცა პირველი წარმოადგენს პროცესს, მოძრაობას, ხოლო მეორე — არა. ასევე „ცეცხლი“, „ხმაური“, „დენი“ მიმდინარეობს დროში და წარმოადგენს პროცესებს, თუმცა ისინი მიეკუთვნებიან სუბსტანტივებს, მაშინ, როცა მდგრადობის გამომხატველი სიტყვები — „დვას“, „რჩება“ და სხვ. მიეკუთვნებიან ზმნებს.

მაშასადამე: ენობრივი დაყოფა ყოველთვის არ ემთხვევა, ხოლო ზოგჯერ ეწინააღმდეგება კიდევ ბუნებაში არსებულ დაყოფას.

ასეთივე დასკვნა გამომდინარეობს მთარგმნელობით პრაქტიკაში კარგად ცნობილი (თუმცა სემანტიკურ თეორიებში სათანადოდ შეუფასებელი) ფაქტიდან, როდესაც ერთიდაიგივე საგნობრივი სიტუაცია ენაში სხვადასხვაგვარად არის დაყოფილი და აღნიშნული. როდესაც, მაგალითად, ერთ სიტყვას, ერთ დაუშლად მნიშვნელობას, ენობრივ კონცეპტს A ენაში შეესაბამება ორი ან მეტი მნიშვნელობა B ენისა და ამასთან B ენის სიტყვათა მნიშვნელობების ჯამი არ უდრის A ენის სათანადო სიტყვის მნიშვნელობას. მაგ.: სიტყვა *косточка* რუსულში წარმოადგენს ერთ ენობრივ კონცეპტს, ერთ დაუშლად მნიშვნელობას, როგორც აღმნიშვნელი ცხოველის ან ფრინველის (პატარა) „ძვლისა“ და თევზის „ფხისა“ (რომ აღარაფერი ვთქვათ იმ გარემოებაზე, რომ იგივე სიტყვა რუსულში ნიშნავს, აგრეთვე, „კურკასაც“). გერმანულში შესაბამისად იქნება: — *Knochelchen* (პატარა) ძვალი და *Gräte* — „ფხა“. ამ ორი სიტყვის: „ძვლის“ და „ფხის“ მნიშვნელობათა ჯამი ქართულში არ უდრის რუსული *косточка*-ს მნიშვნელობას, რამდენადაც სიტყვა „ფხას“, აღნიშნავს რა ქართულში რაღაც მჭრელს, წვრილს, ბასრს, მჩხვლელს, აქვს შემდეგი მნიშვნელობები: 1. (თევზის) ფხა *косточка*, (თავთავის) ფხა — *ость*, 3. (ხმლის, ხანჯლის) ფხა — *лезвие* და სხვ.

თვალსაჩინოებისათვის მიახლოებით ეს შეიძლება შემდეგნაირად



აქ გაოცებას ის იწვევს, რომ კურკას და ფხას (ასევე ძვალს) აერთიანებს КОСТОЧКА.

თავის მხრივ, გერმანული Stein, (კურკა, ქვა...) და Kern-ის (კურკა ბირთვი, თესლი...) ქართული და რუსული შესატყვისებიც, რომ აღგვნიშნა, სქემა კიდევ უფრო გართულდებოდა და გამოიჩნდებოდა, რომ ძნელია საგანთა შორის საზღვრების დადგენა.

იმაზე ცხადი თითქოს რაღა უნდა იყოს, ვიდრე სხეულის ნაწილთა მოცემულობა, მაგრამ ავიღოთ, მაგ.: „ნიკაპი“. თითქმის ყველა ლექსიკონი, როგორც ქართული, ისე რუსული, გერმანული... ასე განმარტავს ნიკაპს: „პირისახის მომრგვალებული ბოლო, ქვედა ყბის წინ წამოწეული ნაწილი“ (იხ. განმარტებითი ლექსიკონის ერთტომეული)* საბამ კი „ნიკაპი“ განმარტა, როგორც „ყბათ შესაყარი“ [4. 1. 593] — ყოველი ქართველი შინაგანად ამის თანახმაა. ქართველის ვიზუალური აღქმითი პოზიციაც ამას ეთანხმება. რა მოხდა?

* ერთტომეულს ეამბობთ იმიტომ, რომ მრავალტომიან და მრავალმხრივ შესასწავლ ქართულ განმარტებით ლექსიკონში ერთგვარი შეუსაბამობაა: ის განმარტება არის მოცემული, რაც აქ არის და ამავე დროს მისი გამოძრიცხავი „ყბათ შესაყარი“ საბასი. ამაზე თვით მთავარ რედაქტორსაც (არნ. ჩიქობავას) მივაქცევინეთ ყურადღება და იგი დაგვეთანხმა.

ქართულად როცა ვამბობთ, „ყებო“ — ვგულისხმობთ მარცხენას და მარჯვენას, არავითარ შემთხვევაში — ზედას და ქვედას. არაქართულია ერთტომეულის განმარტება. ასე რომ იყო — ზედაც და ქვედაც, მაშინ ნიკაპი „დინგი“ გამოვიდოდა, დაირღვეოდა ქართული ენის პოზიცია — ქართული ენის ლოგიკის მიხედვით გაწყობილი. კურიოზია, თუ საბასაც დავეყრდნობით და ახალ დეფინიციასაც გავყვებით...

აქ უკვე ჩანს, რომ ენა ფოტოგრაფია არ არის და არ ამოდის საგნის სუბსტანციონალური მოცემულობიდან, თუმცა სხეულის მოცემულობა და ცოდნა ცხადზე უცხადესია.

სიტყვის მნიშვნელობის განმარტება ლოგიკური დეფინიციის მიხედვით არ იკმარებს. ამჯერად ქართულ ენაში „ყბაც“ უნდა იცოდეს, როგორც „ესმის“ ქართულ ენას; თუ გინდა, რომ „ნიკაპი“ გაიგო, უნდა გაიაზრო, რომ მართლ ანატომიურად კი არ არის დაკავშირებული ქართულში ნიკაპი ყბასთან, არამედ ენობრივად.

საბასთან „ყბა ღაწვის ძვალი“-ა. „ღაწვი“ „ძველი ქართულის ლექსიკონში“ (ილია აბულაძე) [1. 461] არის „ყურიძალი“, ყბა, ლოყა. „გცეს თუ ვინმე მარჯუნასა ღაწუსა“ (ყურიძალსა) შენსა, მიუყარ შენი ერთიცა“. „მივსცე ღაწუნი ჩემნი ყურიძალის ცემად“. გერმანულში „მარჯვენა ყბა“ თარგმნილია მარჯვენა მხარედ (rechte Seite): als dich jemand auf die rechte Seite schlägt, zeige ihm die andere (linke).

როგორც ითქვა, იმდენად თვალსაჩინოა სხეულის ნაწილთა მოცემულობა, რომ ენათა შორის თითქოს არც უნდა ყოფილიყო სხვაობა. მაგრამ ქართულში „ყბის“ არასწორად გაგება უცხოელს გაუძნელებს ს. ორბელიანის „ნიკაპ“-დეფინიციის გაგებას.

აქ მთავარი სიძნელე არის იმ ბარიერის დაუძღველობა, რაც ამართულია ენებში ქართულის გასაგებად: იმდენად ჩვეულებრივია ევროპულ ენათა მრავლობითში რუს. **елюсть**, გერმ. **die Kiefer** (ზედა და ქვედა), რომ ამის დაძლევა უცხოელს უქმნის უჩვეულო სიძნელეს, თუმცა არ უკვირთ, როცა გაიგებენ, რომ ქართველისათვის „ყბები“ მარჯვენა და მარცხენაა. ეს „ლოგიკაც“ მისაღებია. არის ზოგჯერ მისაღები და ზოგჯერ ძნელად მისაღები ლოგიკა.

ძველ ქართულში იყო: ღაწვი, ლოყა, ყბა-სინონიმური რიგი. „ყბა“,

განზოგადებულად (ძველად და ახლაც), მთელ ლოყასაც ენაცვლება: „ყბაში გაარტყა“, „ლოყაში სილა გააწნა“ — დაახლოებით ერთი სფეროა, მაგრამ „ყბას ჩამოგიღებ“, „ყბებს ჩაგიმტვრევ“, აქ იგულისხმება ქვედა ყბა. აბსურდია ქართულში მიმართება „ზედა-ქვედა“. „ზედა“ ყბა ქართულში არ არსებობს. „ზედა ყბას ქართველი კბილებს ეძახის. Вставные челюсти ქართულში „ჩასმული კბილებია“ და არა „ჩასმული ყბები“. რა თქმა უნდა, აქ გარკვეული როლი ითამაშა სტომატოლოგიამაც, სადაც ზედა და ქვედა ყბა პროფესიული ლექსიკაა. ნიკაპსა და ყბას შორის კავშირი ძნელად დასანახია.

ენობრივი ველი, რა თქმა უნდა, არ წყვეტს სემანტიკის ყველა პრობლემას. მაგრამ ზოგი რამ მაინც მნიშვნელოვანია: 1. ველში სიტყვათა შორის დამოკიდებულება არ დაიყვანება სინონიმთა რიგზე: ფერის ველში, მაგალითად, შედის სიტყვები (წითელი, ყვითელი...), რომლებიც სინონიმები არ არიან. 2. ველი ყოველ ენაში თავისებურად არის აგებული: იგი ენობრივ თვალსაზრისთა უნიკალური დაჯგუფებაა (ამიტომ არაკორექტულია სამეცნიერო ტერმინების — მათემატიკის, ქიმიის... — ველზე მსჯელობა, რადგან ისინი სამეცნიერო ცნებათა უნივერსალურ წყობას გამოხატავენ).

მნიშვნელობათა კლასიფიკაცია ენაში შეიძლება ჩატარდეს იმის გათვალისწინებით, სად უფრო არის მომძლავრებული საგნობრივი ფაქტორი და სად საკუთრივ ენობრივი. ამისდამიხედვით, ორი დონე შეიძლება გამოიყოს: რეფერენციული და ინტერპრეტაციისა. შდრ. [73. 73-86]. იქ, სადაც, როგორც ადრე ითქვა, შეგრძნებათა არხები „გახსნილია“ და საგანთა ნიშან-თვისებებიც თვალსაჩინოა, ბევრადობით ფიქსირებული საგნები რეფერენციულ დონეზე განლაგდება, ხოლო, სადაც საგანი „არ ჩანს“ და ადამიანური შეფასების ფენა ძლიერია, ენობრივი ფაქტორის როლიც მატულობს, რაც, პირველ ყოვლისა, ველის ქმედებაში იჩენს თავს: ველის თითოეული წევრის შინაარსობრივი „პოზიცია“ შეპირობებულია მოსაზღვრე წევრთა ურთიერთქმედებით.

ველის ისეთი გაგება გვჭირდება, რომელიც საგნობრივი ცნობიერების აგების პრინციპს გაგვიშუქებს და, ამდენად, საგნობრივი, სოციალური თუ სხვა პირობების გვერდით საკუთრივ ენობრივი ფაქტორების მაკონსტრუირებელ თვისებებსაც წარმოაჩენს. ენობრივი ველი ენერგეტიკული გაგებით (შდრ. ამ მიმართულებით ვანსგერბერის ცდა [94]) არ არის სტატიკური „სიტყვათმოზაიკა“.

ი. ტრირი, ველის იდეის აღიარებული ავტორი, რომელსაც ადრეველი ორგანიზაციებიდან „სიტყვათმოზიკად“ ესმოდა, საბოლოოდ ვაისგერბერისეულ გაგებას უფრო მეტად დაუახლოვდა, რის გამოც იგი წერს: „ველის მოძღვრება იმთავითვე ახლოს იდგა ლ. ვაისგერბერის აზრთა მსვლელობასთან. ვაისგერბერმა დიდად შეუწყო ხელი მის აღმოცენებას და შემდგომშიც იგი უფრო მეტად, ვინემ სხვა, იღვწოდა მისი განვითარებისათვის. მან ველი ჩასვა სიტყვათა შინაარსეული მედეგობის განმსაზღვრელ ძალთა ერთიან სისტემაში, რითაც ამ მოძღვრებას საიმედო მეთოდური ადგილი მიუჩინა. ახლა უკვე ველი გვესმის, როგორც შინაარსის შემანარჩუნებელ ყველა ძალთა შეთანხმებული მოქმედების თანამონაწილე“ [83. 17].

ლაიონზი ველის თეორიას „ტრირ-ვაისგერბერის თეორიას“ არქმევს. ვაისგერბერის უპირატესობა, მისი აზრით, ის არის, რომ მან, ტრირისაგან განსხვავებით, მკაფიოდ გამოიჯნა ერთი მეორისაგან მნიშვნელობა (Bedeutung) და შინაარსი (Inhalt) და ამით მეტად მიუახლოვდა ჰუმბოლდტის ლინგვისტურ კონცეფციას. იგი თვლის, რომ სემანტიკური ველის დასაბამი ჰუმბოლდტთან და ჰერდერთან უნდა ვეძიოთ [67].

ენობრივი ველის რაობაში გარკვევა გულისხმობდა სწორ წარმოდგენას მოლიანობაზე, რაც ვ. ფონ ჰუმბოლდტსა და გოეთეს აერთიანებდა. ნაწევროვანი მთელის იდეამ ხელი შეუწყო ემპირიულ კვლევაში გამოყენებულიყო მთელისა და დანაწევრების პრინციპები. ენის მთლიანობრივ გაგებაზე რომ ზოგადი მსჯელობა არ გამოგვივიდეს, საჭიროა ცოტა რამ ისევ ითქვას დანაწევრების პრინციპზე. მანამდე შევნიშნავთ, რომ „სემანტიკას“ ბევრი ხმარობს, სემანტიკურ დანაწევრებას კი — ცოტა. ჩვეულებრივ მას სხვადასხვანაირად ხმარობენ უნივერსალისტები და არაუნივერსალისტები. ენის შინაარსების დანაწევრება კარგად ჩანს ფერთა გამაზე.

ციხარტყელას თუ გახვდავთ, დავინახავთ ერთი ფერის მეორეში თანდათანობითსა და ძნელად შესამჩნევ გადასვლას. ამისდამიუხედავად, ქართველი გამოყოფს წითელს, ყვითელს, ლურჯს, მწვანეს, იისფერს. ფერთა უწყვეტ ნაკადს ენაში შეესაბამება სახელთა დისკრეტული რიგი. მაგრამ მაინცდამაინც ასეთი დანაწევრება ბუნების ფერთა სპექტრისა არ არის უთუოდ დამოკიდებული ადამიანის შეგრძნებათა ზოგად სტრუქტურაზე. ამას ნათლად ადასტურებს განსაკუთრებით დიდად განსხვავებული ენების ფერთა სისტემები.

გლისონის წიგნში [18] შეტანილია სამი დაცილებული ენის მაგალითი: ინგლისურის, შონასა (როდეზია) და ბასა (ლიბერია) ენებისა. ინგლისურის სპექტრში გამოყოფილ ექვს ფერს, შონა ენაში შეესაბამება სამი ძირითადი ფერი, ხოლო ბასა-ენაში — ორი, ე.ი. დიდი სხვაობაა ენათა შორის. ბევრი ელფერი აქვს ამ ენებში ფერებს, მაგრამ აქ მოტანილია ზოგადი (აბსტრაქტული) ფერები, ინგლისურის წითელსა, ყვითელსა, ლურჯსა, მწვანესა, ნარინჯისფერსა და იისფერთან შესადარებლად.

ვ. ფიშერის გამოკვლევით, ძველ არაბულში, ფერთა და მის ნიუანსთა აღმნიშვნელ მრავალ სიტყვათა შორის, მხოლოდ სამი აღნიშნავს ძირითად ფერს. ისინი მოიცავენ დღევანდელი ენის ფერთა შკალის მნიშვნელოვნად დიდ სფეროებს; კერძოდ, „ახდარ“ აღნიშნავს მწვანეს, ლურჯს, (შავს), „ასფარ“ — ყვითელს, ღია ყავისფერს (bcige), „აჰმარ“ — ღია წითელს, წითელს, ყავისფერს, მუქს ღია ყავისფერს [42. 237]; ხოლო ფერის ერთ-ერთი ზედსართავი „ჯავნ“ — იხმარება როგორც თეთრი (ელვარე), ისე შავი (მუქი), ყავისფერი, მუქმწვანე საგნების მიმართ. ფიშერის სიტყვით, ამის საფუძველს ქმნის ის გარემოება, რომ „ჯავნ“ აღნიშნავს არა რომელიმე კონკრეტულ ფერს, არამედ საზოგადოდ ფერადს (ფერის მქონეს), ინტენსიურად შეფერილს [42. 27].

ფერის შესახებ დისკუსია საკუთრივ ევროპულ სინამდვილეში წარმოიშვა ბერძნულიდან თარგმნის გამო, რაც გააჩინა ფერთა აღმნიშვნელი სიტყვების გადმოცემის სიძნელემ ჰომეროსის თარგმნის დროს. დიდი სიძნელე შექმნა ზუსტი ექვივალენტების შერჩევამ ისეთი ბერძნული სიტყვებისათვის, როგორცაა *glaukós*, *chlorós* და სხვ., რომლებიც ხშირად გვხვდება ძველ ბერძნულში. მიუთითებენ, რომ თუ ყველა შემთხვევა იქნება გათვალისწინებული, უცნაურ დასკვნამდე მივალთ: ბერძნული „ექპროს“ ზოგჯერ ნიშნავს კაშკაშას და წითელ ფერსაც: *chlorós* ხან მოყვითალო მწვანეა, ხან კიდეც — ღია, მბრწყინავი ფერი; ასევე, *glaukós*—ხან ბაცი მწვანეა, ხან ცისფერი, ხანაც ნაცრისფერი. ამ უცნაურობის გამო შეეცადნენ, ზემოთ მოტანილი სიტყვები გადმოეცათ *brillant*-ით („ბრწყინვალე“). მთარგმნელები ფიქრობდნენ, რომ ბერძნებს უფრო აინტერესებდათ ბრწყინვის ხარისხი (ინტენსივობა), ვიდრე ფერი და ელფერი. ეს გამოწვეული უნდა ყოფილიყო, მათი აზრით, სამხრეთული ცის ელვარებით; თანაც, ბერძნულს „ბრწყინვის“ გადმომცემი სიტყვების

დიდი მარაგი აქვს.

ამგვარ მსჯელობას შუქი უნდა მოეფინა იმ საკითხისათვის, თუ როგორ ვითარდებოდა საზოგადოდ ადამიანის (კაკობრიობის) მიერ ფერის შეგრძნება. ვინც ამ თვალსაზრისს მისდევდა, ადვილად უშვებდა, რომ ბერძნები ბრმანი იყვნენ ფერების მიმართ. ეს აზრი, რა თქმა უნდა, მკდარია.

მასმასადამე, რაკი ეს დავა ფერთა გამო არ ეხება არც თვით მოვლენის ბუნებას და არც თვალის აგებულებას, უთანხმოება საძებნია, ზოგის აზრით, შუაში, სინამდვილესა და მის გამოსახულებას შორის, უფრო სწორად ისეთ ორგანიზაციაში, რაც ადამიანის შეხედულებათა პირობას ქმნის. შინაარსობრივი დანაწევრების საფუძველიც სწორედ აქ არის. ეს გონითი ბუნების მქონე ენობრივი შუაფენაა. ენათა არსებითი განსხვავება ამ შინაარსობრივი შუაფენაშია საძიებელი.

ამ საუკუნის დასაწყისში დაიწერა სტატია კ.ე. გიოტციისა სათაურით: „იყვნენ თუ არა რომაელები ლურჯის მიმართ ბრმანი?“ [52]. რა შეესაბამება გერმანული ლურჯის (blau) სფეროს ლათინურში? იქ არის სიტყვათა მთელი რიგი, მაგრამ ისინი ასე ადვილად გერმანულის „ლურჯ“-ს არ შეესაბამებიან, რადგან მათი ნაწილი საგნისმიერია (მხოლოდ თვალის სილურჯეზე ითქმის), ზოგი ლურჯის ელფერით არის შემოზღუდული (himmelblau), ზოგი ისე ძნელი გადმოსაცემია ჩვენს ენაზე, რომ კაცი იფიქრებს: ხომ არ არიან რომაელები მართლა ბრმანი ლურჯის მიმართ? საგნობრივ-ნიშნობრივი ლურჯის აღმნიშვნელი სიტყვები ჩვენმა ენებმაც იციან (ლურჯა, ლურჯთვალა). რით განსხვავდება ამ ტიპისაგან შინაარსობრივად ლურჯის ტიპი? საგნობრივობა ლურჯ ფერში უკან არის გადაწეული და მიმალულია. ამდენად, საგანზე მითითებითა და ბგერითობით მისი ქართულში გამოყენება არ აიხსნება. ვერც ელფერების კრებითობის სიმბოლური წარმომადგენლობა აგვისხნის „ლურჯ“-ის გამოყენების ფაქტს: სიტყვა „ლურჯის“ შინაარსის გამოსაკვეთად საგნობრივ პრინციპსა და შემკრებლობითობას, მოცემულს ქვემოდან, ეგებება მთელის დამანაწევრებელი პრინციპი ზემოდან; მთავარი ისაა, რომ განსაზღვრულობა სიტყვა „ლურჯის“ შინაარსისა ქართულში (და ზოგ სხვა ენაში) ყალიბდება მის მეზობელ სფეროსთან — იისფერსა და მწვანესთან... მიმართებაში. მთავარია, აგრეთვე, ის, რომ ფერთა მთელი სპექტრი ენისა ენობრივ ველად ნაწევრდება; ველის კანონის

მოქმედებას განიცდის ყოველი ადამიანი, ვინც ქართულ ფერთა სისტემას სწავლობს. რასაც იგი სწავლობს, არ არის მხოლოდ ბგერებით აღნიშნული ფერთა სახელწოდებანი; იგი სწავლობს, აგრეთვე, მის სწორ გამოყენებას; ეს ნიშნავს, რომ იგი ითვისებს ენობრივ შინაარსებს ლურჯისა, მწვანისა და სხვა მეზობელი ფერებისა:

ფერთა სიტყვები ჩართულია გრამატიკული წარმოების სისტემაში. საკუთრივ ქართული განარჩევს აბსტრაქტული ზედსართავის ფუძეს (ყვითელი, წითელი...), სიტყვათწარმოებითს შინაარსობრივ სტრუქტურას (მოწითალო, მოყვითალო..., სიწითლე, სიყვითლე...), კომპოზიტიური წარმოების ფაქტებიცაა (შავ-თეთრი...), შედარებითობის აღმნიშვნელ სიტყვებს (აღუბლისფერი, თაფლისფერი...), საგნით შემოზღუდულ ფერებს (ქერა ითქმის თმის მიმართ, ჭროლა — თვალის მიმართ...).

სხვანაირად ხსნის ამას ამერიკელი ლინგვისტი უ. ჩეიფი. იგი ლაპარაკობს სამყაროს რეალური „ცოდნის იმ ხასიათზე, რაც საერთოა ყველა ადამიანისათვის“ [28. 101]. ამ „უნივერსალურ ადამიანურ ცოდნას“ არა მხოლოდ ე.წ. სემანტიკური „აკრძალები“ შეუძლია აგვიხსნას, არამედ ისიც წინასწარ გვაგარაუდებინოს, რაც რეალურად უკვე არის ენებში დადასტურებული და რაც ენათა შორის საერთოობის უდავო საბუთად შეიძლება გამომდგარიყო: ყველამ „იცის“, შეიძლება ეს „გენეტიკური ცოდნაც“ იყოს [28. 99], რომ წითელი ფერი ახლოს არის არტერიალური სისხლის ფერთან, მწვანე — ფოთლის ფერთან, ხოლო blue — ცის ფერთან (მოწმენდილ ცაზე)... ამიტომ ეს სამი ძირითადი ფერი, გარესამყაროსთან თავისი უდავო თანხმობის გამო, საყოველთაო და სავალდებულოა ყველა ენისათვის. სად არის მათი ადგილი? „ახლა უხერხული აღარ არის ითქვას, — ამბობს ჩეიფი, — რომ ბევრი ცნება, მათ შორის ფერებისაც, რაღაცნაირად ჩამაგრებულია ადამიანის ნერვულ სისტემაში. რა თქმა უნდა, ეს ცნებები შესაძლებელია უბრალოდ დაყვანილ იქნეს ადამიანის გარემოს ფაქტორებზე, ისე, როგორც, მაგალითად, „წითელი“, „მწვანე“, blue შეიძლება ბოლოსდაბოლოს დავიყვანოთ სისხლის, ფოთლების, ცის იმ განმასხვავებელ თვისებებზე, რაც ყველასათვის არის ცნობილი“. „დამთხვევა იმდენად საოცარია, — განაგრძობს ავტორი, — ხოლო ბავშვების მიერ ამ ცნებათა შეთვისება ისე სწრაფი და სტაბილური, რომ მათი ბიოლოგიურად გადაცემა შეიძლებოდა ჩათვლილიყო ყველაზე უფრო მისაღებ ახსნად“ [28. 100].

აქ არაფერს ვიტყვით ცნებათშეთვისების ბიოლოგიური მექანიზმის ავტორისეულ გაგებაზე და იმ უხერხულობაზე, რაც შეიძლება ახლდეს ცნებათა „ნერვულ სისტემაში ჩამაგრებას“. საკითხის ლინგვისტური მხარე უფრო საინტერესოა: ჩვენ განზრახ არ ვთარგმნეთ ინგლისური blue — იგი, როგორც ცნობილია, ხან ლურჯია და ხან ცისფერი, ვითარებისდა მიხედვით. რუსულ თარგმანში ერთ-ერთი ვარიანტია შერჩეული: голубинь — ლაპარაკია ცის ფერზე (голубое небо) მაგრამ ქართულში რომ ცა მხოლოდ ლურჯია? სიტყვის წარმოშობის სიცხადისდამიუხედავად (ცის-ფერი), ქართული ენა მას არ ხმარობს ცის მიმართ (სამაგიეროდ, კაბა ცისფერია); ცა ქართველისათვის ლურჯი ფერისაა (შდრ. „ცისა ფერს, ლურჯსა ფერს“). ვ. ფოშერის გამოკვლევით, როგორც ვნახეთ, არაბულში ფერის აღმნიშვნელი ზედსართავი „ახდარ“ ნიშნავს მწვანესაც და ლურჯსაც, იხმარება როგორც „ფოთლის“, ისე „ცის“ ფერის აღსანიშნავად [28. 305-307].

ჩეიფის მიხედვით, სემანტიკის ადგილი ადამიანის უნივერსალური ცოდნის სისტემაშია საძებნი. ძირითად ფერთა კონცეპტუალური ერთიანობა, რომელთა რაოდენობაც, ბოლოდროინდელი გამოკვლევების [31] მიხედვით, თერთმეტით ან უფრო ნაკლები ფერთა ტერმინით განიზომება, ამოსავალია და განმსაზღვრელი ფერთა იმ დიდი რაოდენობისათვის, რაც ცალკეულ ენათა ლექსიკონებშია აღნუსხული. ფერთა მთელი ლექსიკა, დადასტურებული ენებში, ამ თერთმეტ ძირითად ფერზე შეიძლება იქნეს დაყვანილი; თავის მხრივ, ყველა ესენი ისევე გამოიყვანება ბუნების უნივერსალური ცოდნიდან, როგორც ზემოხსენებული სამი ძირითადი ფერი.

კონცეპტების ამ გზით ჩამოყალიბების პროცესი, სრულიად დამოუკიდებელი ენობრივი ფაქტორებისაგან, ქმნის ენათა ერთიანობისა და ერთნაირობის საფუძველს. ამის შემდგომ არ გასძნელებია ჩეიფს საეჭვო გაეხადა გლისონის სახელმძღვანელოში [18] მოტანილი ცნობილი სქემა, სადაც სულ სხვადასხვა სტრუქტურის მქონე ენათა შედარებით ნაჩვენებია ენათა შორის ძირითად ფერთა სიტყვების სხვადასხვაობა და შეუთანხმებლობა [18. 98, 99].

ნაწევროვანი მთელის იდეას (რომელიც ჰგავს ფერთა დაყოფის პრინციპს, რადგან „ადამიანის ფაქტორი“ უფრო მეტად არის ჩარეული) ვადასტურებთ ორბელიანის „სიტყვის კონაში“. „ზზერა“ სიტყვის სალექსიკონო სტატიაში [4. I. 473] (და სხვაგან) ავირჩიეთ ისეთი

ოთხი აბსტრაქტული სიტყვა, რომლებიც შინაარსობრივ სიახლოვეს ამჟღავნებენ და უთუოდ „ველის“ იდეას შეიცავენ. „ხედვა არს რა თვალთ კეთილად ხედვიდეს; ჩენა არს რა აკლდეს და მცირედ ხედვიდეს (თვალს აკლდეს, თუ საგანი ჩანს არასრულად? შდრ. თანამედროვე ქართულის ჩანს — არ ჩანს. გ.რ.); მზერა არს რა შორით ხედვიდეს; ჭვრეტა არს რა ხანგრძლივით დაკვირვებით უშხერდეს რასმე; ცქერა არს გარჩევით ხილვისათვის ახლორე დაცქერით თვალი დააპყრას“.

ჩვენ გავხაზეთ ამ სიტყვებში ის თვისებანი, რაც შინაარსობრივად განასხვავებს ერთ სიტყვას მეორისაგან აბსტრაქტულ დონეზე, ხედვის ერთიანი სისტემის ფარგლებში. ეს არის ენობრივი მსოფლხედვის მონაკვეთი ქართულის სხვა (სმენის, გემოს...) შინაარსობრივ მონაკვეთებს შორის, დაჯგუფებული თითქოს ველის პრინციპით. მაგალითად, „ცქერის“ ნიშნისმიერი დეფინიცია არ იკმარებს, რადგან იგი გამოიჯნულია სხვა სიტყვებისაგან ადგილით შინაარსობრივ ჯგუფში და ამის ძალითვე აქვს მას ნიშნისმიერი მიმართების კონკრეტულობა, სხვაგვარად, „ცქერას“ უნდა ეტვირთა ხედვის მსგავს სიტუაციათა ფუნქცია და მრავალფეროვნება, რასაც შემკრებლობითი გზით ვერ მივიღებდით.

შეკრება ხდება არა „ცქერის“ ცალკეულ კონტექსტში დადასტურებული ვარიანტების ჯამის მიღებით, არამედ „ცქერის“ მეზობელ სიტყვათაგან გამოიჯნით. ბავშვიც ამ მნიშვნელობის ათვისების დროს კი არ ეცნობა სიტყვის გამოყენების ყველა შემთხვევას და შემდეგ კი არ ახდენს, მათი განზოგადებით, აბსტრაქტული „ცქერის“ მნიშვნელობის წვდომას. საბას აქვს მთელი რიგი არააბსტრაქტული სიტყვებისა, რომლებიც ერთიანდებიან „ხედვის“ თუ „მზერის“ აბსტრაქტულ კლასებში და ნიშნისმიერი (საგნისმიერი) კონკრეტულობისანი არიან, მაგ.: გ ა მ ო ჭ ვ რ ე ტ ა — სარკმლით იხედვიდეს, გ ა მ ო ჭ ყ ე ტ ა — თვალის ძლიერ გახილება“. პირველ შემთხვევაში გარე საგნიდან მოდის განსაზღვრულობა (სარკმლით იხედვიდეს), მეორე შემთხვევაში — თვალის მდგომარეობიდან (თვალის ძლიერ გახელა).

ასეთი ვითარებაა საბასთან ქართულში. ზოგჯერ ისეცაა, რომ სიტყვას არ დაეძებნება თავისი ველის სხვა წევრები ლექსიკონში, ან ძნელად საპოვნია, მაგრამ ისეთი განმარტებაა მისი მოცემული, რომ საგნობრიობაზე მითითებით შინაარსი არ აიხსნება, ადამიანის

შეფასებითი პოზიცია კი აშკარაა (მაგ.: „შური“ — მწუხარებაჲ სხვისა კეთილსა ზედა [4. II. 310]). ამოსაკრებია ლექსიკონიდან ასეთი შემთხვევები და ველის ფაქტიც საპოვნია („შურა“ სიტყვათა ჯგუფზე ეს გამოგვივიდა). ენა მსოფლხედვად არის გაგებული, სადაც ადამიანის შეფასება და საგანთა მიმართ თვალსაზრისებია მოცემული. „შურის“ ტიპის მაგალითები შინაარსობრივი სიტყვათაველის მაგალითებია, რის გამოც საბა ორბელიანი ნეოჰუმბოლდტიანელების წინამორბედადაც კი შეიძლება ჩაითვალოს.

თვითონ ნეოჰუმბოლდტიანელთა ცნობილი თეორეტიკოსი ლეო ვაისგერბერიც თავის „გერმანული ენის შინაარსობრივ გრამატიკაში“ [34] შეეხო „ხედვის“ მაგალითს — ოღონდ საბასაგან განსხვავებული ასპექტით: ყოველთვის ადვილი როდია, გამოიძებნოს მთავარი ძაფები დანაწევრების ძირითადი თვალსაზრისების საპოვნელად. ლ. ვაისგერბერის მიხედვით, „ხედვის“ სიტყვებში გერმანულში ვხვდებით დასაფხუზურებას იმისდა მიხედვით, თუ რასთან გვაქვს საქმე: არის ეს პროცესის დასაწყისი, მიზანდასახულობა, შედეგი, მისი მიმდინარეობა, ზემოქმედება თუ რა, ე.ი. რომელი ამათგანი არის წინ წამოწეული (blicken, schauen, sehen, gewahr werden, erblicken, beschauen...). მაგალითად, anblicken ეს არის სახეობა იმისა, თუ როგორ ვუცქერით ადამიანს, ასევე, ansehen და anschauen-იც ითქმის ადამიანზე, ნაწილობრივ, ცხოველზედაც, რომელსაც თვითონაც შეუძლია შემოგვხედოს, ხოლო ყველა უსულო და ცალმხრივ დანახულ ობიექტებს შეეფერება sich etwas ansehen, anschauen (ამიტომაც ამგვარ სიტყვებს ადამიანის მიმართ დამამცირებლად ეხმარობთ). საინტერესოა უფრო ის ფაქტი, რომ ლ. ვაისგერბერმა წამოსწია სამი გერმანული სიტყვის ხმარების თავისებურება. აშკარაა გარჩევა betrachten, beobachten-სა და besichtigen-ს შორის. Ich betrachte etwas, რაც მშვიდ მდგომარეობაშია (ლანდშაფტი, სურათი, ადამიანი თვითონ არის მშვიდ პოზაში და სხვ.); ich beobachte etwas, რაც მიმდინარეობს, მოძრაობს (მოქმედება, ცხოველი...), ich besichtige, რაც თავისი განვრცობით მაიძულებს ვიმოძრაო (შენობა, ადგილი). ამას არ დაემთხვევა, რა თქმა უნდა, ქართულის ვითარება. ასევე არ დაემთხვევა სხვა ენებს იმავე ქართულისა და გერმანულის შინაარსობრივი სიტყვათაჯგუფი: ხმარობს, იყენებს, სარგებლობს (ხმარობს სურნელოვან საპონს, იყენებს ინგლისურ ენას, სარგებლობს

ამ ქუჩით). მათი მთავარი გამაერთიანებელია მიზნისმიერობა; ამ სიტყვებს აქვთ თავიანთი ქვესახეობანიც, რომლებიც ასევე მიზანს გამოხატავენ, ოღონდ დიდი დაკონკრეტებით. მიზნის გამოხატვის საერთოობა არ მოგვცემს ენებში ერთნაირი დანაწევრების პრინციპს. ქართული ენობრივი ერთობის ყოველი წევრი (ვისთვისაც ქართული დედაენაა) ხმარობს. მეტყველებაში, მაგალითად, „ყანას“ და „ველს“ ისე, რომ ხმარების ეს შემთხვევები გამორიცხავენ მათი ურთიერთჩანაცვლების შესაძლებლობას. მაგალითად, „ყანა დათესა“ ან „ყანა აიღეს“. არ ითქმის — „ველი (მინდორი) აიღეს“. „ყანა“ და „ველი“ ასეთ სემანტიკურ სინტაგმებში ურთიერთს გამორიცხავს.

ეს გულისხმობს სხვა ენასთან შედარების გზით — მათ შორის ოპოზიციის გამოვლენას. მაგალითად, „ყანა-ველი“ გვაქვს ქართულში, ხოლო რუსულში поле. „ყანის“ მრავალნაირი ფსიქიკური ხატიც და მიუხედავად, თითოეულ ინდივიდთან ქართულ ენობრივ კოლექტივში შენარჩუნებული იქნება მთავარი ნიშანი: „ნათესი ან ნახნავი მიწის ნაკვეთისა“. ასევე სიტყვაში „ველი“, რა ხატიც არ უნდა წარმოუდგეს თითოეულ ქართველს, ფაქტი ისაა, რომ იგი არ აერევა „ყანაში“: სემანტიკური დაპირისპირება შენარჩუნებული იქნება. რუსული სიტყვა поле გაუდიფერენცირებელი ხატია; მისი დიფერენციაცია ხდება მეტყველების აქტებსა და სიტუაციაში. სტრუქტურული ტერმინებით, „ყანა“ და „ველი“ სემემებია, ხოლო поле, ორ სინტაგმატურ ერთეულში — пшеничное поле და поле сражения — წარმოადგენს ალოსემებს.

ქართულენობრივი ერთობისათვის „ზელა“ და „ჭმუჭნა“ განცდილსეულად ერთიმეორისაგან სრულიად დამოუკიდებელი პროცესუალური აქტია: „ზელს თიხას, ცვილს“, „ჭმუჭნის ქაღალდს, კაბას“. ოპერაციის სხვაობა შედეგია ობიექტთა სხვადასხვა კლასის არსებობისა, რომელთა მიმართაც სხვადასხვა აქტი ხორციელდება. ორი ასეთი დენოტატი გამოიყოფა: „ხაზობრივი დეფორმაცია“ (დაჭმუჭვნილი ქაღალდი, ტანსაცმელი...) და „არახაზოვანი დეფორმაცია“ (თიხა, ცვილი,

ცომი...), მასალის პლასტიურობა. რუსულში ერთი დენოტაცია და ობიექტთა ერთი კლასია: МЯТЬ ГЛИНУ, ВОСК... ПЛАТЬЕ*.

მაშასადამე, ქართულში რელევანტურია „ხაზობრიობა — არახაზობრიობა“, რაც რუსულში ირელევანტურია, რადგან ქართულში პლასტიკური მასის მიმართ ერთ ოპერაციას ვიყენებთ, არაპლასტიკურის მიმართ კი მეორეს. მოქმედების ოპერაციული მოდელი რუსულში უფრო „დარბილების“ ზოგადი იდეაა. სინამდვილეში სად არის ან როგორია საზღვრები ამ დენოტატებისა?

დედაენის სიტყვათა ეს ჯგუფები ენის გარეთ არსებული საგნობრივი ვითარების ფოტოგრაფიული სურათი კი არ არის, მისი ზუსტი ანარეკლი, არამედ ველების შიგნით ორგანულად დაკავშირებულ ერთეულთა შინაარსობრივი ჯგუფები, და თითოეული სიტყვის მნიშვნელობის დადგენა მათი გამაერთიანებელი მთელით, ე.ი. ველით მოხერხდება. ასეთი შინაარსობრივი კავშირი, სიტყვათა ამგვარი მეზობლობა და ურთიერთქმედება, რომელიც არ არის დამოკიდებული გარეენობრივ ფაქტორებზე, არის ყოველი ენის თავისებურების საფუძველი. ასეთი სტრუქტურა საერთოდ ის მონაკვეთია, რომელიც სხვა ველებთან ერთად ენის მსოფლხატს აგებს. საბა გაცილებით ადრე მიხვდა ამას და მისი „სიტყვის კონა“ (მართალია, ეს ექსპლიციტურად არ არის გამოხატული), თავისი მიზანდასახულობით, დედაენის ნამდვილი განმარტებითი ლექსიკონია და არა საგანთლექსიკონი. სიტყვათველისაკენ მიმართული პრინციპი, რომელიც მე-20 საუკუნეში დამუშავდა, შეიძლება დავადასტუროთ საბასთან, რომელმაც, თითქმის სამი საუკუნის წინ, მახვილი ენობრივი ალღოს მოშველებით პრაქტიკულად გამოიყენა იგი და თუ „სიტყვის კონაში“ იგი მისაგნებია („შხერის“ ჯგუფში, მაგალითად), თვითონ იდეა, რომ

* იმდენადვე იმპერატიულია МЯТЬ სიტყვის ორად დაუსვლელობა, როგორც „კუმუკნისა“ და „ხელვის“ ერთ ოპერაციად გაერთიანება ეს ქცევაშიაც აისახება. მაშასადამე, ფაქტი ისაა, რომ ქართული ამოდის ობიექტთა რაგეარობიდან, ხოლო რუსული — სუბიექტის მოქმედებიდან.

ეს დედაენის გამოკვლევის სწორი გზაა და, რაც მთავარია, ეროვნული ცნობიერების ამგებია, უთუოდ არის ნავარაუდები. დღევანდელი ცნობილი ძიებანი მეტწილად თეორიული ძიებანია, რადგან ველის სრული ლექსიკონი პრაქტიკულად ჯერ არც ერთ ენაზე არ აგებულა. მაშასადამე, ენობრივი ველებით ვწვდებით დედაენის მთლიანობას, რომელიც გადამწყვეტი მნიშვნელობის მქონეა ენობრივი შინაარსების გამოსაკვეთად და შემოსაზღვრად.

სიტყვა „ძმა“ უბრალოდ კი არ აღნიშნავს წინასწარ მოცემულ ბიო-სოციალურ ფაქტს, რაც თითქოს საერთოა ყველა ხალხსა და ენაში, არამედ ბგერითი ფორმის საშუალებით გამოხატავს ნათესაობითი ურთიერთობის ისეთ შინაარსს, რომელიც კონკრეტულ ენასთან უშუალო კავშირშია; ამდენად ეს „საკოველთაო“ ბიო-სოციალური ფაქტი ენათა მიხედვით სრულიად განსხვავებულ სისტემებს ქმნის.

ლ. იელმსლევის სტატიიდან, „შეიძლება ითქვას, რომ სიტყვების მნიშვნელობები ქმნიან სტრუქტურას?“ [20. 127] მოგვყავს კლასიკური მაგალითი (მოტანილი, ჯერ კიდევ 1861 წელს ა. პოტის მიერ და შემდეგ ჰ. შტაინალთან), რაც ნათესაობის ტერმინოლოგიას შეეხება [20. 127].

	უნგრული	ფრანგული	მალაური
უფროსი ძმა	bátva	frère	sudarā
უმცროსი ძმა	öccs		
უფროსი და	néne	soeur	
უმცროსი და	húg		

აქ სურათი ნათელია: მალაურმა მოხსნა განსხვავება სქესისა და ასაკის მიხედვით. სხვა ვითარებაა სვანურში. იქ ძმა ძმას „მუხნებეს“ ეძახის, ხოლო და ძმას „ჯანმის“. ასევე ძმა დას „დაჩვირს“ ეძახის, ხოლო და დას „უდილს“, ამოსავალი „ერთ შემთხვევაში არის ის, თუ ვინ მიმართავს — ძმა თუ და, ან ვის მიმართავს — ძმას თუ დას.

ქართული	სვანური	
ძმა	მუხჩბე	ძმისთვის ძმა
	ჯამილ	ღისთვის ძმა
და	ღაჩვირ	ძმისთვის და
	უღილ	ღისთვის და

აქ საქმე ის კი არ არის, რომ, ვთქვათ, ქართ. „ძმას“ და ფრანგულ frere-ს უნგრულსა და სვანურში ორ-ორი შესატყვისი აქვს, ხოლო მაღაურ Sudarā-ს — ოთხი, არამედ ის, რომ ისინი სრულიად განსხვავებულ ენობრივ თვალსაზრისებს გამოხატავენ, ზოგჯერ სრულიად წარმოუდგენელს და გაუგებარს სხვა ენობრივი სოციუმის წევრისათვის.

აქამდე განხილული სიტყვათშინაარსები აღქმითი სფეროს შედარებით უფრო მარტივ სტრუქტურებს განეკუთვნებოდნენ. სულიერი პროცესების სექტორი მაღალი სფეროა და გარდამავალ საფეხურს ქმნიან სხეულეებრივიდან სულიერი პროცესებისაკენ, ამიტომ მათი თარგმანი სათანადო ხალხის სულიერ ორგანიზაციაში შედწევას გულისხმობს და დიდ სიძნელეებს აწყდება.

ა რ ა ს ხ ე უ ლ ე ბ რ ი ვ ო ბ ი ე ქ ტ ე ბ ზ ე თანდათანობით გადასვლის მიზნით, ამთავითვე მიდგომის ორი წესი უნდა გაირჩეს: თუ ერთ შემთხვევაში ბუნების მოვლენები და ნივთიერი კულტურის წარმონაქმნი უშუალოდ გვეძლევა გრძნობადი აღქმის გზით, წმინდა გონითი წარმონაქმნების შემთხვევაში ეს გზა დახშულია და ცნობიერება მათში სიტყვის გარეშე ვერ შეაღწევს. ამდენად, სიტყვათველის იმ ორგანიზაციაში, რაც ბუნების სფეროს შეეხება, იმპულსები გარედან მოდის და მათი მოხელთებაც შესაძლებელია, მაშინ როცა, მეორე შემთხვევაში, გონითი რეალობანი მხოლოდ ენობრივი გადაშუავებით იქცევა ადამიანური ცნობიერების ხილულ ფაქტად და სიტყვათველშიც ასე იქნება ჩართული. იმპულსები აქ შიგნიდან მოდის და ენის ჩარევას მოითხოვს.

აქვე შევნიშნავთ: სიტყვის გამოყენება დიდად სანდოა მაშინაც კი, როცა კონტექსტებში არ არის არეკლილი.

ინდივიდის იმპულსები, ემოციები უნდა დანაწევრდეს ენითაც. ეს

არის გრადაკია შეგრძნებიდან უფრო შიგნით, გრძნობებისაკენ, რეალობიდან სუბიექტურისაკენ. პირველ ყოვლისა, აუცილებელია სრულად აღნუსხვა. 1. ემოციის აღმნიშვნელ სიტყვათა ლექსიკისა (ქართულსა და სხვა ენებში ამას ცდილობს ქ. ჩიგოგიძე); მაგრამ აქვე დგება არსებითი საკითხი: რანაირად შეირჩეს მასალა ისე, რომ იგი იყოს ქართული ენის ფაქტი? როგორც ცნობილია, სრული განმარტებითი ლექსიკონის ამოცანაა აღნუსხვა ყოველგვარი ფაქტისა, რაც ენაშია; ველების ლექსიკონში კი მხოლოდ ის შევა, რაც ქართული ენის შინაგანი ფორმისაკენ გაგვიკვალავს გზას და სემანტიკის სწორ სურათს მოგვცემს; 2. უნდა შევეცადოთ, რამდენადაც ეს მოსახერხებელია, აღწერილობითი ლექსიკა (ფერმიხდილი, გაწიწმამებული...) აბსტრაქტულამდე დავიყვანოთ და გავაერთიანოთ რედუქციული წესით; 3. უნდა გაირკვეს მეტაფორისა და ველის კავშირი. მაგ.: მყარი შესიტყვებაა: „დარდისაგან ჩამოხმა“, „დადარდიანებულა“, „დარდი“ ზოგჯერ განიცდება როგორც ერთგვარი ემოციური ტვირთი, „სიმძიმე“ სიტყვათნაერთებში: „დიდი დარდი დასწოლია გულზე“, „დარდი აწვა გულზე...“ გადატანითი მნიშვნელობით არის ეს ნახმარი, თუ „დარდი“-სიტყვის ველისმიერი გაგება მოითხოვს ასეთი ტიპის ზმნებს? მაგალითად, „სევდა დასწოლიაო“ არ ვიტყვით, ან „ნაღველი დასწოლიაო“.

ე.წ. „ინტრავერტულ გრძნობათა“ სემანტიკაზე დაკვირვების თვალსაზრისით შეიძლება გამოიყოს სიტყვათა ჯგუფი, რომელიც ქართული ენობრივი ერთობის გარკვეულ სემანტიკურ არეალს მოიცავს. ესენია: დარდი, ჯავრი, კაემანი, სევდა, ნაღველი, ურვა, ჭმუნვა...

ამჯერად შევიწერდებით უფრო გავრცელებულ და აბსტრაქტულად ნაწარმოებ ოთხ ძირითად ერთეულზე: დარდი, ჯავრი, სევდა, ნაღველი. ესენი ენობრივი სოციუმის „შუაწევრისთვის“ ამ ველის ცენტრალურ ნაწილს შეადგენენ და თავიანთი აბსტრაქტული წარმოების გამო ენობრივი წრის წევრთა შორის ერთიანობის მყარ საფუძველს ქმნიან.

უგუნებობის ემოციათა აღმნიშვნელი ველის ყოველი წევრი არ დაიყვანება აღსანიშნათა თვალსაჩინო რიგზე და ქცევის ფორმათა

მიხედვითაც ისინი უფრო ძნელი გასარჩევია, ვიდრე ინტენსიურ გრძნობათა (გაბრაზება, მრისხანება) ვაგუფის ველში მონაწილე წევრები.

როგორც ითქვა, ნაკლებად საიმედოა კონტექსტი, რადგან სათანადო სიტყვის შინაარსები კონტექსტების ჯამიდან როდია ამოზრდილი. ემოციის მასალა არ არის საკვლევად მთლად ადვილი, მაგრამ ამოსავალი თეზისი ურყევია.

წუხილის ემოციები თითქოს პროცესუალურია, წარმავალია (ქრება). რა საშუალებები მოეპოვება ქართულ ენას მათი აღმოცენების, გამძაფრებისა თუ ქრობის საფეხურთა აღსანიშნავად?

თუ ზმნით გამოიხატება პროცესის დასაწყისი (განრისხდა, გაფითრდა), პროცესის შეყოვნებისა და მისი თვისებად ქცევისას ქართული ენა უმეტესად იყენებს კომპოზიტს ზედსართაული ფუნქციის ფორმით: ფერმიხდილი, მხრებჩამოყრილი.

ამ ემოციებზე დაკვირვებისას, „უგუნებობის“ ზოგადი განცდა შეიძლებოდა ჩაგვეთვალა იმ ამოსავალ საფეხურად, საიდანაც შეიძლებოდა ორივე სახეობის (ინტრა და ექსტრავერტული) გრადაციების დადგენა.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ შინაარსზე ორიენტირებულ ლინგვისტიკას შეუძლია წარმოაჩინოს ენობრივ ერთეულებში მოქცეულ ემოციათა ფართო სპექტრი, ცალკეულ ენობრივ სისტემებთან დაკავშირებულ ემოციათა ნაირგვარობა და, როგორც ერთი ენის შიგნით, ისე ენათა შეპირისპირების გზით, ააგოს ემოციათა განლაგების შედარებით უფრო ობიექტური და თანაც რამდენადმე სრული სურათი.

თავისთავად ცხადია, აქ ამოსავლად იგულისხმება, პირველ ყოვლისა, ენის შინაფორმის ღრმად შემგრძნობი მწერლის, ან მახვილი ენობრივი ალღოს მქონე კაცის მიერ მოწოდებული მასალა.

აღვნიშნავთ, რომ დიდი სიფრთხილით უნდა მოვეკიდოთ ნათარგმნ ძეგლებს, თუმცა ზოგი მათგანი სანიმუშოა. ქართულმა ენამ უცხო (სპარსული, არაბული) ენებიდან შემოსული ზოგი ისეთი სიტყვა დაამკვიდრა აბსტრაქტულ სიტყვათა რიგში, როგორიცაა „სევდა“, „დარდი“, „კაემანი“, „ჯავრი“. ნასესხები სიტყვების ერთმანეთთან

შინაარსობრივი კავშირი უდავოა; თუ დასაწყისში, ნასესხობის პირველ ხანებში ეს კავშირი უცებ არ აისახა, შემდეგში ამ სიტყვებმა თანდათან დაიმკვიდრა თავისი განსაკუთრებული ადგილი ქართული ენის სემანტიკაში და დაივიწყა „თავისი სხვათაგან წარმოშობა“.

ინტრავერტული ემოციის აღმნიშვნელ სიტყვებში ემოციის კლების აღნიშვნაა მთავარი (ფერმილელი, ფერდაკარგული...), ექსტრავერტული ჯგუფის „სიბრაზე — განრისხების“ აბსტრაქტულ სიტყვებში ემოციის უეცარი აღმოცენებაა აღნიშნული, მეტწილად, გა(ნ) და ა-ზმნისწინებით: განრისხდა, გაწიწმატდა, აენტო... უეცარი, მოულოდნელი, უსიამოვნო ამბის გაგებისას ქართველი იტყვის ხოლმე: „მუხლები მომეკვეთა“, „კრიჭა შემეკრა“ და სხვ. „მწუხარებისაგან სახე გაუშეშდა“..., მაგრამ „გაფითრდა“ ორივეს სიმპტომია: „მოულოდნელი მწუხარებისაგან გაფითრდა“, „სიბრაზისაგან გაფითრდა“ (ქართული ენა „გაფითრდა“ ზმნას იყენებს დიდი შიშის დროსაც).

ასეთ შემთხვევებში სემანტიკური ველის იდეა უფრო გამოსადეგია, რადგან იგი არ უკარგავს ლექსიკას სიცოცხლისუნარიანობას, რაც ეგზომ მნიშვნელოვანია და გვიჩვენებს სიტყვის მის „მეზობლებთან“ დამოკიდებულებისა და კავშირების მთელ მრავალფეროვნებას, აგრეთვე, მის ზუსტ ადგილს ლექსიკის იმ საკვლევ მონაკვეთში, რომლის გამოყოფა გამართლებული იქნება „ენობრივი“ სოციუმის „შუაწევრის“ პოზიციებიდან. ასე გაგებულ სიტყვათა სემანტიკურ ჯგუფში ყველაზე ნათლად ჩანს ლექსიკოგრაფიზმის უკმარობა და მისი ნაკლებ გამოსადეგობა სემანტიკური პარამეტრების გარეშე. სწორედ აქ შეიძლებოდა დაგვედასტურებინა ენის ისეთი ფუნქციობა, რასაც საკუთრივ ენის ქმედება დაერქმეოდა. ისეთი სიტყვები, რომლებიც ადამიანური აქტივობის უფრო მაღალ (სულიერი კულტურის) სფეროებს გამოხატავენ და რომელთა სუბსტრატს ენის გარეთ ასე ადვილად ვერ ვპოულობთ, განსაკუთრებული, ამგები ძალის მქონეა და როგორც ითქვა, ზოგჯერ არააქტუალური სიტუაციების ცნობიერად აგების ფუნქციის მქონენიც არიან.

სიტყვა „დარდი“ ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში შემდეგნაირად არის განმარტებული: „დარდი — სიმძიმის გრძნობა,

გამოწვეული მძიმე მდგომარეობით, რაიმე უბედურებით, — კაეშანი, სევედა, ნალველი, რისამე ფიქრი, ზრუნვა, წუხილი, შიში, ჯავრი“. ეს განმარტება ძალზე ზოგადია და მიესადაგება მის ყოველ მეზობელს. აქვე ჩანს სინონიმის პრინციპის უკმარობა.

აქ ჩამოთვლილია სიტყვა „დარდის“ ის თვისებები, რითაც იგი სხვადასხვა „მეზობელ“ სიტყვებს უნდა ენაცვლებოდეს. მაგრამ თუ როგორ ფუნქციობენ სიტყვები ენაში, მას შემდეგ იქნება ყველა პარამეტრის მიხედვით თავის დინამიკაში ნაჩვენები, თუ მათ სემანტიკური ველის ორგანიზაციას დაუუქვემდებარებთ. „დარდის“ კომპონენტების დასადგენად საჭირო იყო დაკვირვებოლით, თუ როგორ „მოიქცევა“ ეს სიტყვა მტყველებასა, ქცევასა ან სხვა სიტუაციაში. გარდა იმისა, რომ სიტყვა „დარდი“ უდავოდ ინტრავერტული გრძნობების ველს განეკუთვნება, იქაც მას თავისი ადგილი აქვს. სიტყვა „დარდის“ ძირითად მახასიათებლად გვევლინება მისი სწორედ ის მნიშვნელობა, რის გამოც იგი „მწუხარების“ სემანტიკურ კლასში შედის.

„დარდი“, როგორც წმინდა გრძნობის აღმნიშვნელი სიტყვა, შეიძლება შემდეგნაირად დახასიათდეს: მიზნის მქონე (ამან გაუჩინა დარდი), კონკრეტული (შვილის დარდმა გადაიყოლა), ინტენსიური (დარდი არ მასვენებს).

რაც შეეხება სიტყვა „ჯავრს“, ისიც გვევლინება წმინდა გრძნობის აღმნიშვნელ სიტყვად, და უფრო „დარდის“ ნაირსახეობად, ოღონდ ვიწრო მნიშვნელობით; იგი ხასიათდება იმავე პარამეტრებით, რითაც „დარდი“, მაგრამ „დარდის“ გავრცელების საზღვრები გაცილებით უფრო მეტია, ვიდრე „ჯავრისა“. ამიტომ „დარდი“ მივიჩნიეთ საყრდენ სიტყვად, ხოლო „ჯავრი“ — მის „სატელიტად“.

აბსტრაქტული „სევედა“ ხასიათდება შემდეგი პარამეტრების მიხედვით: მალული, უხმო, განუენილი, უმოტივო, ხანგრძლივი.

ჩანაცვლების შედეგად ირკვევა, რომ „სევედის“ ჩანაცვლება „ნალველით“ შეიძლება (თუმცა არა სავსებით). არსებობს გარკვეული სიტყვათშეხამებანი, სადაც „სევედას“ მყარი ადგილი აქვს, თუმცა მაშინაც არის შესაძლებელი „სევედის“ „ნალველით“ ჩანაცვლება.

აბსტრაქტული „სევდა“ ძირითადად ზედროულია და ნაკლებად ლოკალური. თუმცა გარეგან გამოხატულებასთანაა კავშირში — სახის ნაკვთებისა და ფერის ცვლასთან, ბგერებთან, ხმასთან; სიტყვა „სევდის“ ყველაზე ტიპური ხმარებაა „თვალ“ სიტყვასთან: თვალები სევდას გამოხატავენ, ასევე: სევდიანი ხმით, სევდამ სახე დაუწრდილა, სევდის პანგი, სევდის ჩრდილი,— ითქმის მხოლოდ ადამიანზე. იგი რომელიმე ორგანოსთან მთლად ლოკალიზებული არ არის. „სევდა“ ზოგჯერ შეიძლება ჩავანაცვლოთ სიტყვა „კაეშნით“, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ეს ძირითადად მხატვრულ ლიტერატურაში გვხვდება. ზოგჯერ სიტყვა „სევდა“ „მოწყენილის“ უფრო ზოგად კლასში შედის. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ „სევდას“ მხატვრულ ტექსტებში უფრო ხშირად შეხვდებით და არა სასაუბრო, ცოცხალ მეტყველებაში. ამიტომ იგი დიალექტის ფაქტი ნაკლებადაა.

„ნალველი“ მეტი კონკრეტულობით ხასიათდება, ვიდრე „სევდა“. მაგრამ არსებობს მყარი ფრაზეოლოგიური გამოთქმები, სადაც „ნალველის“ შეცვლა სხვა სემანტიკური ერთეულით ძნელად ხერხდება, თუმცა დიდია მისი კავშირი სხეულებრივ გამოსახულებებთან; ამიტომ ნალველის სუბსტანციური თვისებები ყველგან იჩენს თავს, მაგ.: მწარე ნალველი, შავი ნალველი, ნალველი წვეთ-წვეთად ჩაიღვარა, ნალველი წამოანთხია, გულში ხარშავს ნალველს და სხვ. „მწუხარების“ აღმნიშვნელი სხვა სიტყვებისაგან განსხვავებით, მხოლოდ „ნალველია“ სუბსტანციური წარმოშობის მქონე.

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ თუ სიტყვა „დარდი“, როგორც შედარებით უფრო კონკრეტული და ლოკალიზებული გრძნობა, „გულ“ სიტყვასთან ხშირად გვხვდება, „სევდა“, როგორც უფრო აბსტრაქტული, „სულ“ სიტყვასთანაა დაკავშირებული.

ამდენად: „სევდა“, მისი არანიშნურობის გამო, მთლიანობის სხვა წევრთაგან გამოირჩევა „განფენილობითა“ და „დროში შემოიზღუდველობით“. იგი პიროვნების კონსტიტუციური თვისებაა.

სემანტიკური ორგანიზაცია, როგორც ვხედავთ, აქ სხვაგვარია; ბუნების საგნები და ნივთიერი კულტურის მონაპოვარნი ენის მიღმა არსებობდნენ და გრძნობადი აღქმაც იყო ჩართული ენასთან ერთად.

ემოციების შემთხვევაში მხოლოდ უზოგადეს გარეენობრივ იმპულსებზე შეგვიძლია ვილაპარაკოთ; მათი გარწევა და გამოკვეთა სიტყვიერ დანაწევრებაზე და მოკიდებული, რომ არაფერი ვოქვათ სხეულის ნაწილთა აღმნიშვნელებზე (მაგ. „ცხვირჩამოშვებული“); ფერებიც ხომ ბუნებისა და ადამიანის ურთიერთობიდან არის აღმოცენებული: „წითელი“ და „ყვითელი“ უფრო ცხადად განირჩევიან ერთმანეთისაგან, ვიდრე „დარდი“ და „სევდა“. ყვითელი არსად არ ენაცვლება ლურჯს, მაგრამ „სემანტიკური აკრძალვის“ კანონი ყველგან მოქმედებს. კარგი მოქართულე არ იტყვის: „სევდა შემომაწვაო“ (შდრ. „დარდი შემოაწვა“); არაკორექტულია ამიტომ „დარდისა“ და „სევდის“ სინონიმებად მიჩნევა; შთაბეჭდილება მაინც ასეთია: გრძობებს თითქო საზღვარი არცა აქვთ, მაგრამ გამოყენების „რეალობა“ გვიბიძგებს მათ გასამიჯნავად.

კიდევ უფრო რთულია ისეთ ფუძე-ცნებათა მოხელთება, როგორცა ბერძნული „ლოგოსი“ და გერმანული „გაისტი“.

მეტად ძნელია, მაგალითად, ჩვენს დღევანდელ ენებში ვიპოვოთ სიტყვა, რომელიც ბერძნული Logos-ის კვივალენტურია. რა თქმა უნდა, იგი არ ამოიწურება არც ქართული „სიტყვით“, არც გერმანული Sprache-თი ან Wort-ით. ასევე ცხადია, რომ ყოველი ცნება, აღმნიშვნელი აზრის, წესრიგისა და მსოფლიო კანონებისა (Weltgesetze), შეცდომაში შემყვანია, თუ ნათლად არ მოჩანს ენის თანამონაწილეობა, — ამბობს ლ. ვაისგერბერი [88. 41 და შმდ.]. Logos-ს ბერძნულის დალი აზის და ეს მოჩანს იქიდან, თუ რა ყოვლისმომცველ ურთიერთობაში არიან ერთმანეთთან Logos-ში აზროვნება და ენა, მოვლენა და არსება, არსი და ჯერარსი. ეს მოჩანს იქიდანაც, რომ ბერძნები ენის გაცნობიერებისას სხვა სახის უდრმეს საკითხებს წააწყდნენ ისევე, როგორც პირიქით: მათი ფილოსოფიური და ისტორიული ძიებების შედეგები უკუზეგავლენას ახდენდა ენის შეფასებაზე.

ლოგოსის ცნება ბერძნებისათვის შუაგულად იქცა, სადაც თავი მოიყარა ადამიანური სიცოცხლის საფუძვლების მოთელმა ცოდნამ, რომელმაც შემდგომში ევროპული განვითარება ჰპოვა. ჩვენ ვიცით,

რომ ამ ცნების მეშვეობით გამდიდრდა ცხოვრების ყველა (სასიცოცხლო) სფერო, ქრისტიანული ლოგოსის ცნებასთან ურთიერთობის ჩათვლით. საფუძველი საკმაოდ ვრცელია: ლოგოსში დანახულია სამყარო და ადამიანური სიცოცხლე, როგორც მოწესრიგებული მთელი და როგორც საზრისული (გონივრული) სისტემა. შესაძლებლობა იმისა, რომ სიცოცხლის ეს საზრისი შეიცნოს და მის შესაბამისად იმოქმედოს, ადამიანს ეძლევა ლოგოსში მონაწილეობით, მაგრამ ადამიანის ეს ფუძე-უნარი გამოვლინდება მხოლოდ სიტყვაში, ენაში. ეს არის უცხადესი, გარეგნულად მყის დასანახი, თანაც, არსთან უმჭიდროესად დაკავშირებული ნიშანი საზრისიანი, გონიერი არსებობის საკუთრივი ფორმისა (საზრისული ცხოვრების განსაკუთრებული ფორმაა ენა — გ.რ.). აი, ამის წვდომა არის ბერძნების საკუთრივი აღმოჩენა.

ამან ბიძგი მისცა ევროპულ აზროვნებას, თუმცა თავისი ენის შესახებ მაღალი წარმოდგენით ბერძნები „ბარბაროსებს“, ე.ი. სხვა ხალხებს დაუპირისპირდნენ.

ოდიოზური ცნებაა გერმანულში Geist, „გაისტი“ (გონი). ამ ფუნდამენტური ცნების ადეკვატური თარგმნა სხვა ენებზე თითქმის შეუძლებელია: მისი გამოყენება მთელს ენას მოიცავს, განტოტებულია გერმანულის ბევრ შესიტყვებასა და სიტყვათწარმოებით მოდელებში. ჩვენ არ შევჩერდებით საგანგებოდ მისი ენაში გამოყენების შემთხვევებზე* და ვიტყვით მხოლოდ, რომ მისმა არასწორმა ხმარებამ დაუდო სათავე ენათმეცნიერებაში ფსიქოლოგიზმს მას შემდეგ, რაც შტაინთალმა და ლაცარუსმა [78], როგორც ცნობილია, „გაისტი“ „სულად“ (ფსიქიკად) გაიგეს, თანაც, ასეთი ოპერაციის შედეგებს ადგილი ჰქონდა არა მარტო გერმანიაში, არამედ სხვა ევროპულ ქვეყნებშიაც. დადგა პოზიტივიზმის ეპოქა: მოიშალა საკუთრივ გერმანიის სპეციფიკა და გამოიკვეთა საერთო ევროპული

* გ. ვარიგის „დიდ გერმანულ ლექსიკონში“ (1966) „გაისტის“ (Geist) ასეთი განმარტებაა მოცემული: „იგია ადამიანის მთაზროვნე, შემქმენებელი ცნობიერება, განსხვავებით შემგრძნობი სულისაგან... ერთობლიობა ყველა არამატერიალური თვისებისა“...

გზა. ეს იყო ფსიქოლოგიზმის გაბატონების გზა; ლოგიკური ისედაც ცხადი იყო: იგი სტრუქტურა და ადვილად გამოისახება, ფსიქიკური კი პროცესია. ჰუმბოლდტის შრომათა ინტერპრეტაცია ამ დაპირისპირების გზით წარიმართა: ერგონი ლოგიკურია, იგი ენაა; ენერგია ფსიქიკურია, სამეტყველო პროცესს გულისხმობს. ენის მიმართ მყარი სტრუქტურა და სუბსტრატი იყო გონი, მეტყველების მიმართ ასეთი იყო ფსიქიკური. ეს დაპირისპირება არ არის სწორი. უფრო ადეკვატური იქნება ენათმეცნიერებაში „გონი“ სოცოლოგიის ცნებებით აღიწეროს.

კულტურის ენასთან მიმართებაც ამ ხაზზეა. ენის მთლიანობრივი „ქმედება“ შეიძლება დავინახოთ არა მხოლოდ ინდივიდის მიერ ენის დაუფლების პროცესში და ვეძიოთ აღქმასა თუ ქცევის სხვა არავერბალურ სტრუქტურებში, არამედ მისი კვალი დავადასტუროთ თვით მხატვრული აზროვნების ფორმებში.

ენაში უკვე არსებული სიტყვები, მათი შეკავშირების პრინციპები და ის წესები, რასაც მისდევს მეტყველი თავისი ინდივიდუალური აზრის ფორმულირებისას, უთუოდ დაამჩნევს სათანადო ენის სპეციფიურ ნაჭდევს თვითონ ამ აზრს და მისცემს სხვა სტრუქტურას, განსხვავებულს ეკვივალენტური გამოთქმისაგან სხვა ენაში. ამოცანაა ასეთი სტრუქტურების ცხადყოფა. ეს დაისახა მიზნად თავის სადოქტორო დისერტაციაში [47] პ. გიპერმა ისეთი ენების შედარებით, როგორც არის ფრანგული და გერმანული. მან შეაჯერა ერთმანეთს ორიათასამდე გერმანული ლექსი ყველა ხელმისაწვდომი თარგმანითურთ, რათა გამოერეკია, თუ რა ცვლილება მოპყვება თარგმანს სხვადასხვა ენობრივი სტრუქტურის საფუძველზე. ე.ი. საქმე ეხებოდა ე.წ. „ენის სტილს“, ანუ ენობრივი სისტემით შეპირობებულ ცვლილებებს, რომლებიც გამოსაყოფია მთარგმნელის ინდივიდუალური თავისებურებებისაგან, ე.ი. მისი ინდივიდუალური სტილისაგან. ეს შემოწმდა საკუთარ ლექსებზეც, რომელიც გერმანელ პოეტს თვითონვე უთარგმნია ფრანგულად, მაგალითად, რილკეს. პ. გიპერის თხოვნით, გამოჩენილმა ფრანგმა მთარგმნელებმა ხელახლა თარგმნეს რილკეს იგივე ლექსი. აღმოჩნდა, რომ ფრანგები თავიანთ თარგმანში

წამოსწევენ ფრანგულისათვის უფრო ტიპიურ კონსტრუქციებს, ვიდრე რილკე, რაც ენის სტრუქტურებს უნდა მიეწეროს და არა მთარგმნელს. ე.ი. მათ უფრო წმინდად გამოსახეს თავიანთი დედაენის „სტილი“. ენის სტილი აქ გაგებულია, როგორც ენის შინაფორმა, როგორც „სტილი“ სამყაროს გაენოვნებისა [შდრ. 47] და არა ენის ის ასპექტი, რასაც ტრადიციული სტილისტიკა გულისხმობს.

თუ მეტყველი იმდენად ემორჩილება ენის გრამატიკულ წესებს და სემანტიკურ ნორმას, რომ იგი ენის ერთგვარ „ტყვეობაში“ ექცევა, მხატვრული შემოქმედების პროცესი ათავისუფლებს მას ამ ტყვეობიდან: ენით „დაუფლებულისაგან“ იგი უკვე თვისონ იქცევა ენის „უფლად“ და ენის ნამდვილ შემოქმედად. მაგრამ „შემოქმედება“ ისევ ფრთხილად უნდა ვიხმართო: ყოველი ენობრივად „ახალი“ ემყარება უკვე არსებულს და თვით უდიდეს შემოქმედსაც არ ძალუძს თუნდაც ერთი სიტყვა შექმნას არაფრისაგან. „არსებული“ აქ ენის შესაძლებლობათა არეალს გულისხმობს (რასაც ენის გრძნობა სწვდება) და არა უთუოდ ბგერითი ფორმით ფიქსირებულ ტრადიციას.

მაგრამ პრობლემათა ამ მიმართულებით კვლევა ისევ და ისევ გულისხმობს მარტივი სქემის — „ენა კულტურის სარკეა“ — დაძლევას და ენის საშუალებად გაგებიდან ენის ენერგეიად გაგებაზე გადასვლას. ენა იქ კი არ ჩაერთვის, სადაც კულტურული ქმნადობის პროცესი უკვე დასრულებულია, არამედ იგი იმთავითვე მოცემული და თანამოქმედია. ამაში ადვილად დაფრწმუნდებოდით, ენა რომ ერთგვარი „გონებითი ექსპერიმენტი“ კულტურის თუნდაც რომელიმე სფეროდან გამოგვერიცხა. აღმოჩნდება, რომ მხედველობიდან გამოგვრჩენია ენა — როგორც აუცილებელი პირობა. ენის ასეთ პირობად აღიარება არავითარ ზიანს არ აყენებს სხვა ადამიანურ ძალებს; ენასა და კულტურას შორის ურთიერთქმედებაა და მისი შედეგები იმის შესაბამისად უნდა გაიზომოს, სანამდისაც ენობრივი ენერგიის თანამონაწილეობა გასწვდება.

ენათშემაჯობის შესახებ
შინაარსული თვალსაზრისით

ზემოთქმულიდანაც ჩანს, რომ ენა არ არის მხოლოდ მნიშვნელობათა სინქრონული ერთიანობა, არამედ იგი შეიცავს აგრეთვე ენერგეისტულ ასპექტს. ენათმეცნიერების ამოცანაა, ენის ენერგეისტულ „ცოდნაში“ საგანთან ენობრივი დამოკიდებულების ფორმები აღმოაჩინოს; მაგრამ „ენის გრძნობის“ სუბიექტურად მოცემულ ფენომენში უფრო ერთი ენის (ჩვეულებრივ, დედაენის) შესაძლებლობები გვეძლევა. დედაენასა და სინამდვილეს შორის საზღვარი თითქოს წაშლილია. ამ საზღვრის გაცნობიერება და დედაენის „გულუბრყვილო მოდელის“ რღვევა იწყება უკვე სხვა ენის შესწავლით, რაც მოასწავებს ახალი ენობრივი თვალსაზრისის შექმნასა და პერსპექტივის ერთგვარ გაფართოვებას საგანთსამყაროს მიმართაც.* ეს ნიშნავს: გაცნობიერდეს, რომ დედაენა სამყაროს მოდელირების ერთ-ერთი ვარიანტია და არა ერთადერთი, რაც სწორედ ენათა შინაარსების მიხედვით შედარებიდან გამოჩნდება. გარდა ამისა, ენათა შინაარსული სხვაობის ცხადყოფა ქმნის პირობებს ე.წ. სემანტიკური ინტერფერენციის (ფსიქოლოგიაში „ყალბ იდენტიფიკაციად“ ცნობილი) საფუძვლის გამოსავლენად, ასახსნელად და დასაძლევად, რაც, თავის მხრივ, მეორე ენის უკეთ დაუფლების პირობაა.** ენათშედარებისას სხვაობა არეკლილია არა მხოლოდ მეტყველებაში და მხოლოდ თარგმანის სიძნელეში, არამედ რამდენადმე არავერბალურ ქცევის ფორმებშიც.

დედაენის სემანტიკური ერთეული ველის ინდექსის მქონე უნდა იყოს: ნამდვილი სინონიმია, ამდენად, არც გვექნება („მხერა“, ხეღვა“, „ცქერა“...), მეორეს მხრივ ის, რაც პოლისემიად არ ითვლება ერთი

* შდრ. ჰუმბოლდტი: „ყოველი ენა იმ ხალხის ირგვლივ, რომელსაც იგი ეკუთვნის, შემოწერს წრეს, რომლის ფარგლებიდან გასულა ადამიანს შეუძლია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იმავდროულად სხვა წრეში შეაბიჯებს. ამიტომ ახალი ენის შესწავლა მოასწავებს ახალი თვალსაზრისის მოპოვებას ადრინდელ მსოფლხედვაში“ [59, VII. 60].

** უფრო ვრცლად ამის შესახებ იხ. [72].

ენის შიგნით მეორე ენასთან შედარებისას, პოლისემიური შეიძლება აღმოჩნდეს (МЯТЬ — ჭმუჭნა, ზელა). ამასთან დაკავშირებით ჩვენ ადრე ჩავატარეთ ექსპერიმენტი ფსიქოლოგთან ერთად [72]. ზოგადი დასკვნა ასეთია: ექსპერიმენტმა აჩვენა, რომ ინდივიდს მეორე ენაზე მეტყველებისას გაცნობიერებული არა აქვს დედაენის შინაარსობრივი სტრუქტურა. დედაენის სიტუქტურა მას ასევე გაუცნობიერებლად გადააქვს უცხოურ ენაში, და იმისდამიხედვით, იშლება თუ არ იშლება კომპონენტებად დედაენაში ესა თუ ის სიტყვა, იგი უცხოურ ენაზე მეტყველების დროსაც ანალოგიურად იქცევა. დედაენის რეალობა მას განცდის დონემდე აქვს ატანილი და სხვა ენაზე მეტყველის (სხვა დედაენის) განცდა მისთვის ნაკლებად მისაწვდომია, ამის საფუძველი დედაენის მიმართ უკრიტიკო დამოკიდებულებაა, რომელიც ქცევის თავისებურ აღქმამდეც კი აღწევს; მაგალითად, ოპერაციის სხვაობა ობიექტების რაგვარობის გამო ქართულში და შინაარსობრივი განუსხვავებლობა სუბიექტური ქცევის ერთიანობის გამო რუსულში. აქვე შევნიშნავთ: ასეთი ვითარება დამახასიათებელია ყველა საფეხურზე და თუ ეს ხანდახან მეორე ენის არასრულყოფილად დაუფლებით შეიძლება აიხსნას, სულიერი პროცესების გართულებულ ფორმებში იგი მოქმედია და ზოგჯერ ეს მოქმედება შეუმჩნეველიც არის.

როგორ უნდა მოხდეს ენათა შედარება შინაარსების მიხედვით? თეორიულად შედარება არ განხორციელდება ორი უკიდურესი დაშვების დროს: 1. ენათა შორის განსხვავება აბსოლუტურია (აბსოლუტური რელატივიზმი); 2. ყველა ენა ერთსა და იმასვე გამოთქვამს (აბსოლუტური უნივერსალიზმი). პირველ შემთხვევაში შედარება საერთო საფუძველს იქნება მოკლებული. მეორე შემთხვევაში თვითონ შედარების პროცედურაა შეუძლებელი, რადგანაც შინაარსის კომპონენტი შედარებიდან იმთავითვეა გამორიცხული და ამ მხრივ ენებს შორის სხვაობა არ არის აღიარებული.

ასეთია ლოგისტიკურ პოსტულატებზე აგებული ლინგვისტიკის ზოგადი პოზიცია, რომლის ამოცანაშიც არ შედის შინაარსის მიხედვით ენათა განსხვავების ძიება, რადგან იგი ეწინააღმდეგება ფორმალური პროცედურის მოთხოვნებს. გამონაკლისს შეადგენს იელმსლევი,

რომელმაც დაუშვა ენათა განსხვავება შინაარსების მიხედვით. ამას საფუძვლად ედო ნიშნის სტრუქტურაში შინაარსის კომპონენტის შეტანა, რასაც იგი „ნიშნის იმანენტურ თეორიას“ არქმევს და მიაჩნია, რომ ამ საკითხში გაჰყვა ფ. დე სოსიურსა და ლ. ვაისგერბერს (მდრ. ზემოთ).

ამდენად, ენათა შედარების დროს, სემანტიკური ერთეულების (სიტყვების) დასადგენად საგნიდან ამოსვლა არა თუ ენათმეცნიერული პოზიცია არ არის, არამედ იგი პრაქტიკულადაც არ მოხერხდება: 1) როგორც ითქვა, საგანთა საზღვრები ყოველთვის გამოყოფილი არ არის (თუნდაც ფერთა გამა); 2) თუ დავუშვებთ, რომ მკვლევარს შეუძლია იხელმძღვანელოს საგნის მეცნიერული დეფინიციით, მაშინ გამოვა, რომ მეცნიერება ენაზე ადრე გაჩენილა, ანდა თვითონ ხალხებს ჰქონიათ უკვე მეცნიერული თვალსაზრისი; ამ შემთხვევაში ისევე განიხილება კითხვა: რამ გამოიწვია ენათა შორის მნიშვნელობებში დაცილება? თანაც, მეცნიერული სურათი ხომ ერთი უნდა იყოს! 3) რაც მთავარია, მოსალოდნელია აშკარა შეცდომა: საგანი ჩვეულებრივ მშობლიური ენის სემანტიკაშია ტრანსპონირებული და სხვა ენაში სწორედ მშობლიური ენის ეს სემანტიკა შეიძლება იქნას გადატანილი, რაც იმას ნიშნავს, რომ ენათმეცნიერმა-მკვლევარმა ვერ დააღწია თავი დედაენობრივი ინტერფერენციის ფენომენს.

ენათშედარება საგნობრივი და ადამიანური ფაქტორების ურთიერთობის ფონზე უნდა იქნას განხილული. საერთოა (უნივერსალური) ორივე ეს ფაქტორი და, აგრეთვე, ადამიანური მიზანი სინამდვილის გაენოვნებისა. ენათა შედარება სინამდვილის გაენოვნების უამრავ აქტში გამოავლენს სამყაროსთან ადამიანის დამოკიდებულების ურიცხვ ფორმას და თვით ადამიანური ინტელექტის შესაძლებლობათა დიაპაზონს. მიზანი ერთია, განსხვავებულია (რელატიურია) გზები ამ მიზნის მიღწევისა. მიზნის საერთოობის გამო შესაძლებელია ბევრი რამ საერთო აღმოჩნდეს ენებში. მაგრამ ლინგვისტურ პრაქტიკაში დადასტურებული ის მარტივი ფაქტი, რომ ერთი ენის სქემით მეორე ენის სტრუქტურაში ვერ შევადგენთ, მოწმობს თითოეული ამ „გზის“ უნიკალობას.

ა) ენის ღამანაწმკრბჰული წუნწცია
ბრამატიკაში (ბ. ახვლედიანი)

ქართულის რუსულთან გრამატიკულმა შედარებამ მოგვცა მასალა ცალკეულ შემთხვევებში განსხვავებული ს ა გ ა ნ თ ხ ე დ ე ი ს და-სანახავად, რაშიაც გიორგი ახვლედიანი უკვე „მსოფლმხედველობას“ ხედავს [2], ე.ი. აშკარა განსხვავებას ცალკეულ შემთხვევებში გ. ახვლედიანი „მსოფლმხედველობად“ მიიჩნევს. განსხვავება ფაქტია და ამის აღნიშვნაც საჭიროა (უფრო სწავლების მიზნით), მაგრამ მსოფლმხედველობა უფრო ენის ღრმა ფენებშია საძიებელი, მისი გამოკვლევა რთულია და ხანგრძლივ დაკვირვებას მოითხოვს. იგი უფრო თვალსაჩინოების მიღმაა საძიებელი. თუ როგორ უნდა შეშხადდეს ქართული გრამატიკა შინაარსული ძიებისათვის სხვა ენასთან შედარების ფონზე, ამის საჩვენებლად მოვიტანთ ისევ გ. ახვლედიანის ერთ გრამატიკულ დაკვირვებას, რომელიც ენის ღამანაწმკრბჰულ თვისებას ეყრდნობა:

„როცა ვაზროვნებთ, ე.ი. როცა წარმოდგენას ვანაწმკრბებთ, ჩვენ მიემართავთ სიტყვათა იმ წყობას, რომელიც ჩვენს მშობლიურ ენას სჩვევია“... „წარმოდგენის დანაწმკრბების დროს ჩვენ დამოკიდებული ვართ ენის ჩვეულებაზე: ვანაწმკრბებთ აზრს არა ისე, როგორც გვსურს, არამედ როგორც ამას მოითხოვს ენა“. „ყოველი ენა თავისებურად ანაწმკრბებს აზრს“. „ჩვენ ვამბობთ: მე მაქვს მშვენიერი ქული“ და არა: „ქული მშვენიერი“. რუსულად კი შეიძლება ორგვარად: *имею прекрасную шляпу, шляпу прекрасную...* რუსულად შეიძლება ლოგიური ხმის მახვილით შეეცვალოთ წინადადების აზრის ნიუანსი: *я увидел его, я увидел ее...* ქართულად უნდა გუცვალოთ ადგილი: ის მე ვნახე და მე ის ვნახე“.

ეს მოსახრბებანი გამოითქვა მის სულ პირველ თეორიულ ლექციებში. გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე ერთ-ერთ საგაზეთო წერილში [2] მან ეს დებულებები გაიმეორა. ენათა შორის

განსხვავება მისთვის მეტწილად „მსოფლმხედველობრივია“. მაგალითად, ქართულ ენაში გამოხატული მსოფლმხედველობით, საქართუში განსხვავებულია გონიერი (იგივე მეტყველი) და უგონო (იგივე ურცევი). პირველს ეკუთვნის მხოლოდ ადამიანი, მეორეს ყოველივე სხვა. ხოლო რუსულ ენაში გამოხატული მსოფლმხედველობით, საქართუში განსხვავებულია სულიერი (ცოცხალი) და უსულო (არაცოცხალი) — პირველს ეკუთვნის ადამიანი და ყოველი სხვა ცხოველი, მეორეს — ყოველივე სხვა. სამყაროს ასეთი სხვადასხვაგვარი კლასიფიკაცია, გამოხატული ქართულსა და რუსულ ენებში, კარგად ჩანს, მაგალითად, გ რ ა მ ა ტ ი კ უ ლ ფორმებში, სახელდობრ, ბრუნებაში: ვამბობთ **ВИЖУ МАЛЬЧИКА, ЗАЙЦА, ЧЕРВЯКА**, მაგრამ: **ВИЖУ МЯЧИК**; პირველ სამ სახელს მიუდგება რუსულში **КТО** სახელობითს ბრუნვაში, ხოლო ბრალდებითში **КОГО**; მეოთხე სახელს (**МЯЧИК** მიუდგება მხოლოდ **ЧТО** — როგორც სახელობითში, ისე — ბრალდებითში). ქართულ ენაში ასეთი განსხვავება ბრუნებაში არა გვაქვს. მაგრამ ქართულში გონიერსა და უგონოს შორის განსხვავება ჩანს იმავე ვ ი ნ და რ ა . ნაცვალსახელების გამოყენებაში: ვ ი ნ - ში იგულისხმება მხოლოდ ადამიანი, ხოლო რ ა - ში — ყოველივე დანარჩენი.

ცხადია, რომ ამ შემთხვევაში რუსულსა და ქართულ ენებში ასახულია მსოფლმხედველობრივი განსხვავება.

საინტერესოა, რომ სულიერისა (ცოცხალისა) და უსულოს (არაცოცხალის) განსხვავება ქართულშიც არის მკაფს — მაქვს ზმნების ფორმებთან. მაგალითად: მყავს ან მიმყავს ბავშვი, ხბო; მაგრამ მაქვს ან მიმაქვს აკვანი, თოკი. ამ მხრივ ქართული თითქოს არ განსხვავდება რუსულისაგან (**веду ребенкa, теленкa; нeсy люлькy, веревкy**), მაგრამ განსხვავება მაინცაა: თუ ხელში აყვანილი მიმყავს, რუსულად ითქმის **нeсy**, თითქოს უსულო იყოს (**нeсy ребенкa, теленкa...**).

ასეთივე მსოფლმხედველობრივი განსხვავებაა რუსულსა და ქართულს შორის გრამატიკული სქესის გამოხატვის მხრივ. რუსულ ენას აქვს ფორმები ძუ და ხვადი მგლის, დათვის, ლომის და ა.შ. განსახვავებლად (**волк-волчица, медведь - медведица, лeв-львица**). ქართულს მათი განსხვავებისათვის ფორმები არ გააჩნია.

შეიძლება ითქვას, რომ ყოველი ენის გრამატიკული კატეგორიები,

როგორც წესი, მსოფლმხედველობრივია. ამიტომაც, რომ სხვა ენის შესწავლა ნიშნავს სხვაგვარი აზროვნების, სხვა სამყაროს გაცნობას.

რაც უფრო მეტ ენას დავეუფლებით, მით უფრო ღრმად ვეცნობით ჩვენსავე ენას, რადგანაც, რაც მხოლოდ მექანიკურად გვაქვს შეთვისებული, იმას ვაძნობიერებთ. ნათქვამია, ვინც არ იცის სხვისი ენა, იმან არც თავისი იცისო.

ჩვენ მაინც გავიმეორებთ: ენათა ასეთ თავისებურებათა აღნიშვნა საინტერესოა, მაგრამ „ენობრივ მსოფლმხედველობად“ მაინც არ ჩაითვლება.

ბ) უცხოენოვანი შაქტორების კრიტიკა ძართულ ბრამატიკაში (ა. ჩიქობავა)

წინადადებასაც აქვს ყალიბი და ეს ყალიბი, გარკვეული აზრით, საყრდენიც არის. იგი არა მარტო მეტყველების პროცესს განსაზღვრავს და აწესრიგებს, არამედ შეუძლია გადაიყვანოს ფორმალურ-სტატისტიკური ვითარება შინაარსულ-ენერგეტიკულში. ენათა შედარებამ უნდა გამოავლინოს ენის ეს მიმართულება და მაშინ სინტაქსი — მორფოლოგიასთან შეწნული — შინაარსობრივ პოსტულატებზე აიგება.

ა. ჩიქობავა მიმართავს შედარებას: „აგებულებების მხრივ სიტყვათა ურთიერთობა ქართულ შესიტყვებაში არსებითად სხვაგვარია, ვინემ რუსულში; გარეგნულადაც ეს თვალში გვეცემა: სახელთა ბრუნვა რუსულ შესიტყვებაში ყველა დროში იგივეა, რაც აწმყოში (Давид хвалит, похвалил, похвалит), ქართულში კი სახელების ბრუნვა ცვალებადია აწმყოში (აქებს დავითი სიმონს), ნამყო ძირითადში (აქო დავითმა სიმონი) და თურმეობითს პირველში (უქია დავითს სიმონი)“.

სინტაქსური მექანიზმის სირთულე, ქართულ შესიტყვებაში, ავტორის მიხედვით, შინაგანი აუცილებლობით გამომდინარეობს იმ მორფოლოგიური თავისებურებიდან, რომ ქართულს აქვს ორპირიანი ზმნა, კერძოდ, ორპირიანი გარდამავალი ზმნა, და ამიტომ, ზმნის ორპირიანობა მორფოლოგიაში ქმნის სინტაქსის თავისებურებას.

ავტორი (ყდილობს ბერძნულ-ლათინური გრამატიკის ტრადიცია ტერმინოლოგიის საკითხში გადასინჯოს და ედავება გარეენობრივი

სახომების გამოყენების ფაქტებს ქართული ენის ფორმალური სტრუქტურის მიმართ. პირველ რიგში ეს არის ლოგიციზმი. მაგრამ საკუთრივ ფორმალური, გარეენობრივი ფაქტორებისაგან დამოუკიდებლად ენის გრამატიკული აგებულების განხილვა ჯერ კიდევ არ არის საკმარისი ენის ადეკვატური დახასიათებისათვის, საჭიროა შინაარსეული განხილვაც. ამ ამოცანის განხორციელება გერმანული ენის მაგალითზე წამოიწყო ლეო ვაისგერბერმა. ეს არის უკვე გადასვლა ფორმალურიდან შინაარსეულზე.

ბ) ბზა შინაარსეული გრამატიკისაკენ (ლ. ვაისგერბერი)

„გერმანული ენის შინაარსეულ გრამატიკაში“ [91], ჩამოთვლის რა ფორმალური ანალიზის მიღწევებს, ლ. ვაისგერბერი წერს: „თუმცა წმინდა ფორმატისისტემა ნაკლებად არის გათვლილი მოქმედების აღსანიშნავად, ჩვენ მაინც ვხედავთ, თუ რაოდენ მდიდარია და ცხოველმოსილი ეს ენობრივი საშუალებები, თუ გამოვიძიებთ მთელს ენის აგებულებას — ლექსიკას, სიტყვათწარმოებას, ფორმატქმნადობასა და შესიტყვებას. აქ მთავარია, მეთოდური მონაცვლეობით დავაკვირდეთ შინაარსეულ მონაცემებსა და მათს აღმნიშვნელ „ნიშნებს“, რათა მივუახლოვდეთ ენითს შუასამყაროს და დავადგინოთ, თუ რომელი შინაარსები თამაშობენ როლს, რომელი „ფორმები“ გვევლინებიან ამ შინაარსთა „ნიშნებად“ და რამდენად მყარია ამ ენობრივ საშუალებათა ქმედება... სხვადასხვა სახის ნიშნები კავშირს კრავენ ერთმანეთთან და იმსჯელებიან „ველის მოქმედებით“.

ავტორი მიუთითებს, რომ „არის სინტაქსური შინაარსები, რომლებიც ყურადღების მიღმა რჩება, ვინაიდან ტრადიციული ტერმინოლოგია მათზე არ მიუთითებს“ (იქვე).

1. სიტყვათქალასები (Wortarten). როგორც აზრითი სუბრობი. ვაისგერბერს აზრითი სუფრო ესმის „ერთმანეთთან დაკავშირებულ გონით მეთოდებად, რომელთა გაცნობიერებასაც ლამობს შინაარსობრივი გრამატიკა, როგორც სისტემა“. შესაბამისად, მოითხოვს ერთმანეთისაგან გაირჩეს „შინაარსობრივი, ბგერისმიმართი და წიფთის მიმართი თვალსაზრისები“ (იქვე).

ზმნის აზრითი სფერო. ეს სფერო მოიცავს ყველაზე მდიდარ მიმართებებს, რაც მომდინარეობს იმ ტერმინთა სიუხვიდან, რომლებიც აუცილებელია ხმსურ ფორმათა განსასახლვრავად. დღემდე ვერც ერთ ენაში ვერ მოხერხდა სწორი სურათის შექმნა ზმნის აზრითი სფეროს შესახებ.

ვაისგერბერი წერს: „არც ცალკეულ ფორმათწარმონაქმნებს მოუღის ერთიანი მყარი შინაარსი და არც გარკვეული შინაარსები ან საგანთმიმართებები მოერგება ამა თუ იმ ერთიან ფორმალურ აღნიშვნას“ (გვ. 324). — „გერმანულ „დროის აღმნიშვნელ სიტყვაში (ზმნაში) (Zeitwort) მუდამ დროსთან მიმართება არ არის გადამწყვეტი, და „ფაქტიური“ დროის ვითარება ხშირად უკან იხევს სხვა მოსაზრებათა წინაშე, თუ ისინი ენობრივი მსოფლხედვისათვის უფრო არსებითია“ [91. 327].

ვაისგერბერს მიაჩნია, რომ ამ თვალთახედვით უნდა ვეძიოთ არა მარტო დროის ამსახველი ფორმები, არამედ პირებიც, რიცხვითი სახელებიც და გვარებიც ზმნისა, ინფინიტურ ფორმათა ჩათვლით. „ამგვარი ყოვლისმომცველი ძიება დაგვაძლევინებს ზმნის სწორ გაგებას, რადგან ჩვენთვის ცხადყოფთ ყველა იმ გონითი აგების გზათა შინაარსსა და მოცულობას, რომლებიც აქ მონაწილეობენ“ (იქვე).

2. წინადადების ნაწილები (Satzstücke), წინადადების ნაწილები (Satzteile), წინადადების ღირებულებები (Satzwerte) და წინადადების წევრები (Satzglieder). წინადადების შესახებ მოძღვრება მოიცავს „მთელ სიტუაციათა ენობრივ დაძლევას“ [91. 336]. მისი თაურცნებაა წინადადების აგების პროექტი (Satzbauplan). რა განსხვავებაა სიტყვასა და წინადადებას შორის? სიტყვას კავშირი აქვს საგნებთან, წინადადებას — სიტუაციებთან. მათ ის აერთიანებს, რომ ისინი „ტიპიური წარმომადგენლები არიან გონითი სფეროებისა, ... გონითი აქტივობით მოპოვებული „ენობრივი მსოფლხედვისა“. ვაისგერბერი განმარტავს, რომ აქ საქმე ეხება „იმ ტიპურ გონით სიტუაციათა დაფუძნებას, რომლებიც დედაენაშია წინასწარ მოაზრებული და რომელთა ენობრივ აგებასა და დაუფლებასაც წინადადების აგების გეგმა (Satzbauplan) შეიცავს. დაშორება მოვლენასა და გონით სიტუაციას შორის, ფაქტიური პროცესის გარდაქმნა ენობრივად დაძლევულ სიტუაციად — აი, ეს არის იმ ძიების მთავარი პრობლემები, რასაც ჰქვია ამა თუ იმ ენის სინტაქსური შემადგენელი ნაწილების

შინაარსთა გაცნობიერება-ცხადყოფა“ (გვ. 337).

წინადადების ნაკვეთები. ვაისგერბერს მიაჩნია, რომ „ლექსიკა არასოდეს არ გვხვდება აბსოლუტური ფორმით; იგი მუდამ შემოსილია იმ მიმართებათა სიუხვით, რაც სიტყვის სახეობიდან გამომდინარეობს“ [91.338] ე.ი. ლექსიკა არსებითად გრამატიკულად განსაზღვრადია. ერთ სიტყვებშია და ცალკეულ ინდივიდუალურ სიტყვებშია ნაწილია ახრითი სფეროები მუდამ შიდა არიან, რათა ცალკეულ აქტიურ ლექსიკას მისცენ სინტაქსურად რელევანტური გამოხატულება, დამატებითი განსაზღვრულობა, რომელიც სიტყვის „საგნობრიობას“ გასცდება და მთელი წინადადების „სიტუაციურობას“ მიუთითებს“. (გვ. 339 შმდ.)

წინადადების ნაკვეთები წინადადების ანალიზით მიღებული მეტყველების ნაწილებია (Wortarten).

წინადადების ნაწილები. ვაისგერბერის აზრით, მეტყველების ნაწილები ერთგვარი „მაკავშირებლები არიან ლექსიკისა და წინადადების აგებულებისა“ ყოფიერი Satzbau-სი [91. 340]. (სიტყვა) გარდაიქმნება ცნობიერ ყოფიერებად (მეტყველების ნაწილად). „ყოველი მეტყველების ნაწილი (არსებითი სახელი, ნაცვალსახელი, ზედსართავი, ზმნა, ზმნიზედა), გარეგანი და შინაგანი გამოხატულებით, უკვე თავისი აზრითი წრის მიერ შემზადებულია, რათა მთელ წინადადებაში იკისროს წინადადების წევრის როლი“ (იქვე).

გრამატიკული ცნობიერების (ცხადყოფის) ამოცანა მხოლოდ ისაა, რომ „მიგვითითოს იმ ენობრივ ელემენტებზე, რომლებიც დანაწევრებულ მოელში შედიან, როგორც ამგები ნაწილები“ [91. 346]. წინადადების ნაწილთა (სუბიექტის, პრედიკატის, ობიექტის, ატრიბუტის, ზმნიზედის) განსაზღვრა არ გვაძლევს რაიმე ახსნას ენობრივი შინაარსის ან წინადადების აგების პროექტის, Satzbauplan-ის შესახებ. (იხ. Es schneit – თოვს. Dichte Schneeflocken fallen herab – მსხვილი ფიფქები ცვივა ზეციდან).

ვაისგერბერს მიაჩნია, რომ ლოგიკიდან წამოღებული ტერმინები: „სუბიექტი“ და „ობიექტი“ უნდა შემოვიანახოთ გარეენობრივი ვითარების აღსანიშნავად. განსხვავებით კ.ფ. ბეკერისა და ლ. შაიხესაგან, რომელნიც ფიქრობენ, რომ წინადადების ნაწილები უნდა გამოვიყვანოთ ადამიანური აზროვნების ზოგადი თვისებებიდან, ე.ი. საჭიროა მიმართების ზეენობრივი პუნქტის დაშვება. ვაისგერბერი უარყოფს ამგვარ აზრს და მიგვითითებს მეთოდისა და გაგების

არსებით განსხვავებებზე, რაც სუფევს „საგანმიმართულ-ლოგიზირებულ“ გრამატიკასა და „შინაარსობრივ გრამატიკას“ („შინაარსზე მიმართულს“) შორის. მიუხედავად საგანმიმართულ-ლოგიზირებული გრამატიკის სხვადასხვაგვარი გადმოცემისა, მისი აზროვნების კანონებზე დაყვანა (ე.ი. იდეალისტური ამოსავალი პოზიცია!) ყველგან ძირითად ტონად გასდევს წინადადების ნაწილთა შესახებ მსჯელობებს. ამასთან, ვაისგერბერი შენიშნავს, რომ კ.ფ. ბეკერი უშვებს უფრო დიდ მანძილს აზროვნებასა და წინადადებას შორის, ვიდრე ჰაიზე, რომელიც მათ იდენტიფიკაციას უახლოვდება. ვაისგერბერის აზრით, ყველა შემთხვევაში უნდა დავეკითხოთ „ენითს შუასამყაროს“ — გვიჩვენებს თუ არა იგი იმ შინაარსობრივ თავისებურებებს, რასაც საქმე აქვს „წინადადების ნაწილებთან“.

იგი კითხვას სვამს: მოჩანს თუ არა ენის ბგერით-გრძნობად (laut-sinnliche) მხარეს რაღაც ისეთი, რაც წინადადების ნაწილის ნიშანია? „ძნელია, გრძნობადი საჭუქველი უპოვო ს უ ბ ი ე ქ ტ ს ა და სხვ. „ფუნქციას“; ამიტომ მწვავეა საკითხი იმის შესახებ, თუ რამდენად უნდა იქნას განხილული ეს სიდიდეები ენობრივ წარმონაქმნებად. წინადადების ცალკეული ნაწილი რომ ფორმალურად არ აღინიშნება ასეთად..., აქ საქმეში ემბედა გრძნობადი დახასიათების სხვა შესაძლებლობები, რომლებიც წინ წამოსწევენ ს უ ბ ი ე ქ ტ ი ს ა და პ რ ე დ ი კ ა ტ ი ს უ რ თ ი ე რ თ დ ა მ ო კ ი დ ე ბ უ ლ ე ბ ა ს“ [91, 357 შმდ.].

. სიტყვათა ბანაბობა. პრედიკატი (Verbum finitum) გერმანულის თხრობით წინადადებაში მუდამ დგას მე-2 ადგილზე (როგორც წინადადების მე-2 წევრი), (კითხვით წინადადებაში 1-ია, დამოკიდებულ წინადადებაში (Nebensatz) ბოლო წევრია, ორივე მოდიფიკაციითურთ).

ვაისგერბერის წინაშე დგას ასეთი ამოცანა: „რაც შეიძლება ადეკვატურად აღიწეროს ენობრივი შინაარსები“ წინადადების ნაწილთა სფეროშიაც (იქვე). მაგალითებად, სადაც „მოჩანს, აგრეთვე, წინადადების ნაწილთა ჩაწნულობა დედაენობრივს შუასამყაროსთან“ (გვ. 355), მას მოჰყავს შემდეგი:

ზმნის ღირებულებითობა (ამაზე დიდად არის დამოკიდებული შესაძლო Satzbaupläne — წინადადების აგების პროექტები).

საფეხურები ნომინალური მთავარი სიდიდის (Grundgröße) აღნიშვნისა. უნდა გავითვალისწინოთ განსხვავება ფლექსიურ სისტე-

მაში ჩამჯდარ „სუბიექტსა“ და „იმ სუბსტანციურ „სუბიექტს“ შორის, რომელიც სრულ მთავარ სიდიდეს წარმოადგენს“ (იქვე). მთავარი სიდიდე წინადადების წევრია წინადადების წევრთა შორის, თუ მას რაღაც განსაკუთრებული რანგი ენიჭება? უტოლდება თუ არა მთავარი სიდიდე ორწევრიანი წინადადებისა მთავარ სიდიდეს სამწევრიანი და ოთხწევრიანი წინადადებისა?

ვაისგერბერი ფიქრობს, რომ „წინადადების ნაწილთა შესახებ მოძღვრება იმავე დღეშია, რაშიაც სიტყვის შესახებ მოძღვრება (Wortlehre), როცა „საგანთა სფეროებიდან“ ნახტომს აკეთებენ აღმნიშვნელებისაკენ ისე, რომ არ ითვალისწინებენ ამ „საგანთა“ იმავდროულ „გონით გადაშუშავებას“. იგი მიგვითითებს, რომ „ა? მოძღვრებაში და მისი ტერმინოლოგიური საშუალებების ვითარებაში ჩვენ ეტოვებთ დედაენის ნიადაგს და მასთან ერთად — გრამატიკულის საკუთრივ სივრცეს“ (გვ. 356 შმდ.).

ჩვენ აქ მხედველობაში გვაქვს, წერს ვაისგერბერი, — არა ის, რომ „უარეყოთ ზოგადადამიანური აზრითი კანონები, ანუ ის, რაც აუცილებლობით გვეძლევა, ე.ი. ის, რაც „ლოგიკურია“ და შევედავოთ მათს ზემოქმედებას ენობრივზე. ჩვენ მხოლოდ გვმართებს გასაზრებოთ, რომ ამგვარი მიმართების გზა უფრო ძნელია, ვიდრე ეს ენის კვლევასა და ფილოსოფიას ჰგონია... ამგვარ განუხორციელებელ (უტოპიურ) ცდათა საპირისპიროდ, უმჯობესია, ნაბიჯ-ნაბიჯ ავაგოთ ენით გამყარებული მოძღვრება წინადადების ნაწილებისა“ (გვ. 357 შმდ.).

წინადადების ღრმობაში ვაისგერბერის აზრით, გარდა წმინდა „საგნობრივი ვითარებისა“, სიტყვის დასახასიათებლად, მუდამ გჟჭირდება ის „თვალსაზრისები“, რომლებიც, და სწორედ ისინი, ანიჭებენ სიტყვის შინაარსს თავისებურებას; წინადადების აგებაში არანაკლებ მნიშვნელოვანია ადამიანის პოზიცია. აქაც ძალაშია ენობრივი თაურმოვლენა: არა ფოტოგრაფია გარედან, არამედ გონითი ფორმირება შიგნიდან. გონითი ფორმირება, ბუნებრივია, პირველ ყოვლისა, კავშირშია Satzplan-თან, როგორც მთლიანობასთან, მაგრამ წინადადების ერთიანი ხერხემლის შიგნითაც რჩება სივრცე საუბეზურებისა და ცვალებადობისათვის, რომლებიც, ინტელექტუალური შინაარსის მიღმა, ხორცს ასხამენ პოზიციას, გრძნობის გამახვილებას, ხაზგასმას, მოკლედ — შეფასებებს უზოგადესი მნიშვნელობით. ვაისგერბერი განმარტავს, რომ „შინაგანი დანაწილება“ პირველად კონკრეტულ, ჩამოყალიბებულ წინადადებაში კი არ ჩნდება, არამედ ენა აწვდის საამისო „ენობრივ საშუალებებს, რომლებიც წარუძღვება მეტყველს

— აზრის ჩამოყალიბებისას, ასევე, მსმენელს — გაგებისას; მაშასადამე, იგი, ყველა შემთხვევაში, ზეპიროვნულია, დედაენობრი-
ვია“. და იქვე დასძენს: „აი, ეს წმინდა ინტელექტუალურ შინაარსს
მიღმა გამყვანი სიუხვე მითითებებისა უნდა ჩავერთოთ შინაარსობრივ
გრამატიკაშიაც, ე.ი. უნდა მივუსითოთ იმ ბეყრით-შინაარსობრივ
მთლიანობებზე, რომლებიც ამ მნიშვნელოვანი ენობრივი ამოცანის
სამსასურში დგანან“ (გვ. 359).

წინადადების ნაკვეთები — წინადადების ნაწილები — წინადა-
დების ღირებულებანი

Satzstücke – Satzteile – Satzweite.

ამ თანმიმდევრობიდან მოიხანს, თუ რა იყრის თავს წინადადებაში
ბეყრით-შინაარსობრივ პირობათა სახით:

წინადადების ნაკვეთები — მეტყველების ნაწილები (Wortarten)

წინადადების ნაწილები — შინაარსობრივი კავშირები

წინადადების ღირებულებანი — „ის თავისებურებანი..., რომლე-
ბიც, უპირველეს ყოვლისა, იკვეთებიან სიტყვის განლაგებაში და
წინადადების მელოდიაში“ (გვ. 360).

ვაისგერბერი აღნიშნავს, რომ ე. დრახის (Grundgedanken der
deutschen Satzlehre, 1937) აზრით, წინადადება უმჯობესია დაიყოს:

წინა ველად — შუაგულად — მომდევნო ველად

Vorfeld – Mitte – Nachfeld

დრახი აქ იმ დასკვნამდე მიდის, რომ „განლაგებითს მიმართებებს
წყვეტს არა სიტყვის სხეულის გრამატიკული ფუნქცია, არამედ —
სიტყვის შინაარსის აზრითი ფუნქცია“ (ციტ. გვ. 362).

ვაისგერბერი უფრო აზუსტებს ამ აზრს: „წინადადების ნაწილთა
ზოგადად დანახული ლოგიკური კავშირების მიღმა, ნამდვილ ენობრივს
ფონდში, Bauplan-ის შიგნით, მოქმედებს სპეციფიკური ღირებულებე-
ბები, რომლებიც თან სდევს ცალკეულ წინადადების წევრს
მთლიანი აზრის გამოხატვისას. წინადადების ნაწილთა გვერდით
გვეცხადებიან წინადადების ღირებულებები, და აუცილებელ-
ლია, წინადადების ნაწილთა ტერმინოლოგიის გვერდით, რიგორიცაა
სუბიექტი, პრედიკატი, დავამკვიდროთ წინადადების ღირებულების
ამსახველი ტერმინებიც, შესაბამისად ამ ღირებულებათა სპეციფიკური
მონაწილეობისა აზრითი მთლიანობის აგებაში“ (გვ. 363).

ძალიან დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ვაისგერბერი დრახის მიერ
წამოწეულ ტერმინს „თაურსიტყვა“ (Sinnwort). ეს ითქმის ყოველს

წინადადების ნაწილსა და ყოველი მეტყველების ნაწილის შესახებ. მას არცა აქვს მყარი ადგილი გერმანულ წინადადებაში: იგი შეიძლება განხდეს წინაველშიაც, შუაშიაც და მომდევნო ველშიაც. იგი გამოირჩევა განსაკუთრებული ღირებულებით და ასრულებს განმსაზღვრელ როლს წინადადების წევრთა დანაწევრებისას. ვაისგერბერი შენიშნავს (გვ. 363 შმდ.): „წინა ველშია თაურსიტყვა (Sinnwort), თუ მას აქვს ძლიერი გრძნობის, ნების ან გამოთქმის ღირებულება, ხოლო იგი მომდევნო ველშია, თუ მას აკისრია დამთავრების როლი, აზრის მიზანმიმართული მდინარების შევსამება-დასრულების როლი“.

თაურსიტყვის (Sinnwort) ღირებულებას მისდევს წინადადების სხვა წევრთა განლაგება. ამას ვაისგერბერი ასე განმარტავს: „გრძნობისა და ნების აღმნიშვნელი თაურსიტყვის შემთხვევაში, წინაველი ხდება გამოხატვის ადგილი, ხოლო წინადადების სხვა წევრები თავს იყრიან მომდევნო ველში: „Bei dem Sonnenschein bleiben wir aber nicht zu Hause“. მომდევნო ველის მაგალითია: „Nach vielen gaudligen Versuchen kam er schliesslich doch zu einem bemerkenswerten Ergebnis“.

ვაისგერბერი მიაჩნია, რომ შესაძლებელია, გარკვეულ მონაკვეთებს მთლიანი წინადადების შიგნით მივანიჭოთ ადგილის ღირებულება (Stellenwert) და ამ ადგილიდან განვსაზღვროთ წინადადების ამა თუ იმ წევრის ღირებულება მთელის შიგნით“ [91. 364] ამით წინადადების წევრის ღირებულებას მიუახლოვდებით ენის მხრიდან და არა წინადადების ნაწილთა ლოგიკურ-ფორმალური განსაზღვრის მხრიდან, როგორც აქამდე იყო. იგი ჩამოთვლის მომენტებს მახვილისა (აქცენტისა), შეფასებისა, გრძნობის გახაზვისა, როგორც „წინადადების დედანობრივ ელემენტებს“; ისინი „სრულად წარმოგვიდგენენ წინადადების ღირებულებებს, რომლებიც ამჟამად უნდა გამაჩნდეს, თუ მსურს წინადადება სწორად ავაგო და გავიგო, და რომლებმაც, მაშასადამე, უნდა იმოქმედონ, როგორც გონით-გრძნობადმა მსულიანობებმა“ [91. 365].

ვაისგერბერი ველის შესახებ დრახის გამოკვლევებში ხედავს წინ გადადგმულ ნაბიჯს, სადაც წინადადება დანახულია აგების პროექტის (Bauplan-ის) მთლიანობად და, იზოლირებული აბსტრაქტული წინადადების ნაწილების ნაცვლად, შემოტანილია ერთმანეთთან გადაჯაჭვული წინადადების წევრები. ეს ხელს უწყობს ენობრივი შესასამყაროს დამკვიდრებას, ჩვენს შემთხვევაში კი, გერმანული ენას

მსოფლხედვის ცხადყოფას.

მახვილი. ვაისგერბერი, როგორც წინათაც აღვნიშნეთ, დიდ როლს ანიჭებს რიტმულ და მელოდიურ ელემენტებს, როგორც გრძნობადი, მაჩვენებლების წყაროს გრძნობად-გონითი მთლიანობების ასაგებად. ე.ი. ისინი სრულფასოვანი ენობრივი ელემენტებია. აქ ოთხი ფაქტიდან უნდა ამოვიდეთ:

1. არის წინადადების მელოდიები, რომლებიც მოცემულ მომენტში გარკვეულ წინადადების აგების პროექტს (Satzbauplan-ს) ახლავს და რომლებიც უნდა ჩავთვალოთ დედაენობრივ წვლილად წინადადების გრძნობად-გონითს აგებაში.

2. ამგვარ „ჩვეულ ფორმათა“ არსებობა კმნის იმ ოპოზიციათა შესაძლებლობას, რომლებიც წინადადების ღირებულებებს ეხება, კერძოდ, დედაენობრივად დაფუძნებული ფორმით.

3. ეს „ღირებულების შემქმნელი მახვილები“ „ხაზგასმული მითითებებითურთ განლაგებაზე“ უნდა განვიხილოთ, როგორც შენაცვლებადი ან თვითგამაძლიერებელი მეთოდები.

4. გარდა ამისა, შესაძლებელია მრავალი ინდივიდუალური ვარიაცია, რომელთა დაცილებაც დედაენობრივი ღირებულებებისაგან შეიძლება სისტემატურად იქნას გამოკვეული, პრაქტიკულად კი თითქმის განუხორციელებელია.

ასევე, არტიკლისა და მითითებითი ნაცვალსახელის (რიცხვითი სახელის) გარჩევა მისაღწევია მახვილის მეოხებით. სიტყვათგანლაგებისა და მახვილის კომბინაციით შესაძლებელია მოვიპოვოთ წინ წამოწევის, გახაზვის, გამახვილების ყველა შესაძლებლობა.

წინადადების შებენი. ვაისგერბერისთვის ამოსავალია ის, რომ „ყოველი ნაწილი“ გასაგებია მხოლოდ მთელიდან ამოსვლით, რომელ მთელშიაც ეს ნაწილი გარკვეულ როლს ასრულებს“ [91. 371].

წინადადების აბაზის პროექტები. ვაისგერბერისთვის წინადადების აგების პროექტთა (Satzbaupläne-ს) აღწერა „შინაარსობრივი სინტაქსის გულისგულია“ (გვ. 372). იგი მათ განიხილავს, როგორც გონითს ნიმუშებს, რომელთა მიხედვითაც შესაძლოა წინადადებათა აგება. ეს ძირითადი ფორმები, (წინადადების პროექტები Satzpläne, წინადადების ტიპები, წინადადების მოდელები) მხოლოდ გრამატიკული აღწერის მეოხებით ცნობიერდება. პასუხი უნდა გაეცეს შემდეგ კითხვას: როგორ წარმოიქმნება გერმანულში ბრძანებითი ან სურვილის (ნატვრითი)

გამომხატველი წინადადებები? ბგერადან ამოსვლით (Lautbezogene) განხილვა (მაგალითად, გრამატიკული ბრძანებითი წინადადებების შეკრება) შორს ვერ წავიყვანს; წინადადებები უნდა განვიხილოთ შინაარსობრივი (inhaltbezogene) თვალსაზრისით, ე.ი. რა შესაძლებლობებია გერმანულში ბრძანების, კითხვის და ა.შ. ჩამოსაყალიბებლად? (მაგალითად: Geh! Kommt ihr nur her! Stillgestanden! Laufen! Wirst du nun endlich aufhören! Du gehst sofort hinaus! Ihr dürft nicht so schreien!) ასე რომ, ჯერ უნდა დავადგინოთ ყველა ენობრივი მონაცემის სახეობები, რაც კი ბრძანების სიტუაციაშია შესაძლებელი, რათა შევექმნათ წინაპირობები ყველა შემდგომი ბგერობრივი თუ შინაარსობრივი განაზრებისა.

თხრობითი წინადადებისათვის პ. გრემემ (Dudengrammatik, 1959. 466 შმდ.) დაადგინა 31 ძირითადი ფორმა, რომლებიც დაიყვანება წინადადების 17 ტიპზე. ამას ემატება 2 ცალკე ფორმაც. ისინი შეიცავენ წინადადების მხოლოდ გრამატიკულად აუცილებელ წევრებს. ამას მოსდევს მდგომარეობის, პროცესის და მოქმედების წინადადებები, აგრეთვე, ქცევის წინადადებები. ეს კაპიტალი ქმნის ბგერობრივი და შინაარსობრივი აღწერის საფუძვლებს. ყოველი ცალკეული წინადადება უკვე კომპლექსური სიდიდეა — შედგენილი ბგერის, რიტმ-მელოდიის, შეთანხმების (Kongruenz) ნიშნებისა და ადგილის მანქვინებლებისაგან.

წინადადების აგების პროექტთა აღწერა ბგერადან ამოსვლით. ავტორი ჩამოთვლის წინადადების პროექტის, ვითარცა მთელის, ბგერით-გრძნობად ნიშნებს:

1. წინადადების მელოდია

2. შეთანხმება (Kongruenz)

3. ჩარჩოსებრი კონსტრუქცია (Umklammerung). [91. 379 შმდ.]

ამათ აკისრია ორმაგი ფუნქცია: ისინი მონაწილეობენ არა მარტო წინადადების პროექტის ჩამოყალიბებაში, არამედ გამონათქვამისათვის ცალკე ღირებულების მქონენიც არიან.

პორცივის დაკვირვებით, წინადადების ასაგებად დასადგენია ერთი არსებითი რამ, სახელდობრ, ის, რომ „დროის შესაბამისი თანამიმდევრობა გარდაიქმნება გონით თანაყოფნად“ (die Verwandlung eines zeitlichen Nacheinanders in ein geistiges Miteinander). ე.ი. ყოველ წინადადებას აქვს განუფენილობა, რომელიც დროში ერთმანეთს

მოსდევს, მაგრამ ეს თანმიმდევრობა ცნობიერებაში გვევლინება, როგორც მსოლიანობა, როგორც თანაყოფნა. აქედან ამოსვლით, დგება ამოცანა იმ ენობრივ საშუალებათა დადგენისა, რომელთა მეშვეობითაც ფორმალურად შესაძლებელია და შინაარსობლივად განხორციელებადია ასეთი გარდაქმნა თანამიმდევრობისა თანაყოფნად“ (გვ. 380). აქ ნახევნებია ურთიერთმიმართება ფორმა — შინაარსს შორის.

მაგალითად, წინადადების მელოდია: იგი არა მარტო ზემოდან მომშვილდავს წინადადებას, როგორც მთლიანობას, არამედ ათვალსაჩინოებს მის დანაწევრებას. აქვე უნდა მივათვალოთ მახვილი, რომელიც წინადადების პროექტს მოუდის.

წინადადების აბაზის პროექტთა შინაარსობრივი აღწერა. ვაისგერბერს ენის კვლევის უმთავრეს ამოცანად მიაჩნია, აგრეთვე, წინადადების პროექტის გონითი სტრუქტურის აღწერა. ავტორი მიუთითებს ორ სიძნელეზე, რაც ამგვარ გრამატიკულ დებულებებს დაბრკოლებებს უქმნის:

ჯერ ერთი, გონითი ქმედების კვალი საკუთარ ენაში ჩვენთვის ისე ჩვეულებრივია, რომ იგი არ არის მოსახელთებელი შემდგომი განაზრებისათვის; უმეტესად აქ წამოჭრილი ენათმეცნიერული ამოცანები სრულიად შეუცნობელია და მათ „აზროვნების“ კვლევას მიაწერენ.

მეორეც, არსებობს მეთოდური დაბრკოლება. წინადადების საძიებელი შინაარსები, თავიანთი არსით, „გონითი ქმნის ფორმებია“ (Zugriffe, geistige Gestaltungsformen). ისინი რომ ამგვარად განვიხილოთ, ჯერ ისინი უნდა გავიცნობიეროთ „შინაარსებად“, რითაც „ეს შინაარსები, — წერს ვაისგერბერი, — ბგერობრივი განხილვიდან ამოსვლითა და საგნობრივ საყრდენებთან შეერთებით, ცხადნი ხდებიან და შემდგომ დამოუკიდებლად ვითარდებიან“ [91. 386].

ამგვარად, გვეძლევა „ერთგვარი სინტაქსური ველი“, სადაც ამოცანის იგივეობა ამოსავალ პუნქტად ემსახურება გრამატიკულ აღწერასაც; სწორედ ენობრივ გადაწყვეტათა მრავალგვარობა გვიფარავს საგნობრივ მიმართებებთან აღრევისაგან. ავტორი გვიჩვენებს, რომ, მაგალითად, იმ ბრძანებით წინადადებათა ამგვარ ველში, რომლებიც ბრძანების ამოცანას ემსახურებიან, ერთიმეორისაგან გამოვყოთ აგების პროექტები (Baupläne) და ამით ეს პროექტები თავიანთ შინაარსეულ თავისებურებაში განვსაზღვროთ.

ვაისგერბერს მიაჩნია, რომ წინადადების პროექტის ყოველ მთავარ

ფორმას უსაუოდ უნდა შეესაბამებოდეს ერთი 'ზმნური სფერო. მაგრამ სინამდვილეში ერთი და იგივე 'ზმნები გვხვდება სხვადასხვა მთავარ ფორმებში. ბრინკმანის (1959) ბოლო მონაცემები წინადადების მოდელთა შესახებ ვაისგერბერს ასე აქვს გაანალიზებული: „თხრობითი წინადადებისათვის გვეძლევა ოთხი ერთმანეთზე დაუკვანადი მოდელი წინადადებისა: მოვლენის აღმნიშვნელი წინადადება, მოქმედების აღმნიშვნელი წინადადება, პოზიციის აღმნიშვნელი წინადადება და მაიგივებელი წინადადება. მოვლენის აღმნიშვნელი წინადადებები ისეთია, რომლებიც ემყარებიან გარდაუვალ 'ზმნებს; ამასთან, 'ზმნურ ფენათა მრავალნაირობა გამოიხატება სხვადასხვაგვარ მთავარ შემთხვევებში: es friert (უპიროვნო 'ზმნები); der Versuch ist misglückt; der Vater schläft (მდგომარეობის 'ზმნები); er geht (კვლილების 'ზმნები); აქ შემოდინ, აგრეოვე, წინადადებები პასივში და იმ აკუნატივიტურთ, რომელსაც არ გაანია სუბიექტთან მიმართება (wir haben heute schönes Wetter), კიდეც — საქმიანობის აღმნიშვნელი 'ზმნები (der Vater schreibt)...“

სწორი ფორმა ბრმაწული ბრამატიკისა. ვაისგერბერი ასე აჯამებს ყოველივეს: „ჩვენთვის გამოსავალია გამოძიება ბერასთან, საგანთან და შინაარსთან მიმართებებისა: ბერასთან კავშირი უწინდებურად რჩება ამოსავლად; ენის ფაქტთა გასინჯვა „საგნის“ მიხედვით მუდამ დარჩება ძალაში. მაგრამ ორთავეს მხოლოდ მაშინ ექნება სრული გრამატიკული წვლილი, თუ ჯერ შინაარსობრივი განხილვა მიიღებს ბიძგს ორთავესაგან და მერე იქითკენ წაიყვანს, რაც გადამწყვეტია: ენობრივი შუაფენისაკენ, დედანობრივი მსოფლხედვისაკენ“ [91. 404].

ლ. ვაისგერბერს, ისევე, როგორც ენაში შინაარსობრივი პრობლემატიკის თანამედროვე კომპიუტერულ ცოდნასთან კავშირს, ვრცლად ეხება თავის წიგნში ე.წ. „ლოგოტექნიკის“ საკითხებზე [74] მ.ტ. როლანდი. იგი თვლის, რომ ამ მხრივაც დიდი მომავალი აქვს ლ. ვაისგერბერის შინაარსულ ენათმეცნიერებას (და საერთოდ ენობრივი შინაარსების კვლევას, რასაც სათავე დაუდო ვ. პუმბოლდტმა და საფუძველი ჩაუყარა ლ. ვაისგერბერმა).

შინაარსეული ენათმეცნიერება, ენის არაშინაარსეული და მხოლოდ ფორმალური სტრუქტურის შესწავლისაგან განსხვავებით, ემყარება ენათა ნაირგვარობის ფაქტს და ამდენად, ენა და ერი („უმალღესი გაგებით“) იქცევა კვლევის აუცილებელ საფუძვლად. ამით იყო გამოწვეული ის ფაქტიც, რომ ჰუმბოლდტის აზრებს საგანგებოდ შევეხეთ უფრო იმიტომაც, რომ „არავის ისე საფუძვლიანად არ გამოუკვლევია ერის არსი კაცობრიობის ინტერესებიდან ამოსვლით“, როგორც მას [89. 192]. ენათა ნაირგვარობა კაცობრიობის ისტორიაში ჰუმანიზაციის აუცილებელი გზა იყო. ასეა დღეს, და ასე იქნება მომავალშიც.

დედაენის თვითმყოფობასა და განსაკუთრებულობას მრავალგზის აღნიშნავდა ლეო ვაისგერბერი, მაგრამ იგი ჯერ კიდევ სულ ადრე თვლიდა (1933 წ.), რომ სრულად დაუფლებას ორი ენისა მიგყავართ აზროვნების საგრძნობ გამდიდრებამდე, რადგან ცალკეული ენები შინაარსეული აგებულების გამოც აუცილებლობით განსხვავებულნი არიან. ბოლო ხანებში ამ კონცეფციის გვერდით დედაენის მნიშვნელობაზე მან დასაბუთებული აზრი გამოთქვა ბონის გაზეთ *General Anzeiger*-ში, რაც თავის ნაშრომში ლ. ვაისგერბერის შესახებ მოათავსა ი. კნობლოხმა; ჩვენც აქედან დავიმოწმებთ. საგაზეთო სტატიის სათაურია: „ევროპის ენობრივი მომავალი“ (*Sprachliche Zukunft Europas*). შინაარსეული ენათმეცნიერების ფუძემდებლის ეს სტატია შეიცავს ფრიად საინტერესო პროგნოზს და თანაც საკითხი ენათა მსოფლმხედველობრივ საფუძველს ეხება; ამიტომ საჭიროდ ჩავთვალეთ მისი ქართული თარგმანი შედარებით სრული სახით მოგვეწოდებინა. „ყოველი ადამიანი რომ დედაენით ხარობს, ეს ჰუმანურობის წინ წამოწევაცაა და ევროპის აგების წინაპირობაც. ადამიანის უფლებათა მთავარი დეკლარაცია, რომელსაც „შეერთებულ ერთა ქარტია“ ჰქვია, საზეიმოდ აცხადებს, რომ ადამიანს აქვს ბუნებრივი უფლება დედაენისა. თუკი ვინმემ ერთხელ იწამა, რომ ენა არ არის მარტოოდენ ურთიერთგაგებინების საშუალება, იგი მიხვდება, რომ დედაენა არა სარგებლობის გამო აქვს ინდივიდს, ან გრძნობების დასაკმაყოფილებლად, არამედ — იგი ისეთი ძალაა (*Kraft*), რომელიც მას, ვითარცა გონით არსებას, გარკვეულ ისტორიულ ადგილს მიუჩენს და

განუმტკიცებს; მასვე ძალუქს შეამჩნიოს ისიც, თუ ძალმოძრეობით რამდენ არაკაცობას სჩადიან ენის სფეროში. სწორედ ამ არაკაცობას გამოვლენას უმხედრდებიან და მისგან თავს იცავენ ძალადობის მსხვერპლნი ბუნებრივი უფლებითა და ბუნების მოთხოვნით, რის გამოც მომავალ ევროპას მართებს, მტკიცედ აღკვეთოს ამ ბარბაროსობის ყოველი გამოვლენა. ყველამ უნდა შევიგნოთ, რომ, სულერთია, რა სახითაც უნდა იყოს მოწესრიგებული სახელმწიფოში ურთიერთობები, ენობრივი სოციუმები, ვითარცა ისტორიული რეალობანი, ჩვენს თვალწინ არიან და ისინი, ბუნებრივი უფლების ძალით, ესწრაფვიან იმ ამოცანათა განხორციელებას, რაც ენის საკაცობრიო კანონშია ჩადებული. თუ ამ სფეროში წინ წავიწვეით, ენის საკითხთა მოუგვარებლობით გამოწვეული ჭირი წყალობად გადაგვექცევა — ევროპა სულის სიმხნევსა და შვიდობას მოპკერის თავის ბინადართ.

ჩვენ სწორედ დედაებით გალალებული ევროპელები გეჭირდება, რადგან მხოლოდ ამ გზით თუ განმტკიცდება თანამშრომლობა ევროპის წინაშე ერთობლივად მდგომ ამოცანათა გადასაწყვეტად. თუკი იმის ცოდნას მოვიპოვებთ, თუ რა არის ენა, მაშინ ევროპის ენობრივი მერმისისაკენ გზა არათუ მონინშნება, არამედ მოიაზრება კიდევაც. ამიერიდან ევროპის ენათა ნაირგვარობა მოგვევლინება დიდ განძად. ამ განძის ერთობლივი მოპოვებით, ამ საქმეში ყოველი ევროპელის ენისმიერი წვლილის შეტანით, ევროპა, ალბათ, კვლავაც შეძლებს დაიბრუნოს ის ადგილი, რაც დაკარგა თავისივე ჩლუნგი სახელმწიფოებრივი აზროვნების გამო.

ცხადზე უცხადესია, რომ ევროპის ასეთ სამერმისო სურათში ადგილი აღარ ექნება ენათა შეხლა-შემოხლასა და ომებს. ევროპელმა თავისი სულიერ-გონითი ენერგიის დიდი ნაწილი ენებს უნდა დაუთმოს, და ვინაიდან ენის საკაცობრიო კანონი ადამიანის ცხოვრებაში, არსებითად, გონითი მხარის უპირატესობას უზრუნველყოფს, ამგვარი კავშირის მნიშვნელობას მხოლოდ გონის კანონთა აღიარება შეესაბამება. დღეს, წარმატებით თავბრუდახვეულნი, ვიყურებით უკან, იმ დროისაკენ, როცა მთავარი დებულების — *cuius regio, eius religio* („რაც მმართველობა, ის რელიგია“) — შესაბამისად, ძალაუფლების მპყრობელი იყო განმსაზღვრელი უფლებების მქონე რელიგიასა და იდეოლოგიაში. ყველამ კარგად ვიცით, რომ სინდისზე ასეთი ძალმოძრეობა არა მარტო არაადამიანური აქცია იყო, არამედ — დამღუპველი შედეგების მომტანიც.

განა ენებ'ხე ძალმომრეობა ნაკლებ არაადამიანურია? განა მისი შედეგები უფრო უკურნებელი არ არის?

დღევანდელმა ევროპამ ეს სენა უნდა დაძლიოს, თუ არადა, სწორედ მისი მსხვერპლი გახდება. საფრთხე კი დიდია. დაე, ყოველმა ევროპელმა, — მეცნიერი იქნება ის, პოლიტიკოსი, თუ რიგითი მოქალაქე, — თავისი წვლილი შეიტანოს იმ გზის საბოლოო გაკვალვაში, რომელიც, ყოველ ევროპულ ენიოს ერთობას, დედაენის ძალთა ლალი გაშლით, მთელის სამსახურში ჩააყენებს. თუ ევროპის ენობრივი სოციაუმები ამგვარი ჰუმანურობის ზავს დადებენ, მაშინ მშვიდობის დამყარებაც სახელმწიფოებს შორის საიმედო გზას დაადგება“.

